ეროვნული
ბიბლიოთეკა

განათლება

ეროვნული სამეცნიერო, პედაგოგიური და
სალიტერატურო ჟურნალი.

* * * * *

წელიწადი პირველი.

№ 3 და 4.

მარტი და აპრილი 1908 წ.

ტფილისი
სტამბა «იდეალი» ნიკოლოზის ქ. № 6.

1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

		გვერ.
1.	**ბავშვის ჰიგიენა.** თავისუფალი ჰაერით სუნთქვის საჭიროება ექ. **ა. ბალარჯიშვილისა**	1 — 11
2.	**დ. ი. მენდელეევი** სურათით (1834—1907 წ.) და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ს. ი—ლისა	12 — 21
3.	**ასტრონომია, ანუ ვარსკვლავთ მრიცხველობა** კოპერნიკიდან (1473—1543) ნიუტონით (1642—1727) წ. (დასასრული) სურათებით **სამ. ცომაიასი.** ...	22 — 40
4.	**ჟ. ჟ. რუსსო,** მისი მოძღვრება და მნიშვნელობა მე-XVIII საუკუნეში, Contrat social (საზოგადოებრივი ხელშეკრულობა) და სხ.	41 — 76
5.	**ასის წლის წინად კიდევ კაცნი ვყოფილვართ!** (ბ-ნ ალ. ფრონელის ისტორიული წიგნების გამო) Bâton-ისა	77 — 87
6.	**არითმეტიკული ამოცანების სწავლების წესი დასაწყისს სკოლებში ლ. ბ—ძისა.**	88 — 98
7.	**პედაგოგიის ისტორია** დ-რ ვაიმერისა (თარგმანი გერმანულიდან) გაგრძელება. **ნ ლორთქიფანიძისა**	99 — 196
8.	**ახლო წარსულიდან** ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წ.) **მალაქია ბოლქვაძისა**	107 — 136
9.	**სურათი პოლონელთა სკოლისა პრუსიაში** ადამ ჰელლერისა, თარგმანი **ლ—ისა.**	137 — 142
10.	**ბავშვის აღზრდა მომავალში. დ ე დ ა.** ბლეჩფორდის რომანიდან	143 — 151
11.	**დარცხვენილნი მომჩივრები** (ძველი ამბავი) **დ. ნ—შვილისა**	152 — 155
12.	**სადღეისო,** დექსი დ. თომაშვილისა	155 — —

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საქართველოს მოღვ. ისტორიის რეცენზიის გამო დ. კარიჭაშვილისა ... ... 156 — 170

14. **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ფიზიოლოგიური ლექცია** რუსულიდან ნათარგმნი გ. არეშიძის მიერ. **კოტე ელიოზიშვილისა, დარვინიზმი**, თხზულება ფერიერის ი. ფანცხავას თარგმანი კოტე ელიოზიშვილისა ... ... 171 — 193

15. **წერილები პროვინციიდან**, წერილი გურიიდან. ქუთაისიდან. ჯიხაიშიდან. მასწავლებელთა კრებები ქუთაისის გუბერნიაში **ვ. ობჩელისა** ... ... 193 — 201

16. **ქართველ მასწავლებელთა შორის**. დღევანდელი პირობები. სახალხო მასწავლებელთა აზრი დედაენით სწავლების შესახებ. მათივე აზრი რუსული ენის სწავლებისა და რუსული ენის სახელ მძღვანელოების შესახებ. თბილისის დასაწყის საქალაქო სკოლების პროგრამის გამო .. .. 202 — 208

17. **შინაური მიმოხილვა**. საშრევლო სკოლები. სახალხო უნივერსიტეტები. ქართველ სტუდენტთა კავშირი. სოფლად მუშაობა. მასწავლებელთა კრებები. ლექციები მასწავლებელთათვის. ქართული ენა სასულიერო სემინარიაში ... . 209 — 224

18. **რუსეთის ცხოვრებიდან**. ამურის რკინის გზის პროექტი სათათბიროში. კამათი საერთო განათლების შესახებ. სათათბიროს მოქმედების ხასიათი და ოქტომბრისტების შორის უთანხმოება. თანამედროვე მდგომარეობა ... ... 225 — 238

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვის ჰიგიენა.*)

თავისუფალ ჰაერით სუნთქვის საჭიროება.

ბავშვის ფიზიკურ განვითარების ხელის შემწყობ პირობათა შორის ფრიად მნიშვნელოვანი და თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს სუფთა და თავისუფლად მოძრავ ჰაერით სუნთქვას. სადგომი ბინის ჰაერი, როგორც გინდ ჰიგიენურად იყოს შენობა მოწყობილი, გაშლილ თავისუფლად მოძრავ ჰაერთან შედარებით, საღს თვისებებს ცოტად თუ ბევრად მოკლებულია, ამისათვის ბავშვის დრო-გამოშვებით თავისუფალ ჰაერზედ ყოფნა, მისი ნორმალურ ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს.—თუ როგორ უნდა სარგებლობდეს ბავშვი თავისუფალი ჰაერით—აი ამ საგანს მინდა შევეხო ამ წერილში; კერძოდ, ჯერ აღვნიშნავ ხნოვანებას, როდესაც ბავშვს თავისუფალ ჰაერზე გამოსვლა შეუძლიან და შემდეგ განვსაზღვრავ დროს, რამდენიც მას შეუძლიან თავისუფალ ჰაერზე დაჰყოს. მყუდრო და თბილ ზაფხულის დღეებში ახლად დაბადებული ბავშვის კარში ჰაერზედ გამოყვანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი თვალები უკვე შეეჩვია სინათლეს და თვითონაც საკმარისად მომაგრდა; ოთხი კვირის ბავშვი ამ მხრივ უკვე მომზადებუ-

*) ჩვენი წერილები ბავშვის ჰიგიენის შესახებ იბეჭდებოდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ დამატებაში, ესრედ წოდებულს „პედაგოგიურს ფურცელში“. რადგან „პედაგოგიურ ფურცლის“ გამოცემა, სხვადა-სხვა მიზეზებისა გამო, შესწყდა, ჩვენც იძულებული გავხდით ამ წერილების ბეჭდვა შეგვეწყვიტა. ეხლა ვსარგებლობთ ჟურნ. „განათლების“ ფურცლებით და განვაგრძობთ ბავშვის ჰიგიენის შესახებ შეწყვეტილ წერილების ბეჭდვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია და მაშასადამე ამ ხნის ბავშვს დაუბრკოლებლივ შეუძლიან ისარგებლოს ზაფხულის დღის თავისუფალ ჰაერით. ესევე არ ითქმის ზამთარზედ. ზამთარში თავისუფალი ჰაერით სარგებლობა დიდს ზომიერებას და სიფრთხილეს მოითხოვს. ამის შესახებ სხვა და სხვა ავტორნი სხვა და სხვა აზრისანი არიან: მათი ერთი ჯგუფი ურჩევს მშობლებს მესამე წლის დასაწყისამდის ბავშვი სრულიად არ გამოიყვანონ ხოლმე კარში მთელი ზამთრის განმავლობაში, 3 — 8 წლის ბავშვმა კი თავისუფალი ჰაერით შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიცივე არ აღემატება — 8° R. ამისთანა სასტიკი რეჟიმი, მეტადრე იქ, სადაც ზამთარი ხანგრძლივი და სუსხიანია, აშკარაა ბავშვს იძულებულ ჰყოფს, თითქმის 5 თვემდე, ჩვენში კი 3 თვემდის, კარჩაკეტილში იყოს მომწყვდეული და არა კეთილ შეზავებული ოთახის ჰაერით ისუნთქოს. ხანგრძლივი ზამთრის განმავლობაში თავისუფალ ჰაერს გადაჩვეული ბავშვი კი დიდის გაჭირვებითღა იტანს გაზაფხულის ცვალებადს დარს; ასეთი ბავშვი მუდამ ადვილად ცივდება, ხშირად ხდება ავად და ამ გვარად მის ოთხკედელშუა გამომწყვდევას ბოლო არ ეღება. ასეთი უზომოდ ფრთხილი რეჟიმი ჰბადებს ბავშვის სისუსტეს და სიმჩატეს; ასეთს პირობებში გამოზდილი ბავშვი მეტად მგრძნობიარე ხდება სულ მცირე t ცვლილების, უფრო ზანტი, მძიმე ხასიათისა და ჟინიანია. მეორე ჯგუფი წინააღმდეგია ასეთი სასტიკი რეჟიმისა, ეს ჯგუფი უარს ჰყოფს ბავშვის „სათბუნებელში“ ზრდას და აღიარებს სრულიად წინააღმდეგ პრინციპს: მათი აზრით, ბავშვი, ძუძუმწოვარიც კი, მიუხედავად წლის დროისა და დარისა, ყოველ დღე უნდა ატარებდეს რამდენსამე ხანს თავისუფალ ჰაერზედ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გამოიწრთოს მისი ორგანიზმი, რომ დარის ჩვეულებრივმა ცვლილებამ მაზედ ცუდი გავლენა არა დროს არ იქონიოს.

ორივე ზემორე მოყვანილი აზრი აშკარად ცალმხრივია. რომ რიგიანად გამოვარკვიოთ ეს საკითხი, უნდა ნათლად გავითვალისწინოთ ის — თუ ცივ ზამთრის ჰაერში რა არის მავნებელი, რითი ავნებს იგი ბავშვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივმართოთ ფაქტებს. მრავალ დაკვირვებიდან და სტატისტიკურ ცნობებიდან აშკარად სჩანს, რომ, მიუხედავად სიცივისა, ის ზამთრის დღეებია უფრო მაზარალებელი და ბავშვების ჯანმრთელობისათვის საშიში, რა დღეებშიაც ჩრდილო ანუ ჩრდილო-აღმოსავლეთის მშრალი ქარი ჰქრის; ასევე მავნებელია უქარო, მაგრამ ნესტიან-ბურუსიანი დღეები. ასეთ დღეებში აშკარად მატულობს სასუნთქ ორგანოთა ავადმყოფობანი: სხვა და სხვა გვარი ყელის ტკივილი, ბრონხების კატარრი, ფილტვების ანთება, რევმატიზმი და სხვ. გაცილებით ცივს, მაგრამ წყნარ უღრუბლო მშრალ ზამთრის დღეებში კი ასეთი სნეულებებით უფრო იშვიათად ჰხდებიან ბავშვები ავად. აქედან ნათლად სჩანს, რომ ზამთარში მავნებელი და საშიში ყოფილა მხოლოდ ქარი და ნესტ-ბურუსი და არა თვით სიცივე, როგორც გინდ იგი სუსხიანი იყოს. მაშასადამე კარგად მყოფ ბავშვს ზამთარში კარში სეირნობა უნდა აუკრძალოთ მხოლოდ ქარიან და ნესტიან დღეებში და იმდენად უფრო სასტიკად, რამდენადაც იგი პატარაა. წყნარ და მზიან დღეებში კი, თუ გინდ ყინვა — 8° R-დისაც ადიოდეს, თბილად ჩაცმულ ბავშვს, ძუძუმწოვარასაც კი, სრულიად უშიშრად შეუძლიან ისეირნოს. საუკეთესო ავტორნი ზამთარში ბავშვის თავისუფალ ჰაერზე სეირნობის შესახებ შემდეგი აზრისანი არიან: თუ ბავშვი დაიბადა ზამთარში ანუ გაზაფხულზედ და ზაფხულ-შემოდგომის განმავლობაში თავისუფალი ჰაერით სარგებლობდა, მაშასადამე, თუ იგი საკმარისად შეეჩვია ტემპერატურის ცვლილებას, ასეთს ბავშვს ზამთარშიც წყნარ, მზიან დღეებში თუ გინდ ყინვა — 4° R-ამდისაც ადიოდეს, უშიშრად შეუძლიან თბილად ჩაცმულს 10—20 წუთამდის გარედ ისეირნოს.

თუ ბავშვი დაიბადა ზაფხულის დამლევს, ანუ შემოდგომაზედ და, მაშასადამე, ვერ მოასწრო საკმარისად შესჩვეოდა ტემპერატურის ცვლილებებს, მაშინ მხოლოდ გაზაფხულზედ (მარტში) შეიძლება უშიშრად მისი კარზედ გამოყვანა; ზამთარში კი ასეთი ცდა სანდო არ არის. რაკი ბავშვი მეორე წელიწადში გადადგა, მას თავისუფლად შეუძლიან

ზამთარში, გარდა ქარიან და ნამეტან ნესტიან-ბურუსიან დღეებისა, ყოველ დღე ისეირნოს თავისუფალ ჰაერზედ, ოღონდ კი თბილად იყოს ჩაცმული და კარში ყოფნის დროს ხელ-ფეხი ძლიერ არ უცივდებოდეს. მეორე წელში მდგარს ბავშვს ზამთრის დღეში შეუძლიან კარზედ დაჰყოს იმდენად უფრო მეტი, რამდენადაც უფრო თბილა და იმდენად ნაკლები, რამდენადაც უფროც ცივა. სულ ხუთი წუთი რომ გაატაროს ბავშვმა კარში, მაინც ეს მისთვის ძლიერ სასარგებლოა, ასეთი მოკლე ხნით კარში ყოფნაც კი მას აცოცხლებს და ამალხაზებს, ეს ისევე მოქმედებს მის ორგანიზმზე, როგორც გასამაგრებელი დუში ანუ ვანნა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი ხელოვნური საშუალებაა, პირველი კი (სეირნობა) ბუნებრივი. დღითი-ღღე სუფთა თავისუფალ ჰაერზედ სეირნობა ბავშვის ორგანიზმს ამაგრებს და სჯეკს, ბავშვი თანდათანობით პატარაობაშივე ეჩვევა ჰაერის ტემპერატურის აწევ-დაწევას ღა შემდეგში სრულიად უვნებლივ იტანს ყოველ გვარ დროს, რითაც თავიდან იცდენს სხვა და სხვა სენს, რომელნიც გაციებისაგან წამოსდგებიან და სათუთად გაზრდილ ბავშვს ადვილად უჩნდება ხოლმე. პრფ. იურგენსენი სრულიად საფუძვლიანად ამბობს: „ადამიანს ბუნებამ დედამიწა მიუჩემა საცხოვრებლად და მან იმ პირობებში უნდა იცხოვროს, რა პირობებსაც დედა მიწის ზურგი ჰქმნის. შეიძლება სამოთხეში უკეთესი ცხოვრების პირობები არსებობდა, მაგრამ დიდი ხანია ადამიანი გამოიდევნა სამოთხიდან და, მგონი, ვეღარასოდეს ვერ ეღირსება ხელმეორედ სამოთხეში ცხოვრებას. ამისათვის კაცი, როგორც გინდ კარჩაკეტილში სცხოვრობდეს, მაინც ვერ შეჰქმნის სამოთხის ცხოვრების პირობებს და მაშასადამე მუდამ თავიდან ვერ აიცდენს ჰაერის ცვლილების ზედგავლენას. და თუ იგი ამ ცვლილებებს მიჩვეული არ არის, ადვილად შეიქმნება მათ მსხვერპლად, მაშინ როდესაც მიჩვეულთა უმრავლესობა უვნებლად რჩება“.

— თუ ბავშვი ზამთარში და საზოგადოდ ცივს დარში სულ რამდენსამე წუთს რჩება ხოლმე კარში თავისუფალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერზე, ზაფხულში ის მთელ დღეს სუფთა ჰაერზე უნდა ატარებდეს და სახლში უნდა ბრუნდებოდეს მხოლოდ საძილოდ და საჭმლის მისაღებად. ეს მოთხოვნილება იმდენად ნათელი და ყველასათვის გასაგებია, რომ მას, მგონი, ახსნა აღარ სჭირია.

ახლა გავითვალისწინოთ — რა ადგილებია უფრო გამოსადეგი სასეირნოდ და რა დროს უფრო სასარგებლოა ბავშვმა ისეირნოს? ქალაქებში ბავშვებს შეუშლიანთ ისეირნონ ქუჩებში, ეზოებში და ბაღებში. გავშინჯოთ ამ სასეირნო ადგილების ჰიგიენური პირობები. ზამთარში, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც თოვლი დიდხანობით სძევს ხოლმე, ხსენებული სასეირნო ადგილების სანიტარული პირობები თუმცა ერთგვარია, მაგრამ უპირატესობა მაინც ეზოს და ბაღს უნდა მიეცეს, რადგან აქ, სეირნობის გარდა, ბავშვს შეუძლიან თავისთვის მეტად სასიამოვნო სამუშაო იშოვოს. მას შეუძლიან თოვლი ერთ ალაგას მოგავოს და მოაგროვოს, თოვლის თოჯა ანუ გორაკი გააკეთოს, სხვებთან ერთად იგუნდაოს და სხ.; ასეთი მუშაობა მას ახურებს, ათბობს, დიდად ასიამოვნებს და მის სეირნობას აზრსა და შინაარს აძლევს. ქუჩა, როგორც სასეირნო ადგილი, ასეთს ღირსებას მოკლებულია, ამისათვის ბავშვს ჩქარა ჰბეზრდება დღე-მუდამ ქუჩა-ქუჩა უაზრო ყიალი. ქუჩის აურ-ზაური თუ პირველად მის ყურადღებას იქცევს, შემდეგში იგი ბავშვს სწყინდება და მთლად უკარგავს სეირნობის სურვილს, ასეთი სეირნობის შემდეგ ბავშვი ბრუნდება სახლში უკმაყოფილო, მოწყენილი და არა გახარებული და გამალხაზებული, რაიცა სუფთა ჰერზე სეირნობამ უსათუოდ უნდა გამოიწვიოს. ერთი სიტყვით ქუჩაში სეირნობა სასურველ ეფფექტს ვერ აღწევს, ვერც ფიზიკურს და ვერც მორალურს. ქუჩაში ბავშვს შეუძლიან ისეირნოს მხოლოდ შემოდგომაზე და პირველ გაზაფხულზე, როდესაც ბაღებში და დაჩრდილულ ეზოებში, მომეტებულ შემთხვევაში, სველი ნიადაგი და ნესტიანი ჰაერია, რაც საუკეთესო პირობას წარმოადგენს სხვა და სხვა სნეულებათა გასაჩენად, რომელნიც ვაციებისაგან წარმოსდგებიან. მაგ. ად-

ვილად შეიძლება აქ ბავშვს შეხვდეს ციებცხელება, რევმატიზმი, სხვა და სხვა გვარი ყელის ტკივილი და სხვა. რაც შეეხება თბილისს და ზოგიერთ სხვა კავკასიის ქალაქებსაც, სადაც ზამთარი ხანმოკლე, მომეტებულ შემთხვევაში უთოვლო და მშრალია, აქ ბავშვებს თითქმის მთელი ზამთარი, შეუძლიანთ ისარგებლონ ფართო ეზოებით და ბაღებით, სადაც თოვლის ნაცვლად მათ სხვა გასართობებით შეუძლიათ შეიქციონ თავი და მასთან, შედარებით, სუფთა, უმტვერო ჰაერით ისუნთქონ. მხოლოდ ზოგიერთ ნესტიან შემოდგომის და პირველ გაზაფხულის თვეებში საჭიროა, ეზოების და ბაღების ნაცვლად, ქუჩას მივმართოთ მოლმე.

ბავშვის კუთების (მუსკულების) სავარჯიშოდ, მისი ორგანიზმის გასამაგრებლად და გასაცოცხლებლად საკმარისი არ არის უბრალო სეირნობა, მარ ტოდ-მარტო, ტოლ-უამხანაგოდ ქუჩა-ქუჩა სიარული, ამისათვის ბევრი სხვა რამ არის საჭირო, მაგრამ მათ შორის ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს თავისუფალ ჰაერზედ ერთად თავ-მოყრილ ბავშვების საზოგადო თამაში. ამისათვის, გარდა ფართო ეზოებისა, ბაღებისა და სუფთა ქუჩებისა, ყოველ კეთილ-განწყობილ ქალაქს მრავლად უნდა ჰქონდეს ბავშვების სათამაშოდ მოწყობილი მოედნები, სადაც ერთი და იმავე უბნის ბავშვებს თავისუფლად შეეძლო ხოლმე შეკრება, ერთად მოძრაობა და თამაშ-ნავარდი. სხვა ქვეყნების მაგალითი, მეტადრე ინგლისისა, ნათლად გვიჩვენებს, რამდენად შესაძლებელია ქალაქებისთვის ასეთი მოედნების გამართა, მასთან რამდენად სასარგებლოა იგი ბავშვებისთვის და, მაშასადამე, რამდენად საჭიროა ჩვენი ქალაქებისათვისაც კარგ ალაგს მდებარე, გამომშრალი, შემოღობილი, ბავშვების სათამაშოდ მოწყობილი საზოგადო მოედნები. შიში, გადამდები სენის წინაშე, რომელსაც განიცდიან ზოგიერთი მშიშარა მშობლები ბავშვების შეკრების დროს, გადაჭარბებით ჯილდოვდება დიადი სარგებლობით, რომელიც მოაქვს ნაირ ნაირს, მხიარულს საზოგადო ბავშურ თამაშობას.

ახლა მეორე კითხვას უნდა გავსცეთ პასუხი: დღის განმავლობაში ბავშვების სასეირნოდ რა დრო უფრო ხელ-საყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელი და სასარგებლოა? რამდენადაც ვიცით დილა-საღამოს ნამი და ნესტი ხელს უწყობს და აჩენს სხვა-და-სხვა გვარ სენს, რომელიც გაციებისაგან წარმოსდგება; უფრო ხშირად კი ციებ-ცხელების (მალარიის) მიზეზი ხდება ხოლმე ნესტიანი დილა-საღამო. მეტადრე საშიშოა სამხრეთის ქვეყნებში და მათ შორის ჩვენს მხარეში ზაფხულის საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ ბავშვების გარეთ ყოფნა. ამ დროს მალარიის მიკრობი ადვილად შედის და იბუდებს ხოლმე ბავშვის გვამში და ხშირად წლობით აწვალებს და აწამებს მას. ამ არა სასიამოვნო მოვლენის თავიდან ასაცდენად ბავშვს სასტიკად უნდა აეკრძალოს ზაფხულის დღეში გარეთ ტარება დილით ნამის შეშრობამდის და საღამოთი მზის ჩასვლის შემდეგ, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც ციებ-ცხელებას ეპიდემიური ხასიათი აქვს. ზამთარში, თუ უთოვლო დღეებია და ნიადაგი მშრალია, საუკეთესო სასეირნო დროდ უნდა ჩაითვალოს შუადღე, თოვლიან დღეებში კი უკეთესია ბავშვი სეირნობდეს დილით ვიდრე მოყინულია და თოვლს ჯერ დნობა არ უწყია.

ბოლოს საჭიროა გამოვარკვიოთ ის, თუ სად უნდა გაატაროს ბავშმა ზაფხულის თვეები? საჭიროა თუ არა საზოგადოდ საზაფხულოდ ქალაქიდან წასვლა და რანაირი ადგილი უნდა აურჩიოთ მას საცხოვრებლად? აშკარაა ამ კითხვების გადაწყვეტას რეალური მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც მათი გარდაწყვეტის დროს მხედველობაში გვაქვს ბავშვის სახლობის ცხოვრების ყოველივე პირობანი, სახლობის წევრთა ჯანმრთელობა, სახლობის მატერიალური მდგომარეობა და სხ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კითხვების გადაწყვეტა თავის აზრს ჰკარგავს, რადგან მათი პრაკტიკული განხორციელება, სხვა-და-სხვა შინაურ მიზეზებისა გამო, შეუძლებელი ხდება. ამისათვის რამდენადაც შესაძლებელია უნდა შევათანხმოთ მრავალგვარი, ხშირად ერთი ერთმანეთის მოწინააღმდეგე სახლობის წევრთა ჯანმრთელობის ინტერესები და სახლობის მატერიალური მდგომარეობის მიხედვით ისეთი საზაფხულო სამყოფი უნდა ამოვურჩიოთ, რომ სახლობის ყოველმა წევრმა შესძლოს ზაფხულის განმავლო-

ეროვნული

ბაში საკმარისად დაისვენოს და, რამდენადაც შეიძლება, ჯანმრთელობაც აღადგინოს.

გარდაცვალებულთა და ავადმყოფთა შესახებ შეკრებილი სტატისტიკური ცნობები ნათლად გვიჩვენებს, რამდენად ცუდად მოქმედებს და მაზარალებელია ბავშვის ჯანმრთელობისთვის ზაფხულის ჰავა ჩვენს დიდს ქალაქებში. ბავშვების შორის კუჭის და წელების სნეულებანი თითქმის ერთი ათად მატულობს. საკვირველიც არ არის, რადგან წრეს გადასული დახშული, სულის შემხუთავი, გავარვარებული და მტვრით გაჟღენთილი ჰაერი, აუარებელი სიცხისგან გაფუჭებული სანოვაგე, მრავალი დაუმწიფებელი ხილეულობა და სხ. საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენენ სხვა და სხვა მძიმე და მომაკვდინებელ კუჭის და წელების სნეულბათა აღმოსაცენებლად. ამის და მიუხედავად, თუ გავიხსენებთ, რომ ბავშვები გრძელ შემოდგომის და ზამთრის განმავლობაში მომეტებულს დროს ოთახებში ატარებენ, დახშული გაფუჭებული ჰაერით სუნთქავენ, ფიზიკურ მოძრაობას მოკლებულნი არიან და მასთან მრავალი მათგანი გონებრივადაც მუშაობს, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ დასუსტებულს, ღონე მიხდილს, ფერდაკარგულს, სისხლ-ნაკლები ბავშვის სურათს და შევიგნებთ რამდენად საჭიროა მისთვის ქალაქის მოშხამულ ჰაერს ზაფხულში მაინც თავი დაანებოს და სოფლის ტყეების და მინდორ-ველის სუფთა ჰაერით ისუნთქოს. თუ ყოველი ქალაქის მცხოვრებისთვის სასარგებლოა ზაფხულში აგარაკად წასვლა, მოზარდ ბავშვისთვის ეს აუცილებელს საჭიროებას შეადგენს და ერთი ორად მისთვის მარგებელია. ბავშვის ზაფხულში სოფლად წასვლას გარდა სანიტარულ მნიშვნელობისა მორალური მნიშვნელობაც აქვს: აქ ბავშვი ეჩვევა მარტივს, უბრალო, უფრო ბუნებრივ ცხოვრებას, აქ იგი ბუნებას უახლოვდება. ბუნებასთან დაახლოვება კი უღვიძებს მას ბუნებისადმი სიყვარულს და უადვილებს ბუნების მოვლენათა შეგნებას და შეთვისებას.

საზაფხულო სამყოფი უნდა წარმოადგენდეს. სუფთა, საღი ჰაერით და ფართო სასეირნო მოედნებით შემკულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილს, სადაც ფართოდ გაშლილი საზაფხულო შენობები და საზაფხულო საბანოები უნდა მოიპოვებოდეს და მასთან სრული სიმშვიდე და მყუდროება მეფობდეს. აი ამისთანა უბრალო, მყუდრო, მაგრამ საღ ადგილებში უნდა ვეზავნიდეთ ხოლმე ქალაქიდგან წლის განმავლობაში დასუსტებულს და სწავლისაგან მოღლილ-მოქანცულს ბავშვებს; ამისთანა ადგილები ყოველგან მრავლად მოიპოვება, აქ ცხოვრება შედარებით იაფია და, მაშასადამე უმრავლესობისთვის ხელმისაწდომია. რომ ღირსეულად დავაფასოთ უბრალო აგარაკების ზემოხსენებული არსებითი თვისებანი, საკმარისია მოვიგონოთ მხოლოდ შეძლებულთათვის არსებულნი ხალხით გამოჭედილი „მოდის“ აგარაკები, რომელნიც ძალიან ნაკლებად განირჩევიან ქალაქებისაგან. ისეთივე მტვრით სავსე ქუჩები, პაწია ეზოები, ზედი-ზედ მიკერებული შენობები, ქალაქური გასართობები: ბალები, სპეკტაკლები, კონცერტები, სხვა და სხვა გვარი სპორტი, ერთსა და იმავე საზოგადო სასეირნო ადგილზედ დღე-მუდამ ყიალი და სხ. ამისთანა ადგილს დასასვენებლად წასვლა, ჩვენის აზრით, რაღაც გაუგებრობა და თავის მოტყუებაა. საზაფხულო სამყოფის არჩევა დიდის სიფრთხილით უნდა, თორემ ადვილად შეიძლება კაცს იმედი გაუცრუვდეს და ჯანმრთელობის აღდგენის და დასვენების მაგიერ, ბავშვი, შეიძლება, ისეთივე დაბრუნდეს ქალაქში, როგორიც ქალაქიდან სოფელში წავიდა. მაინც და მაინც უკეთესია ექიმის აზრი ვიცოდეთ შესახებ იმისა თუ რამდენად გამოსადეგი და სასარგებლოა ამ თუ იმ ბავშვისთვის ეს თუ ის საზაფხულო სამყოფი. ექიმი კი, რასაკვირველია, ადგილობრივ უნდა იყოს გაცნობილი თავის რაიონის მახლობელ აგარაკებთან და სოფლებთან. — აგარაკის არჩევის დროს სასტიკად უნდა ვერიდნეთ ჭაობიან ადგილს, დაგუბებულს წყალს, წვრილ მდინარეებს და რუებს, რომელთა ნაპირებიც მალარიის და ყვანის ბუდეებად ითვლებიან. ამასთანავე უნდა ვერიდნეთ ჩავარდნილს და დაქვაბულს ადგილებს, სადაც ბუნებრივი ვენტილაცია ძალიან შეზღუდულია და საღამოს ჟამზედ ჯანღის გაჩენა ხშირს მოვლენას წარმოადგენს. — ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს, მოსარიდებელი და მაზარალებელია ისეთი ადგილები, სადაც ოჯახში სახმარებელი წყალი ნაკლებად მოიპოვება და მასთან ცუდი თვისებისაც არის. — ასეთ ადგილებში ზაფხულში ხშირად ჩნდება ყვანა, საბავშო ხოლერა, მუცლის სახადი, ხუნაგი და სხვა გადამდები სნეულებანი.

რასაკვირველია, თავისთავად იგულისხმება ის, რომ თვით საცხოვრებელი ბინა უნდა აკმაყოფილებდეს ძირითადს ჰიგიენურ მოთხოვნილებათ, ესე იგი უნდა წარმოადგენდეს თბილს და მშრალს სახლს ფიცრის ჭერით და იატაკით, კარგად გამოწყობილი კარ-ფანჯრით და რიგიანი ფეხისადგილით. სახლი არ უნდა იყოს მეტის მეტად ხეებისაგან დაჩრდილული, მაგრამ არც სრულიად ღია სახლი ვარგა, რადგან მზიან დღეებში მზის სხივები კაცს მოსვენებას არ აძლევენ და ქარიანში — მტვერი აბეზრებს თავს.

თვით საზაფხულო სამყოფი ადგილები შეიძლება სამნაირი იყოს: მთიან-გორიანი, სწორე მინდორ-ველიანი, ანუ შეიძლება ზღვის ნაპირს წარმოადგენდეს. რომელი ამ ადგილთაგანი უფრო გამოსადეგი და სასარგებლოა ამა თუ იმ ბავშვისთვის — ეს კითხვა მხოლოდ ექიმს შეუძლიან გადაწყვიტოს, ბავშვის ჯანმრთელობის და მისი საზოგადო ორგანიზაციის ინდივიდუალურ პირობათა მიხედვით; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ საჭიროდ ვთვლით მოკლედ მაინც აღვნიშნოთ ამ ადგილების განმასხვავებელი თვისებანი, რადგან ამ თვისებების ცოდნა შეძლებას მოგვცემს უექიმოდ, დაწვრილებით თუ არა, დაახლოვებით მაინც გამოვარკვიოთ ის, თუ როგორი ადგილი რა ნაირი ჯანმრთელობის ბავშვისთის არის გამოსადეგი. 1) მთა-გორიანს, მეტადრე ფიჭვით და ნაძვით დაფარულს ადგილს ორი განმასხვავებელი ნიშანი აქვს: აღმართიანი სასეირნო ადგილებით არის დაფარული და წმინდა, მსუბუქი, ოზონით გაჟღენთილი ჰაერით მოცული. აღმართ-დაღმართზედ სიარულის დროს მთელი სხეულის, მეტადრე გულმკერდის, კუთები ძრიელად მოძრაობენ, სუნთქვა გაორკეცებულია და ენერგიულად სწარმოებს, ამისთვის ასეთი ადგილები უფრო გამოსადეგია სუსტი, ვიწრო გულმკერდიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებისთვის, რომელთაც ხშირად უჩნდებათ ხოლმე სასუნთქი აპპარატის კატარრი (მაგ. ბრონხიტი) და სურავანდიან, მსუქან და მჩატე აგებულების პირთათვის, რომელთაც უხვი, წმინდა ოზონიანი ჰაერი დასუსტებულ ნივთიერებათა მიმოცვლის პროცესს შესამჩნევად უძლიერებს 2) გაშლილი, მინდვრიანი ადგილების ჰაერი უფრო ცხელი და მშრალია; ასეთი თვისების ჰაერი ოფლის დენას აძლიერებს და კაცს შესამჩნევად ახდუნებს; ამ ადგილებში ყოფნა უფრო სასარგებლოა მსუქან, მჩატე აგებულების, სისხლნაკლებ ბავშვებისთვის. 3) ზღვის ნაპირების დამახასიათებელს თვისებას შეადგენს სუფთა, სხვა და სხვა მარილეულობით და ოზონით გაჟღენთილი ჰაერი და საბანაოები.

ჩრდილოეთის და სამხრეთის ზღვის ნაპირები ერთიერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ ჰაერის და წყლის ტემპერატურით, ამისათვის სამხრეთით მდებარე ზღვები (მაგ. შავი, ხმელთა შუა ზღვა) უფრო გამოსადეგია ნაზი აგებულების, გამხდარ და ნერვებ-დასუსტებულ ბავშვებისთვის; აქ მათ ნერვები უმაგრდებათ. მშვიდდებიან და საკმარისად სუქდებიან. ჩრდილოეთით მდებარე ზღვები კი თავის, შედარებით, ცივი ჰაერით და ცივი საბანაოებით უფრო უხდება მჩატე აგებულობის, მსუქან, სურავანდიან ბავშვებს. ასეთი ბავშვები აქ ადვილად თავისუფლდებიან ნამეტანი, მავნებელ სიმსუქნისა და სურავანდისაგან. აქ შედარებით ჩქარა იჯეკება მათი ორგანიზმი და იმდენად მაგრდება, რომ დარის ჩვეულებრივი ცვლილებანი წლის განმავლობაში მათ სრულიად აღარ ვნებთ.

მექიმი ა. ბალარჯიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



† დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევი (1834 — 1907 წ.)
და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა.

წარსულ წელს, 20 დეკემბერს, მენდელეევის სახსოვრათ პეტერბურგში გაიმართა კრება ქიმიკოსებისა, ფიზიკოსებისა და ბედგოგებისა. კრებას, რომელმაც ათს დღეს გასტანა, ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო. ამ საეროო კრებაზე, სხვათ შორისა, რამოდენიმე საგანგებო კრება მოანდომა მენდელეევის მოდვაწეობის დახასიათებას. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა, მენდელეევის სსოვნის ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივ სცენდლად, გაამართოს დრო გამოშვებით ქიმიკოსებისა და ფიზიკოსების კრებები, ისე როგორც ბირაგოვის სახელობაზედ ექიმების კრებები იმართება. გარდა ამისა კრებამ დაადგინა მენდელეევს ძეგლი აეგოს პეტერბურგში უნივერსიტეტის გვერდზედ და ამისათვის საჭირო თუდი საოგვლთაო ხელის მოწერით შეიკრიბოს. კრებამ მიიღო აგრეთვე მოსკოვის ბროფესორების წინადადება: მოგრეოდეს თუდი და ამ თუდით მენდელეევის სახელობაზე ფიზიკო-ქიმიური ინსტიტუტი დაარსდეაო.

საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს მკითხველებსაც მივაწოდოთ ზოგიერთი ცნობები ამ ცნობილის მეცნიერის შესახებ, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა მეცნიერებაში.

დ. ი. მენდელეევი დაიბადა ქ. ტობოლსკში 27 იანვარს 1834 წ. 15 წლისამ სწავდა დაასრულა ტობოლსკის გიმნაზიაში და აქედან მოსკოვში ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად. მოსკოვში ერთი წლიწადი დაჭეო და შემდეგ პეტერბურგში, მაშინდელს უმაღლესს პედაგოგიურს ინსტიტუტში შევიდა. ეს ინსიტუტი „მენდელეევისაგე სიტუვით, განსაკუთრებით პედაგოგების ამზადებდა, კიდევაც ამ ინსიტუტმა შესძინა რუსეთს ბევრი კარგი ბროფესორები და საზოგადო მოღვაწენი; სხვათა შორის დობროლიუბოვი, სტრახოვი და სხვა“ ..

ასეთს გზას მენდელეევი დედის ხელმძღვანელობით დარჩეთ დაადგა. დედა მენდელეევისა შესანიშნავი ქალის და გულის ადამიანი იყო. ათი წლისა იყო მენდელეევი, როცა მამა მოუკვდა. დარჩა დედისამარა და კიდევაც ნიჭიერმა დედამ დიდი გავლენა იქონია მომავალს მეცნიერზედ. მან ჩაუნერგა მენდელეევს ძლიერი ენერგია და მტკიცე ხასიათი. ეს ძლიერი ენეგიის პატრონი დედა თვითონ განაგებს მცირე ქონებას, არავითარ სადსარს არ ჭზოგავს შვილისათვის, ცომბირიდან დედას თავისი შვილი მოსკოვში მიჭყავს და იქ სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ამზადებს. „ასეთი ენერგია ამ შესანიშნავ ადამიანში ადბათ ტობოლსკში მცხოვრებ დეკაბრისტების გავლენით განვითარდა; დეკაბრისტი ბასარგინი ნათესავიც კი იყო ჩვენიო“ ამბობს თვით მენდელეევი.

აუტანელი შრომა მენდელეევის დედამ ვერარ შესძლო და მალე გარდაიცვალა. მენდელეევი ამ დროს ისევ ინსტიტუტში

სწავლობდა. საუკარულ დედის დაკარგვამ მენდელეევი დიდათ შეაწუხა და ჯანმრთელობაც კი შეურყია.

თავის სტუდენტურ ყოფა-ცხოვრებას თვით მენდელეევი დიდის სიამოვნებით იგონებდა. „ინსტიტუტში ბროფესორებად იმ დროის საუკეთესო მეცნიერები იყვნენ: ოსტროგორსკი მათემატიკაში, ფოსკრესენსკი — ქიმიაში, ლენცი და კუპფერი ფიზიკაში, კუტორგა — მინერალოგიაში, საფიჩი ასტრონომიაში. მეცნიერებისადმი მისწრაფება იქ კი არ ჭქრებოდა, პირიქით, თავისუფლად იშლებოდა და ღვივდებოდა. „იმ დროს ბროფესორები ყოველს საშუალებას ჭხმარობდნენ მსმენელები მეცნიერებით დაეინტერესებინათო“ ამბობს მენდელეევი.

ჯერ ისევ სტუდენტობის დროს მენდელეევმა კამოაქვეინა რამოდენიმე ანალიზი და სტატია სხვა და სხვა სხეულთა ერთნაირის ფორმით დაკრისტალებისა, ანუ „იზომორფიზმის“ შესახებ. ეს ნაშრომი, კურსის დამთავრების დროს, მენდელეევმა სადისერტაციოთ წარადგინა. სტუდენტობის დროს მენდელეევი დასნეულდა. „ინსტიტუტში შესვლისთანავე, სწერს მენდელეევი, სისხლს მადენინებდა და ეს, დრო კამოშვებით, კურსის დამთავრებამდე ხშირად მოდიოდა“

ამის კამო მენდელეევი, კურსის დამთავრების შემდეგ, სამხრეთისაკენ მიემგზავრება თავის მოსარჩენად. აქვე მასწავლებლობს ჯერ სიმფეროპოლში და მერე ოდესაში. ხოლო 1856 წ. მენდელეევი ისევ პეტერბურგში დაბრუნდა და სულ 22 წლისა უნივერსიტეტში ბრივატ დოცენტად შევიდა. იმავე წელს დაიცვა დისერტაცია ქიმიისა და ფიზიკის მაგისტრის ხარისხის მისაღებად. აი ამ წლიდან იწყება კიდეც მენდელეევის სამეცნიერო მოღვაწეობა.

1859 წლამდე, ცოტა ხნობით, მენდელეევი ერთსა და იმავე დროს კითხულობდა ორგანიულსა და თეორიულ ქიმიას და თან მასწავლებლობდა მეორე კადეტის კორპუსში და გიმნაზიაში. ამავე დროს დასწერა სამეცნიერო წერილები ენატოლო-კოგირდის სიმუავისა და სხვა და სხვა ქიმიურ რეაქციების შესახებ.

1859 წ. მენდელეევი საზღვარ გარეთ გაგზავნეს მეცნიერებაში გასავარჯიშებლად. ამავე დროს რუსულსა და საზღვარგარეთულ ჟურნალებში მენდელეევმა დაბეჭდა რამდენიმე წერილი სითხე-

ების კავშირთობებისა და აბსოლუტურ ადუღების ტემპერატურის შესახებ.

1861 წელს მენდელეევი დაბრუნდა რუსეთში და შეუდგა დაუღალავ შრომას: კითხულობს უნივერსიტეტში ლექციებს, გამოაქვეყნა თავისი კურსი „ორგანიულ ქიმიისა“ 29 წლის მენდელეევმა 1863 წ პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მიიღო სკუთარი კათედრა ბროფესორისა. აქ მენდელეევი რამოდენიმე წლის განმავლობაში, შესანიშნავის ენერგიით იკვლევს ტექნიკის საკითხებს და ჭბუჭდავს რამდენიმე სახელმძღვანელოს სხვა და სხვა წარმოების შესახებ- 1865 წელს იანვარში მენდელეევმა დაიცვა დოქტორის ხარისხის მისაღები დისერტაცია შემდეგის სათაურით „სპირტისა და წყლის შეერთებაზედ“. ამ დიდს თხზულებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მეცნიერებისათვის, ისე ყოველს დღიურს ცხოვრებაში: მეღვინეობისა, არეის გამოხდისა და საავტიზო საქმეებში. ამ ნაშრომის შედეგები თვრთოდ გამოიყენეს ჯერ საზღვარ გარეთ და შემდეგ რუსეთშიაც.

მენდელეევის მოღვაწეობა უფრო თვალსაჩინოდ გაფართოვდა მის შემდეგ, რაც იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში ბროფესორად ამოირჩიეს; ლექციების კითხვის გარდა, იგი იკვლევს დაბორატორიაში სხვა და სხვა საკითხებს, ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტებს მუშაობაში, ყოველ წლივ ბეჭდავს სამეცნიერო სტატიებს და ამავე დროს დაუღალავად მუშაობს საიმპერატორო ეკონომიურს საზოგადოებაშიაც.

1868 წლიდან 1871 წლამდე მენდელეევი სწერს თავისს შესანიშნავს „ქიმიის საფუძვლებს“. ეს თხზულება 1906 წელს მერვე გამოტემად გამოვიდა. „ქიმიის საფუძვლები“ ყველა უმთავრეს ევროპიულს ენებზედ არის გადათარგმნილი, ინგლისში და შეერთებულ შტატებში ამ თხზულების მესამე გამოტემა გამოვიდა. როცა ეს გაიგო მენდელეევმა სთქვა: „დავრწმუნდი, რომ ინგლისისა და და ამერიკის სტუდენტები ქიმიის შესწავლის დროს, ჩემის წიგნით სარგებლობენ, რასაც არ მოველოდი და რაც ჩემ რუსის გულს მეტად ახარებსო“.

მართლაც რუსეთის სამეცნიერო მწერლობაში მენდელეევის „ქიმიის საფუძვლების“ მსგავსი ნაშრომი მეორე არ მოიპოვება.

„ქიმიის საფუძვლები“ ბიბლიას ეგვლა ქიმიკოს — ფიზიკოსთა-თვის; ამ ნაშრომზე აღიზარდა რამდენიმე ახალ თაობა ბუნების მეტყველებისა, ქიმებისა, ტექნოლოგებისა, აგრონომებისა და სხვა.

„ქიმიის საფუძვლები“ უფრო იმითა შესანიშნავი, რომ აქ მენდელეევმა პირველად გაატარა თავისი შესანიშნავი პრინციპი ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემისა. კიდევაც ამ პრინციპმა შექმნა მთელი ეპოქა მსოფლიო მეცნიერებაში და სახელი გაუთქვა რუსის მეცნიერს. პერიოდული კანონის შესახებ მენდელეევი 1869 წ — 1873 წლამდე სწერდა სხვა და სხვა სტატიებს: 1) „ელემენტების თვისებათა დამოკიდებულება მათ ატომიურ სიმძიმესთან“, 2) ატომიური სიზრქე უბრალო სხეულებისა“. 3) ბუნებრივი სისტემა ელემენტებისა და მისი გამოყენება რამდენიმე ელემენტების თვისებათა საჩვენებლათ და სხვა. პერიოდიული კანონების არსებობა შემდეგში გიმოიხატება: რომ დავალაგოთ ყველა ცნობილი ქიმიური ელემენტები მათი ნაწილების (ატომთა) სიმძიმის მიხედვით, რომლითაც ელემენტები შეერთდებიან, შეგნიშნავთ, რომ განსაზღვრულ დროს განმავლობაში, ელემენტთა თვისებანი გამეორდებიან, რაც გამოიხატება პერიოდიულ არსებობის შემდეგი კანონით: „მარტივ სხეულთა თვისება, აგრეთვე ფორმა და თვისება ელემენტთა შეერთებისა, პერიოდიულად დამოკიდებულია ელემენტების ატომის სიმძიმის სიდიდესთან“.

1871 წლიდან მენდელეევი შეუდგა ახალს შრომას „ჭეერგვარების გაზების მოუდრეკელობისა და გაფართოების შესახებ“ ამას დაუდალავი ქიმიკოსი ოთხს წელიწადს ანდომებს. ხოლო 1875 წელს მენდელეევი ჭბეჭდავს ახალს თხზულებას გაზების მოუდრეკელობის შესახებ. შემდეგ წელში იკვლევს და ჭბეჭდავს წერილს ჭერის ზემო ფენების ტემპერატურის შესახებ.

1876 წელს მენდელეევი პენსილვანიაში მიემგზავრება და, მოვგრობის მიერ დავალების თანახმად, ამერიკულ ნავთს იკვლევს. რამოდენჯერმე ბაქოშიაც ჩამოვიდა აქაური ნავთის გამოსაკვლევად და შესასწავლად. მენდელეევმა მოახდინა შედარებითი ანალიზები სხვა და სხვა ადგილების ნავთისა. გამოიკვლია ნახშირწყალბადები და ეს შეჭქმ ა შესანიშნავი ჭიპოტეზა ნავთის

ეროვნული

გაჩენისა. მენდელეევის ასეთმა დაუღალავმა შრომამ, იჩისმა წერილებმა ნავთის წარმოების შესახებ, რომლითაც მენდელეევი მხურვალეთ იწვევდა ეგელას ეროვნული სიმდიდრის დამუშავებისაკენ, დიდი გავლენა მოახდინა და განავითარა ნავთის მრეწველობა ბაქოში.

ამავე დროს მენდელეევმა გამოაქვეყნა კაპიტალური შრომა „წყლის ხსნიდების“ შესახებ. ეს შრომა მენდელეევმა თავის საყვარელი დედის ხსოვნას უძღვნა. როგორც ავტორიტეული მცოდნე კაზებისა, ბარომეტრის ნიველიროვკისა და ჭაერის ტემპერატურისა, მენდელეევმა მოიწვიდინა ჭაერის ზემო ფენების გამოკვლევა და ამ მიზნით, 7 აგვ. 1887 წ. მზის დაბნელების დღეს, მარტოთ მარტო ათრინდა ჰაეროსტატით ქ. კლინში. იმავე წელს მენდელეევმა ჭაერში მოგზაურობის შედეგი გააცნო საზოგადოებას მეტათ ცოცხლად დაწერილს სტატიაში.

1888 წელს მენდელეევი ალაგობრივ იკვლევს დონის ბასეინის ქვანახშირს. ეს გამოკვლევა მენდელეევმა ასწერა თავის შესანიშნავ სტატიაში: „მსოფლიო მნიშვნელობა ქვანახშირისა საზოგადოთ და კერძოთ დონის ბასეინისა“. ამ სტატიაში მენდელეევი უთითებს საზოგადოებას რუსეთის სამხრეთის დაუშრეტელ სიმდიდრისკენ და თან ურჩევს იმის გამოკვლევას და დამუშავებას.

1889 წელი მეტათ სასახელო იყო კერძოთ მენდელეევისათვის და საზოგადოთ რუსეთის ეროვნული სიამაყისათვის. მესამოცე წლებიდან დაწყებული მენდელეევის სახელის სიდიადე, როგორც მეცნიერისა, თან და თან გამტკიცდა, მომეტებულად ახალი ელემენტების გაღმოჩენის (1875 წ.) სკანდიის (1879) და გერმანიის (1886 წ.) აღმოჩენით. ამ გარემოებამ უტეუარად დაამტკიცა მენდელეევის პერიოდული კანონის სინამდვილე. დიდება მენდელეევისა დაგვირგვინდა მეოთხმოცე წლების ბოლო ხანებში. ამ დროს მენდელეევი უკვე წევრია ევროპის სამეცნიერო აკადემიებისა. ხოლო საკვირველია ის გარემოება, რომ რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ მენდელეევი არ მიიჩნია თავის წევრად. მენდელეევი აგრეთვე ედინბურგის უნივერსიტეტის უფლებათა საპატიო დოკტორია. დასასრულ შესანიშნავი ქიმიკოსი მიიწვიეს 1889 წელს ორი ლექციის წასაკითხავად: ერთი ლონდონის სამეფო ინსტიტუტში; ხოლო მე-

ორე ფარადეის სახსოვრად დიდი ბრიტანიის ქიმიურ საზოგადოებაში. ორივე ლექცია ნამდვილი სამეცნიერო ტრიუმფს შეადგენდა მეხდელეევისათვის. მას ინგლისში დიდი პატივი სცეს. მიართვეს საგანგებო ფარადეის მედალი და სახსოვრად ორივე საზოგადოებამ ადიუმინისა და ოქროსაგან გაკეთებული ძვირფასი ვაზები აჩუქეს. „მუდამ თავვინის მცემელი ვიქნები ინგლისის მეცნიერებისა, ამბობს მენდელეევი. ამასვე უანდერძებ მომავალ თაობას. დეე, მან უფრო უკეთ შეამკოს ისეთი ჭეშმარიტებს მდადადებელნი როგორიც არიან ნიუტონი და ფარადეი“.

„მიგბაძეთ ინგლისელების სამეცნიერო შრომის მუეაითობასა და თავგისუფლებაშიო“. ასეთი მხურვალე მოწოდებით მენდელეევი ხშირად მიმართავდა ხოლმე ახალ გაზდობას. ახალგაზდობაც ეფასებდა მენდელეევის ნიჭს და ამიტომაც ქიმიური აუდიტორია პეტერბურგის უნივერსიტეტისა მუდამ სავსე იყო ხოლმე მსმენელებით. აქ უსმენდნენ დიდებულ პროფესორს, რომელიც თავისს აუდიტორიას მუდამ აღაფრთოვანებდა და აქეზებდა მსმენელთ სამეცნიერო შრომაში. მენდელეევის მსმენელების სიტვით აუდიტორია ნამეტანის ადელვებისაგან მთლად გაინაბებოდა ხოლმე. რაზედაც არ უნდა ელაპარაკნა მენდელეევს თავის პერიოდულ სისტემაზედ, რუსეთის აუარებელ სიმდიდრეზედ, თუ ამ სიმდიდრის დამუშავების საჭიროებაზედ, იგი ყოველთვის შეეკითხებოდა ხოლმე აუდიტორიას: „მერე ვინ უნდა შეაფასოს პერიოდიული სისტემა, ვინ უნდა გამოიკვლიოს ჩვენი სიმდიდრე? და, რამოდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ, ადელვებული თვითონვე უპასუხებდა, ყოველივეს ვინ უნდა ადმოაჩინოს და გამოიკვლიოს თუ არა თქვენ, რომელთა ხელშიაც არის უკეთესი მომავალი მეცნიერებისა და საშობლოსი“. უნდა გენახათ ამ დროს პროფესორისა და მისი მსმენელების ადფრთოვანებული სახე, რომ დაგეფასებინათ დიადი შთაბეჭდილება მენდელეევის ლექციებისა. რადა გასაკვირვალია ამის შემდეგ, რომ მენდელეევის ლექციებს რუსეთის ყოველის კუთხიდან აწყდებოდა აუარებელი ახალ-გაზრდობა. ეს იყო კიდეც შესანიშნავი ხარა პეტერბურგის უნივერსიტეტისა, ხოლო 1890 წ. როდესაც ჯერ გამოურკვეველი მიზეზის გამო მენდელეევი იძულებული იყო მიეტოვებია პეტერბურგის უნივერსიტეტი....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ მენდელეევი სულ სხვა სფერაში იწყებს მოღვაწეობას. იგი, სამხედრო და საზღვაო მინისტრების მინდობილობით, მიემგზავრება ინგლისში და საფრანგეთში უკომლო თოფის წამლის შესასწავლად მხედრობისა და ფლოტისათვის. 1891 წ. როცა მენდელეევი საზღვაოსნო სამინისტროს კონსულტანტად დანიშნეს, იგი ჩვეულებრივის ენერგიით მუშაობს საზღვაო სამინისტროს ტექნიკურ ლაბორატორიაში. ერთის წლის შემდეგ მენდელეევმა კიდეც მიუთითა პირველადადიერ თოფის წამალზედ, როგორც უველაზედ უფრო ხელსაყრელ საშუალებაზედ ეოველ გვარი იარაღისათვის.

ამავე დროს დაულალავი მეცნიერი რედაქტორობს ქიმიკოტექნიკურს და ფაბრიკა-ქარხნების განეოფილებებს ბროკჰაუზისა და ეფრონის „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“, სადაც ბევრი წერილია იმისაგან მოთავსებული: „გაზელინი, „ნივთიერება“, „ატომების სიმძიმე“, „მედვინეობა“, „საწვავი მასალები“ და სხვა.

1893 წ. ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა „უმთავრესი პალატა წონა ზომისა“. ეი რუსეთისათვის ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულების გამგედ დანიშნეს მენდელეევი და სიკვდილამდე განაგებდა მას.

მენდელეევი, გარდა სპეციალურ სამეცნიერო საკითხებისა, სხვა და სხვა დროს, საზოგადოებრივ საკითხებსაც ეხებოდა. 70 წლების დასაწყისშივე იგი სწერდა გიმნაზიების გადაკეთების შესახებ. მეოთხმოცე წლებში მას აინტერესებს სამხატვრო საკითხები მენდელეევმა მშვენიერი სამხატვრო კოლექციები შეაგროვა და 1844 წ. კიდეც ამოირჩიეს საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრად

ბოლოს, სიკვდილის წინ, 70 წლის მოხუცი სწერს სახალხო განათლების, ერთვნულ მრეწველობისა, მეურნეობისადა სხვათა შესახებ. 1901 წ. მან. გამოსცა „შენიშვნები ხალხის განათლებაზედ“, ხოლო 1906 წ. „რუსეთის მეცნიერების შესახებ“, ეს თხზულება ერთის წლის განმავლობაში სამჯერ გამოვიდა. ამ ნაშრომში უარეგული საინტერესო საფუძვლიანად დამუშავებული სტატისტიკური ცნობებია მეხიერებათა რაოდენობისა, მოსახლეობისა, მიწის რაოდენობისა, სასკოლო განათლებისა და სხვათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასკოლო განათლების შესახებ მენდელეევი წერდა: „ეს საქმე უველაზე უფრო სასიეკვრულო არის ჩემთვის, რადგან მთელი ჩემი სიცოცხლე ვმასწავლებლობდი, მასწავლებლად ვიყავი ორს კიმნაზიაში და ორს კორპუსში, პროფესორად უნივერსიტეტში და სხვა მაღალ სპეციალურ სასწავლებლებშიო“.

რაკი ასეთი გამოცდილება ჰქონდა მენდელეევს, ამიტომ იგი უფრო თვრთოდ უეურებდა სკოლის მიზანს და საზოგადო მიმართულებას რუსული განათლებისას. „სკოლა შესანი ნავი ძალაა,— ამბობდა იგი,—„ეს ძალა ნათლად ჭსტავს მომავალს ხალხების და სახელმწიფოების ეოფა ცხოვრებას, რასაკვირველია, იმის და მიხედვით თუ რა პრინციპები უდევს საფუძვლად სასკოლო განათლებას — მეტადრე საშუალო სკოლასო. რუსული განათლების ძირითადი მიმართულება რეალური უნდა იეოსო“. მენდელეევი, როგორც შეურიგებელი მტერი კლასიციზმისა, არკვევს შემდეგ სტატიაში, თუ როგორი საწავლა განათლება არ არის ცხოვრებისათვის გამოსადეგი: „ცხოვრებისათვის გამოუსადეგარია ისეთი საწავლა განათლება, რომელიც დამყარებულია მკვდარ ენებზედ, გრამატიკულ წესებზედ და დიალექტიკაზედ, რადგან ცხოვრება არც ერთს ამას არ თხოულობსო“.

მენდელეევს სწამს მეწიდრო კავშირი რეალურ განათლებასა და მრეწველობას შორის და ამიტომ ამბობს: „ჩვენი მრეწველობა არამცთუ არ შეეფერება ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს და მცხოვრებთა რაოდენობას, არამედ ვერც კი აკმაყოფილებს ხალხის უკვე განვითარებულს მოთხოვნილებას“, ამიტომ აუცილებელი საჭიროებაა ჩვენი მრეწველობა ეოფელს სფერაში განვითარდეს ისე, როგორც შეეფერება იმ ეპოქას, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ; ხოლო ამ განუმჯობესობისათვის საჭიროა მოვამზადოთ, რაც შეიძლება, ბევრი მეცნიერებით აღჭურვილი რეალისტები. კლასიკები მხოლოდ მემამულეებად, კუპონების მჭრელ კაპიტალისტებად და მოხელეებად გამოდგებიანო“.

კიმნაზია, მენდელეევის აზრით, ექვს კლასიანი უნდა იეოს, რომ 16—17 წლის ახალგაზდამ გაათავოს კურსიო. აქვე მოჰყავს თავისი პროგრამა. ამ პროგრამის მიხედვით ბავშვების მეტეველება უსათუოდ უნდა ისწავლებოდეს ეველა კლასებში: მეტი ბავშვეთიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი უნდა დაეთმოს კოსმოგრაფიას, გეოგრაფიას და ხატვას. ვიფიქოთ ლათინური ენის გაკვეთილები, რაც შეიძლება, უნდა შემცირდესო. სინტერესოა აგრეთვე მენდელეევის შეხედულება მასწავლებლების მოამზადების შესახებაც: მასწავლებელმა თავისი საგანი კარგად უნდა იცოდეს და უყვარდესო. ჩვენმა მასწავლებლებმა თვითონ რომ არ იციან რა, სხვას რას ასწავლიანო. მასწავლებლების მოსამზადებლად იგი პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების რჩევას იძლევა, რომელიც „ნამვილი ცოდნით შეიარაღებულ მასწავლებლებს მოგვცემსო.“ *) ზემოთ აღნიშნულ თხზულებაში მენდელეევი აგრეთვე ეხება მასწავლებლების მატერიალურ მხარესაც: „მასწავლებელს 12 კვირეულ გაკვეთილში 900—1200 მ. უნდა ეძლეოდეს და ეოველის სამის წლის განმავლობაში 10—20% უნდა ემატებოდესო.“ დიდი წინააღმდეგია მენდელეევი ეგზამენებისა. „ეგზამენები ტეუილად უკარგავს დროს მასწავლებლებსაც და მოწაფეებსაც. ეგზამენების დროს სიტეეა სჭარბობს საქმეს და მრავალ შემთხვევას აქვს ადგილი: ვალდებულმას, მორცხვობას ენა ბორძიკობას და სხვ. მასწავლებელი უნიშნოთაც უნდა იცნობდეს თავის შეგირდს; ნდობა მასწავლებლებისადმი საფუძველია სწავლა განათლებისაო“. ბოლოს გიმნაზიების მართვა-გამგეობის შესახებ მენდელეევი იმ აზრისაა, რომ მართვა-გამგეობა და ეოველნაირი სასკოლო საკითხი მასწავლებელთა საბჭოსა და აღგილობრივი საზოგადოებისაგან არჩეულ პირთ უნდა მიენდოსო...

ასეთია მოკლეთ დ. ი. მენდელეევის მრავალ-მხრივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა. იგი იყო რუსეთის საუკეთესო შვილთაგანი, და საუკეთესო წარმომადგენელი მსოფლიო მეცნიერებისა.

ს. ი—ლი.

---

*) ეს აზრი დიდებული მეცნიერისა კიდეც ხორციელდება ეხლა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ წრეულს ენკენისთვიდან გაიხსნება პეტერბურგში პედაგოგიური ფაკულტეტი ორ ს წლის კურსით მომავალი მასწავლებლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტრონომია ანუ ვარსკვლავთ მრიცხველობა

კოპერნიკიდან (1473—1543) ნიუტონით (1642—1727) წ. *)

(დასასრული)

გალილეო.—გალილეის დროს ცხოვრობდა მეორე შესანიშნავი ასტრონომი იოგან კეპლერი (1571—1630), რომელიც ითვლება პირველად ცის სწორი არხიტექტონიკის შემდგენელად. მსგავსად კოპერნიკისა ისიც უბრალო შთამომავლობის იყო: მამა მისი ვირტემბერგის ერთ პატარა დაბა ბეილში მიკიტნათ იყო. დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ დაბალ სასწავლებლებში (სხვათა შორის კეპლერი სწავლობდა მაულბრონის საეკლესიო სკოლაში) კეპლერი შედის ტიუბინგენის უნივერსიტეტში, სადაც ჩინებულად ასრულებს სწავლას ჭკუა-გონებით მდიდარი ყმაწვილი ტიუბინგენის უნივერსიტეტი ცნობილი იყო მაშინ თავის ფანატიკურ შეხედულობით ყველაფრისადმი და საღვთის-მეტყველო საგნების კარგი დაყენებით.

კეპლერი

*) იხ. „განათლება“ № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტში პირველ წელსვე ცნობის-მოყვარე კეპლერი გაეცნო კოპერნიკის სწავლას ქვეყნიერობის შესახებ, მათემატიკის და ასტრონომიის მასწავლებლის მესტლინის შემწეობით, რომლის ასტრონომიულ მოვლენათა ნიჭიერად ახსნამ და განმარტებამ დიდი შთაბეჭდილება და გავლენა იქონია კეპლერზე. ღვთის-მეტყველებას, რომელსაც მაშინ უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ, კეპლერმა თავიდანვე გული აუგორა. „სამ წელსო, — სწერს კეპლერი, — რომელიც ღვთის-მეტყველების შესასწავლად იყო დანიშნული, არავითარი სარგებლობა არ შემიძენიაო; და ეს წლები სრულიად უელფეროდ წარმომედგინება ხოლმე მეხსიერებაშიო“.

კეპლერის მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზე იწყება მის შემდეგ, რაც იგი მასწავლებლად დანიშნეს გარცის ერთ გიმნაზიაში. აქ კეპლერმა, სხვათა შორის, შეადგინა კალენდარი, რომელშიაც ნათლად გამოიხატა ავტორის შეხედულება ვარსკვლავზე, როგორც ადამიანის ბედ-იღბლის გამგებელ ძალაზე.[1]) აქვე (გარცში) ჭკუა-მახვილი კეპლერი

---

[1]) აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასტროლოგია, ე. ი. წინას-წარ-თქმა ადამიანის ბედ-იღბლისა ვარსკვლავთა შემწეობით იყო უუძველეს დროში. პირველ სახე მან მიიღო ქალ-დეველების ხელში, ხოლო შემდეგი განვითარებას მიაღწია საშუალო საუკუნოებში. ძველთა წარმოდგენით თვითოეულ ზეციურ სხეულს-ვარსკვლავს მცვივანა (падающія), კუდიანი (комета), მოციმციმე (мерцающія) და პლანეტას აქვს დიადი გავლენა საზოგადოდ, როგორც მთელს ბუნებაზე, ისე ადამიანზედაც. ადამიანის ბედ-იღბალი წინასწარ შეიძლება შეტყობილ იქმნას ვარსკვლავთა დალაგებით ცის სივრცეზე რომელიმე პიროვნების დაბადების დღეს (ამას ეწოდება გოროსკოპია). თუ ვარსკვლავი ჩამოვარდა ვისმე ეზოში, ეს ნიშნავს, რომ იქ ვინმე მოკვდება — „ბედის ვარსკვლავი ჩამოვარდაო“. კუდიანი ვარსკვლავები საზოგადო უბედურების მომასწავებელნი არიან. ხოლო რაც შეეხება დანარჩენ პლანეტა-ვარიკვლავებს — მათთაც დანათლული აქვთ თავისი ცალკე მნიშვნელობა („ბუნ. და ცხოვ“. აგრეთვე „Астр. вечера“ — клейна).

ძველ ადამიანთა მისწრაფება ვარსკვლავების შემწეობით გამოიცნას თავისი მომავალი ბედ-იღბალი მშვნიერად დახატული აქვს ბაიერონს თავის ცნობილ »ჩაილ-ჰაროლდში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვირდება კოპერნიკის სისტემას, ეძებს მიზეზს, თუ რატომ მზეა ცენტრალური სხეული და არა დედა-მიწა, როგორც პითაგორელები ფიქრობდნენ; იკვლევს, თუ რა გზით ან რა მანძილს გადიან მზის გარშემო პლანეტები და არის რამე დამოკიდულება პლანეტთა სიდიდესა და მათი გზის მიმართულებათა შორის, და თუ არის—როგორი?—აკი იოგანმა, როგორც რეალურ ნიადაგზე განვითარებულმა ადამიანმა, კარგად იცოდა, რომ „ჭეშმარიტი ცოდნა მიზეზთა ცოდნაა“ (Were scire est per causas scire — აზრი ბეკონისა).

მოკლე ხანს ერგო შეუშფოთებლივ მოღვაწეობა გარეცში კეპლერს, რადგანაც 1598 და უფრო კი 1600 წლების ერცგერცოგ ფერდინანდის ედიკტების ძალით ლიუტერანებს (ლოთრანგებს) ან უნდა მიეღოთ კათოლიკობა, „მათი ზნეჩვეულება და მოძღვრება, ან და უნდა დაეტოვებიათ თავისი სამშობლო, მამულ-დედული და გადასახლებულ იყვნენ სხვაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითოეულ ოჯახს

რომის იმპერატორებს, აგრეთვე იქაურ ცნობილ პირებსაც, თავის კარზედ ჰყავდათ ასტროლოგი. სხვათა შორის ლიუდოვიკ XI-ს ერთმა ასტროლოგმა მისი საყვარელ ქალის სიკვდილი უწინასწარმეტყველა, ნაწინასწარმეტყველევი შემთხვევით ასრულდა. ამან დიდად გააშმაგა კაროლი და გარდასწყვიტა ასტროლოგის სიკვდილით დასჯა; წინასწარ დარიგება მისცა კარის კაცებს აღესრულებინათ ყველაფერი, რასაც ის (მეფე) უბრძანებდა, შემდეგ კი მოიხმო ასტროლოგი და ჰკითხა: შენ მაგრე კარგად იცი სხვისი ბედ-იღბალი... ერთი მითხარ—რამდენი ხანი დაგრჩენია შენ თვითონ სიცოცხლე ამა ქვეყანაზე?!.. — „მეფეო, — მოახსენა ასტროლოგმა,—ვარსკვლავების შემწეობით შევიტყვე, რომ მე სამი დღით წინეთ მიწერია სიკვდილი თქვენი უდიდებულესობისა“. მეფე შეკრთა და ვერ გაბედა მისი დასჯა. წინააღმდეგ მან ბრძანა — ფუფუნებაში და განცხრომაში ყოლოდათ, რომ ხანგრძლივი ყოფილიყო ასტროლოგის სიცოცხლე და მასთან ერთად მეფისაც.

რაც შეეხება კეპლერს-უნდა ვთქვათ, რომ მას არ სწამდა ასტროლოგიური წინასწარმეტყველება და თუ ზოგჯერ თვითონაც წინასწარმეტყველებდა ხოლმე ვარსკვლავთა შემწეობით (მაგ. კეპლერის წინასწარმეტყველება ცნობილ მხედარს ოც-და-ათ წლის ომისას ვალენშტეინს)-ის მაშინ მხოლოდ ტრადიციას ემსახურებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოჟლეტა მოელოდა. კეპლერმა, როგორც პროტესტანტმა, დაუყოვნებლივ დატოვა გარეცი, გაჰყიდა თუ რაც რამ ებადა და გაემგზავრა პრაგას, სადაც დაესახლა იქაურ ცნობილ ვარსკვლავთ-მრიცხველ ტიხო დე-ბრაგესთან. უნდა შევნიშნოთ, რომ პრაგას კეპლერი გადასახლდა თვით ტიხოდებრაგეს წინადადებით.

ტიხო-დე-ბრაგე.

აი აქ პრაგაში იწყება კეპლერის მრავალი სასარგებლო მეცნიერული გამოკვლევანი, თუმცა, უნდა შევნიშნოთ, აქაც ბევრი უკმაყოფილების გადატანა შეხვდა მას, მაგ., თვით ტიხოდებრაგესაგან. უკმაყოფილების მიზეზი იყო სხვა და სხვაობა მეცნიერულ რწმენაში და შეხედულებაში ტიხოდებრაგე, მაგ., უარსყოფდა კოპერნიკის სისტემის ზოგიერთ პუნკტებს და სცდილობდა რამე ნაირად მათს გაუჯობესობას. ტიხოს აზრით ხუთი პლანეტები მზეს გარს უვლიან, ხოლო მზე თავის თავად ამ ხუთი ამალით გარს უვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლედა-მიწას; ლედა-მიწა კი წარმოადგენს ჭეშმარიტ და უძრავ ცენტრს სამყაროსას. კეპლერი, რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო ამ შეხედულებისა; ის ამტკიცებდა და ადასტურებდა კოპერნიკის ჭეშმარიტს აზრებს სამყაროზე. მხოლოდ უეცრივ ტიხოდებრაგეს სიკვდილმა 23 ოკტ. 1601 წ. მოულო ბოლო მათ მუდმივ აყალ-მაყალს და განხეთქილებას. ყოველ შემთხვევაში ტიხოდებრაგე ფრიად შესანიშნავი გვამი იყო, მან დიდად განმარტა და გაამდიდრა ასტრონომიული შემეცნება პრაკტიკული გამოკვლევებით, რომელთ შემდეგ ძალზე ხელი შეუწყვეს კეპლერს მისი კანონების შედგენის დროს და ცის მნათობთა გზის შესწავლის ჟამს.

კეპლერმა მიიღო, როგორც შეუღალავი ჭეშმარიტება (აქსიომა), რომ მზე პლანეტთა შორის ცენტრალური სხეულია და თვითონ კი დაიწყო გამოკვლევა სხვა და სხვა ასტრონომიულ კითხვებისა, რომელნიც თავის თავად წარმოუდგება ხოლმე მტკიცე ნიადაგზე მკვლევარს: „რა ნაირი გზით გადიან პლანეტები თავის გზას, რა კანონი განაგებს მათს მოძრაობას და, უკანასკნელ, რა ძალა აკავშირებს პლანეტებს სამაგალითო სიმეტრიით ერთ დიად სისტემაში“. — ყველა ეს აღნიშნული კითხვები განმარტა და მდაბიოდ ახსნა კეპლერმა, რისათვის მან ჭეშმარიტად დაიმსახურა სახელი **„ცის კანონმდებელისა“**. რაც შეეხება კეპლერის მრავალ წლიურ შრომას სამეცნიერო ასპარეზზე, ის შეგვიძლია დავყოთ სამ ნაწილად, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია **„კეპლერის სამ კანონად“**. ასე რომ ასტრონომიაში, თითქოს იურისპრუდენციაო, სხვა და სხვა კითხვების განმარტების დროს ხშირად შეგხვდებ.თ ამისთანა ადგილები: „კეპლერის მეორე კანონის ძალით, პირველის... მესამის“. [1])

დიდი შრომა და ენერგია გამოიჩინა კეპლერმა თავის კანონების დასადასტურებელ მოვლენების გამოკვლევის დროს. როგორც საზოგადოდ თვითეულ გამოჩენილ კაცთა ცხოვრე-

---

[1]) „Біогр. великихъ астрономовъ, физик., геометровъ“. **Араго.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, კეპლერის ცხოვრებაც გვიხატავს მრავალ წარმოუდგენელ დაჟინებულ შრომას და მეცადინეობას საქმის აღსრულებაში მოსაყვანად. მსგავსად ბერნარ პალისა (1510 — 1589) [1]), ინგლისელ ჯონ გენტერისა (1728 — 1793), ვალტერ სკოტისა (1771 — 1832), ბულვერ ლიტტონისა, ლინდსეისა და სხვათა, კელერმა მრავალი ტანჯვა-წვალება, შრომა და მეცადინეობა გადიტანა თავისი მიზნის მისაღწევად. აი, მაგ., პირველი კანონის გამოსაკვლევად იოგანი მუშაობდა შეუწყვეტლივ მთელი რვა წელი; 19 სხვა და სხვა ჰიპოტეზებთა შორის მხოლოდ უკანასკნელ ჰიპოტეზამ გასჭრა, დანარჩენნი კი ცრუ და უსარგებლო შეიქმნა. აი კეპლერი იკვლევს პლანეტთა ორბიტის მიმართულებას, გამოჰყავს ჰიპოტეზა-ჰიპოტეზაზე, გულ-დასმით და ბეჯითად შრომობს და ფიქრობს მასზე თვე, ორი თვეც .. ოთხიც,... ერთი წელიც,... ხუთიც; აი აგერ იმედი უსრულდება, ყველაფერი რიგზე მიდის; აი კიდევ ერთი დაკვირება და კანონი მზადაა, მაგრამ ამავე დროს ასტრონომიული სხეული სულ სხვა მიმართულებას ღებულობდა. მაშინ კი იმედ-დაკარგული ასტრონომი ჯავრით გადაისროდა ერთ წლის ნაშრომს განზე და მიეცემოდა მწარე დუმილს, რომელშიაც ვინ იცის, რამდენი სულიერი ტანჯვა-წვალება და შფოთი იმალებოდა. მოიჯერებდა თუ არა გულს კეპლერი, კვლავ ჩვეულებრივის ენერგიით ჰკიდებდა ხელს ახალ შრომას და ახალ ჰიპოტეზებს აკეთებდა. ამ რიგად თვრამეტ-ცხრამეტ მაგალითის შემდეგ გვირგვინდებოდა საქმე. რაც შეეხება კეპლერის მესამე კანონს, მასზე დიდებული ასტრონომი შრომობდა სრული „ჩვიდმეტი — წელი. ამ კანონის კეთილად დამთავრების შემდეგ აღფრთოვანებულმა კეპლერმა შესძახა: „ვერავის ძალ-უძს შემაკავოს. მე აღტაცებული ვარ საღმრთო სიხარულითო!... წიგნი უკვე დაწერილია; წაიკითხავენ მას ეხლავე თუ მომა-

[1]) ბერნარ პალისი წარმოგვიდგენს ერთ პირველ ხარისხოვან ტიპს გაუტეხელ, ენერგიულ ხასიათის ადამიანისას. ის ითვლება საფრანგეთში სარეწაობის ცალკე დარგის მეჭურჭლეობის მამამთავრად (იხ. „თვითმოქმედება“ — სმაილსისა, გვ. 29).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალში — ჩემთვის ეგ სულ ერთია. მთელი საუკუნოები შეუძლია მას მკითხველს უცადოს“.

პირველი ორი კანონი გამოიკვლია კეპლერმა 1609 წლის გასვლამდის, რომელის შესახებ დაწვრილებითი სჯაბაასი მოათავსა თავისსვე გამოცემულს წიგნში: „**დიდი ასტრონომია**“ (Megale astronomius). უკანასკნელი მესამე კანონი კი კეპლერმა გამოაქვეყნა 1618 წელს.

რაში მდგომარეობს კეპლერის კანონების დედა-აზრი?

პირველი კანონი: „**ორბიტა**[1]) **თვითოეულ პლანეტისა არის ელიპსისი,**[2]) **რომლის ერთ-ერთ ფოკუსში მოთავსებულია მზე**“.

კანონი მეორე: „**მზის გარშემო მოძრაობის დროს რადიუსო-ვეკტორი**[3]) **პლანეტისა ერთ და იმავე დროს გაივლის თანასწორ მანძილს**“.

მესამე კანონი: **კვადრატი პლანეტთა დროს მიმოქცევისა ისე მიეკუთვნებიან ურთიერთ შორის, როგორც კუბი მათი საშუალო მანძილისა მზიდან**“[4])

კეპლერის კანონებს დიადი მნიშვნელობა აქვს. პირველმა კანონმა განმარტა პლანეტთა ორბიტის ფორმა; ამის შემწეობით ახლა ასტრონომს შეეძლო ადვილად აღენიშნა ის გზა ლურჯ ცაზე, სადაც პლანეტა გაივლიდა. მეორე კანონი უჩვენებს, თუ როგორ იცვლება ცენტრთან მიმოსვლის ჟამს პლანეტთა მოძრაობის სიჩქარე: მესამე კანონი კი პლანეტებს, რომლებიც მომოფანტულია ცის უსაზღვრო სივრცეში, აერთებს ერთმანეთთა შორის სამაგალითო სიმეტრიით ერთ დიად მზის სისტემაში.

---

[1]) გზა, რომელიც უნდა გაიაროს პლანეტამ მზესთან მიმოსვლის დროს.

[2]) კვერცხის მაგვარი სხეული.

[3]) რადიუსი—ვეკტორად იწოდება ხაზი, რომელიც აერთებს პლანეტას მზესთან.

[4]) „Квадраты временъ обращенія планетъ относятся, какъ кубы ихъ средихъ разстоятій отъ солнца“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიარა ორი საუკუნეზე მეტმა დრომ მას შემდეგ, რაც კეპლერმა გამოაქვეყნა თავისი დიადი აღმოჩენი, მეცნიერებამ, მის შემდეგ, საშინელი სისწრაფით წარსდგა წინ ნაბიჯი მრავალი საიდუმლო სამყაროსი გამოაშკარავდა ადამიანის ინტელეკტის შემწეობით... ათასი ახალი გამოკვლევანი მოხდა მეცნიერებაში უკვდავი „ცის კანონმდებლის“ შემდეგ, სულ ახალი პლანეტები და სხვა ციური სხეულებიც იქმნა კეპლერის შემდეგ აღმოჩენილი. კეპლერის კანონები კი აერთებენ, აკავშირებენ მათ სამაგალითო სისწორით და ყველა ესენი ემორჩილებიან კეპლერის კანონებს. თანამგზავრი სხეულები თავისი პლანეტით, პლანეტები მზესთან ერთად, მზეები კი თავისი სისტემით—ყველა მწყობრად და ჩუმი სიდიადით ადიდებენ ამ ფილოსოფოს-გმირის აღმოჩენს [1]) კეპლერს ეკუთვნის აგრეთვე ლინცას მყოფობის დროს დაწერილი, ეგრედ წოდებული „რუდოლფის ტაბულები“ (Rudolfi tabliti), სადაც არის მოთავსებული პლანეტთა მოძრაობის ტაბულა. დიდ ტანჯვა-წვალებად დაუჯდა კეპლერს ამ თხზულების გამოცემა, თუმცა სტამბიდან გამოსვლის შემდეგ კი ეს მისი ნაშრომი დიდის სიხარულით მიღებულ იქმნა მაშინდელ ასტრონომ მეცნიერებისაგან. წარმოიდგინეთ, თითქმის ჩინეთის მიყრუებულ ქალაქ ხანგ-ჩეუდან შეიკვეთა ეს წიგნი იეზუიტ ტერენციმ. თუმცა „რუდოლფის ტაბულები“ ისე დააწყო კეპლერმა, რომ ადრინდელ დროშიაც სანიმუშო-სამაგალითოდ ითვლება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, აწინდელ მეცნიერების ყოველ მხრივ განვითარების დროს, ამ ნაწარმოებს აქვს ღირსეულება, როგორც დიდად შესანიშნავს ისტორიულ ნაშთს.

უკანასკნელი წლები თავისი სიცოცხლისა კეპლერმა დიდ შვეიწროებაში გაატარა, რამაც დიდად დააუძლურა დიდებული გვამი და სიკვდილს მიუახლოვა. 15 ნოემბერს 1630 წელს იოგანი კეპლერი გარდაიცვალა რეგენბურგში ციებით.

---

[1]) „Небесныя свѣтила“—Митчелль.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალო კეპლერის ოჯახობას მის შემდეგ სამეცნიერო დრო დარჩა: შვიდი კაპეიკი ფულად ფული, ერთი წამოსასხაპი, ორი პერანგი, 16 ცალი ეფემერიდისა[1]) და ერთი ცალი ხელთნაწერი ასტრონომიული რომანისა.

იმის საფლავზე შემდეგ დადგეს ძეგლი, რომელზედაც დიდ ძალი ფული დაიხარჯა. „ჭეშმარიტი ძეგლიო—ამბობს ლიტროვი—ცეცხლის ასოებით არის მისთვინ ცაზე გამოხატულიო“. [2])

დიდად სამწუხაროა, რომ დიდებულ მეცნიერს შეხვდა მოღვაწეობა ამ საზოგადო არეულობის დროს, საერთო უკმაყოფილების და სიმტერე-განხეთქილების ჟამს, რომლის მსგავსი გერმანიის ისტორიის ფურცლებზე იშვიათად თუ მოიძებნება. კეპლერის სახელი ყოველ შემთხვევაში უკვდავია, რის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაირიცხოს მისი მზის სისტემის სამი კანონი, რომლებიც ნათლად ჰმოწმობენ ავტორის დიდს ნიჭს, ჰენიას. კეპლერმა მეცნიერებას (ასტრონომიას) შესძინა სწორედ იმდენი, რაც მის მოწინავე მეცნიერ-ასტრონომებმა; მან შეჰქმნა მეცნიერებაში მთელი ეპოქა.

კეპლერის შემდეგ დიად შესანიშნავ პირად სამეცნიერო ასპარეზზე უნდა ჩაითვალოს **ისააკი ნიუტონი** (1642—1727); მისი მსგავსი იშვიათად მოიძებნება არა მარტო თუ განათლებულ ინგლისის ისტორიაში, არამედ მთელი მსოფლიო ისტორიაშიც. ტყუილი კი არ უთქვამთ ძველ ადამიანთ, რომ დრო-გამოშვებით ბუნება წარმოშობს ხოლმე იმისთანა მაღალი ნიჭით დაჯილდოებულ პირებს, რომლებიც თავისი დანიშნულებისამებრ ჰხსნიან ბუნების დიადი კანონების საღაროდან ზოგიერთ მუხლებს, რომელთა ახსნა ვერ ძალუძს ჩვეულებრივ მომაკვდავს, თუ არა იშვიათად ბუნებისაგან წარმოგზავნილ მოციქულსო, რომელსაც ბუნება, ქვეყნად წარმოშობის დროს, თითქოს ასრე ჩასძახებს: წადი, იღვაწე, იკვლიე და აუწყე მომაკვდავთ, თუ როგორ უძლურნი არიან

---

[1]) ასტრონომიული კალენდარი.

[2]) „Астрон. вечера“—Клейна, გვ. 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ბუნების შემეცნებაში და რა ადგილი უჭერიათ მათ ბუნების უსაზღვრო სივრცეში; იცნან მათ შენი შემწეობით და ხანგრძლივი გამოკვლევით ბუნების დიადი მოკლენანი, რომლებიც მათთვის „terta incognita"-ს შეადგენენ და ამ ნაირად შეიგნონ ცოც-ცოტად დროთა მსვლელობაში თავისი მდგომარეობა და კავშირი ბუნებასთან და გათვითცნობიერდნენ.

ისააკ ნიუტონი.

აი ამისთანა პირებთა რიცხვს ეკუთვნის ვულსტორპელი (ინგლისშია) მკვიდრი ისააკ ნიუტონი. ნიუტონი იყო არა მარტო მრავალ-მხრივი, არამედ ყოველ-მხრივ განვითარე-

ბული პირი, ის იყო არა მარტო ზეზეური ენციკლოპედისტი მეცნიერებაში, არამედ ჭეშმარიტი სპეციალისტი სრული მნიშვნელობით ამა სიტყვისა; ის დიადი ასტრონომია, დიადი ფიზიკოსია, დიადი მათემათიკოსია.

კოპერნიკმა და კეპლერმა განმარტეს ზეციურ სხეულთა მოძრაობის ხასიათი და მათი გზების ფორმა—ერთი სიტყვით მათ განმარტეს სისრულით პლანეტთა სისტემის აგებულება. მაგრამ ეს მოვლენანი რისთვის სრულდებიან ამ რიგად და არა სხვა ნაირად, რაა მიზეზი, რომ პლანეტები გარს უვლიან მზეს და ამასთან ელიპსოიდური ორბიტით (გზით); რით აიხსნება, რომ კეპლერის კანონები ასე გასაოცარი სისწორით და სიმეტრიით შეეთანახმებიან კოსმიურ მოვლენათ. — აი კითხვები, რომლებიც ჯერ კიდევ აუხსნელი რჩებოდა. აქ იდგნენ ნამდვილ ფაქტების წინაშე, რომლის დაკანონებულ ახსნა-განმარტებას ვერ ახერხებდნენ. მოქმედება კი ამ სარბიელზე წილად ხვდა ინგლისელს ისააკ ნიუტონს, რომელმაც, მსგავსად კოპერნიკ-კეპლერისა, ორიგინალური სიმტკიცით დაადასტურა მრავალი კანონები სხვა და სხვა მეცნიერებათა, უფრო კი ასტრონომიის და ფიზიკისა, რისთვისაც მას ღირსეულად უწოდებენ „ორი სამეფოს-ფიზიკის და მათემათიკის მეფეს“.

იმ დიადი აღმონაჩენათა რიცხვში, რომლებითაც ნიუტონმა უკვდავ ჰყო თავისი სახელი, უფრო ყურადღების ღირსია კანონი „საზოგადო მიმზიდველობისა“. ამ კანონის ძალით ყოველ საგანთა შორის არსებობს მიმზიდველი ძალა; ერთს იზიდავს მეორე, მეორეს-მესამე და ასე ამ რიგად, ასე რომ არ არის არც ერთი ატომი-მოლეკული, რომელსაც რამე დამოკიდებულება არ ჰქონდეს სხვა სხეულთან ან და სხეულის შემადგენელ ატომებთან. მაგ., ქვის შემადგენელი ნაწილები (ატომები) სძალობენ ურთიერთ შორის შეერთებას მიმზიდველობის ძალით; აგრეთვე სხვა საგნების მიმართაც იჩენს ქვა (უფრო კი მასთან ახლო მდებარე-მყოფ სხეულ-საგანთან) თავისი მიმზიდველობის ძალას. ხოლო რაც შეეხება საგნის სხვა და სხვა ფორმას, რომელიც მომეტებულ შემთხვევაში უცვლელი რჩება საგანში (იქნება ეს ფორმა ბუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგან დამჩნეული თუ ხელოვნურად ადამიანისგან — ეს ორივ ერთია) — ეს წარმოსდგება „ჩამაკავშირებელ კანონი"-ს ძალით (сила сцѣпленія), რომლის მიზეზით ატომები სძალობენ ერთმანეთთა შორის შეერთებას, შეგლესვას მტკიცედ, მაგრად, რომ ამით დაიცვან პირველ-ყოფილი სახე, ფორმა სამუდამოდ.

აი ტრადიცია როგორ გვიხატავს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ნიუტონმა აღმოაჩინა კანონი საზოგადო მიმზიდველობისა. ერთხელ ნიუტონი ბაღში დასეირნობდა. უცბად მის ფეხთან გაგორდა ვაშლი, რომელიც მახლობელ ხიდან ჩამოვარდა. ამ შემთხვევამ ჩააფიქრა ნიუტონი და, ხანგრძლივის მასზე ფიქრის შემდეგ, მივიდა დასკვნამდის, რომ ყოველ სხეულთა შორის არსებობს მიმზიდველობითი ძალა, რომლის გავლენით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ერთი სხეული ისწრაფვის მეორესთან შეერთებას, ერთი ატომი-მეორესთან, თუ კი წინააღმდეგი ძალა მოსპობილია. [1])

რა კი ნიუტონმა იპოვა პირველ ხარისხოვანი საფუძველი ბუნების მოვლენათა ასახსნელად, ახლა მან კვლავ მიჰყოხელი სხვა გამოკვლევათ, ჩვეულებრივის თავგამოდებით და ენერგიით. როდესაც თვით ნიუტონს ჰკითხავდენ ხოლმე მიზეზს, თუ როგორ აღმოაჩინა მან საზოგადო მიმზიდველობის კანონი, ის უპასუხებდა: „მასზე მუდმივი ფიქრით და დაკვირვებითო". „მე დაჟინებით და მუდმივ ვამოქმედებ თავში რამე საგანს ანუ კითხვას იმ დრომდე, — ასე აღწერს ნიუტონი თავისი მოქმედების გზას, — ვიდრე დასაბამითნი ნაპერწკალნი სწორი მსჯელობისა ამ საგანზე ნელ-ნელა გარდიქცევიან დასრულებულ და ნათელ აზრადო". „გენიოსობა—ეს წარმოუდგენელი ენერგიაა, რომელიმე საგანისკენ მიმართულიო" — ხშირად ლაპარაკობდა ხოლმე ნიუტონი. ნიუტონისათვის მოსვენება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ხან ერთ

[1]) კლეინის აზრით ეს ისტორია ვაშლზე უბრალო ლეგენდაა, მოკლებული ყოველნაირ ისტორიულ სარჩულს. ამისთანა აზრისა იყო აგრეთვე ცნობილი ასტრონომი გაუსი, რომელიც, თავისი ცხოვრებით ნიუტონს ძლიერ მოგვაგონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეს აკეთებდა, ხან მეორეს, ხან მესამეს და ხან მეოთხეს. ერთხელ თვითონვე უთხრა ერთ ექიმს: „მე თუ რამე სამსახური გავუწიე ხალხს ეს არის მხოლოდ გაუტეხელი შრომის და მუდმივი ფიქრის შედეგიო“.[1]) დიადი კითხვები, რომლებსაც მუდამ იკვლევდა ნიუტონი, ერთობ იმონებდნენ მისს ყურადღებას. „ის ცხოვრობდა მიტომ,—სწერს ბიო, რომ ეაზროვნაო“. არავითარი წეს-რიგი მის კაბინეტში არ იყო, არც სახლის მორთულობა, არც ისეთი სიწმინდეც. თვითონ ნიუტონიც საანდაზოთ დაბნეულ ხასიათის ადამიანს წარმოადგენდა. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ დილას ლოგინზე წამომჯდარი, პერანგის ამარა, ნიუტონი შუა დღემდე დარჩებოდა ღრმა ფიქრებში გართული და თვინიერ თავის აზროვნების საგნისა სხვას არავითარს ყურადღებას არ აქცევდა.[2])

როგორც მოსალოდნელი იყო, სამაგალითო ენერგია გამოიჩინა ნიუტონმა პლანეტთა მოძრაობის მიზეზთა გამოსაკვლევად. მან სისრულით და სწორად განმარტა და დაადასტურა ამ მიზეზთა კანონები. აი პირველი კანონი:

---

[1]) იხ. „თვით-მოქმედება“—სმაილსისა, თარგ. ივ. როსტომაშვილისა, გვ. 15.

[2]) ერთხელ ნიუტონთან მივიდა ერთი მისი მეგობარი, დოკტორი სტიუკლი. ნიუტონი იმდროს ოთახში არ იყო; მაგიდაზე კი სადილი გაშლილი იყო. სტუმარმა ლოტა ხანს იცადა, შემდეგ ასწია სინს და, ტკბილად შეექცა წიწილის ხორცს. ამასობაში ნიუტონიც შემოდის და ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ, მიუჯდება მაგიდას, რომ სადილი სჭამოს; მაგრამ დაინახა თუ არა ძვლები თეფშზე მორცხვად უთხრა სტუმარს: „ახ, რა რიგ დაბნეული ვართ ჩვენ ფილოსოფოსები; მე მეგონა, რომ სადილი ჯერ არ მიჭამია“!..

ერთხელ ნიუტონმა სასაუზმოდ დაამზადა კვერცხები, უნდოდა მოეხარშა. ამასთან ამოიღო საათი და დაუწყო წყალს დუღება, რომ კვერცხები დროზე ჩაეგდო მდუღარეში. ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ნიუტონი ჩვეულებისამებრ მიეცა ღრმა ფიქრებს. როდესაც გამოირკვა, დაინახა, რომ კვერცხი მის ხელშია, ხოლო ძვირფასი საათი კი გახურებულ ტაფაში დნებოდა.

2) იხ. „Исторія индукт. наукъ“ — Уэвелля, т. II. стр. 206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უკეთუ სხეულზე, რომელიც მოძრაობაშია მოყვანილი, არ მოქმედებს არავითარი გარეშე ძალა, ის შეუჩერებლივ განაგრძობს მოძრაობას სწორი (პირდაპირი) ხაზით და შუდმივი სიჩქარით".

ვითომდა მარტივია და უბრალო, მაგრამ არც ერთ ძველ მოაზროვნეს არ ჰქონია ამ ჭეშმარიტების შესახებ ოდნავი წარმოდგენაც. ამ ნაირად ნიუტონმა დაამტკიცა, რომ სხეული მოძრაობს, თუ მაზე არ მოქმედობს გარეშე ძალა და ამასთან პირდაპირი ხაზით. საჭირო იყო ამასთანავე დაემტკიცებია, რის გამო წარმოსდგება პლანეტთა გარშემო ტრიალი, მათი ელიპსოიდური გზა, როგორც კეპლერი ამტკიცებდა. ამის განმარტება ნიუტონმა გამოხატა თავის მეორე კანონში, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

„უკეთუ მმოძრავ სხეულზე მოქმედებს რომელიმე ძალა, მაშინ ჩვეულებრივი მოძრაობა გადაიცვლება და სხეული წავა იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც მოქმედებს ძალა; ამასთან მოძრაობა ხდება პროპორციონალურად ძალის სიდიდეზე".

რაღაა ეს ძალა, რომელიც სცვლის პლანეტთა გზას, პლანეტებს ჰყოფს დამოკიდებულად მზისაგან, ხოლო თანამავალ სხეულებს კი პლანეტებისაგან? რაში მდგომარეობს ამისი დედა-აზრი?

ნიუტონმა შეადარა ეს ძალა „სიმძიმეს" (тяжесть). ვარდება თუ მწიფე ხილი ტოტიდან, ასხამს კოკისპირული წვიმა, იფრქვევა თვალებიდან ცრემლები,—ყველა ეს სიმძიმის ძალაა. ეს ძალა მიაჩქარებს ყოველ სხეულს დედა-მიწისაკენ ცენტრში. ეს ძალა ყოველგან და ყველასთან არის და მოქმედებს. მაშასადამე—ამტკიცებს ნიუტონი—ეს ძალა უსათუოდ მოქმედებს ზეციურ სხეულებზედაც, მაგ., მთვარეზე. ეს ძალა მიმზიდველობის ძალასთან ერთად მიაჩქარებს მთვარეს დედა-მიწისაკენ და ამასთან მას (მიწის) გარშემო ატრიალებს. პირველ შეხედვით ეს დასკვნა გვეჩვენება უბრალოდ, ჩვეულებრივ კანონად, მაგრამ, გარდა ნიუტონისა, მისი საზრიანი, რაციონალური დადასტურება ვერავინ ვერ შესძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რამდენადაც მე ვიცი, — ამბობს უეველი, — არცერთს ბუნების-მეტყველს არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ მთვარის დედა-მიწის გარშემო ტრიალი წარმოსდგებოდა დედა-მიწისავე მიზეზით, მისი სიმძიმის ძალითო“.

მრავალ გამოკვლევათა შორის ნიუტონმა უფრო სისრულით, ვინემ კეპლერმა, განმარტა ფორმა პლანეტთა ორბიტისა. პირდაპირ თეორიულად, მათემათიკური ფორმულებით ახსნა და განმარტა ნიუტონმა, თუ როდის გაივლის ზეციური სხეული ელიპსისის, პარაბოლის ანუ გიპერბოლის მაგვარ გზას. უნდა შევნიშნოთ, რომ კეპლერმა აღმოაჩინა მხოლოდ კანონები, რომლის ახსნა და განმარტება ეკუთვნის ნიუტონს. ნიუტონმა გამოიანგარიშა აგრეთვე სიმძიმე, წონა ზეციურ სხეულთა; გამოიკვლია თუ რამდენ ჯერ მძიმეა მზე დედა-მიწასთან შედარებით და ამასთან გასაოცრად, ყოველ-მხრიულად განმარტა კანონი საზოგადო მიმზიდველობისა. ნიუტონმა გამოიკვლია აგრეთვე, თუ რა მანძილზე არიან ზოგი-ერთი ზეციური სხეულნი ერთმანეთს დაშორებულნი; [1]) გამოიკვლია აგებულება „ნისლოვან სივრცეთა“ (туманность) და „ორიან, სამიან ვარსკვლავთა“ (двойныя, тройныя... звѣзды) ვითარება. ყველა ამ ზემოჩამოთვლილის შესახებ ნიუტონმა მსჯელობა მოათავსა თავის ძვირფასს ნაშრომში: „ბუნებრივი ფილოსოფიის მათემათიკური დასაბამნი“.

ნიუტონის ღვაწლი და აღმონაჩენნი, უეველის ჭეშმარიტი შენიშვნით, შეადგენენ არა მარტო ასტრონომიის გაუმჯობესობას, რამდენად სრულ გარდაქმნას, არა ეპოქას, არამედ მთელს პერიოდს. ასტრონომია მის შემდეგ ანაზდად გადვიდა ბავშვური მდგომარეობიდან, რომელშიაც ის მანამდის იმყოფებოდა, ვაჟკაცურ მოწიფულობაში“. [2])

უკანასკნელ უნდა შევნიშნოთ, რომ ნიუტონი დიდად გულ-შემატკივარი და მოსარჩლე იყო ღარიბთა და დავრდო-

---

[1]) მაგ., მზე დაშორებულია ჩვენი პლანეტა—დედა-მიწისაგან 140 მილიონი ვერსით. მზის სხივი ჩვენ დედა-მიწამდი მოხწევას უნდება $8^1/_2$ წამ; სინათლე ერთს წუთს გარბის 288,000 ვერსტს.

[2]) „Астрон. вечера“—Клейна, გვ. 59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილთა. თუ კი რამე შეეძლო, ნიუტონი მზად იყო ყველასთვის ხელი მოემართა. ამასთან ნიუტონი, უფრო კი უკანასკნელ წლებში, დიდად ღვთის მოყვარე და მოშიში გახდა.

რო ღირსეულად დავაფასოთ ნიუტონი, საჭიროა მოვიყვანოთ აქვე ზოგიერთ ცნობილ პირთა აზრიც მის შესახებ.

ერთხელ პრუსიის მეფემ ჰკითხა ლეიბნიცს—თუ რას ჰფიქრობს ის ნიუტონზე. ლეიბნიცმა უპასუხა: „რომ ავიღოთ ყველა მათემათიკოსები ქვეყნის გაჩენიდან ნიუტონამდის და მათი შრომა-ღვაწლი შევადაროთ ნიუტონის ღვაწლს, აღმოჩნდება, რომ ნიუტონმა გააკეთა ნახევარი იმისა, რაც იმათ შესძინეს კაცობრიობას და ამასთან უკეთესი ნახევარიცო“.

ლაპლასი ამტკიცებდა, რომ ნიუტონის „დასაბამნი“ ღიდად მაღლა სდგას ადამიანის გონების ყველა ნაწარმოებზეო.

ვოლტერმა თავისი ენტუზიაზმი შემდეგი სახით გამოხატა: „უკვდავნო არსებანო, მსახურნო ყოვლად მაღლისაო, რომელნი ბრწყინავთ მისი შუქით და ჰფარავთ მისს წმ. ტახტს თავისი ფრთებით—მითხარით, არ გეხარბებათ თქვენ ნიუტონი!?“...

ხოლო ინგლისის პოეტმა პოპმა შემდეგი დასწერა იმ ოთახისა მარმარილოს ფიცარზე, სადაც დაიბადა ნიუტონი: „ბუნება და მისი კანონები სიბნელით იყო მოცული. მაშინ ღმერთმა ბრძანა: იყავნ ნიუტონიო და ყველგან მოეფინა სინათლე“.

ნიუტონი გარდაიცვალა 20 მარტს 1727 წელსა და დასაფლავებულ იქმნა ვესტმინსტერის საბატოში (მონასტერში).

ნიუტონით თავდება მესამე ხანა ასტრონომიის განვითარებისა. ხოლო რაც შეეხება შემდეგი მეოთხე ხანას, მაშინ ასტრონომია, როგორც საზოგადოდ ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერება, დიდად წინ წაექანა. მე XVIII და XIX საუკუნოებში, ამ „ორთქლის და ელექტრონის საუკუნოებში“ ასტრონომია განვითარდა ყოველ მხრივ: შესწა-

ვლილ იქმნენ ზეციურნი სხეულნი გეოგრაფიულად, ტოპოგრაფიულად, ფიზიკურად და უკანასკნელ ქიმიურადაც. არ დარჩენილა ამ ხანაში თითქმის არც ერთი შესანიშნავი ასტრონომიული მოვლენა, რომელიც არ ყოფილ იყოს გამოკვლეული.



ობსერვატორია.

ასტრონომიის დიდად განვითარებას მე-XVIII—XIX საუკუნოებში ხელი შეუწყო ოპტიკური იარაღების გაუმჯობესობამ, კარგი ობსერვატორიების[1]) აშენებამ და უკანასკნელ სპეკტრალურ ანალიზის აღმოჩენამ.[2])

[1]) შენობა, სადაც ხდება ასტრონომიული, მეტეოროლოგიური, მაგნიტური დაკვირვებანი (ე. ი. ვარსკვლავთ-სამრიცხველო კოშკი). შესანიშნავი ობსერვატორიები არიან ლიკის ობსერვატორია გამილტონის მთაზე კალიფორნიაში (ჩრდ. ამერიკაში), ნიცცაში. აგრეთვე ალპის მთაგრეხილზე მონბლანის წვეროკანზე, აღშენებული მოხუც ჟანსენისგან. რუსეთში შესანიშნავი ობსერვატორია პულკოვისა (Астр. веч.—Клейна, გვ. 119).

[2]) სპეკტრალური ანალიზით იკვლევენ ქიმიურად ზეციურ სხეულებს. უშვებენ სხივებს რომელიმე ზეციურ სხეულისა სპეკტროსკოპში (ერთგვარი ასტრონომიული იარაღია). პრიზმა სპეკტროსკოპისა დაჰყოფს სხივებს რამდენიმე ფერად. ამ ფერის მიხედვით გამოჰყავთ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხანის უფრო შესანიშნავი ვარსკვლავთ-მრიცხველები (ასტრონომები) არიან: გიუგენსი, კასინი, დოლონდი, უილიამ ჰერშელი (განოვერიდან) და მისი შვილი ჯონი, ფრაუნგოფერი, მერცი, მალერი, ბესელი, გაუსი, ენკე, სეკკი, ლაპლასი, იუნგი, მედლერი, ვეინეკი, ვირხგოფი, უფრო ახლო ხანებში კი კამილი, ფლამარიონი, სიმონი ნიუკომბი, პიკერინგი, ბრედიხინი, კრალი (ინგლისელი) და მრავალნი სხვანი.

რა ნივთიერებისგან შესდგებიან ზეციურნი სხეულნი. სპეკტრალური ანალიზი მოიგონა მეცნიერმა სეკკიმ 1862 წ. და ამ ნ.ირად მან დაუდო საფუძველი ახალს მეცნიერებას „ასტრო-ფიზიკას“ (იხ. „Сравнительная геологія“—А. Менье).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ფრიად გაეუმჯობესდა ასტრონომიული დურბინდები და მიკროსკოპები. 1897 წელს ინგლისში გრინვიჩის ვარსკვლავთ-სამრიცხველო კოშკში შეიტანეს და დადგეს ერთი უშველებელი დურბინდი, რომელიც ოცდათხუთმეტ ვერსტზე გვიახლოვებს მთვარეს. ამ იარაღის შემწეობით მთვარეზე ადვილად შეგიძლიანთ შეამჩნიოთ მთები, მინდვრები, ვეებერთელა სანძრები (ვულკანები) და სხ.

ამასთანავე ვაშინგტონის მცხოვრებმა დოქტორმა ელმერგატმა მოიგონა ერთი მიკროსკოპი, რომელიც ას მილიონჯერ ადიდებს პაწაწკინტელა საგნებს. წინანდელი მიკროსკოპები ერთ მილიონჯერაც ვერ ადიდებდენ. ეს ახალი მიკროსკოპი სულ სხვა ნაირად არის მოწყობილი. აქ ორი მ-კროსკოპია ერთად შეერთებული: ერთს გამადიდებელ შუშებში გაჰყავს სხივები და ადიდებს მხედველობის სივრცეს, მეორე მიკროსკოპი კი ამ სივრცეში დადებულ საგანს უფრო დიდ სინათლეს აყენებს და კვლავ ადიდებს. ეს მეორე მიკროსკოპი იმდენად უმეტესია მხედველობით პირველ მიიროსკოპზე, რამდენადაც ეს პირველი მიკროსკოპი კაცის თვალზე.

ამას აგრეთვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ დოქტორმა გატმა ‹სეთი მიკრო-ფოთოგრაფია მოიგონა, რომელიც სამ მილიონჯერ უფრო გაადიდებს და ისე გადაიღებს ხოლმე გადიდებული საგნის სურათს. ამან დიდად ხელი შეუწყო „რძის გზის“ (млечный путь;) იწოდება აგრეთვე „ირმის ნახტომად“—იხ. „ბუნ. და ცხ.“—ილ. ალხაზიშვილისა, გვ. 9) რიგიან შესწავლას. (იხ. „კვალი“ 1898 წ. № 16 „სამეცნიერო საუბარი“—მაზაკვალ‹სა; იხ. აგრეთვე „ცა და დედა-მიწა“—თარგმ. დ. გეორგობიანისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით ჩვენ ვათავებთ ჩვენი **„ასტრონომიის მოკლე ისტორიას“**, რომლის მთავარ მიზნად გვქონდა **ხამშობლო ენით** ისტორიული თანდათანობით **დახასიათება** მკითხველ სბზოგადოების წინაშე **უუმთავრეს ასტრონომიულ კითხვებისა.**

სამ. ცომაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟ. ჟ. რუსსო.

(Contrat social)

დასავლეთ ევროპის ისტორიაში მე-XVIII საუკუნის შეორე ნახევარი ფრიად საინტერესო ხანა არის. სწორედ ამ დროს მიიტანა გონებამ მძლავრი იერიში ძველებურ, მამა-პაპურ ცრუ მსჯელობასა და ყალბ წარმოდგენაზე. ეს მოვლენა თვალსაჩინოა განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც ეკლესიის ბატონობაა, ვინაიდგან მისი კულტი და დოგმატი გამეფებულია, და სადაც მკაცრი კანონი მოქმედობს და გამტკიცებული, ყველასაგან შეწყნარებული ზნეჩვეულებაა. მიუხედავად ყველა ამისა, ფილოსოფოს-მეცნიერნი ანვითარებენ კულტსა და დოგმატებს სხვა და სხვა ქრისტიან მწვალებელთა, სხვა და სხვა ძველთა ან შორეულ ხალხებისას (ბერძენთა, რომაელთა, ეგვიპტელთა, მაჰმადიანთა და სხვათა), იკვლევენ სხვა ახალ სახელმწიფო წეს-წყობილებას და ზნეჩვეულებას: დესპოტიზმს, უფლება-შეზღუდულ მონარქიას, რესპუბლიკას; ამასთანავე ფილოსოფოსები აღნიშნავენ, რომ ამა და ამ ქვეყანაში ეკლესია ხელქვეითია სახელმწიფოსი, აქა და აქ კი ეკლესია სრულიად დამოუკიდებლია სახელმწიფოზე, ამა და ამ ქვეყანაში არსებობს წოდებრივი (კასტიური) წეს-წყობილება, მრავალ-ცოლიანობა და სხვა.

ამ გვარად მე-XVIII საუკუნის ფილოსოფოსები ადარებენ ერთმანეთს სხვა და სხვა ქვეყნებს, ერთს საუკუნეს მეორეს, აღნიშნავენ სხვა და სხვაობას და კაცობრივ ძირითად ზნე ჩვეულებათა წინააღმოეგობას, მათს თითქმის პირ-

და-პირ ანტაგონიზმს; ამასთანავე თვითოეული ჩვეულება თავის ქვეყანაში თანაბრად გამტკიცებულია გადმოცემის ძალით და თანაბრად შეადგენენ საზოგადოებრივ უფლების კანონიერ საფუძველს. ამ დროიდამ დაწყებული ყოველი ადრინდელი განცვიფრება ჰკარგავს თავის ძალას. წინანდელ წეს-წყობილებას ეკარგება ელფერი თავისი ადრინდელი მიმზიდველობისა, თავის-ღვთიური ხასიათი. ეხლა ეს მხოლოდ ადამიანის გონების ნამოქმედარია, იგი შექმნილია დროსა და ადგილის მიხედვით... სკეპტიციზმი (ე. ი. ურწმუნოება) მედგრად თავს ესხმის ცრუ რწმენა წარმოდგენებსა და ერთბაშად იჭურვება ქრისტიანობის წინაამდეგ ულმობელ, მტრული იარაღით: ამ გალაშქრებას ეძლევა ხანგრძლივი და მძვინვარე ბრძოლის ხასიათი, იმიტომ რომ ქრისტიანობა, სახელმწიფო სარწმუნოებათ აღიარებული, ზღუდავს თავისუფალ აზრს, სწვავს და ანადგურებს ახალ ნაწარმოებს (წიგნებს), სდევნის ადამიანს, საპყრობილეში აპატიმრებს და საზოგადოდ ყველაფერში ბუნებრივი და ოფიციალური წინააღმდეგია ახალი მიმართულებისა.

ვოლტერი, აღჭურვილი არა ერთი საბუთით, ულმობელი მტრობითა და მხნეობით, სდევნის ქრისტიანობას, მთელ მის ისტორიას თავით ბოლომდე, ბიბლიურ თქმულებიდამ მოყოლებული, ვიდრე რომის პაპების ბულებამდე; როგორც ლახვრით, ვოლტერი ჰგმირავს დაცინვით ყოველივე მხარეს ქრისტიანობისას და ყოველ საეკვო ადგილებს, რომელნიც თვალ-ასახვევად შეაკეთ-შეალამაზა შემდეგ ქრისტიანობამ და მით წარყვნა და შესცვალა ხასიათი პირვანდელ შენობისა.

ესეთივე ბედი განიცადა სამოქალაქო და საპოლიტიკო კანონებმა.

საფრანგეთში, სადაც ამდენი დაწესებულებაა, სადაც პრივილეგიები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე პრივილეგიანთა სამსახურის ნაყოფიერება, სადაც უფლება გადაიქცა ბოროტ-მოქმედად, — იქ ძველი შენობა საზოგადოებრივი წესწყობილებისა წარმოადგენს მეტად უშნო და უმსგავსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქიტექტურას. მართლაც ვერ წარმოიდგენთ, როგორ უხეიროდ არი შეფარდებული ეს შენობა საზოგადოების ახალ კლასთა მოთხოვნილებასთან! რა საჭიროა, მაგალითად, გაერთიანებულ და ერთგვარ სახელმწიფოში ფეოდალური ზღუდეები, რომლებიც აცალკევებენ ერთი მეორისაგან წოდებებს, კორპორაციებს და პროვინციებს? უზენაესი არქიეპისკოპოსი, რომელსაც საბატონოდ ეძლეოდა ნახევარი პროვინცია, კაპიტული, ბატონი 12 ათასი ყმისა, სასახლის აბბატი (იღუმენი), რომელიც იღებს მსუქან შემოსავალს მონასტრიდამ, თუმცა თავის სიცოცხლეში მას ერთხელაც არ უნახავს ეს მონასტერი, დიდებული სეფე-მოხელე, რომელსაც ეძლეოდა დიდი პენსია, მხოლოდ იმიტომ რომ სამეფო სასახლის დარბაზში ეყუდა, მოსამართლე, რომელიც ყიდულობს უფლებას სამართლის ასასრულებლად, სკოლიდამ ახლად გამოჩეკილი პოლკოვნიკი, რომელიც მაშინვე შეუდგება ხოლმე თავისი სამკვიდრო რაზმის (პოლკის) ბრძანებლობას... სუყველაფერი ეს საოცარი გროვაა ხორც შესხმულ უკუღმართობისა! და ამგვარ უკუღმართობას შეხვდებით მთელ ევროპაში. „ამაზე უკეთესს სხვას ვერას ვიტყვით ჩვენი განათლებული ხალხის შესახებ, რომ იმისი კანონები და ადათები აგებული არიან ნახევრად ბოროტმოქმედებაზე, ნახევრად ჯერ კიდევ ასატან ჩვეულებაზე“ ამბობს ვოლტერი.

ამავე დროს ხდება გაბატონება ახალი მეთოდებისა, ჰკუის ახალი კვლევა-ძიებისა, თვით კაცის გონების გაღმერთებისა. განმანათლებელ გონების ძალით ჰქმნიან წმინდა დასაბამს, წმიდათა წმიდას; იარაღი ცოდნისა თვით ჰხდება ღმერთად, დიდ შემოქმედებით ძალად, საქმის გადაწყვეტ დიდებულ მსაჯულად. „მხოლოდ გონება, ღვთად მიჩნეული, აყვანილი უცოდველ მოკარნახე გულის თქმის მწვერვალზე, სხვა არა არის რა არსებითად, თუ არა ჩვენი გრძნობა“. ერთი სიტყვით, ეს არის სხვა სახით აღორძინებული რწმენა.

მე-XVIII საუკუნის ნახევრიდან ნათლად ემჩნევა საზოგადოებას მისწრაფება რწმენისა და სარწმუნოებრივ მდგომარეობისადმი. ამ მოვლენამ მე-XVIII საუკ. თანაუსწრო ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ კლასების გამოსვლას და მათ ინტერეს მისწრაფებათა დაცვას.

საზოგადოებრივ ახალ ელემენტების მოძრაობაში, იმათ აპოლოგიაში, ჩასახულია თავისთავად ერთგვარი იდეალისტური მოწოდება. ახალ საზოგადოებრივ დაწესებულების შექმნაში, იმის ჩასახვის დროს უნებლიედ მონაწილეობს სარწმუნოებრივი მიდრეკილება და გატაცება. საზოგადოებრივ ჯგუფს და ახალ კლასს, რომელნიც ცდილობენ წელში გაიმართონ, თან მოაქვთ განსაზღვრული გემოვნება და ჩვეულებანი, აცხადებენ თავიანთ დავა-მოთხოვნასა; ამგვარად შედგენილი გეგმა წარმოადგენს დაინტერესებულ მორწმუნეთათვის ახალ ხანას ზოგად კაცობრიულ განვითარებისას, ახალ გამოცხადებას, **აპოკალიპსის**.

მე-XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ არ არიან ისეთი განსაზღვრული, გაცალკევებული ჯგუფები, როგორც მე-XIX საუკუნის მუშათა კლასები ქალაქად და სოფლად. სოფლად დემოკრატია შესდგებოდა ხოლმე წვრილ მემამულეთა და გლეხთაგან, ქალაქში კი დემოკრატიის შემადგენელნი იყვნენ წარმომადგენელნი წვრილ ვაჭრებისა და ხელოსნობისა, წარმომადგენელნი საოჯახო მრეწველობის, ხელოსნებისა და მსხვილი წარმოების მუშებისა.

ეს სხვა და სხვა შემადგენელი ნაწილები არ უნდა გვავიწყდებოდეს და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როცა ლიტერატურა მე-XVIII საუკუნისა წამოაყენებს ხოლმე ცნებას **„ხალხი“**. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ პირველი ადგილი დემოკრატიის წარმოდგენაში ეკუთვნოდა სოფლის მასსას, ეგეთივე საპატიო ადგილი ეჭირა მას მე-XVIII საუკუნის სოციალურ გეგმებსა და ოცნებებში; დემოკრატიის დამცველები პირველ რიგზე სამიწაწყალო საკითხს აყენებდნენ და საგლეხო მეურნეობის უზრუნველყოფას დიდს ყურადღებას აქცევდენ. ეს გარემოება განსაკუთრებულ ელფერს სდებს რევოლუციის დემოკრატიულ ქადაგებას.

უნდა გვახსოვდეს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მე-XVIII საუკუნის დასაწყისში ხალხს თითქმის არა ჰყავს დამცველები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ვექილები, ამ დროის განათლებულ საზოგადოებათა შორის არ მოიპოვება ხალხის მისწრაფებათა მომჭირნე ჭირისუფალი. საინტერესოა გავიგოთ, სად იმალებოდა ხალხის მცველი, მისი პატრონი? ამისათვის საკმარისი იქნება, მოვიგონოთ სოფლის მღვდლის **მელიეს** თავ-გადასავალი, მისი ტრაგიკული ცხოვრება. **მელიე** 40 წლის განმავლობაში ასრულებს თავის მოვალეობას საფრანგეთის ერთ მივარდნილს კუთხეში. **მელიე**, მკაცრი თავის თავისა, ღარიბთათვის გულშემატკივარი, თავგანწირულად მოქმედობს ხალხის ინტერესების დასაცავად. ძველმა საფრანგეთმა არა ერთი ანაფრიანი ხალხის მეგობარი მოგვცა; და თვით დიდმა რევოლუციამ წინ წამოაყენა და ქვეყანამ იხილა ნამდვილი დემოკრატი მღვდლები. მაგრამ მელიე უფრო საინტერესო პიროვნებაა. მისი ბუნება უფრო მდიდარი იყო. ერთ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას. ადგილობრივ მებატონემ შეაწუხა მელიეს მრევლში მცხოვრები გლეხები. მელიემ მებატონის წინააღმდეგ დავა დაიწყო, გლეხებს გამოესარჩლა, მაგრამ სამართალი ვერჰპოვა. იმედ გაცრუებულმა და სასოწარკვეთილმა მოხუცმა თავი მოიკლა შიმშილით და მთელი თავის ქონება უანდერძა მრევლს. ეს მოხდა 1730 წელს, მაგრამ გამოაშკარავდა და ქვეყანამ გაიგო ოცდაათი წლის შემდეგ მელიეს სიკვდილისა, როდესაც გამოაქვეყნეს იმისი ანდერძი.

ანდერძი მოხუცი მღვდლისა თავისებური აყო. ანდერძი უშველებელი წიგნია, წიგნი სისხლის ღვრისა, გულმოდგინედ დაწერილი საკუთარის ხელით, რომ შთამომავლობას მისწვდომოდა იმისი ხმა და გეაგო წრფელი სურვილი მოხუცისა, მისი გულის ამოძახილი.

მელიე დიდ ხანსა სდუმდა და ეხლა ამოანთხია მთელი თავისი ნაღველი. მელიეს ანდერძი ხელში ჩაუვარდა ვოლტერს და სხვა ფილოსოფოსებს. მათ დაბეჭდეს ანდერძიდამ ნარკვევები. იმათ ისარგებლეს მღვდლის წყევა-კრულვითა, რადგანაც მოხუცი მღვდლის ურწმუნოება და სასოწარკვეთილება ფანატიზმის საწინააღმდეგო საბუთი იყო. დანარჩენი ნაწილი მელიეს წიგნისა ვოლტერმა გამოაცხადა, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გაჭიანურებული, მოსაწყენი და ამასთანავე საზიზღარიც კი“. ეხლა უკვე ვიცით, რა გამოსცა ვოლტერმა და რა არა; ვიცით აგრეთვე რის გამო ჩავარდა მღვდელი ღრმა, სატანჯველ ურწმუნოებაში. ის განადგურებულია იმ სურათით, რომელმაც დაანახვა ბედისწერა თავისი ძვირფასი მშრომელი ხალხისა. იმ დროინდელი ქრისტიანობა, მელიეს აზრით, შეუძლებელია ნამდვილ სარწმუნოებად გახდეს, რადგანაც ქრისტიანობა მხარს უჭერს სხვა და სხვა აშკარა უსამართლო დაწესებულებას: დესპოტიურ უფლებას, კერძო საკუთრებას და უთანასწორობას.

მთელი ანდერძი მელიესი არის გესლიანი და თავგანწირული პროტესტი ქვეყნად უსამართლოებისა და ღარიბთა შევიწროების წინააღმდეგ.

გავიცნოთ მოკლეთ შინაარსი ანდერძისა. თავდაპირველად უნდა ავღნიშნოთ, რომ ანდერძი მშრომელ ხალხისადმი გულმხურვალე მოწოდებაა.

„თქვენ გაშინებენ ეშმაკების სახელით, მაგრამ იცოდეთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ არ არის თქვენთვის უფრო ნამდვილი და უფრო ბოროტი ეშმაკები, როგორც ის ადამიანები, რომლების შესახებ მე გელაპარაკებით. თქვენი მტერი — მდიდარი ბატონები, მდიდარი ხალხია; — უფრო საშიში, უფრო მკაცრი მტერი თქვენ არა გყავთ და იმიტომ რომ მხოლოდ მდიდარი გთელავს ფეხთ ქვეშ, გაწვალებს და სასოწარკვეთილებამდის მიჰყევხარ. მის გვერდით სდგანან მუქთა ხორათა გროვა (პარაზიტები), ყველა ეგრედ წოდებული მოსამართლეები, რომლებსაც თამამად შეგვიძლია უსამართლობის წარმომადგენლები ვუწოდოთ; ამათ მოსდევენ ბოქაულები, პროკურორები, ადვოკატები (ვექილები), გადასახადის ამკრეფები, ბერ-ხუცესნი და სხვა და სხვა“.

მელიე გულ-ნაღვლიანი იძახის: „ამ ქვეყანაზე ამ გროვასთან გვაქვს ხოლმე საქმე“ და განაგრძობს: „ტყეებში და მინდვრებში ფრინველები გალობენ და ჭიკჭიკობენო; ხალხს კი სხვა საქმე არა აქვს. გარდა იმისა, რომ მთელი თავისი ნაშრომი მისცეს მთელ მუქთა ხორა ხალხს, რომელიც მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ იმას ფიქრობს, თუ როგორ მოიკლას თავისი მხეცური სურვილი“.

პატერის აღგზნებული სიტყვა, იმ ქვეყნიდამ მისი მანიფესტები, ამბობს პროფესორი ვიპერი, — მოგვაგონებს ნამდვილ რევოლუციონურ ფრაზელოგიას: თქვენ გეგონებათ, უსმენთ კონვენტის*) ორატორის სიტყვას, სიტყვა სიტყვა, გესმისთ ცნობილი მოწოდება მარსელიეზისა იარაღისადმი. „განდევნეთ მტარვალები და მღვდლები და მათ მაგიერ აირჩიეთ კარგი და პატიოსანი მმართველები; თვით თქვენ ხელშია ხსნა; მოახერხეთ შეთანხმება! თუ მოძრაობა რიგიანად არის დაწყებული, მას წინ ვერავინ აღუდგება... შეთანხმდით საიდუმლოთ, გაავრცელეთ კარგი წიგნები. შეინახეთ თქვენი ნაშრომ-ნაღვაწნი და თქვენი შვილები ნუ შევლიან სამსახურში თქვენ მტრებთან“...

მელიეს სწამს, რომ ამ ქვეყნიერებაზე შესაძლებელია მივაღწიოთ სიმართლესა და ბედნიერებას. დედა-მიწა, — მელიეს აზრით, — საკმაოდ იძლევა ყველაფერს, რაც კი ადამიანისთვის საჭიროა და ყველას დაკმაყოფილება მოსახერხებელი და შესაძლებელიცაა; საჭიროა მხოლოდ მიწა საზოგადო საკუთრებად გადაიქცეს; თვითოეული მრევლი უნდა შეადგენდეს თანასწორ ძმათა ერთ ოჯახს და მაშინ, მხოლოდ მაშინ — მელიეს შეხედულებით — ქვეყანაზე დამყარდება ოქროს საუკუნე, ე. ი. საყოველთაო ბედნიერება.

რაც სოფლის მღვდელს მე-XVIII საუკუნის დასაწყისში გულში ჰქონდა ჩამარხული და შეეძლო მხოლოდ სიკვდილის წინ დაეწერა, ის მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გადმოსკდა და ხმა გაუვარდა მწერლობაში, თეატრში, სალონებში, ქალაქების ნესტიან ბინებში და გლეხების ქოხებში. დიადი პრინციპები დიდი რევოლუციისა — ძმობა, ერთობა

*) ნაციონალური კონვენტი — კრებაა, 1792 წ. მოწვეული იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა ფორმა მმართველობისა უნდა ყოფილიყო საფრანგეთში. მას აქეთ, რაც „სამშობლო საშიშს მდგომარეობაში მყოფად“ იყო გამოცხადებული და შეჩერებულ იყო მოქმედება აღმასრულებელ უფლებათა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თანასწორობა — საზოგადო ლოზუნგებად გადაიქცნენ... ამ გრძნობათა ტიპიური მატარებელი რუსსოა.

II

რუსსო მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცენტრალური ფიგურაა. მან დიდი გავლენა იქონია თანაშე-დროებზე და შემდეგ შთამომავლობაზე; სტყველა მოღვაწეები რევოლუციისა რუსსოს ზედგავლენის ქვეშ იყვნენ და მიფი სულდგმულობდნენ. გულვნებიერი კილო იმის სიტყვისა, მისი სულისკვეთება, რომელიც იმორჩილებდა მკითხველს, მოხერხება, რომლითაც იგი ინდივიდუალურ და სოციალურ ცხოვრების დაავადებულ მხარეებს ეხებოდა, მისი დემოკრატიზმი საზოგადოებაში, სადაც პლებიური (სამდაბიო) ცემენტები უკვე თვალსაჩინო როლს ასრულებდა — აი რამ შეამკო დიდების გვირგვინით რუსსოს სახელი და მიუსაჯა მას საპატიო ადგილი მეXVIII საუკუნის მწერალთა შორის.

რუსსო თავდაპირველად ზნეობის მოძღვარია (მორალისტია). მისი სიდიადე განისაზღვრება მისივე მორალურ და სოციალურ იდეალიზმით, რასაც გავლენა ჰქონდა ხალხზე, რომელიც ეძებს პასუხს არა განყენებულ ცოდნის კითხვისას, არა უმაღლეს პოლიტიკურ საკითხისას, არამედ იმისას თუ რით გამოიხატება ადამიანის დანიშნულება, როგორ უნდა სცხოვრობდნენ ურთი ერთს შორის ადამიანები და რა განწყობილება უნდა ჰქონდეთ.

რუსსო ხალხის თვალში აყო მეგობარი სიმართლისა, დამცველი ჩაგრულთა და ტანჯულთა. როგორის სინაზით და სიყვარულით დაუთვალიერებიათ გრავიურა (ნატიფი) ქვეყერდოსი, საცა რუსსოა დახატული ახალგაზდებით და ძუძუმწოვარ ბავშვებით გარს შემოხვეული! რამდენჯერ უმღერიათ ჰიმნი 20 ვანდემიერის, რომელიც რუსსოს აღიარებდა როგორც ბრძენთა მაგალითს და კაცობრიობის კეთილის მყოფელს! რუსსოს უყურებდნენ, როგორც მტარვალების მსხვერპლს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარივე გრძნობით იყვნენ აღვსილნი რესპუბლიკის ჯარის კაცები რუსსოსადმი. „ოხ, ჟან-ჟაკ“, — სთქვა ერთმა ვოლონტერმა, — რისთვის არა ხარ მოწმე რევოლუციისა; შენ ყავი მისი წინამორბედი; შენმა ნაწერებმა ჩვენ გაგვანათლეს!“

როგორც მქადაგებელი ახალ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ იდეებისა, რუსსო იყო თეორეტიული წინამორბედი საფრანგეთის დიდ რევოლუციისა, როგორც ყველა გამოჩენილი მწერლები მე-XVIII საუკუნისა; თავისუფლების და თანასწორობის იდეები, რომლების მქადაგებელი რუსსო იყო, თანაგრძნობით მისაღები უნდა ყოფილიყო. ამ ნიადაგზედაც აღმოცენდა დიდი რევოლუცია. მაგრამ მეორეს მხრით რუსსო წინამორბედია რეაქციისა, რომელიც დადგა დასავლეთ ევროპაში რევოლუციის შემდეგ და მთელ მე-XVIII საუკუნეს აემხედრა. როგორც სამართლიანად ამბობს მორლეი, რუსსომ მისცა მიმართალება რევოლუციის პირველ ეპიზოდებს და მისცა აგრეთვე ძალა პირველ ეპიზოდს რესტავრაციისას“.

რუსსოს პირველი ადგილი ეჭირა მე-XVIII საუკუნის მწერალთა შორის თავის ძლიერებისა და მრავალ მხროვანის გავლენით ლიტერატურაზედაც. რევოლუციის დროს რუსსომ შეჰქმნა მჭერ-მეტყველთა ორი სკოლა: ერთი მათგანი სცდილობდა მიეღწია სურათოვან და ფერადოვან მჭერმეტყველებამდე, მეორე კი ცივ, გამსჭვალავ და ბასრ მჭერმეტყველებამდე; პირველის წარმომადგენელია რობესპიერი მეორესი სენტ-ჟუსტი. რობესპიერი დიდის შრომით ჰქმნის მჭერმეტყველობის კეკლუც და ჭრელ პერიოდებს. სენტ-ჟუსტი სიტყვა მოკლეა, მძლავრია, გრძნობიერია და ეპიგრამატიული. რობესპიერი წარმოადგენს მაგალითს ელოიზისას, რომელიც მას ყოველთვის სტოლზე ჰქონდა; ხოლო სენტ-ჟუსტი დიალექტიკას საზოგადოებრივ ხელშეკრულობისას.

რუსსოს მოწაფეებად უნდა ჩაითვალნენ ბერნარდენი დე-სენტ-პიერი, შატობრიანი, ჟორჟ ზანდი და სხვა დიდი მწერლები საფრანგეთისა, თუმცა მათ მასწავლებელს გაუსწრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსსო იყო ლირიკი და მასთან საუკეთესო ლირიკი მე-XVIII საუკუნეში. მან გადასცა თავისს მემკვიდრეებს ნიჭი პირადი აღმაფრენისა. მისის მიხედვით შატობრიანი, m-me დე სტაალი, ლამარტონი, დევინი, ჰიუგო, მიუსსე, მისებრ აღიარებენ და თავიანთ გულის ნადებში ეძებდნენ ამაღელვებელ ეფექტებს. რუსსოა მამა რომანტიზმისა...

გავლენა რუსსოსი არ განისაზღვრება საფრანგეთის ტერიტორიით. დიდი მნიშვნელობა აქვს რუსსოს გერმანიის ისტორიაშიაც. გიოტე, კლინგერი, ლენცი, მიულლერი ჰეინცე რუსსოისტები არიან. რა იქნებოდა გიოტეს ვერტერი რუსსოს უელოიზოთ. შეეძლო თუ არა შილლერს დაეწერა თავისი პირველი დრამები, რომ არ ყოფილიყო „ახალ სოკრატის“ ნაწარმოების ზედ გავლენის ქვეშ, როგორც უმრავლესობა მისი თანამედროვეენი? დიდი გავლენა ჰქონდა რუსსოს აგრეთვე გერმანელ ფილოსოფოსებზე. მართალია, რუსსოს არ შთაუგონებია გერმანელ ფილოსოფოსებისათვის თავისი აზრი ისტორიისა და კაცობრიობის შესახებ, მაგრამ რუსსომ ისინი გახადა რევოლიუციონერებად და დემოკრატებად; ჰეგელმა და შელინგმა 1789 წელს სთქვეს: „სიცოცხლე ჟან-ჟაკს“, და ფიხტე ბოლომდის დარჩა რუსსოს მიმდევარი, როგორც კანტისა.

არა ნაკლები იყო გავლენა რუსსოსი ინგლისშიაც, სადაც არა ერთი გამოჩენილი მწერალი რუსსოს მიმდევარი გახდა. ერთმა მათგანმა სთქვა—„რუსსომ გააცოცხლა ჩემი სული და აამუშავა ჩემში ახალი ძალებიო“.

III

კარგი იქნება აქ მოკლეთ რუსსოს ბიოგრაფია გავითვალისწინოთ. დაიბადა რუსსო 1712 წ. მამა მისი უბრალო ჟენეველი მესაათე იყო. რუსსოს მამას რომანების კითხვა უყვარდა და ეს სიყვარული მამამ შვილს გადასცა. მამა და შვილი გატაცებით კითხულობდნენ აგრეთვე პლუტარხის თხუზულებას, მამა უხსნიდა შვილს წაკითხულს, პატეტიურ სიტყვებს ელაპარაკებოდა და მით უნერგავდა სამშობლოს სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარულს და უვითარებდა მოქალაქობრივ სიმამაცეს. ათის წლის იქნებოდა ჟან-ჟაკი, როცა მამამ მიატოვა და ბედის ამარა დასტოვა. დედა რუსსოს ადრე მოუკვდა. ბევრი უსამართლობა გადიტანა ახალგაზდა რუსსომ და ეს იყო ერთის მხრით მიზეზი იმისა, რომ რუსსო ყოველთვის, ყოველგვარ უსამართლობის გამო, პროტესტს აცხადებდა. მამისაგან დატოვებულმა დაიწყო ხეტიალი, ერთი საქმიდამ მეორეზე გადასვლა. კარგა ხანს იყო შეგირდად მექანდაკესთან; ცუდად მოპყრობამ აიძულა თავის მიენებებია ქანდაკობისათვის და ხელი მოეკიდა სხვა საქმისათვის. რუსსო ამბობს, რომ პატრონების უსინდისოთ მოპყრობამ, გააფუჭეს ეგი, ცრუპენტელად გახადეს, მასთან ერთად ქურდი და საკმაო მშიშარა შეიქმნა.

რუსსო თექვსმეტის წლის იქნებოდა, როცა იძულებული გახდა პატრონისაგან კიდევ გაქცეულიყო და მას აქეთ ნამდვილი მაწანწალა გახდა. ამ დროსვე რუსსოს კათოლიციზმი მიაღებიეს, მაგრამ არავითარი საქმე არ მოუნახეს; მხოლოდ მოსამსახურის ადგილს ჰპოულობდა, მაგრამ ადგილზე ვერ ძლებდა. ყველაფერზე უფრო ამ ასაკში რუსსოს იზიდავდა უსაქმობა ბუნების წიაღში; ძლიერ უყვარდა მარტივი ცხოვრება და დიდი გავლენაც ჰქონდა მასზე იმ კეთილ დამოკიდულებას, რასაც გლეხები იჩენდნენ რუსოსთან, როცა იგი სოფლებში მუდმივ დახეტიალობდა. მე-XVIII საუკუნის მე-ოცდა-ათე წლეებში—რუსსომ სამი წელი დაჰყო ქალბატონ ვარენსთან, რომელმაც გამოჩენილ ფილოსოფოსს თავშესაფარი მისცა. ქალბატონ ვარენსთან ყოფნის დროს რუსსომ ლათინურ ენის და ფილოსოფიის სწავლა დაიწყო. სწორედ ამ დროს ვოლტერმა გამოსცა თავისი თხუზულება „Lettres sur les Anglais". ვოლტერის თხუზულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზდა რუსსოზე. ქ-ნ ვარენს რომ მოშორდა, რუსსომ არა ერთხელ გამოიცვალა პროფესია; იყო მასწავლებლად, მუზიკის სწავლასაც შეუდგა, ვენეციაშიც თავი ამოჰყო, შემდეგ იქავე საფრანგეთის ელჩის მდივნადაც იყო. მაგრამ დიდხანს არ ყოფილა ელჩად, დაბრუნდა პარიზში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც კარგა ხანს დაჰყო. აქ რუსსო გაეცნო ლიტერატურულ წრეებს, მაგრამ ამ წრეებმა მისი იმედი არ გაამართლეს. ამავე დროს რუსსო ტერეზა ლევასსერს დაუახლოვდა; ტერეზა ლევასსერი უბრალო მოსამსახურე ქალი იყო იმ სასტუმროში, საცა რუსსო ჩვეულებრივ სადილობდა. ცხოვრების მეგობრად ამორჩევა გაუვითარებელ ქალისა, რომელთანაც მთელი თავისი დღენი სცხოვრობდა, როგორც ზოგი ბიოგრაფები განმარტავენ, აიხსნება რუსსოს ზიზღით მეცნიერულ განათლებისადმი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტერეზასთან ურთიერთობაში რუსსოს არ შეუტანია ის გუმანი და სიანჩხლე, რომლებიც, საზოგადოთ, სხვა ადამიანთან რუსსოს დამოკიდულებას აფუჭებდნენ.

ამგვარი იყო ცხოვრება რუსსოსი, როცა მან დასწერა პირველი თავისი დისერტაცია შემდეგს თემაზე: „ხელს უწყობს თუ არა მეცნიერების და ხელოვნების აღდგენა ზნეობის დახვეწას?“ რამდენიმე წლის შემდეგ რუსსომ დასწერა თხზულება, საკონკურსო თემა: თუ რამ წარმოშვა უთანასწორობა. ამ ორი თხზულების გამოქვეყნებიდამ იწყება ლიტერატურული მოღვაწეობა რუსსოსი. პირველი დისერტაცია გამოვიდა 1750 წ., მეორე 1754 წ.; „ახალი ელოიზა“ დაისტამბა 1761 წ. და 1762 წ.—„ემილი“ და „საზოგადოებრივი ხელშეკრულობა“.

ამ წლებში რუსსო იყო ერთი წარჩინებულთაგანი და კარგი ადგილიც ეჭირა, ასე რომ მატერიალურად უზრუნველ ყოფილი იყო; მაგრამ საერო საზოგადოებას მაინც ვერ შეურიგდა. ამას არც ცდილობდა რუსსო; პირიქით ბაიყუშობას და ცინიკობას ეწეოდა, რომ რამე ფერად ეწყენინებინა საზოგადოებისათვის. რასაკვირველია ამგვარი ცხოვრება არ იყო მისთვის ადვილი ასატანი და იმას ფიქრობდა, რომ რამე ფერად ჟენევაში გადასახლებულიყო და ამისათვის ცდილობდა დაებრუნებინა უფლებები ჟენევის რესპულიკის მოქალაქისა კათოლიკე სარწმუნოების უარყოფით და პროტესტანტიზმის მიღებით. რუსსო პარიზიდამ გავიდა, მაგრამ ჟენევაში კი არ დასახლდა, არამედ მონმორსის ახლო, სოფლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერმიტაჟში, რომელიც მოუწყო ერთმა პატივცემულმა ქალმა. აქ ჰპოვა მარტოობა და ბუნება, რომელიც ძრიელ უყვარდა. მაგრამ რუსსო მალე წაეკიდა ერმიტაჟის პატრონს და იქვე მონმორანსში იქირავა ბინა. როცა „ემილი“ გამოსცა, პარიზის პარლამენტმა ბრძანება გასცა თხზულება დაეწვათ და თვით ავტორი დაეჭირათ. რუსსო იძულებული იყო შვეიცარიაში გაქცეულიყო, მაგრამ ვერც შვეიცარიაში ჰპოვა მშვიდობიანობა.

ჟენევის ქალაქის საბჭომაც გამოსცა ბრძანება „ემილის“ დაწვის შესახებ; გარდა ამისა „საზოგადოებრივი ხელშეკრულებაც“ მიუმატა „ემილს“ და სასტიკი ბრძანება გასცეს პირველ გამოჩენისთანავე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავტორი დაეჭირათ. ბერნის სენატმაც გამოაძევა რუსსო კანტონიდამ და ბოლოს მან თავი შეაფარა ნევშატელის სათავადოში, რომელიც ფრიდრიხ მეორეს ეკუთვნოდა; რუსსო სოფლად დაბინავდა, მაგრამ მალე იძულებული შეიქმნა აქედამაც გასულიყო. მეტი გზა არ იყი, უნდა ინგლისში გამგზავრებულიყო;ინგლისელი გამოჩენილი ფილოსოფოსი დავით იუმი რუსსოს წინადვე ეპატიჟებოდა. 1766 წ. რუსსო უკვე ინგლისშია იუმთან. მალე რუსსო იუმსაც წაეკიდა. ეგონა, ინგლისში მიიტყუეს იგი დასალუპავად; ამის გამო რუსსო ინგლისიდამ საფრანგეთში დაბრუნდა. აქ, ბევრი წვალების და ხეტიალის შემდეგ, ნება მიიღო პარიზში ცხოვრებისა. რვა წელიწადი იცხოვრა რუსსომ პარიზში; დიდს გაჭირებაში იყო უკანასკნელ წლებში, არა გააჩდა რა და ლიტერატურასაც სრულიად ჩამოშორდა; გადაიცვალა უეცრად 1778 წ. უკანასკნელი მისი თხზულება იყო „აღსარება“, რომლის წერაც ინგლისში დაიწყო და სიკვდილის წინ გამოსცა.

აი მოკლე ბიოგრაფია რუსსოსი, ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ რუსსო დიდი ეგოისტი იყო; ზედმეტად უყვარდა თავისი პიროვნება; რუსსოს ერთი საუკეთესო ბიოგრაფი სახელდობრ შიუკე ასე ახასიათებს მას: მხდალი და გულჩვილი, თავხედი და ლიზღი, ზოზინა და თანვე თავ-აღებული, საზოგადოების საბრძოლველად გამომწვევი, მისივე გამკიცხავი, თავისივე ლიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურული მოღვაწეობის სახელის და დიდების შემაჩვენებელი, ხოლო მასთანვე მოსურნე გადიდების სახელის შენარჩუნებისა, მარტოობის მაძიებელი, მწყურვალი მსოფლიო სახელის მოხვეჭისა, ყურადღების უარმყოფელი და უიმისობით შეწუხებული, განმკიცხველი დიდკაცობისა და მუდმივ მათში მყოფი, მადიდებელი თავისუფალი არსებობისა და ყოველთვის სტუმრად მოსიარულე, ქოხის მონატრე, ციხე დარბაზის მცხოვრები, მოახლე ქალთან შეუღლებელი, „უმაღლესი“ წრის ქალთან მიჯნური, მქადაგებელი ჯალაბ—ოჯახის ბედნიერებისა და მასთან უარ-მყოფელი მამობრივი ვალის ასრულებისა; სხვისი შვილების დამყვავებელი, თავის შვილთა კი ალმზრდელ სახლებში გამსტუმრებელი, ციური გრძნობის — მეგობრობისა მუდმივი მოსურნე, თვით ყოველთვის უმეგობრო, ადვილად ამყოლი და იმავე წუთში უკუქცეული, თავდაპირველად ბუნება ზიარი და ერთგული, მერმე ეჭვიანი და ფიცხი — აი როგორია რუსსო.“ და ამგვარი ადამიანი შეიქმნა მჭვერმეტყველ მქადაგებლად კაცობრიობის სიყვარულისა!

IV

რაციონალიზმის ე. ი. ადამიანის გონების ბატონობის საუკუნეს დასაწყისად ჰქონდა ფორმულა გამოჩენილი ფილოსოფოსის დეკარტისა: **cogito, ergo sum** (ვფიქრობ, მაშასადამე ვარსებობ); აზროვნებაში, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, თავის თავის შეგნებაში, ფიქრის საშუალებით, დეკარტმა აღმოაჩინა საფუძველი სიცოცხლისა, საბუთი მისი სინამდვილისა, მისი დედა-აზრი. რუსსო უარჰყოფს რაციონალიზმს; იგია — ადამინი სულიერ ემოციებისა; ამისათვის პირველ ადგილზე რუსსო გრძნობას აყენებს. ამიტომაც ამბობენ, რომ რუსსოდან იწყება გრძნობის საუკუნე. **Exister pour nous — c'est sentir** (არსებობა ჩვენთვის გრძნობაა) — იძახის ხმა მაღლა რუსსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის არსება და მისი დედა აზრი გრძნობაა, რუსსოს შეხედულებით. „უფრო ადრე ვგრძნობთ, ვიდრე ვიაზრებთ. ასეთია საერთო ხვედრი კაცობრიობისა. ეს სხვებზე უფრო ძლიერ მე გამომიცდია“. გრძნობა, რუსსოს აზრით, არათუ წინაუძღვის გონებას, არამედ კიდეც მძლავრობს მას: „თუ გონება ადამიანის ძირითად თვისებას შეადგენს, სამაგიეროთ გრძნობა მისი ხელმძღვანელია... თუ პირველი ნაპერწკალი ჭკუისა თვალთ გვიბნელებს და ჩვენი თვალის ჩინს საგნებს უმახინჯებს, შემდეგ კი გონების შუქი იმ საგნებს გვანახვებს ისე, როგორიც თავიდანვე ჩვენთვის ბუნებას უჩვენებია. ამიტომ დავჯერდეთ პირველ გრძნობას“. — „სიცოცხლის აზრის შეცვლის თანავე ამბობს გერიე, წუთი სოფლისა და ადამიანის დაფასება იცვლება. „რაციონალისტი ქვეყანასა და ბუნებაში ჰპოებს მხოლოდ გონივრულ კანონთა მოქმედებას, შესწავლის და შეგნების ღირს დიდ მექანიზმსა. გრძნობა კი ეჩვევა ბუნების ტრფობას, მის შეტკბობას, მის თაყვანის ცემას. რაციონალიზმი **ადამიანში** ყველაფერზე უფრო მაღლა აყენებს გონების ძალასა და უპირატესობას აძლევს მას, ვინც ჰპატრონობს ამ ძალასა; რუსსო აღიარებს, „უკეთესი ადამიანი იგია, ვინც სხვაზე უკეთ და უფრო ძლიერ გრძნობსო“. რაციონალისტი სიქველის წყაროდ გონებას სახავს. რუსსო ამბობს, იგი მიაწევს ზნეობრივ სრულ ყოფას, ვისაც დაიმორჩილებს აღტაცებით განცვიფრება სიქველის წინაშეო. რაციონალიზმი ჰხედავს საზოგადოების უმთ-ვრესს მიზანს გონების განვითარებაში, მის განათლებაში; გრძნობა ეძებს ბედნიერებას, მაგრამ გულს მალე დააჯერებს, რომ ბედნიერება ნაკლებადაა და რომ მისი პოვნა ძნელია ამ ქვეყანაში. რაციონალისტს, რომელიც მოწიწებით შეჰყურებს მის აღმოჩენილ გონივრულ კანონებსა, ეს ქვეყანა ჰგონია ქვეყნებს შორის საუკეთესო. რუსსო ჰპოულობს ქვეყანაში ტანჯვასა. ტანჯვა ძირითად ნოტად გადაქცევია ადამიანის სიცოცხლესა; ტანჯვა — პირველი გაკვეთილია სიცოცხლისა, რომელიც ჭკუას ასწავლის ყმაწვილსა; ტანჯვა შინაარსია კაცობრიობის ისტორიისა. ასეთ ტანჯვის ალღოს, ასეთ დაავადებულ ხმის ყოფას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისადმი ეწოდება გულ შემატკივრობა. ამ სიტყვებშია გამოცანა რუსსოს ძლიერებისა და მისი საისტორიო მნიშვნელობისა. როგორც ახალ მოვლენილმა ბუდდამ, მან გადააქცია ტანჯვა და გულ შემატკივრობა მსოფლიო საკითხად და კულტურის მოძრაობას სულ სხვა მიმართულება მისცა". „გულშემატკივრობა — ამბობს რუსსო — არა თუ წინ უძღვის გონებასა და ყოველ აზროვნებას, არამედ გონების განვითარება ასუსტებს გულშემატკივრობას და კიდეც შეუძლია მისი მოსპობა". „გულშემატკივრობას საფუძველადა აქვს ერთნაირი ნიჭი, რომელიც ადამიანს მიაჩნევინებს სხვის ტანჯვას თავის საკუთარ ტანჯვად, მაგრამ ეს ნიჭი, ბუნებრივ მდგომარეობაში ძლიერი, თანდათან ვიწროვდება, რამდენიც ადამიანს გონება ეხსნება, იმდენად აზროვნების ნიჭი უვითარდება... გონება ჰბადებს თავისი თავის სიყვარულს და ამ სიყვარულს აზროვნება ამტკიცებს, ადამიანს გონება აშორებს ყველაფერს, რაც მას აწუხებს და ანაღვლიანებს; ფილოსოფია განამარტოებს ადამიანსა; ფილოსოფიის ზედ გავლენით ადამიანი ჩურჩულით ამბობს, როცა უყურებს ტანჯულსა: „დაიღუპე, როგორც გერჩიოს, მე კი არა მიშავს რაო". — გრძნობა რუსსომ სიცოცხლის უმაღლეს წესად აღიარა და ამგვარი გრძნობა რუსსოსთვის თაყვანსაცემია და დასაწყისია გრძნობიერებისა — სენტიმენტალობისა.—

არ შეგვიძლია აქ არ მიუთითოთ ერთ საინტერესო და საგულისხმო მოვლენას. მე-XVIII საუკუნის ფილოსოფიის ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია კულტურული ოპტიმიზმი, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა იდეა პროგრესისა: ოქროს საუკუნე მომავალშია და კაცობრიობა, რომელსაც ხელმძღვანელობს განათლება, ეწაფება ამ ოქროს საუკუნეს. რუსსო კი ქადაგებდა: ოქროს საუკუნე წარსულშია, პირველ-ყოფილ ბუნებრივ მდგომარეობაში. ძირითადი აზრი მთელი მისი ფილოსოფიისა იყო დაბრუნება ბუნებრივის მდგომარეობისადმი, როცა ადამიანი ყოფილა გულუბრყვილო და უმანკო. ამ დაბრუნების სახელით რუსსომ გამოუცხადა ომი გონებას და მის მაგიერ გრძნობა დაამყარა, რუსსომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადებით ფილოსოფიურ აზროვნებას, რომლის წარმომადგენლები იყვნენ უმეტესობა მე-XVIII საუკუნის მწერლებისა, გრძნობიერება ანაცვალა.

ამ გარემოებით აიხსნება, რომ რუსსო პოლიტიკური რევოლუციონერი იყო და იმ დროსვე კულტურული რეაქციონერი. ამ მოკლე სტატიაში შეუძლებელია, რასაკვირველია, რუსსოს ფილოსოფიის და მოძღვრების დახასიათება. აქ მხოლოდ მოკლედ და ნათლად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ჩვენთვის, გავარკვევთ რუსსოს პოლიტიკურ იდეალს. და თუ გაკვრით მის ფილოსოფიას შევეხეთ, ეს მხოლოდ მისთვის, რომ ჩვენი საგანი უფრო გასაგები ყოფილიყო.

V

რუსსომ არა ერთი პოლიტიკური თხზულება დასწერა; მათ შორის უმთავრესი და უფრო შესანიშნავი ადგილი „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“ უკავია. საზოგადოებრივი ხელშეკრულება — Contrat social — მომავალი დემოკრატიის კოდექსია, ანუ კანონ-დება. ეს პოლიტიკური ტრაქტატი ზედ-მეტად საჭიროა მე-XVIII საუკუნის ფილოსოფიის დამახასიათებელ თვისებათა გასაგებად, ვინაიდგან იგი ნათლად გამომხატველია რაციონალურ და აბსტრაქტიულ დამოკიდულებისა საზოგადოებისადმი; მეორეს მხრით საზოგადოებრივ ხელშეკრულებამ დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის საზოგადოების აღზრდაზე: იდეები, რომელიც გატარებულია რუსსოს თსუზულებაში, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის პრინციპებად გადაიქცნენ.

საზოგადოებრივი ხელშეკრულება რუსსოსი იწყება შემდეგი სიტყვებით: „ადამიანი თავისუფალი იბადება ღა ყველგან კი შებორკილია“. ეჭვს გარეშეა იბადება საკითხი: როგორ მოხდა ეს? როგორ უნდა აიხსნას ეს წინააღმდეგობა? როგორ წარმოიშვა თანამედროვე ადამიანის დამმონებელი საზოგადოება ბუნებრივ მდგომარეობისაგან? მაგრამ ეს საკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხი რუსსოს არ აინტერესებს: „მე არ ვიციო“—ამბობს იგი. „ჩემთვის საჭიროა მხოლოდ გამორკვევა იმისა, თუ როგორ შევჰქმნა უსამართლობისაგან წარმოშობილი საზოგადოება კანონიერად (légitime).“ „საზოგადოებრივი წესი—განაგრძობს რუსსო—ბუნებისაგან მოცემული არ არის, მაშასადამე, ის დამყარებულია შეთანხმებაზე (conventions); აი ამიტომაც მთელი საკითხი იმის შეგნებასა და გამორკვევაში მდგომარეობას, თუ რა არის ეს ხელშეკრულება“.

საზოგადოებრივი წესი წმინდა უფლებაა, მაგრამ იგი შეიცავს თავისუფალის პიროვნების დამორჩილებას; ორ დასაწყისთაგან პირველი—თავისუფლება—ბუნებისგან მონიჭებულია, მეორე—დამორჩილება—ხელოვნურად შეთანხმების საქმეა. ერთიც და მეორეც აუცილებელია და შესაძლებელი, მხოლოდ „საზოგადოებრივის ხელშეკრულებით“, როგორც აღნიშნავს რუსსო.

სახელმწიფო არის კავშირი მისი წევრებისა. საიდან მომდინარეობს ეს კავშირი? იმ მოვალეობისაგან, — ამბობს რუსსო,—რომელიც მათ აერთებს. რაგვარია საფუძველი ამ მოვალეობისა? არის თუ არა ეს უფლება უფრო ძლიერისა? მაგრამ ფიზიკური ძალა, სიდიადე არ ჰქმნის სიმართლეს და, სინიდისს ქვეშ რომ ვსთქვა, მე არა ვარ ვალდებული ჩემი ჭისა ავაზაკს მივსცე, რომელიც უეცრივ სადმე ტყიდამ თავს დამეხსმება და თავისს დამბაჩას დამიმიზნებს, არის თუ არა ეს ღვთიური უფლება? მაგრამ ნუ თუ ღმერთს სურს რომ ამჯობინონ ერთი რომელიმე მმართველობა მეორეს; და ემორჩილებოდნენ ჟაკს უფრო, ვიდრე გილიომს? არის თუ არა ეს უფლება მამისა? მაგრამ ბავშვი, როგორც კი წამოიზდება, დავაჟკაცდება და გონიერი შეიქმნება, გახდება ერთად ერთი მსაჯული ყველა იმისა, რაც მისს დაცვას ხელს უწყობს.

არის თუ არა ეს უფლება მონობისა? მაგრამ თავისუფლების დაკარგვაზე უარესი სისულელე არა არის რა, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ სიმშვიდე მოგვენიჭება... შეთანხმება არის საფუძველი ყოველ კანონიერ უფლებისა და ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძირკველი მოქალაქეობრივ საზოგადოებისა—ეს არის „ხელ-შეკრულება“. ეს ხელშეკრულება, რუსსოს აზრით, ჰქმნის იმ-გვარ შეთანხმებულ კავშირს (association), რომელიც თავი-სი საერთო ძალით დაიცავს და დაიფარავს თვითოეულის წევრის (associé) პირადობას და ქონებას და რომლის წყა-ლობითაც თვითოეული, ყველასთან შეერთებული, ემორჩი-ლება მხოლოდ თავის-თავსა და მასთან წინანდებულად თავი-სუფალი რჩება“.

სხვანაირად რომ ვსთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელ-მწიფოში თვითეული შეინარჩუნებს ბუნებრივ მდგომარეობის მთელ თავისუფლებას. თვითოეული გადასცემს, დაუქვემდე-ბარებს მთელ თავის უფლებას საზოგადოების საერთო ნებას (la volonté génèrale) და ამ გვარად შეჰქმ-ნის მორალურ და კოლლექტიურ სხეულს (corps), რომე-ლიც განისაზღვრება იმოდენ წევრებისაგან, რამოდენიც ხმა აქვს კრებას. ეს პოლიტიკური სხეული სახელმწიფოა, ანუ უზენაესი ხელმწიფე მეფე (le souverain) და ამ სხეულის წევრები საერთოთ ატარებენ ხალხის სახელს; კერძოთ თვითო-ეული კი მოქალაქეა, როგორც მონაწილე სუვერენულ უფლებისა და ქვეშევრდომი, როგორც მორჩილი სახელმწიფო კანონებისა.

უზენაესობა (la souveraineté), ანუ საზოგადო ნება განუ-ყოფელი, დაუსაკუთრებელი, (ე. ი. ვერავის ხელში ვერ გადავა) უცოდველი და ყოველთვის სამართლიანია. ამგვარი დასაბუთება რუსსომ გამოიყენა იმ მოძღვრების საწინააღმდე-გოთ, რომელიც გვასწავლიდა, რომ ხალხმა, დაამყარა თუ არა სახელმწიფო, გადასცა უზენაესი უფლება მმართველობა-საო. იმ აზრთან, რომ უზენაესობა ვერავის ხელში ვერ გადა-ვა, დაკავშირებულია აგრეთვე ყოველი წარმომადგენლობის გაკიცხვაც. ამორჩევა წარმომადგენლობისა, ამბობს რუსსო, — ისეთივე სამარცხვინო საქმეა, როგორც თავის სამაგიეროდ ჯარის კაცის დაქირავება სამშობლოს დასაცავად. ამასაც არ ჰკმაროობს რუსსო: მას სასაცილოდ აუგდია ინგლისი, აკვანი წარმომადგენლობითის მმართვა-გამგეობისა; მისი აზრით ინგლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სელები თავისუფალი არიან მხოლოდ იმ ჟამს, როცა ძალ-
დეპუტატების ამოსარჩევად მოუწოდებენ, ხოლო, ამ უკანასკ-
ნელთა არჩევის შემდეგ, ყმობას ეწევიან... კანონს, თუ კი ის
თვით ხალხის მიერ დამტკიცებული არ არის, ძალა არა აქვს;
ეს არც კანონია...

„უმაღლესი უფლება, რაც გამოსახვაა (exercice)
საზოგადო ნებისა, შეუძლებელია გადაეცეს ვისმე, და ხელ-
მწიფე (ე. ი. მატარებელი ამ უმაღლესის უფლებისა — რუს-
სოს აზრით — მთელი ხალხი), როგორც შემკრებელობითი
არსება (être collectif) შესაძლებელია წარმოდგენილ იქმნეს
მხოლოდ თავის თავად: უფლების გადაცემა კიდევ შეიძლება,
ხოლო ნებისა კი არა“...

უზენაესი უფლება, რუსსოს აზრით, განუყოფელია;
რუსსოს ეს დებულობა უარჰყოფს მე-XVIII საუკუნის იმ
გავრცელებულ თეორიას, რომელიც უზენაეს უფლებას ჰყო-
ფდა კანონმდებელ, აღმასრულებელ და სამსჯავრო უფლებად;
თეორეთიკები, რომელნიც უფლებას ანაწილებდნენ სხვა და
სხვა ორგანოთა შორის, რუსსოს აზრით, მოგვაგონებენ, ია-
პონელ შარლატნებს, რომელნიც სათვალთაქცოდ ყმაწვილს
დასჭრიან ნაკუწ-ნაკუწად და ზევით აისრვიან, რის შემდეგ
ყმაწვილი ისევ საღი დარჩება... ჩვენი პოლიტიკები,—ამბობს
რუსსო,—ჰქმნიან სუვერენიდამ ფანტასტიურ არსებას, რომე-
ლიც ვითომდა შემდგარია სხვა და სხვა ნაჭრებიდამ, ისე
როგორც თითქო ადამიანი შესდგებოდეს მრავალის სხეული-
საგან, რომელთა შორის ერთს მხოლოდ თვალები აქვს, მეო-
რეს ხელები, მესამეს ფეხები და მეტი არაფერი...

„იმავე მიზეზის გამო, რომლის მიხედვით შეუძლებე-
ლია სხვას გადავსცეთ უმაღლესი უფლება, ეს უფლება განუ-
ყოფელია, ვინაიდგან ან საზოგადო არის, ან არა, ე. ი. არის
ნება ან მთელი ხალხისა, ან და მისი ნაწილისა“...

უმაღლესი უფლება, რუსსოს აზრით, უცოდველია,
რუსსოს უმაღლესი უფლების სუბიექტად საზოგადო ნება
(volonté générale) აქვს აღსარებული. „საზოგადო ნება
— ჰფიქრობს რუსსო — ყოველთვის მართალია და მუდამ

ეწაფება საზოგადოებრივ სარგებლობას... ხალხს ყოველთვის ჰსურს თავისთვის სიკეთე; მაგრამ ყოველთვის როდი ჰხედავს მას: არასოდეს არ შეიძლება ხალხის მოყიდვა; მისი გარყვნა არავის არ ძალუძს, მაგრამ შესაძლებელია მისი მოტყუება და მაშინ, გვგონია, ვითომდა მას სურდეს ის, რაც ცუდია."

რუსსოს შესაძლებლად მიაჩნია გამოვიდეს ამ წინალმდეგობიდან დიალექტიკის შემწეობით; რუსსოს მიერ განსაზღვრა და განმარტება „საზოგადოებისა" ბუნდოვანია და არა ცხადი; იმას გაურჩევია საზოგადო ნება (la volonté générale) ყველას ნებისაგან (la volonté de tous), რომელიც შეადგენს კერძო ნებათა ჯამსა და გულში აქვს კერძო ინტერესები. რუსსო გადაჭრით არ გვეუბნება თუ როგორ ჩნდება „საზოგადოება", სადაც სხვა და სხვა კლასები, პარტიები და კერძო ინტერესები არსებობენ, რომლებიც ერთგვარს ნებას არ შეადგენენ. რუსსო ამბობს: თუ მოვაშორეთ ამ სხვა და სხვა ნებას უკიდურესი ნებანი, რომელნიც ბოლოს უღებენ ერთმანეთს — ნაშთად მივიღებთ საზოგადო ნებასა. „დიახ ჩვენ ყველანი ვცდებით, ყველანი ვცოდავთ, მაგრამ ჩვენი შეცდომებისაგან გაუგებარის სახით, მიუწდომელის გზით, თავის თავად იბადება სიმართლე". რომ გაიმარჯვოს საზოგადო ნებამ ყველას ნებაზე, რუსსო მოითხოვს, რომ სახელმწიფოში არ იყვნენ პოლიტიკური პარტიები და სხვა დასები. ხოლო თუ არის, საჭიროა გამრავლდეს მათი რაოდენობა და მით ავიცილოთ უთანასწორობა, როგორც ეს მოახერხეს სოლონმა ათინაში, ნუმამ და სერვიომ რომში...

რაკი ეგრე მაღლა დააყენა ზნეობრივად მეუფე ხალხი და ისეთი განუსაზღვრელი ნდობა გამოუცხადა მას, რუსსოს აღარ შეეძლო რასაკვირელია სიძუნწე გამოეჩინა მისი უფლების საზღვართა დადგენის დროს. მართლა და, იმას გაუჩნია მხოლოდ ერთი შეზღუდვა: მეფე ვერ გაუყრის ქვეშევრდომთ ვერავითარ ბორკილს, საზოგადოებისათვის უსარგებლოს. მაგრამ რადგანაც მხოლოდ თვითონ ხალხს მიენიჭება ამ საქმეში მსაჯულად ყოფა, მაშასადამე პირადობა, ქონება და თავისუფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითოეულის პირისა უმაღლეს უფლებისაგან არის დამოკიდებული.

რუსსო კიდევ უფრო შორს მიდის; „დემოკრიტიული სახელმწიფო მისი,— ამბობს ერთი ისტორიკოსი,— იმდროსვე ნამდვილი ეკლესიაა. სასულიერო და საერო უფლება შეერთებული უნდა იყოს, როგორც ძველ რესპუბლიკებში. სარწმუნოება საჭიროა მისთვის, რათა მოქალაქეებს უყვარდეთ თავიანთი მოვალეობა. ქრისტიანობა არ შეჰფერის ამ მიზანსა, რადგანაც ქრისტიანის სამშობლო არ არის ამ ქვეყნად. სახელმწიფო როდი ჰფიქრობს იმაზე, თუ მოქალაქე გულით რას აღიარებს; სამაგიეროდ კი ცდილობს, მით არ მოიშალოს სახელმწიფოებრივი სარწმუნოება. ვინც არ აღიარებს ამ სახელმწიფოებრივ სარწმუნოებას, იგი განდევნილ უნდა იქმნეს არა თუ როგორც უღვთო, არამედ როგორც ავი მოქალაქე; ვისაც იგი მიუღია და მაინც მის წინააღმდეგ მიდის, სიკვდილის ღირსია მიტომ, რომ უდიდესი დანაშაული მიუძღვის სჯულის წინაშე“.

რუსსომ განსაზღვრა ამ სარწმუნოების დოგმატებიც: რწმენა ღვთისა, საიქიოსი, სადაც მართალნი ჯილდოს მიიღებდნენ, ხოლო ბოროტნი დაისჯებიან, რწმენა სახელმწიფოს სიწმინდისა და სახელმწიფოს კანონებისადმი და ღარჭყოფა შეუგუებლობისა. უკანასკნელი დოგმატი გასტეხა თვითონ რუსსომ, რომელმაც გაუჩინა სიკვდილი სახელმწაფოებრივის სარწმუნოების მგმობელსა. მისი სახელმწიფო ზნეობასა და რწმენას მახვილით მიაღებინებს ადამიანსა.

VI

საზოგადოება მოქმედობს განსაზღვრული კანონების შემწეობით. კანონი საყოველთაო და საერო დეკლარაციაა საზოგადოებისა, რომელსაც საგნად საზოგადო სარგებლობა აქვს; კანონს მთელი თავისი ძალა დაეკარგება და კანონიც არ იქნება, თუ მისი საგანი ყველას არ ეხება. მაგრამ უზენაეს მეუფეს ესაჭიროება განსაკუთრებული მოსაქმე, რომელმაც უნდა მოიყვანოს სისრულეში საზოგადო ნება; ესაჭიროება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე მეორე უფლებაც, რამაც კანონი კერძო აქტად უნ და აქციოს. ეს მეორე უფლება არის მმართველობა, ანუ აღმასრულებელი ორგანო. აქტი, რომელიც მთავრობამ გამოსცა, როდია ხელშეკრულება, როგორც ამას ჰობესი და ლოკკი განმარტავდნენ; მაგრამ ეს აქტი კანონიკია; დამცველები აღმასრულებელ უფლებისა ხალხის მსახურნი არიან და არა მისი ბატონები; ხალხს შეუძლია მათი არჩევაც, გადაყენებაც, თუ კი არ მოსწონს; მათ შეუძლიათ თანამდებობის ასრულების დროს, რაც სახელმწიფომ მათ დააკისრა, მორჩილება და ასრულება მოქალაქობრივ მოვალეობისა. რუსსო ამბობს: მმართველობამ რომ არ ჩაიგდოს ხელში უმაღლესი უფლება და დესპოტიური არ გახდეს, საჭიროა დრო გამოშვებით ხალხი შეიკრიბოს და თავის კრებაზე ორი საკითხი უსათუოთ გადასწყვიტოს: ერთი საკითხია—სურს თუ არა ყოვლად შემძლებელ ხალხს დასტოვოს არსებული ფორმა მმართველობისა, მეორე—სურს თუ არა ხალხს აღმასრულებელი უფლება დაუტოვოს ხელში იმათ, ვისაც ამ მომენტში აქვს.

რუსსოს ამ გვარ აზრს და დებულებას შეაქვს სახელმწიფო ცხოვრებაში ანარქიის დასაწყისი და ამისათვის ამბობენ, რომ რუსსოს თეორია სახელმწიფოს თეორია კი არ არის, არამედ რევოლიუციისა.

მმართებლობა სამგვარი სახისაა: მონარქია, არისტოკრატია და დემოკრატია. მისი ძირითადი პრინციპი განისაზღვრება მისივე წევრთა რიცხვით. რამდენადაც ეს რიცხვი ნაკლებია ან მეტი, იმდენადაც მმართებლობა ძლიერია, ანუ სუსტი. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რომელი მმართველობაა უკეთესი? ეჭვს გარეშეა, ართც ერთს მმართველობას არ აქვს უმეტესი ძალა; ყველა მოსამართი მავთული ერთი და იმავე ხელშია, ყველაფერი ერთი და იმავე მიზნისაკენ მიდის. მაგრამ საკითხი ის არის, ეს მიზანი საზოგადო ბედნიერებისაკენ მიიმართება თუ არა? მეფეებს ჰსურთ ხელშეუვალნი იყვნენ; მათ არ უნდათ, რომ ხალხმა წინაღმდეგობა გაუწიოს; ისინი დიდს თანამდებობის ადგილებს მხოლოდ გაიძვერებს და ცბიერებს აძლევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჯობინებენ და ამოირჩევენ თუ არა დემოკრატიას? რამდენი რამეა შესაერთებელი ამგვარ მმართველობის დროს: ძრიელ პატარა ტერიტორია, სადაც ხალხს ადვილად თავი მოუყრია და სადაც თვითოეული მოქალაქე სუყველას იცნობს, ზნეთა სიწრფოება, თანასწორობა ხარისხისა და ქონებისა, ცოტა განცხრომა ან სულ არა! გარდა ამისა საზოგადოებრივი ომები, — შინაგანი არეულება, რომელნიც აუცილებელია. „რომ იქნებოდეს ხალხი ღმერთებისა, დემოკრატიულად მოეწყობოდა მმართველობა. ამგვარი სრული მმართებლობა არ შეეხამება ადამიანს“.

დარჩა არისტოკრატია. ბუნებრივი არისტოკრატია კუთვნილებაა მდაბიო ხალხებისა. ჩამომავლობითი არისტოკრატია ყველაზე უფრო უარესია. არჩევითი არისტოკრატია იქნება საუკეთესო მმართველობა; ის შესდგება უფრო გონიერებისაგან; ყოველთვის ხომ მდიდრები არ იქნებიან პატივსაცემი, მაგრამ მათ შორის კი საერთოდ აირჩევენ ისეთებს, ვისაც შეუძლია თავიანთი დრო და მოცალეობა შესწიროონ საზოგადო საქმეთა სამსახურს. ეს „პატივცემული სენატორები“ დაიცავენ უფრო კარგად სახელმწიფოს ნდობას (le crédit), ვიდრე „უცნობი და შეურაცხი ხალხის ბრბო“.

რუსსო სწერს საუკეთესო მმართველობის შესახებ, რომ ეს საკითხი გადაწყვეტელია, ან და ისეთია, რომელსაც იმდენი გადაწყვეტილება აქვს, რამდენი კომბინაციაც შეიძლება ექმნეს ხალხთა განუსაზღვრელს და შედარებით მდგომარეობას“. ანგარიში უნდა გავუწიოთ გარემოებათა სიმრავლეს; თვითოეული ფორმა მმართველობისა უწყებულ დროს კარგია, სხვა დროს ცუდია.

ასეთია საფუძველი პოლიტიკური შენობისა, რომელსაც შეიცავს „საზოგადოებრივი ხელშეკრულობის“ პირველი თავები. მაგრამ რუსსოს არ აქვს ნათელი, გადაწყვეტილი სისტემა. მისი იდეები არ წარმოადგენენ ერთ მთელს: ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, ებრძვის. ამტკიცებენ, რომ რუსსომ პირვანდელი რედაქცია ხელშეკრულობისა შესცვალა უხეიროდ; ჰსურდა სოციალურ მეცნიერებაში სპინოზად გამხდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიყო და თავისი თხზულებისათვის მათემატიკურ-სინამ-დვილის ხასიათი მიეცა. მკითხველს მხოლოდ უკანასკნელი ტექსტი აქვს და ნახულობს ბნელ ადგილებს და აზრთა წინააღმდეგობას. რუსსომ თვითონა სთქვა გულახდილად: „ისინი, ვინც ტრაბახობენ, რომ „ხელშეკრულობა“ სავსებით გაიგეს“ უფრო ნიჭიერნი არიან, ვიდრე მეო“. „რუსსოს, — ამბობს გერიე — როცა საზოგადოებაში შეჰყავს ბუნებრივი ადამიანი თავისუფლების შესანახად, იმდროსვე თავისუფლებას მთლად მიაცემინებს მსხვერპლად საზოგადოებრივი კავშირისთვის და სახელმწიფოს შეჰქმნის აუცილებელი უფლებით მოქალაქეებზე, რომელნიც მიიღებენ მხოლოდ თანასწორ ხვედრსა საერთო უფლებაში. რუსსო ზრუნავდა დემოკრატიის დესპოტიზმის სასარგებლოდ და სრულიადაც არ ჰფიქრობს ახსნას საზოგადოებრივი ხელშეკრულობის საშუალებით სახელმწიფოს წარმოდგომა. იმას ჰსწადია მხოლოდ ახსნას წარმოდგომა უფლებრივის სახელმწიფოსი. რუსსო განმარტებს, რომ ჩვეულებრივი ახსნა სახელმწიფოს წარმოდგომისა ოჯახობრივ ყოფის, თუ დაპყრობისაგან, ამ მიზნისათვის გამოუსადეგია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებრივ ხელშეკრულობაზე დაფუძნებელი უფლებრივი სახელმწიფო რუსსოსი სრულიად არაა სახელმწიფო. მისი მოსაზრებული საზოგადოებრივი ხელშეკრულობა, ხელშეკრულობა კი არა, ფიქცია (სიყალბე) არის. რუსსოს სახელმწიფო ხანდახან გადიქცევა „ბუნებრივ მდგომარეობად“, გახდება ანარქიად, მუდმივ შიშში აგდებს თვითონ საზოგადოებრივის ხელშეკრულობის არსებობასა. თავის თხზულების ბოლოს რუსსო ტყვილად ჰსცდილობს იმ ტეზისის გარკვევს, რომ საზოგადოებრივ ნება დაურღვეველია. თუ ხალხს არ ძალუძს დაამყაროს შეთანხმება მმართებლობის ფორმის შესახებ, მაშ რისიღა მაქნისია საზოგადოებრივი ხელშეკრულობა?

რუსსოს თეორიის მთელი არსება საზოგადო ნების ცნებას წარმოადგენს. საზოგადო ნება ჯამია თვითოეულის მოქალაქის ნებისა (დედაკაცები, ბავშვები და შეშლილები სათვალავში არ ჩაიგდებიან). პირობა ასეთი საზოგადო ნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობისა არის ერთსულობა; ნამდვილად კი ეს პირობა არ არის.

ამ სიძნელის თავიდან ასაცილებლად რუსსო მიჰმართავს სოფიზმს: „როცა — იტყვის — საერო ყრილობაში კანონია დასადგენი, იმას კი არ ჰკითხვენ მოქალაქეებს, მოსწონთ წინადადება თუ უარს ჰყოფენ, არამედ იმას, ეთანხმება წინადადება თუ არა საზოგადო ნებას, რომელიც მათი ნებაც არის. თვითოეული, როცა ხმას აძლევს, აზრსაც გამოთქვამს, თუ როგორია და ხმების ჩამოტარება ცხადსა ჰყოფს საზოგადო ნებასა“. ამ თვალით ყოველივე, რაც ესიამოვნება შემთხვევით უმეტესობას, ანუ მოქალაქეთა ნაწილსა, რომელიც უმეტესობად გადაქცეულა, გახდება სიმართლედ, კანონად. მაგრამ ეს როდიდა იქნება რუსსოს უფლებრივი სახელმწიფო, სადაც ყოველი, ვინც თავის თავს მთლად საზოგადოებას მისცემს, უკანვე მიიღებს სამაგიეროს მისას, რაც მიუცია. ბოლოსაც რუსსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულობა“ სრულიად არაა ხელშეკრულობა. ხელშეკრულობა იგულისხმებს ნების მოქმედებას ხელშეკრულთა მხრივ. რუსსოს არსად დაუდგენია არსებობა ფაქტიურის ხელშეკრულობისა; იგია მხოლოდ იურიდიული ფიქციაა. მაგრამ ფიქციისაგან ჯერ არავის არაოდეს არ გამოუყვანია ასეთი აუცილებელი უფლება.

რუსსოს საზოგადოებრივი ხელშეკრულობა როდი იზღუდება ჩვენ მიერ განმარტებული პოლიტიკური წყობილობის სჭეშმით; თუ წავიკითხავთ რუსსოს ნაღვაწის შემდეგ ნაწილებსა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსსო სკეპტიკურად უყურებს არა თუ გამგე დემოკრატიას, არამედ კანონმდებელსაც. ყველაზედ უფრო სასწაულსა და სასწაულისადმი რწმენას თხოულობს რუსსო თხზულების იმ ნაწილში, რომელიც კანონმდებელს ეხება. „კანონმდებელი — არა ჩვეულებრივი კაცია სახელმწიფოში. მას მმართებს ყველა ინდივიდთა ბუნებრივ ძალების ჯამისაგან შექმნას გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე თვითონ ის ჯამია. მის საქმეში შეერთებულა ორი, თითქოს, მოუთავსებელი მოვლენა, გარემოება: საქმე, რომელიც აღემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტება კაცის ძალებსა და მის შესასრულებლად ავტორიტეტი, რომელიც არსებითად არაფერია: მისი მოქმედება შეიძლება მხოლოდ ზნეობრივი იყვეს, წინაამდეგ შემთხვევაში იგი შეიქმნება თვითნებობის წყაროდ. რომ ხალხმა იგრძნოს გონიერი წესების პოლიტიკის ძალა და გაჰყვეს სახელმწიფო გონების ძირითად მოთხოვნილებებს, საჭიროა, რომ შედეგი გადაიქცეს მიზეზად, რომ საერთო სულმა, რომელიც უნდა შეჰქმნას დაწესებულებამ, განაგოს და მიმდინარეობა მისცეს დაწესებულებას, რომ ადამიანი კანონებზე უფრო ადრე გახდეს იმათ, რაც ის უნდა იქმნეს კანონების შემწეობით.

ამგვარად კანონმდებელი, რომელსაც არ შეუძლია არც ძალას მიმართოს, არც მსჯელობას, როგორც საზოგადოდ ხალხის მოთავენი ყოველ დროში, მიმართავს თვით ცის, ე. ი. სარწმუნოების ჩარევის იდეას და უმაღლესი წესის ავტორიტეტს.

ღმერთები საჭიროაო, რუსსო ამბობს, რომ კანონი განუწესდეს ხალხსაო“.

VII

დემოკრატიული სულის კვეთება რუსსოს მოძღვრებაში და მისი სარწმუნოებრივი მიმართულება დაკავშირებულია მკვეთრ სოციალ კრიტიკასთან. თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილობა რუსსოს ეგონა თავით ბოლომდე ურიგო და დაავადებული. უდიდესი ბოროტება ამდროის კულტურისა — უთანასწორობაა. ეხლა იგი მისულა უკიდურეს ხარისხამდე მიტომ, რომ ცხადად დაგმობილა კანონი ბუნებისა, როცა ვხედავთ, რომ ბავშვი ბერი-კაცის მბრძანებელია, რეგვენი წინ უძღვის ბრძენსა და ერთი მუჭა ხალხი — დოვლათით გულ სავსეა, მაშინ, როცა მშიერთა მასსა გაჭირვებულია“.

„პირველია, რუსსო ამბობს — პირველი, ვინც პაწია ადგილი შემოლობა, მოიგონა მისი დაჩემება და ისეთი ბრიყვებიც გამონახა, რომ დაუჯერესო, ნამდვილი დამფუძნებელი იყო მოქალაქობრივ საზოგადოებისა. რამდენ გაჭირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, რამდენ დანაშაულს, რამდენ ომს, რამდენ კაცი-კვლას და საშინელებას გადაარჩენდა კაცთა გვარსა ის, ვინც მესერის მოშლით და თხრილის ამოვსებით შესძახებდა ხალხსა: უფრთხილდით ამ მატყუარას ყურის გდებასა! დაიღუპებით, რაკი დაგავიწყდებათ, რომ ნაყოფი ყველას ეკუთვნის და მიწა კი არავისო“.

„ამდროის კულტურა, აგებული ნამეტნაობასა და განცხრომაზე, მთლად გაუკუღმართებულია“ — ამბობს რუსსოფული, რომელიც მდიდრების ხელში ტრიალებს, დაკარგულია გლეხ-კაცობის არსებობისათვის და მას ტანისამოსი არ მოეძებნება სწორედ იმიტომ, რომ სხვებს ოქრომკედი მოსურვებია“.

როგორღა შეიძლება გადაქმა-გამოკეთება საზოგადოებისა? რუსსო მიჰმართავს ჩვეულებრივ სოციალ-მეცნიერულ ოპერაციას, მიმართავს ბუნებრივის მდგომარეობის ფიქციას. ადამიანის ბუნება ძლიერ გამოცვლილა: მისი საფუძველი რომ განვსაზღვროთ, საჭიროა წარმოვიდგინოთ „მდგომარეობა, რომელიც აღარ არის, რომელიც შეიძლება არასოდეს არ ყოფილა და რომელიც, უეჭველია, არასოდეს არ იქმნება“, მაგრამ ეს გვჭირია, რომ წესიერად განხილვა შეგვეძლოს ამ დროის მდგომარეობისა... როდესაც რუსსო შეუდგება ხოლმე ბუნებრივის მდგომარეობის გამოხატვასა, ის წარმოგვიდგენს საისტორიო სურათს; გვიხატავს შორეულ წარსულს, პირვანდელ ოქროს საუკუნეს, და უცოდველ ბედნიერ ჩვენ წინაპრებსა. გატაცებული მოგვითხრობს მათ ცხოვრებას. უმეცრება იფარავს იმათ ბიწიერებისაგან და მათთვის კანონისა და ძალ-დატანების მაგიერობასა ჰსწევს. მათ შორის ბრძოლა არაა და ეს მიტომ, რომ არაა გაჭირვება; გაჭირვება კი არაა, მისთვის რომ არა ჰსჭირიათ კავშირი რამე, ხოლო ცხოვრებენ ერთმანერთის გვერდით ისე, როგორც ხეები ტყეში, უჩხუბრად და დაუახლოებლად. ნაზი ქმნილებანი არიან, გულ უვნებელნი, ადვილად დასაკმაყოფილებელნი, მარდნი და მარჯვენი, თავისუფალნი, თავისუფლების შეუგნებელად, როგორც თავისუფალია მათ გარემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნჯი ბუნება და მხეცები, რომელნიც მათ არ ერჩიან; თვითონ იგინი ამ ბუნების ნაწილს წარმოადგენენ: რუსსო რამდენი შორს იწევს, იმდენი უფრო და უფრო შორდება „საზოგადოდ ადამიანსა“, უახლოვდება, ვინიცის როდინდელ ადამიანს“ და თავს ეხხმის ამ დროის ადამიანს და ამ დროის წესწყობილებას მისთვის, რომ ადამიანს დაჰკარგვია უმანკო სახე და დაჟინებით თხოულობს დაბრუნებას ძველი დროებისადმი, რომელიც გამქრალა. „შენ ეძებ ადამიანს,—ამბობს იგი—შენის ისტორიის ჰასაკსა, რომელზედაც გწადია შენი გვარის შეყენებაო. უმადურს ახლანდელ მდგომარეობის იმ მიზეზის გამო, რომელიც უქადის შენს უბედურ შთამომავლობას კიდევ უფრო დიდ სივაგლახეს, ეგებ მოგეწადინებია ძალა გქონოდა უკან დაწევისაო?“

ნუ თუ ეს ნიშნავს, რომ კულტურა მარტო ოდენ ბოროტებაა და მისი უარის თქმა, გამარტივება, შესაძლებელია? რუსსო ვერ ჰბედავს ამგვარ პასუხის გებას. რაც იყო, ალარ იქმნება. უკულტურობა სანატრელი ბავშვობაა, ხოლო კულტურა აუცილებელი სიბერე. როგორც ბავშვობაა დაუბრუნებელი, როგორც შეუძლებელია ბერიკაცის გაახალგაზდება, ისე ჩვენ დროინდელი ადამიანისაგან შეუძლებელია შევქმნათ პირველ-ყოფილი ადამიანი ბუნებისა. რადგანაც ძირითადი ნასახი თანამედროვე ხანისა, თუ კი გვინდა გავარჩიოთ იგი პირველ-ყოფილ ცხოვრებაში, არის საზოგადოებრიობა, ამიტომ რუსსო ამბობს: „საზოგადოება ისევე ჩვეულია კაცთა გვარს, როგორც სიძაბუნე კერძო პირსაო. ხელოვნება, კანონები, მმართველობა საჭიროა ხალხებისთვის ისევე, როგორც ბერიკაცებისთვის ყავარჯენიო“.

რუსსო შემდეგ გვიჩვენებს, რომ ბუნებას თვითონ დაუბადებია კაცნი ფიზიკურად თანასწორნი, მაგრამ ერთმანერთში გაურჩევია ნიჭითა; იმიტომაც თვითონვე ჩაუნერგია მათთვის ინდი-ვიდუალობა, თვისება მტაცებლობისა და ბატონობისა; აქედან აუცილებლად უნდა განვითარებულიყო გულის თქმა და შეხლა ერთმანეთთან, გემოვნება და გუნება, აღმოჩენა და სრულ ყოფა რისამე; საერთო რყევისაგან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბადა ბოლოსაც აუცილებლობა იძულებულის საზოგადოებრივის კავშირისა.—

ცხადია, განმარტავს ერთი ისტორიკოსი, რაღაც ამ შედარებაში ურიგოა, ან სიტყვა მოუჭრელი. ადამიანის სიბერეს მოსდევს სიკვდილი, ხოლო საღ არის სიკვდილი საზოგადოებისა?

რუსსო ერთმანერთს ადარებს საზოგადოებათა სხვა და სხვა ფორმებს, ბუმბერაზ სახელმწიფოებს და ჯუჯა-სახელმწიფოებს, დედა ქალაქებს, სადაც ჯოჯოხეთური ღრიანცელია, სერვიული ცვალებადობა გრძნობიერებისა და სიამოვნებისა, გასაოცარი პირდაპირობა სიმდიდრისა და სიღარიბისა, ხოლო მეორის მხრით თითქოს მიძინებულ სოფლის ცხოვრებას და მდაბიო ხალხს პატარა ქალაქებისას; და იმ აზრს ადგება, რომ საზოგადოება განვითარების არა ერთნაირ ხანშია და არა ყოველ ხანში ერთნაირ განვითარებაზე დგასო. მოსდგომია და აუღია ისეთი ნასახები და ფორმები, რომელიც უახლოვდება იდეალ ბავშობას, და მოუწადინებია მათი დაცვა. არიან საზოგადოებანი, რომელნიც კიდევ ცოტათი კმაყოფილნი არიან, და აი სად უნდა მოიქცეს ფრთხილად ადამიანი; საჭიროა ამას მოვარიდოთ ყოველი საცდური და ნორჩი ცხოვრება, მყუდრო ბედნიერება, გულუბრიყვილო სიქველე დიდხანს გაატანს. სიბერე თავისით მოვა, რაა საშური?

საინტერესოა სიტყვები, რომელსაც რუსსო წარმოათქმევინებს კულტურის დამცველებს და მომხრეებს: ოხ, ბედნიერებავ, რომელიც თქვენ, მოხუცთა გარშემო თავს უყრის იმდენ ხელოვან, წამლით აღჭურვილთ მეაფთექეებს... იმდენ ნასწავლ ექიმთა, რომელთაც კარგად შეუტყვიათ თქვენი მაჯის ცემა, რომელთაც შეუძლიათ ბერძნულად დაასახელონ ყველა თქვენი რევრატიზმები, აგრეთვე იმდენ გულითად მანუგეშებელს და ერთგულ მემკვიდრეებს, რომელნიც წინაგიძღვიან უკანასკნელ ჟამამდე! რამდენი ღონის ძიება შემწეობისა დაიკარგებოდა, რომ თქვენ არ გამოგეცადნათ ის უბედურება, რომელსაც გამოუწვევია წამლობის საჭიროება“.

რუსსო დამცველია პატრიარხალურ წეს-წყობილებისა, სპარტანულ ზნე ჩვეულებისა, წინაღმდეგია თეატრალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენებისა, განსაკუთრებით ქალების ემანსიპაციისა. რუსსოს სურს ქალები ოჯახში დამალოს. რუსსო აძაგებს დიდ ქალაქებს, კულტურის უკანასკნელ სიტყვას... „დიდი ქალაქი, — გაიძახის რუსსო, — სავსეა ინტრიგანებით და მაწანწალა ხალხით, რომელსაც არ აქვს არც სარწმუნოება, არც პრინციპები, უსაქმურობის გამო, გარყვნილია და მხოლოდ „სიამოვნებას“ ეშურება. დიდ ქალაქში, სადაც ჩვეულება და პატიოსნობა არაფრად არ მიაჩნიათ,.... ადამიანის პიროვნება და მნიშვნელობა მხოლოდ სიმდიდრით განისაზღვრება. ყველაფერი, რაც კი თავისებური, ფაქიზი, წმინდა, მშვენიერი და სასარგებლოა, იმალება დიდ ქალაქების მოშორებით, თემის რომელსამე მყუდრო ადგილს. დიდი ქალაქი მხოლოდ სპობს ადამიანობას. დიდ ქალაქებიდამ მხოლოდ მოაწევს სუნთქვა შავიჭირისა, რომელიც მუსრს ავლებს ხალხს“.

VIII

რუსსოს სწამს, რომ მან იხილა იდეალური ცხოვრება ხალხისა, რომელიც ეგრედ წოდებულ კულტურის მოშორებითა სდგას. რუსსო გვიხატავს მთიულების წვრილ მესაკუთრეთა ცხოვრების სურათს; არაფერი მათ არ აკლიათ, გარდა მიწის მუშაობისა, რომელიც მათ ასაზრდოებს, ამ წვრილ მესაკუთრეებს შეუძლიათ ყოველისფერი თვითონვე გააკეთონ; არასოდეს დურგალი, მეჭურჭლე, ზეინკალი და სხვა ხელოსნობის წარმომადგენლები მათ სოფლებში არ შესულან; შრომის განაწილება არ არსებობს ამ იდეალურ ხალხის ცხოვრებაში; ისინი ყოველისფერს თვითონვე აკეთებენ უბრალო ხელსაწყოდამ დაწყებული ვიდრე საათამდის, ბარომეტრამდის, სათვალეებამდის და სხვ.

გლეხის უბრალო სადგომი მოგაგონებს მექანიურ სახელოსნოს, ან და ექსპერიმენტალურ ფიზიკურ კაბინეტს; მათ ბევრი წიგნები აქვთ; ისინი მსჯელობენ საღად, გარკვევით და ნათლად. მათ შეუძლიათ ხატვა; მშვენივრად იციან სიმღერა; მუსიკას- საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ცხოვრებაში. ხელოვნებას პროფესიონალური მასწავლებლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი კი არ ასწავლიან, არამედ ოჯახებში ერთი მეორესთან სწავლობენ. ოჯახურ ცხოვრებაში ხელოვნებას საპატიო ადგილი უჭირავს; დასვენების დროს ისინი ცოლ-შვილთან მღერიან, კვარტეტებს ასრულებენ და აქ გაიგონებთ ღვთიურ ნაწარმოებს დავიწყებულ კომპოზიტორებისას. ამ იდეალურ ხალხის ადათები სპეტაკი და წმინდაა. არავითარი უთანხმოება იქ არ არსებობს; არც არავითარი დავაა; არ არის გადასახადები, არ არის ადმინისტრაცია, სასამართლოები; არაფერი ზედმეტი იქ არ მოინახება და, რაც ესაჭიროება საზოგადოებას, ის კი საკმაოთ არის. ამ საზოგადოებაში თავისუფლება და თანასწორობა ბატონობს.

იბადება კითხვა, თუ როგორ მოხდა ეს სასწაული, თუ როგორ დამყარდა ეს ბედნიერი წესწყობილება? სიმარტოვე მოთხოვნილებისა, აღებ-მიცემობის უქონლობა, ახალ რისამე შემოღებლობა, აი საფუძველი მათი ცხოვრებისა—ამბობს რუსსო. რასაკვირველია ესეც გადამეტებაა, გადაჭარბებაა. აქაც რუსსომ დაგვიხატა კეთილი და გონიერი კაცური ადამიანი. საჭიროა ვიცოდეთ ეხლა საითკენ მიჰყავს საზოგადოება რუსსოს? საითკენ უწოდებს მას?

ეჭვს გარეშეა—ბუნებრივი მეურნეობისაკენ. და ეს გასაკვირველი არ არის, რადგანაც ეს მეურნეობა სავსებით ეთანხმება რუსსოს მიერ ოჯახის იდეალიზაციას. პატრიარქალური ოჯახი, რუსსოს წარმოდგენით,—ცენტრია ამგვარ მეურნეობისა. „ახალი ელოიზა“-ში, თავისუფალი გულის თქმის გმირულად შემკობის შემდეგ, წარმოდგენილია შეთანხმება ელემენტებისა, მყუდრო ნავთსადგური; მოუსვენარი გმირი ქალი ოჯახის გულკეთილ დედად გახდა და მასთან ეს ოჯახი წარმოგვიდგენს მინიატურად სოციალურ უტოპიას. ვოლმარების ოჯახი მდიდარია, მაგრამ საიდუმლო მისი სიმდიდრისა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერიდებიან ჩარჩსა წარმოებასა და მოხმარების შორის.

სახლში ყოველისფერი საკუთარია—პური, ღვინო, რძე, ყველი, ერბო, მარმაში, ტილო და სხვა. უბრალოდ ჩაცმული, მუდმივ საქმეებში გართული, გულკეთილი მდიდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრობს თავის პატრიარქალურ ოჯახში და გარს ხალხი ახვევია, რომლის შორის ანაწილებს სამუშაოს და ყველგან გულკეთილობასა და ბედნიერებას ამყარებს. ყველანი მუშაობენ, ყველას თავისი საქმე აქვს. სუყველა კმაყოფილია და, რასაკვირველია, არავის არ აქვს სურვილი თავისი მდგომარეობა დასტოვოს. აი ამ გვარად იდეალი რუსსოსი ბუნებრივ მეურნოებაში და ნათესაობრივ ყოფა-ცხოვრებაშია. მკვეთრი კრიტიკა რუსსოს დროის საზოგადოებრივ წესებისა თავდება დრო მოჭმული მდგომარეობის იდილიით.

დემოკრატია, რუსსოს ქადაგებაში, სრულიად არა ჰგავს თანამედროვე დემოკრატიას. ჩვენ დღეს დემოკრატიის მაჯის ცემას, როგორც სამართლიანად აღიარებენ, ვეძებთ დიდ ქალაქებში, სადაც თავი მოუყრია უმთავრეს ნაწილს მრეწველობის მუშებისას; დემოკრატიას ჩვენ ვუკავშირებთ აზრთა და ნივთთა ცხოველ აღებ-მიცემას, საზოგადოებრივ კრიტიციზმს და რთულ აგებულებას პოლიტიკურ და სამრეწველო მანქანისას. ამგვარია თანამედროვე კაპიტალისტური ხანა საზოგადოებრივი განვითარებისა.

რუსსო სულ სხვა სურათს გვიხატავს; ეს სურათი უფრო წარსულს მოგვაგონებს; იგია გამსჭვალული ბუნებრივი მეურნეობის სანტიმენტალიზმით. რუსსო გატაცებით ქადაგებს სოფლის წყნარ ცხოვრების საჭიროებას; მისი იდეალია პატრიარქალური ცხოვრება. რუსსოს სწადია,—ამბობს ერთი ისტორიკოსი, — დიდი ქალაქების აღელვებული ცხოვრება მცირედი მოთხოვნილების ძილად გადააქციოს.

სამართლია, რომ ევროპის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება მე-XVIII საუკუნისა ასაზრდოებდა რუსსოს ამგვარ წარმოდგენას,—განაგრძობს იგივე ისტორიკოსი; როცა მრეწველობის დიდი ქალაქები გაჩნდა ინგლისში და საფრანგეთში, როდესაც ევროპის მცხოვრებელთა რაოდენობის სიჭარბე გამოიხატა აუარებელ ხალხის გადასახლებით სხვა ქვეყნებში და მთელი ქვეყნის ბაზრების ხელში ჩაგდებით, იმგვარი საზოგადოებრივი ოცნება, როგორიც რუსსომ წარმოგვიდგინა ანახრონიზმათ გადაიქცა. მართალია — რუს-

ეროვნული

სოს იდეალი კიდევ დიდ-ხანს აღელვებდა გულს, ასულდგმულებდა საზოგადოებას, აინტერესებდა და ასაზრდოებდა ფანტაზიას, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მისი იდეალი საზოგადოებრივი პროგრამის ნიადაგს მოშორდა და მხოლოდ ისტორიულ სურათად დარჩა...

რომ დავაბოლოვოთ ამ სტატიაში რუსსოს შესახებ ბაასი, ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსსოს საფრანგეთის რევოლუციისათვის.

რუსსოს პოლიტიკურ ცხოვრებაში შეჰქონდა თანასწორობის და ხალხის ბატონობის პრინციპები. ამგვარი პრინციპები ჩააგონა რუსსოს ჟენევის რესპუბლიკის ტრადიციამ. ჟენავამ, რეფორმაციის დროს, სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია და სუვერენ ე. ი. თვითმპყრობელ დემოკრატიათ გადიჰქმნა. მოქალაქეების სრულ უფლებიანმა კრებამ დაამყარა სახელმწიფო, ამოირჩია მისთვის მმართველობა და საზოგადოებას სარწმუნოებაც დაუწესა. და ეს დემოკრატიული წესწყობილება და იდეალი რუსსოს წინ უდგა, როცა სწერდა განთქმულ თხზულებას „საზოგადოებრივ ხელშეკრულობის“ შესახებ.

რუსსოს სიკვდილის შემდეგ არ გაუვლია ათს წელსაც, რომ საფრანგეთში დიდი რევოლუცია დაიწყო. მოწვეულ იყვნენ უმთავრესი წოდებანი: თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ბურჟუაზია. ამ დროს მთელი საფრანგეთი უკეთესი წეს-წყობილების დამყარების ცდაში იყო. მთელ საფრანგეთში მოედო ხმა. „საფრანგეთს არა აქვს სახელმწიფოებრივი წესწყობილება; თითქო დადგა ბუნებითი მდგომარეობა“. ფრანგები ემზადებოდნენ, — ამბობს სორელი, — ერთმანეთში და მეფესთან ახალი ხელშეკრულობა დაედოთ და სწორედ ამ დროს რუსსოს თხზულება „საზოგ. ხელშეკრულობა“ ხელში ჰქონდათ. ქალაქში და სოფელში, გლეხის ქოხში და ქალაქის მუშის ნესტიან ბინაში, ლუდხანებში, დუქნებში, ყავახანებში, სალონებში, თეატრში, ერთის სიტყვით ყველგან რუსსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ ტრიალებდა და ყველგან ამის შესახებ სჯა და ბაასი იყო გამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული. რუსსოს საზოგადოებრივი ხელშეკრულობა და აქეთ-დან გამომდინარე პრინციპი-განუყოფელი, უცოდველი, ხელ-შეუვალი ხალხის თვითმპყრობელობა — საზოგადოების აზრის და მოქმედების საფუძვლად გადაიქცა. „გამოსავალი გზა — ამბობს ერთი ისტორიკოსი — იმ ბედის ნაწერის დილემისაგან, რომელიც საფრანგეთს დაუდგა გაზაფხულს 1789 წელსა — რეფორმა თუ რევოლუცია დამოკიდებული იყო შემდეგ საკითხის გადაწყვეტაზე: შეინარჩუმებდა დამფუ-ძნებელ უფლებას მეართველობა, თუ ეს უფლება გადავიდ-და „ნაციონალურ კრების“ ხელში. ეს საკითხი კი წინათვე გადაწყვეტილი იყო რუსსოს ტრაკტატით და საერთო ღრმა რწმენით ხალხის თვითმპყრობელობის დოგმატის სიწმინდის მიმართ. ეს რწმენა იმდენად უფრო ღრმა იყო, რამდე-ნადაც განუშორებელი იყო მეორე განყენებულ თანასწორო-ბის პრინციპთან. საზოგადოებრივმა ხელშეკრულებამ იცის მხოლოდ უფლებით აღჭურვილი ხალხი, რომელიც ერთგვარ მასსას წარმოადგენს და ყოველგვარ სხვა და სხვაობას უარ-ჰყოფს. რუსსომ არა თუ გამოირკვია პრინციპები 1789 წ.: მან მისცა გადავასავალი ფორმულა ძველ წეს-წყობილებიდან ახალზე—უმთავრეს წოდებათა წარმომადგენლობიდგან დამფუ-ძნებელ კრებაზე“.

1789 წელს წამოყენებულ პრინციპთა შორის იყო პრინ-ციპი თავისუფლებისა, რომლის დამყარებას დიდხანს და გულ-წრფელად ცდილობდა დამფუძნებელი კრება საფრანგეთში; მაგრამ, საუბედუროდ, ეს თავისუფლება მოუთავსებელი შეი-ქმნა რევოლაუციის შემდეგ მსვლელობასთან. მეორე ფაზა დიდ რევოლიუციისა, რომელსაც ეწოდება იაკობინური, ხალხის დამმონებელი შეიქმნა. რუსსომ გამოსცა ლოზუნგი ამ ფაზაზედაც გადასასვლელად, იცნო რა იძულება, ე. ი. ძალ-დატანება თავისუფლების მიზნისათვის. მთელი იაკობენელობა და ტერორი ამაში მდგომარეობს.

მართალია, რუსსო უარჰყოფს ტერორის პრინციპს. რუს-სო ამბობს, რომ ერთი უსაძაგლესი პრინციპი მტარვალობისა უდანაშაულო ადამიანის დაღუპვაა. იქ არ არის—განაგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძობს რუსსო—საზოგადო და საერთო ნება, სადაც რომელიმე პარტია იმდენად მძლავრია, რომ ყველას სჭარბობს. უკანასკნელი სიტყვები რუსსოსი იყო მიზეზი იმისა, რომ ტერორის ერთმა განთქმულმა დამცველმა იაკობინელ პარტიის ბატონობის დროს საფრანგეთში უწოდა რუსსოს „არისტოკრატი“ და გილიოტინის (თავის მოკვეთის) ღირსად აღიარა...

მიუხედავად ამისა რუსსო იყო თავი წინამორბედი იმ ცვლილებისა, რომელიც მოხდა საფრანგეთში 1789 წელს. სამართლიანად ამბობენ, რომ რუსსომ შეჰქმნა ისეთი განწყობილება, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის წარმატებას.

„რუსსოდამ მომავალი ნაკადული სარევოლუციო გრძნობისა — ამბობს ერთი ისტორიკოსი—გამოჩნდა ორის მიმართულებით: ერთი, როგორც მამხილებელი საზოგადოებისა და მეორე, როგორც ხალხის იდეალიზაცია... და ამგვარი თვალსაზრისი აშფოთებს საზოგადოებას და თავის თავზე ეჭვს უნერგავს. ამაში გამოიხატება რუსსოს სულიერი ბატონობა მე-XVIII საუკუნეში

ა. ბ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასის წლის წინად კიდევ კაცნი ვყოფილვართ!

(ბ-ნ ალ. ფრეზელის ისტორიული წიგნების გამო)

მათთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ-მოედინების!
მხნეობით აღტაცებული
ჰაბუკი ხმალსა მასწვდების!

გრ. ორბელიანი.

თუმცა მთელ ქვეყნიერობაზედ განვითქვით სახელი საზარელის „ხამობითა“ და ბუდმივის, განუწყვეტელის ღალატით სამშობლო ქვეყნის წინაშე, ისე რომ ამ მხრივ ტოლი და სწორი არა გვყავს კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა სწორედ ამ ასის წლის წინად იჩინა თავი საქართველოში ასეთმა შეუდარებელმა ჩვენმა მაღალმა ღირსებამ,—სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს ბედ-იღბალი უკულმართად სწყდებოდა,—თუმცა,—ვამბობ,—ყოველივე ეს ასე იყო,—მაგრამ მაინც თურმე მაშინ უფრო გვდებია ადამიანის სახე, მაშინ უფრო კაცნი ვყოფილვართ და ქუდიც გვხურებია.

ამ ასის წლის წინად კიდევ გვქონია ადამიანობა და შეგნება ჩვენის ეროვნების დაცვისა. ახლა ხომ ასეთი დაცვა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება. ახლა, აბა, წარსული, რა საკადრისია, მოიხსენოს ვინმემ,—და შენი მტერი, მკითხველო, მე ამ ახლო წარსულისაც არა მცოდნოდა რა სრულიად, რომ ერთს, წარსულის მოტრფიალე ადამიანს არ გაეცნო ჩემთვის ის საგმირო და თანაც სამარცხვინო საქმენი, რომელნიც თავს გადახდენიათ ამ ასის წლის წინად ჩვენ მამა-პაპათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩინებული ავტორი, რომელმაც მოგვითხრო ჩვენის უკანასკნელის შავის დროის ამბები, არის ბ-ნი ა. ფრონელი.

თავის მშვენიერს წიგნებში: „მთიულეთი 1804 წ.“ და „კახეთის ამბოხება 1812 წ.“ — მან მშვენივრად დაასურათა მდგომარეობა საქართველოსი რუსეთთან შეერთების დროს, მშვენივრადა და მთლიანად აგვიწერა ის ბრძოლა, რომელიც ასტყდა მაშინ, როდესაც ქართველნი მიხვდნენ თავიანთ შეცდომას, როდესაც ცხადად დაინახეს, რომ დიდის ხნის სასურველი მოყვარე მტერზედ უარესი გამოდგა. გაბოროტებულმა ხალხმა გასწირა თავი და ხმალს მისწვდა...

სწორედ იმიტომ რომ ჩვენ მოგვწონს ბ.-ნ. ა. ფრონელის წიგნები, არ შეგვიძლია გულ-ახდილად არ აღვნიშნოთ მისის ნაწერების ერთი ნაკლიც! განსაკუთრებით „მთიულეთში“ ეტყობა ავტორს ცოტა გადაჭარბებული რიდი ცენზურისა, — ისეთი რიდი, რომელიც მკითხველის თვალში ძლიერ ბევრს აკლებს ნაწარმოების ღირსებას. „კახეთის ამბოხებაში“ თითქმის გამქრალა ეს რიდი, თუმცა ცოტა, ბუნდოვანი ნაშთები მისი კიდევ ემჩნევა საერთოდ მოთხრობის კილოს. მაგრამ ეს მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიეთ, — ჩვენ უფრო წიგნების შინაარსს ვაქცევთ უმთავრესს ყურადღებას, ვინაიდან იქ არის მოთხრობილი ჩვენის ხალხისათვის ფრიად საგულისხმიერო ფაქტები. ამ მხრით ავტორი სრულიად არ არის არავითარის საყვედურის ღირსი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფრიად სასიამოვნო იქნება ყველასათვის, — თუ ავტორი აგვისრულებს დაპირებულსაც და მთლად საქართველოს უკანასკნელ შავბნელ დროს აგვიწერს, — დაგვიხატავს „ბედსა ქართლისასა“, მეფე სოლომონის ტრაგიზმით აღსავსე ბრძოლასა და სხვა ამბავთა საარაკოთა, — დაე, მაშინ მისი სიტყვა ისეთისავე ძლიერებით ჰქუხდეს, როგორც ხმა ქართლის მებრძოლთა, დაე მისი კალამი ისეთივე ფხიანი იყოს, როგორც ხმალი იმ მთიულთა და სხვა ქართველთა, რომელთაც თავი დასდვეს მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინეთ წავიკითხე გაზეთში, — მხოლოდ „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ გაუყიდია „წერა-კითხვის საზოგადოების“ მალაზიას ასიოდე ცალი, სხვა წიგნები კი ბევრად ნაკლები! ფიქრადაც არ მოგვდის ვუსაყვედუროთ იმათ, ვინც ეს წიგნი იყიდა; ჩვენთვის ის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ წიგნი სულ გაყიდულიყო, მაგრამ, როცა ქართველი საზოგადოება, ქართველი მკითხველი, ისე გულ-გრილად ეკიდება ისეთ წიგნებსაც, როგორც ბ.-ნ. ა. ფრონელის წიგნებია, — ისეთს წიგნებს, რომელიც ერთად ერთი ხელმისაწდომი წყაროა საზოგადოებისათვის ჩვენის სულ ახლანდელ და საშინელ წარსულის გასაცნობად, — ეს პირდაპირ დამაფიქრებული ამბავია! ნუ თუ ისე გამოეცალა თავისი თავ-გადასავლის გაგების ინტერესი ქართველს, რომ თავის საკუთარ ისტორიის უკანასკნელ უკეღმართობის ერთად-ერთ ხეირიანად მოთხრობილ ამბავსაც აღარა კითხულობს? — საკვირველია, — სატირალიც რო არ იყოს, და ამიტომაც არის საჭირო მოვაგონოთ ჩვენს საზოგადოებას ეს წიგნები და პირდაპირ ვუთხრათ, — აჰა, წაიკითხეთ, და თუ მოგეწონოსთ, მიეცით ავტორს საშუალება განაგრძოს დაწყებული შრომა.

მართალია, „კახეთის ამბოხება“ გაზეთში იბეჭდებოდა ფელეტონებად ამ უკანასკნელ დროს, მაგრამ ჩვენში ვინ კითხულობს ფელეტონებს, განსაკუთრებით თუ ბოლოს ულწერია საშინელი სიტყვები: „შემდეგი იქნება“. სწორედ ხათაბალაა, — გაზეთში დაჰბეჭდავ რასმე გრძელ ფელეტონებად, — არავინ კითხულობს, წიგნად დაჰბეჭდავ — მაინც არავინ ყიდულობს და არავინ კითხულობს. მაშ რაღად უნდა იშრომოს ადამიანმა? ჩვენში, რასაკვირველია, იმისთვის, რომ ლანძღონ: მაგრამ სულ ლანძღვა-თრევა და ღრეჭა-სიცილი ხომ არ იქნება, — ერთხელაც არის უნდა მოეღოს ბოლო ამ დამღუპველ „ხამობასა“.

და რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველთა უმრავლესობას არ წაუკითხავს არც ფელეტონები ბ-ნის ა. ფრონელისა, არც ცალკე წიგნად დაბეჭდილი „კახეთის ამბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხება“ და არც წინად ცალკე წიგნადვე დასტამბული „მთიულეთი“, — რადგანაც ალბად ავტორს ამ შრომის სასყიდლად საერთოდ სრული გულგრილობა და ზოგთაგან შეიძლება ლანძღვაცა ხვდა წილად, — ამიტომ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია ავტორის წიგნების გავრცელება ქართველ მკითხველთა შორის. ნაწილი ჩვენის ახალის ისტორიისა მარტო იქ არის მოთხრობილი. სხვა წიგნები ჩვენ არა გვაქვს. არის მხოლოდ მასალა, რომლის გაცნობას მხოლოდ სპეციალისტი თუ შესძლებს და არა მკითხველი საზოგადოება.

*
* *

ლონე-მიხდილი საქართველო, ვინ არ იცის, რუსეთთან შეერთებაში ეძებდა ხსნას. მაგრამ მოვიდა თუ არა სანატრელი ერომორწმუნე მთავრობა, ქართველ ხალხს ტკბილი ოცნება და იმედები შავ-ბნელ სასოწარკვეთილებად შეეცვალა. გამართლდა სოლომონ მსაჯულის სიტყვა: — „ვით შეითვისოს რუსმა ქართველიო“. მისთანა თქვენს მტერს, როგორც იმათ ჩვენ შეგვითვისეს! ჯერ ის წაგვართვეს, რის წართმევის უფლებაც არა ჰქონდათ თვით ხელ-შეკრულების ძალით, — მოსპეს მეფობა საქართველოში და დააწესეს მთავარ-მართებელთა და ღენერალთა უფლება; დადგა დრო ქვეყნის და ხალხის გათახსირებისა... განვლო მცირეოდენმა ხანმა და მიჰყვეს ახლა ხელი და დაუწყეს მოსპობა ყოველ გვარ ჩვენებურ დაწესებულებას, ადათსა და ზნე-ჩვეულებას...

— ყოველივე ეს მშვენივრად აქვს ნაამბობი ბ.-ნსა ფრონელს.

როდესაც ჩვენის ქვეყნის მაშინდელ მდგომარეობის აღწერას კითხულობს კაცი ბ-ნ ფრონელის წიგნში, შეუძლებელია დიდი გულის ტკივილი არ იგრძნოს და ცრემლი არ მოერიოს თვალებში. თან კითხულობ ამ წიგნებსა და თან ჰფიქრობ, როგორღა უნდა ჰქონდეს გულში ქართველს სიყვარული მტარვალებისა, თუ გინდ მონურიც — ჰფიქრობ რომ მართალს არა სწერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ნი ზურაბ ავალოვი — რომ იყო ორი საქართველო, — ერთი მუდამ მებრძოლი ეროვნებისათვის და რჯულისათვის, მეორე კი მუდამ მოღალატე ქვეყნისა და სპარსთ-ოსმალოთა წინამძღოლი საქართველოს აკლების საქმეში. მაგრამ მართლაც და რაღაც უცნაური ბედი გვქონია! და არა თუ ძველად, ეხლა კიდევ უფრო მძლავრად მორევია ქართველთა ერთს ნაწილს ეს საშინელი სენი, — ღალატი თვისის ერისა. ჩვენში რომ ახლა მაინც იყოს საზოგადოებრივი სინიდისი, განა ასეთი ვაჟბატონები ღირსნი არიან ისუნთქონ წმინდა ჰაერი თავიანთი სამშობლო ქვეყნისა, სთელონ თავიანთ მურდალის ფეხებით გმირთა სისხლით მორწყული წმინდა ადგილები?

„მთიულეთში“ აწერილია მნიშვნელობა დარიალის ხეობისა, რომელიც კავკასიის კარად ითვლებოდა და ურომლისოდაც რუსის მთავრობა ვერ მოიკიდებდა ფეხს, არა თუ კავკასიაში, არამედ თვით საქართველოშიაც კი. ეს ძლიერ კარგად ესმოდა სპარსეთსაც და ოსმალეთსაც და ამიტომ ისინი დიდი მტრები იყვნენ საქართველოში რუსის მხედრობის დამკვიდრებისა. ახალ-ციხის ფაშის ელჩი, ვინმე ჩერქეზი, პირდაპირ ეუბნებოდა მეფე გიორგის, — კავკასიის კარს რომ აღებ, როდის ღა გინდა ისევ დახშო იგიო. გიორგიმ უპასუხა: კავკასიის კარის დახშობა საქართველოში ქრისტიანობის დახშობა იქნებოდაო, — და ის კი არა იცოდა, რომ სწორედ მისი გაღება იყო საქართველოს მზის დაბნელება.

ამ კავკასიის კარის გაღებიდან იწყება მთიულთა ტანჯვა და წვალება, ისეთი უბედურება, რომლის მსგავსიც არა სწვევიათ არაოდეს. მთელი გლეხობა კატორგის მუშებად გადააქციეს, — ეხლანდელ საქართველოს სამხედრო გზას აკეთებინებდნენ, ვითომ ქირასაცკი აძლევდნენ, მაგრამ ჯერ ერთი რა ქირა იყო ეს ქირა, — მერე კიდევ რუსის ჩინოვნიკი რიღას ჩინოვნიკია, თუ არ იქურდა კანონიერად კუთვნილი და უმცირესიც-კი არ წააძრო ხალხს: იმ მცირე ხელ-ფასსაც არ აძლევდნენ გლეხებს, რაც მათ დანიშნული ჰქონდათ, სამაგიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ ართმევდნენ მთელ სამუშაო დროსა და ამით სრულიად უსპობდნენ ცხოვრების საღსარს.

მოხელეთა უზრდელ და მხეცურ საქციელზედ ლაპარაკიც არა ღირს. მოგახსენებთ მხოლოდ ერთს საშინელ ამბავს, რომელიც ნათლად დაგანახვებთ მაშინდელ „მოყვარეთა“ „კულტურასა“ და „ქრისტიანობასა“. „მთიულეთის“ მე-46 გვერდზედა ვკითხულობთ: „1804 წელს, 27 მარტს, ოსებმა მოართვეს საჩივარი თ. სოლომონ ერისთავს, რომ სოფ. ჟამურს ამოვიდა ანანურის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი, გაბაწრა ოსები და აჭამა ძაღლებისათვის გაჩორკნილ გობში სალაფავიო. სალაფავი ამნაირად მოამზადა კაპიტან-ისპრავნიკმა: **შიგ ჩაასხა** *) **შრატი, მერმე ჩაჭყარა დაკუწული კატები და ყოველივე ეს ადამიანის ფეინით შეაზავაო**“. განმარტება აღარ არის საჭირო.

ასეთ საზიზღარ ამბებს მიუმატეთ აშკარა ძარცვა-გლეჯა, დაწიოკება ხალხისა ყაზახებისაგან, ნამუსის ახდა დედა-კაცებისა, ძალით სამუშაოდ გაყვანა და სხვ., — და ნათლად წარმოგიდგებათ თვალწინ მიზეზი მთიულეთის აჯანყებისა, რადგანაც, რაც ოსებს დღე დაადგათ, უარესი სიმწუხარე კიდევ ქართველებმა იწვნიეს. ყოველივე ეს ავტორს აგრეთვე საოცრადა აქვს აღწერილი, — დაწვრილებითა და სისტემატიურად...

ველარ შესძლო მთამ ამდენის გაჭირვების ატანა და, იგდო თუ არა ხელთ მარჯვე დრო, აჯანყდა; მაშინ საქართველოს მთავარ-მართებლად პავლე ციციანოვი იყო, მაგრამ იგი მხოლოდ კავკასიის დაპყრობისა და ყაზილბაშების ალაგმის ცდაში იყო გართული.

მთიულეთის აჯანყება თითქმის მთელ ქართლს მოედო, კახეთში უკმაყოფილობა კაი ხნიდან იყო და მთელი აღმოსავლეთი საქართველო მზად იყო გახვეულიყო აჯანყების ცეცხლში. ვინ იცის, რითი გათავდებოდა ეს აჯანყება, ანუ, უკეთ ვთქვათ, ეს ომი, რომ ჩვეულებრივად მის „ჩაქრო-

*) ხაზს ჩვენ ვუსვავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში“ მონაწილეობა არ მიეღო მრავალ მოღალატე ქართველსა და ერთი უზრდელი, უსულ-გულო მხეცი, რეაქციონერი და პოლონელ რევოლიუციონერთა მოძულე და დამმარცხებელი, თუმცა ფრიად ნიჭიერი სარდალი, ქართველი გვარის მქონე რუსი ციციანოვი არ ყოფილიყო მაშინ საქართველოს მთავარ-მართებლად და ჯარების უფროსად.

ჩვენ აზრად არა გვაქვს ამ წიგნებში მოთხრობილ ამბავთა განმეორება. ჩვენ მხოლოდ მათის წაკითხვის ხალისი გვინდა გავუღვიძოთ მკითხველს. ამიტომ მოკლედ მოვსჭრით: დამარცხდა მთიულეთი და მასთან მთელი იმ დროის აჯანყებული ქართველობა. ღენერალმა ციციანოვმა ისეთი უდიერობა და ულმობელობა გამოიჩინა, როგორც მის ხასიათსა და კაცობას შეეფერებოდა. ან კი რას უნდა მოელოდე ადამიანი ისეთის კაცისაგან, რომლსაც შეეძლო შემდეგ ნაირად მსჯელობა და ლაპარაკი მტერთან თუ მოყვარესთან; ლეკთა ბატონს ალისკანტის ციციანოვმა მისწერა: „სხვა გზა არა გაქვს შენდობისათვის იმის მეტი, რომ მოხვიდე ჩემთან და ფეხ-ქვეშ ჩამივარდე. არც შენ და არც ძმა შენი საჭირონი არა ხართ. რაში მეპრიანება შენი წერილები იმის შესახებ, რომ ვითომ ერთგული ხარ და ან რა ხელ-წერილით უნდა შეეეკრა ჩემის დიდის ხელმწიფის მოღალატესა და მოხარკესა? ნურავითარ შეწყნარებას ნუ ელი, — **შენი საქმენი და შენ თვითონ იმადაც არა ღირხართ, რომ ერთი გადამღძვალი ძაღლი გამოგ გზავნოს კაცმა საჩუქრად.** მოვა დრო, რომ **მიწას გალოკვინებ,** და მაშინ გაჩვენებ, რაც შემიძლიან მე აქ და რა ძალი და ხელმწიფება მაქვს მონიჭებული“, და სხვ. — შემდეგი წერილი კიდევ უარესია: „ყველამ იცის, რა ფიქრ-აზრის კაციც ვარ, რბილი ლოგინი მიყვარს, თუ ველი ბრძოლისა, **სადაც სისხლი მდინარესავ-ით მჩქეფარებს და თავნი კაცთანი ისე სცვივიან, როგორც ვაშლები“,** და სხვ. ელისფის სულთანთან მიწერილი წერილი კიდევ უარესია: მხეცური მუქარა, ძაღლობითა და მამაძაღლობით ხსენება და სხვ. („მთიულეთი“, გვ. 92 — 93).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთის ურიცხისა და გულ-ქვა ადამიანისგან რა გამოვიდოდა, თუ არა უზრდელობა, გადაწვა-გადაბუგვა მთელის ქვეყნისა, ამოწყვეტილ კაცთა სისხლის მორევები და წამება-უდიერი, შეუბრალებელი!..

და ასეც მოიქცნენ გენერალი ციციანოვი და მისი მხედრობა. მთიულეთისა და ქართლის ნაწილის გაოხრება მისგან თემურ-ლენგის შემოსევაზედ უარესი იყო. მის უსასტიკესად მოპყრობას დაჭერილ მებრძოლთა და ბატონიშვილთა მიმართ მართლაც რომ არც ერი აზიელი დესპოტი არ იკადრებდა. პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსიაო, — და ციციანოვის მოციქული კი განადგურების და ნამუსის ახდის ქარიშხალი იყო, მტერთადმი მისგან წარგზავნილი!

ყველა ეს ამბები,—რუსების პირველად შემოსვლა ჩვენში, მთიულთა გაჭირვება, მათი ბრძოლა, სხვა ქართველთა აღელვება და შველა მთიულეთისა, ბატონიშვილთა თავგანწირული ბრძოლა და სულისკვეთება, ციციანოვის ბოროტება და ულმობელობა, მოხელეთა სიბრიყვე, ანგარება, გარყვნილება და სისასტიკე, — საერთოდ მთელი მაშინდელი ჩვენი მდგომარეობა აი რა აქვს ავტორს ნაამბობი ნათლად, მკაფიოდ, არც თუ მოკლედ, არამედ საკმაოდ ვრცლადა და დალაგებით.

„კახეთის ამბოხება“ კიდევ უფრო საინტერესოა. კიდევ უფრო მეტია გაიძვერობა და ძარცვა-გლეჯა ხალხისა მოხელეებისაგან, კიდევ უფრო აუტანელი ბეგარები, გადასახადები, ეკზეკუციები, რომელთა უნამუსობას საზღვარი არა ჰქონდა, — აი რა დაატყდა კახელობას თავზედ მთიულეთის აჯანყების ცოტა ხნის შემდეგ, და კახეთმაც იშიშვლა ხმალი მთელის თავისის ძველთაგან განთქმულის ვაჟკაცობითა და მამაცლიშვილობით ეკვეთა მტერს და შეარყია კიდეც მისი ძლიერება საქართველოში.

მართლაც, როგორ უნდა მოეთმინა კახეთს, როდესაც სალდათები იქამდის მივიდნენ, რომ დედა-კაცებს აშიშვლებდნენ, ტიტველ ხორცზედ მათრახსა სცემდნენ! როგორ არ უნდა განეწირა სასიკვდილოთ თავი ყოველ კახელს, როდესაც ისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მაგალითიც კი მოჰხდა მხეცობისა, რამ ჩემს დღეში სხვაგან არსად მსმენია ამის მსგავსი რამ: დედა-კაცს ნამუსი ახადეს და შემდეგ სასოში ღვინო ჩაასხეს!.. და აკი ამბობენ კახელები თავიანთ საჩივარში,—რაც რუსებმა ტანჯვა-წამება და შეურაცხყოფა მოგვაყენეს, თავის დღეში არც ლეკისა და არც ყიზილბაშისაგან ამისი მსგავი არა გვახსოვსრაო...

ეკვეთა მტერს კახეთი, სძლია იგი მრავალჯერ, სათუოდ გახადა მისი ბატონობა; მაგრამ აქაც ღალატმა, რეგულიარულმა ჯარმა, საქართველოს ერთობის უქონლობამ და მრავალმა სხვა მიზეზმა სძლია იგი და მოახრევინა ისევ ქედი მტარვალის წანაშე. აქაც უმეტეს ნაწილად ისევ ქართველი სარდლები უძღოდნენ წინ მტრის მხედრობასა და სწვავდნენ, იკლებდნენ ქვეყანას. აქაც ისევ ქართველი გამოდგა მოღალატედ — დღეს რომ მამულისთვის იბრძოდა ხვალ მტერს უჩვენებდა თავის მოძმეთა ბანაკისაკენ მიმავალს გზას და ჰღუპავდა გამარჯვებული ქართველთა მხედრობას. იდღესასწაულეს ეს დამარცხება საქართველოს მოღალატეებმა, მიიღეს ჩინ-მენდლები სამშობლო ქვეყნის გადაწვისა და გაოხრებისათვის, მაშინდელი ხამელეონობა დღესასწაულობდა ქართველთა დამარცხებასა და დაღუპვასა და ყველა ოხერი ტკბილ-იმედს ეძლეოდა, — ეგებ მეც მერგოს ძლეულის ლომის კუდის რიკი ან ფეხის ფრჩხილი მაინცაო. ამისათვის ზოგნი იმასაც კი არ დაერიდნენ, რომ ყალბი საბუთებით ქართველთა წინააღმდეგ ომში გმირობის სახელსაც კი იმტკიცებდნენ, მაგრამ მიუხვდნენ ეშმაკობასა და ვერ მიაღწიეს საწადელს. საუკეთესოდ მხოლოდ საუკეთესო მოღალატები დააჯილდოვეს, სხვები ხახა-მშრალები დარჩნენ.

აი ეს გვიამბო ბ-მა. ფრონელმა „კახეთის ამბოხებაში“.

დიახ, მაშინ კიდევ თურმე კაცები ვყოფილვართ და ქუდი გვხურებია. ვიბრძოლეთ როგორც შეგვეძლო და ვისაც შეგვეძლო. დამარცხებაში მაინც მოვიპოვეთ საუკუნო სიმშვიდე სინიდისისა შთამომავლობის წინაშე, ხოლო მოღალატენი წყევის ბეჭდითა და ღენერლის ჩინებით გამოვიდნენ ამ ბრძოლიდან. მათი „ვაჟ-კაცობაცა“, თვით სახელი და გვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებიც მოთხრობილია ბ-ნ ა. ფრონელის წიგნებში. წაიკითხეთ და დასწყევლეთ მათი სახსენებელი, მათი მყრალი სული და ნეშტი, — თუ მონობის სულით არა ხართ სრულიად გაჟღენთილი და ცოტა კიდევ დაგრჩენიათ თავმოყვარეობა, მცირეოდენი სიყვარული მაინც მრავალ-ტანჯულის საქართველოსი.

მაგრამ ეს რა? განა მარტო მთიულეთი, ქართლი და კახეთი განიცდიდნენ ასეთ უბედურებასა? განა მარტო ისინი იბრძოდნენ?—მთელი საქართველო იყო ასეთ წამებაში, მთელი საქართველო იბრძოდა სასოწარკვეთილი და თავ-განწირული. ეს ბრძოლა არასოდეს არ შეწყვეტილა. ერთგან რომ შესწყდებოდა, მეორეგან იჩენდა თავს, აქაც რომ შესწყდებოდა, ახლა სხვაგან გაჩაღდებოდა. მტერს არც ისე ლაჩრულად დავმონებივართ, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. და ჩვენც იმიტომ მიგვ.ჩნია საჭიროდ „მთიულეთისა“ და „კახეთის ამბოხების“ კითხვა და გავრცელება, რომ ა. ფრონელზედ უკეთ მგონი ჩვენში არავინ იცის მაშინდელი ამბები. თუ თანაგრძნობა არ იქმნება, თუ სალსარი არ იქნება, როგორ განაგრძოს მან თავისი შრომა? თუ მხარი არ დავუჭირეთ, ვინ იცის როდის გვეღირსება ამ ამბავთა სრული და დაწვრილებითი მოთხრობა? მხარის დაჭერა-კი ავტორისათვის სულ ადვილია: იყიდოს ყველამ „მთიულეთი“ და „კახეთის ამბოხება“, რათა ავტორმა შესძლოს ახალის წიგნის დაწერა, რაიცა არ გაუჭირდება, რადგანაც როგორც მსმენია, მასალა უკვე მზადა აქვს, და თუ არა ვსცდები, მგონი, მხოლოდ იმასა აქვს ეს მასალა ზედ-მიწევნით შესწავლილი.

*
* *

ჩვენი უბედურება ის არის, რომ არ ვიცით ჩვენი თავგადასავალი. აქედან წარმოსდგება უმეტესად ერთი ჩვენი საშინელი ნაკლი,—ბატონის სიყვარული. როდესაც კი გვეცოდინება ჩვენის ქვეყნის თავ-გადასავალი ჩვენი წარსული სვებედი „მოყვარეთა“ ხელში, მხოლოდ მაშინ შევიძლებთ გავითვალისწინოთ ჩვენი მომავალი ცხოვრებაც. ჩვენს წერა-კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვის მცოდნე ხალხსაც მგონი არ გაუჭირდეს რაღაც მანეთი ან მანეთ-ნახევარი, რომ ა. ფრონელის წიგნები იყიდოს, წაიკითხოს, გაავრცელოს, დაინტერესოს ყველა და ამით ავტორს შეძლება მისცეს გვიამბოს „ბედი სრულიად საქართველოსი“, რომ ცოტათი მაინც ავმაღლდეთ ზნეობრივად, მონური სული განვისპეტაკოთ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეხლა სურვილიც კი გაჰქრა ეროვნულის თავისუფლებისათვის ბრძოლისა, ვაჟ-კაცობა ხომ სულ აღმოიგავა ქართველის გულიდან. წინად თუ კიდევ ვიყავით ადამიანები, ნამდვილი ქართველი მამულისშვილები, მხოლოდ ღვარძლივით გვერია მოღალატეები,—თუმცა ბევრი,—მაგრამ შეგვეძლო ხოლმე მათი ღირსეულად დასჯა. ეხლა კი სულითა და გულით ყველა მოღალატეობასა სცდილობს და ქართველისათვის საქართველოს ღალატი რაღაცა მოქალაქეობრივ სიმამაცედ გადაქცეულა

ქართველო! გაითვალისწინე შენი ისტორია მთელის ერთის საუკუნისა, კარგად ჩაუკვირდი მთელს შენს აწმყოს, და მაშინ შეიძლება ჭკუაში დაგიჯდეს თუ გსმენია, შახ-აბაზის დროის სპარსეთში გადასახლებულის ერთის ქართველის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა, როცა შუამთის მონასტერეში იხილა მაჰმადიანთაგან თოფით დახვრეტილი ხატი და მთელის ტაძრის მხატვრობა კირით შელესილი მართლმადიდებელ მღვდელთ-მთავრების ბრძანებით: „ჰოი საკვირველებავ, მტერ ერთი ხატი გაუხვრეტია ტყვიითა, ვითომ და მოყვარეს კი მთელი დიდებული მხატრობა კირით წარუხოცია“-ო.

ამ წარსულის მასალა კი ბ.-ნ. ა. ფრონელს აქვს. „ვითომ და მოყვარეთა“ ამბავი მან მოგვითხრო რამდენიმედ. საჭიროა მთლად მისი ცოდნა. დავეხმაროთ, რათა მალე გვაუწყოს დანარჩენი ამბებიც, თუმცა რაც გვიამბო, ჩვენს გარემოებაში, ისიც ძნელი აღსასრული იყო და იმისთვისაც დიდი მადლობელი უნდა ვიყვნეთ პატივცემულის ავტორისა.

Bâton.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არითმეტიკული ამოცანების სწავლების წესი დასაწყისს სკოლებში.

არითმეტიკის სწავლების დროს, უმეტესად დასაწყისს სკოლებში, რიცხვითი მაგალითებისა და ფორმულების გამოანგარიშებას იმდენი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, როგორც ამოცანების კეთებას, რადგანაც ამოცანების შეგნებით კეთება დიდად უწყობს ხელს მოსწავლის გონების განვითარებას, არითმეტიკულ მოქმედებათა შეთვისებას და ცოდნის პრაქტიკულად მოხმარება-გამოყენებასაც. ამას გარდა, ამოცანების კეთების დროს, არითმეტიკულ მოქმედებათა შესწავლაც უფრო სახალისო და მიმზიდველ სამუშაოდ ხდება მოწაფეთათვის, ვიდრე ვარჯიშობა მარტო რიცხვებზე. ცნობილი პედაგოგის შოხორტროკკის აზრით არითმეტიკის სწავლების დროს ამოცანები უნდა შეადგენდეს **საშუალებას** და არა **მიზანს**, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ამოცანების კეთებით და მისივე საშუალებით მოწაფემ უნდა შეითვისოს საღი წარმოდგენილებანი და ნამდვილი ცნებები არითმეტიკულ ოთხ მოქმედებათა შესახებ. საშუალო სასწავლებლების უფროსს კლასებში, სადაც სწავლობენ თეორიულ კურსს, ამოცანების კეთებას შეუდგებიან საჭირო თეორიულ განმარტებათა და ლოდიკურ დასკვნათა შემდეგ; მაგრამ არითმეტიკის პრაკტიკული კურსის შესწავლის დროს კი — ე. ი. დასაწყისს სკოლებში, ამოცანების კეთება ყოველ დასკვნასა და განმარტებას წინ უნდა უსწრობდეს. საზოგადოთ დასაწყისს სკოლებში, როგორც სხვა საგნებში, აგრეთვე არითმეტიკის სწავლების დროსაც, განსაკუთრებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას არ აქცევენ სხვა და სხვა დასკვნა-განმარტებებს და, როცა ეს საჭიროა, არასოდეს მზა-მზარეული დასკვნა განმარტება არ ეძლევათ მოწაფეებს; პირიქით თვითონ მოწაფეები, საკუთარი გონების ვარჯიშობით და მასწავლებლების ხემძღვანელობით, თავის თავად შეიმუშავებენ ამა თუ იმ დასკვნებს, წესებს და განმარტებათა, რომელნიც გამოჰყავთ მათ ამოცანებისა, რიცხვითი მაგალითებისა და სხვა სავარჯიშოების კეთების შემდეგ.

ამოცანა ჰქვიან ყოველ საკითს, რომელშიაც მოითხოვება ცნობილი რიცხვებიდან გამოსაცნობი რიცხვის შედგენა. ყველა არითმეტიკული ამოცანა უმთავრესად ორი ნაწილისაგან შესდგება: ამოცანის პირობებისა მიცემულის რიცხვებით და საკითხისაგან. პირველ ნაწილში ნაჩვენებია ის რიცხვები, რომლის საშუალებითაც უნდა გამოიცნონ საძიებელი რიცხვები და ურთიერთშორისი დამოკიდებულება ცნობილსა და საძიებელ რიცხვებს შორის. საკითხი მოითხოვს თუ რომელი მთავარი საკითხის გამოცნობაა საჭირო ამოცანაში.

ამოცანა განიყოფება მარტივად და რთულად. მარტივი ჰქვიან ისეთს ამოცანას, რომლის გამოსაცნობადაც საჭიროა ერთი რომელიმე არითმეთიკული მოქმედება და ისიც მხოლოდ ერთხელ. თუ ამოცანის გასაკეთებლად საჭიროა რამდენიმე არითმეტიკული მოქმედება, ანუ ერთი რომელიმე მოქმედება იხმარება რამდენჯერმე, ამისთანა ამოცანას **რთული** ეწოდება.

მარტივი ამოცანების კეთება ძნელი არ არის; საჭიროა მხოლოდ ცოტაოდენი მოფიქრება, მოსაზრება იმისი, თუ ოთხ არითმეტიკულ მოქმედებიდან რომელია საჭირო აღნიშნულს შემთხვევაში და შეეძლოს ბავშვს გამოანვარიშება. ამისათვის კი ფრიად საჭიროა, რომ ყოველი მოქმედების შესწავლის დროს, მოწაფემ თვალსაჩინოდ გაიცნოს და შეიგნოს ყველა ტიპის ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ ამა თუ იმ არითმეტიკულს მოქმედებას. მაგალითად ტიპიური ამოცანები გაყოფაზე იქნებიან ასეთი: 1) გამოიცანით რიცხვის რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმე ნაწილი, 2) დაამცირეთ რიცხვი რამდენჯერმე; 3) გამოიცანით, ერთი რიცხვი რამდენჯერ მოიპოვება მეორეში, 4) რამდენჯერ არის ერთი რიცხვი მეორეზე მეტი. თუ მოწაფეებს ცხადად აქვსთ შეგნებული და წარმოდგენილი ტიპიური ამოცანები თითოეულის მოქმედების შესახებ, მაშინ მათ არც გაუჭირდებათ და ადვილადაც მიხვდებიან თუ რომელ შემთხვევაში რა მოქმედება იხმარონ.

თუ კარგად დავუკვირდებით — ყველა რთული ამოცანების კეთებაც მარტივი ამოცანების კეთებით იწყება, რომლიდანაც შემდგარია რთული ამოცანები. როდესაც რთული ამოცანების კეთების დროს ჩვენ ვანაწილებთ მას მარტივ ამოცანებად, მაშინ ვადგენთ ეგრედ წოდებულს ამოცანის გაკეთების **გეგმას**, რომლის მიხედვით ვაკეთებთ მარტივს ამოცანებს და თანდათან ვუახლოვდებით ამოცანის უმთავრესი საკითხის გამოცნობას, ე. ი. ვაკეთებთ რთულს ამოცანას.

თანამედროვე პედაგოგიურს მწერლობაში რთული ამოცანების კეთებისა და თავდაპირველად გეგმის შედგენის შესახებ გამორკვეულია ორნაირი ხერხი, რომელიც ღამყარებულია ბავშვის სულიერ ძალთა განვითარებისა და საზოგადო პედაგოგიურს მოსაზრებაზე. ამ ხერხს უწოდებენ **სინტეტიურს** და **ანალიტიურს**. პირველ შემთხვევაში ამოცანაში ცნობილის რიცხვებიდან გადავდივართ გამოსაცნობელ რიცხვებზე; მეორე შემთხვევაში კი ამოცანის მთავარ საკითხიდან — ცნობილს რიცხვებზე. კარგად რომ დავუკვირდეთ მსჯელობას ამოცანების კეთების დროს შევნიშნავთ, რომ ანაზილიც და სინტეზიც ერთად აუცილებელი ხდება, მხოლოდ საქმე იმაშია თუ რომელი რომელს უნდა უსწრობდეს წინ და რა განსხვავებაა სინტეტიურსა და ანალიტიურს მეთოდებს შორის ამოცანების კეთების დროს. რომ უფრო ცხადად და თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ეს განსხვავება საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ ერთი და იგივე ამოცანა ორივე წესით.

ამოცანა: ვაჭარმა აურია ერთმანეთში 6 გირვანქა ოთხ მან. ჩაი, 7 გირ. სამ მან. და 9 გირ. ორ მან. როგორ გაუყიდია ერთი გირვანქა ამნაირად არეული ჩაი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მთლად ამ სავაჭროში ვაჭარმა აიღო სამი მან. მოგებ-
ბა? (იხ. კრებული ა. ნატროშვილისა № 789).

გავაკეთოთ ეს ამოცანა ჯერ სინტეტიურის წესით:

მასწავლებელი. — ამოცანაში არის ნათქვამი: ვაჭარმა აიღო ასარევად 6 გირვანქა ჩაი; თითო გირვანქა დირდა 4 მანეთად. რა შეგვიძლიან გამოვიცნოთ ამ რიცხვებიდან?

მოწაფე — შეგვიძლია გავიგოთ ექვსი გირვანქა ჩაის ფასი. თუ გირვანქა 4 მანეთად ღირდა, ექვსი გირვანქა ეღირება ექვსჯერ უფრო ძვირად, ამიტომ ერთი გირვანქის ფასი უნდა გავაბევროთ 6 ჯერ — 4 მ. $\times$ 6 = 24 მან. ამნაირად პირველი ხარისხის ჩაი ღირებულა 24 მანეთი.

მასწ. — მეორე ხარისხის ჩაი აუღია ვაჭარს 7 გირვანქა, თითო გირვანქა ღირებულა 3 მან. რა შეგვიძლიან გავიგოთ ამ რიცხვებიდან?

მოწ. — შეგვიძლიან გავიგოთ 7 გირ. ჩაის ფასი. ამისათვის 3 მან. $\times$ 7 = 21 მან.

მასწ. — მესამე ხარისხის ჩაი აუღია ვაჭარს 9 გირ. ღირებული თითო ორ-ორ მანეთად. ამ რიცხვებიდან რა შეგვიძლიან გავიგოთ?

მოწ. — ადვილად გავიგებთ მესამე ხარისხის ჩაის ფასს. ამისათვის 2 მ. $\times$ 9 = 18 მან.

მასწ. — ჩვენ გავიგეთ, რომ პირველი ხარისხის ჩაი ღირებულა სულ 24 მან. მეორე — 21 მან. და მესამე 18 მან. ვინ მიხვდება რა შეგვიძლიან ეხლა გავიგოთ ამ რიცხვებიდან?

მოსწ. — ეხლა შეგვიძლიან გავიგოთ სამი ხარისხის ასეული ჩაის ფასი, ამისათვის 24 მ. + 21 მ. + 18 მ. = 63 მან.

მასწ. — ეხლა ჩვენ გავიგეთ რომ სამივე ხარისხის არეული ჩაი 63 მან. ღირებულა, ვაჭარმა სამი მანეთი მოიგო. რა შეგვიძლიან გავიგოთ ამ რიცხვების შემწეობით?

მოსწ. — ეხლა შეგვიძლიან გავიგოთ რაგორ გაუყიდია ვაჭარს არეული ჩაი. ამისათვის 93 მ. + 3 მან. = 66 მან.

მასწ — შეიძლება გავიგოთ რამდენ გირვანქას იწონიდა არეული ჩაი?

მოსწ. — დიაღ, შეიძლება: პირველი ხარისხისა იყო 6 გირ. მეორესი 7 გირ. და მესამესი 9 გირ.; ამისათვის 6 გ. + 7 გ. + 9 გირ. = 32 გირ.

მასწ. — ჩვენ გავიგეთ, რომ არეული ჩაი ვაჭარს 66 მანეთად გაუყიდია, ნარევი ყოფილა 22 გირ. შეგვიძლიან ეხლა

ეროვნული

გავიგოთ თუ როგორ გაუყიდია ვაჭარს ერთი გირვანქა არეული ჩაი?

მოსწ. — ეს ადვილი გასაგებია — თუ 22 გირ. არეული ჩაი გაყიდა ვაჭარმა 66 მანეთად — 1 გირ. გაყიდდა 22 ჯერ იაფად — ამისათვის 66 მ.: 22 = 3 მან. ამნაირად ერთი გირვანქა არეული ჩაი ვაჭარს გაუყიდია 3 მან.

სინტეტიური მეთოდით, ამ ამოცანის კეთების დროს, ჩვენ კვალდაკვალ მივყვებოდით და გადავდიოდით ცნობილიდან გამოსაცნობ რიცხვებზე ისე, რომ ამ რთული ამოცანიდან პირველად ავიღეთ ორი რიცხვი, დავუსვით კითხვა და შესდგა პირველი მარტივი ამოცანა, რომელიც ერთის მოქმედებით გავაკეთეთ; შემდეგ კიდევ ავიღეთ ორი რიცხვი, დაუსვით კითხვა და ისიც ერთი მოქმედებით გავაკეთეთ და ასე ბოლომდის. როცა ამოცანებს სინტეტიურის წესით ვაკეთებთ ყოველთვის უნდა მოვისაზროთ რა არის მოცემული რთულს ამოცანაში და რა რიცხვი ვიპოვეთ მარტივი ამოცანების გაკეთების შემდეგ და რა შეგვიძლია გავიგოთ ამ რიცხვებიდან. სინტეტიური წესით ამოცანების კეთების დროს მოსალოდნელია ორ გვარი შეცდომა: 1. შეფარდება ცნობილ რიცხვებისა და 2. შეცდომა კითხვების დაყენებაში. მაგალ. რომ აგვეღო პირველი ხარისხის ჩაის 1 გირ. ფასი და მეორე ხარისხის ჩაის 1 გირ. ფასი შეგვეძლო გაგვეგო რამდენით ძვირი იყო პირველი ხარისხის ჩაის 1 გირ. მეორე ხარისხის ჩაის 1 გირვანქაზე. მაგრამ ცხადია, რომ ამგვარი შეფარდება ცნობილი რიცხვებისა ვერაოდეს ვერ მიგვაახლოვებდა რთული ამოცანის მთავარი საკითხის გამოცნობასთან.

ეხლა იგივე ამოცანა გავაკეთოთ ანალიტიურის წესით.

მასწ. — რა იკითხება ამოცანაში?

მოსწ. — როგორ უნდა გაყიდოს ვაჭარმა თითო გირვანქა არეული ჩაი, რომ მიიღოს სამი მანეთი მოგება.

მასწ — შეიძლება ამის გამოცნობა **ერთბაშად**, ერთის მოქმედებით?

მოსწ. — არა. არ მეიძლება.

მასწ — რა უნდა ვიცოდეთ იმისთვის, რომ მივუგოთ კითხვაზე თუ რა ეღირებოდა თითო გირვანქა არეული ჩაი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწ. — ამისათვის უნდა ვიცოდეთ როგორ გაუყიდია ვაჭარს არეული ჩაი მთლად და რამდენ გირვანქას შეადგენდა ნარევი.

მასწ. — შეიძლება ერთბაშად გავიგოთ როგორ გაუყიდია ვაჭარს არეული ჩაი?

მოსწ. — არა. ჯერ უნდა გავიგოთ რა ღირდა ვაჭარს არეული ჩაი და შემდეგ შეგვიძლია გავიგოთ როგორ გაყიდდა იგი ნარევს, თუ სამი მანეთი მოიგო.

მასწ. — შეგვიძლიან ერთის მოქმედებით გამოვიცნოთ არეული ჩაის ღირებულება?

მოსწ. — ვერა, აძას ერთბაშად ე. ი. ერთის მოქმედებით ვერ გამოვიცნობთ, რადგანაც სამი ხარისხის ჩაი იყო, თითო ხარისხის ჩაის რაოდენობაც და ფასიც სხვა და სხვა არის.

მასწ. — მაშ საიდამ უნდა შეგუდგეთ ამოცანის კეთებას?

მოსწ. — ჯერ გავიგოთ 1 ხარისხის ჩაის ფასი. ამის გაგება ადვილად შეიძლება, იმიტომ რომ ვიცით რამდენი გირვანქა ჩაი იყო პირველი ხარისხისა და რა ღირდა თითო გირვანქა.

მასწ. — შემდეგ რას გავიგებთ?

მოსწ. — გავიგებთ მეორე ხარისხის ჩაის ფასს

მასწ. — შემდეგ რას გავიგებთ?

მოსწ. — მესამე ხარისხის ჩაის ფასს.

მასწ. — იმის შემდეგ რაღას გაიგებთ?

მოსწ. — როდესაც ვიცით თითოეული ხარისხის ჩაის ფასი ცალ-ცალკე — ადვილად შეგვიძლიან გავიგოთ სამივე ხარისხის ერთად არეული ჩაის ფასიც.

მასწ. — ამის შემდეგ რაღას გაიგებთ?

მოსწ. — როცა გვეცოდინება რა ღირდა ვაჭარს არეული ჩაი და რამდენი მანეთი მოიგო ვაჭრობით, შეგვიძლიან გავიგოთ როგორ გაუყიდია ვაჭარს მთლად არეული ჩაი.

მასწ. — შეგვიძლიან ერთის მოქმედებით გამოვიანგარიშოთ არეული ჩაის რაოდენობა?

მოსწ. — ამის გაგება ადვილია, როცავიცით თითოეული ხარისხის ჩაის რაოდენობა ცალ-ცალკე.

მასწ. — იმის შემდეგ, როდესაც გეცოდინებათ რამდენად გაუყიდია ვაჭარს არეული ჩაი და რამდენ გირვანქას შეადგენდა ნარევი შეგიძლიათ გაიგოთ რა ფასში გაყიდდა ვაჭარი თითო გირვანქა არეულ ჩაის?

მოსწ. — დიაღ, ამის გაგება ძნელი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთანა ანალიზის შემდეგ შეადგენენ ამოცანის გეგმა-თების გეგმას: ა) გავიგოთ ფასი პირველი ხარისხის ჩაისა; ბ) გავიგოთ ფასი მეორე ხარისხის ჩაისა; გ) — მესამე ხარისხის ჩაისა; დ) რა ულირდა არეული ჩაი ვაჭარს; ე) რამდენად გაუყიდნია არეული ჩაი მოგებით; ვ) რამდენ გირვანქას იწონიდა არეული ჩაი და ზ) როგორ გაუყიდია ვაჭარს თითო გირვანქა არეული ჩაი. ამ მარტივი ამოცანების გამოცნობა ძნელი არ არის, ამიტომ არც ჩვენ მოვიყვანთ აქ იმ კითხვა-პასუხებს, რომელსაც მიმართავენ მასწავლებლები და მოწაფეები ამ ამოცანების გამოსაანგარიშებლად და რომელიც იგივე სინტეტიური წესია სწავლებისა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ

ამისთანა მსჯელობას ამოცანების ასახსნელად ეწოდება ანალიტიკური წესი. ამ წესით, ამოცანის გეგმის შესადგენად, ჩვენ გადავდიოდით უცნობიდან, ამოცანის უმთავრეს საკითხიდან ცნობილს რიცხვებზე. თავდაპირველად ვაქცევთ ყურადღებას ამოცანის უმთავრესს საკითხს, ვიგონებთ თუ რა რიცხვებია საჭირო, როგორ გამოვიცნოთ ეს საკითხი ერთის მოქმედებით. შემდეგ ვაქცევთ ყურადღებას თუ რა მისაშველებელი რიცხვები უნდა გვქონდეს უმთავრესი საკითხის გამოსაცხობლად. ასე მივდივართ იმ დრომდის, ვიდრე არ მივიღებთ ისეთს მარტივს ამოცანას, რომლის გამოსაანგარიშებლად საჭირო რიცხვები უკვე ნაჩვენებია ამოცანის პირობაში. ამ გვარი თანდათანობით, მარტივი ამოცანების შედგენის დროს, ჩვენ ვადგენთ ამოცანის ახსნის გეგმას. ამასთან მარტივი ამოცანის გამოცნობა უნდა იწყებოდეს იმ ამოცანიდან, რომელშიაც შედიან რთულ ამოცანაში ნაჩვენები რიცხვები; როცა ამ მისაშველებელ რიცხვს ვიპოვით, შემდეგ გადავდივართ მეორე მარტივ ამოცანაზე და სხ. ანალიტიური წესით ამოცანების ახსნის დროს შესაძლებელია შეცდომა მოხდეს მხოლოდ რიცხვების ურიგოდ შეფარდებაში; კითხვების დასმაში კი შეცდომა შეუძლებელია, რადგანაც თითოეული საკითხი, მარტივი ამოცანების შესახებ, განისაზღვრება ან რთული ამოცანის უმთავრესი საკითხით, ან. წინასწარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტივი ამოცანებით. ერთი საკითხი ლოგიკურად გამომდინარეობს მეორიდან.

ეხლა შევადაროთ ერთმანეთს ეს ორივე მეთოდი ამოცანების ახსნისა.

სინტეტიური წესით, ამოცანების ახსნის დროს, ჩვენ მივდივართ ალალბედზე, თითქოს არა ვართ დარწმუნებული ჩვენს მოქმედებაში, ვირჩევთ ამოცანის პირობიდან ორს რიცხვს და იმაზე ვადგენთ მარტივ ამოცანას, რომელსაც მაშინვე გამოვიანგარიშებთ; შემდეგ ავიღებთ კიდევ ორს რიცხვს, ვადგენთ ამოცანას, ვანგარიშობთ და სხ. ამნაირად მოვახდენთ რამდენიმე ცდას, რომელთაც ერთმანეთში არავითარი კავშირი არ აქვსთ და არც არიან გადაბმულნი ერთის სახელმძღვანელო ძაფით; ანალიტიკური მეთოდის ხმარებით კი ჩვენ შემთხვევით არ ვადგენთ მარტივს ამოცანებს, პირიქით ვადგევართ საღს ლოგიკურ გზას: შევადგენთ თუ არა პირველ მარტივ ამოცანას, რომლის საკითხს ამოცანის უმთავრესი საკითხი შეადგენს, ჩვენ ცხადად დავინახავთ თუ რომელი ახალი რიცხვები უნდა ვიცოდეთ წინდაწინ და რანაირი მარტივი ამოცანის შედგენაა საჭირო ამ რიცხვებზე.

სინტეტიური მეთოდით, როდესაც მოწაფე აღნიშნავს პირველ მარტივ ამოცანას, მაშინვე შეუძლია მისი გამოანგარიშებაც წინასწარ სრული გეგმის შეუდგენელად, შემდეგ შეადგენს თუ არა მეორე მარტივ ამოცანას—იმასაც მაშინვე გამოიცნობს და ასე ბოლომდის. ანალიტიური მეთოდით კი თავდაპირველად უნდა შეადგინონ ამოცანის ახსნის გეგმა და შემდეგ იწყონ გამოანგარიშება ე. ი. დაადგნენ სინტეტიურს გზას.

სინტეტიური წესი ამოცანის კეთებისა უფრო ადვილია როგორც მოწაფეების, ისე მასწავლებლებისთვინაც, რადგანაც ცნობილი რიცხვებიდან უცნობზე გადასვლა უფრო ადვილია, ვიდრე უცნობიდან ცნობილზე, მეორე შემთხვევაში უნდა გაბან მთელი ჯაჭვი დასკვნათა, რომლის რგოლები ლოგიკურის კავშირით არიან ერთმანეთზე გადაბმული.

ეხლა საკითხი იმაშია ამოცანების ახსნის ამ ორ მეთოდში რომელს უნდა დაეთმოს უპირატესობა განსაკუთრებით დასაწყისს სკოლებში.

არითმეტიკული ხასიათის ამოცანებში, რომლებიც უფრო მეტია ყველა არითმეტიკულ ამოცანათა კრებულებში, რომელნიც დანიშნულია დასაწყისი სკოლებისათვის, დამოკიდებულება ცნობილსა და გამოსაცნობ რიცხვებს შორის იმდენად ცხადი და **გამჭვირვალეა**, როგორც ამბობს გოლდენბერგი, რომ შესაძლებელია ამოცანის ახსნის გეგმის შედგენა უანალიზოდაც ე. ი. სინტეტიურის გზით.

ალგებრაული ხასიათის ამოცანებში, რომელნიც ხანდისხან შეგვხდება დასაწყისი სკოლების ამოცანათა კრებულშიაც და აგრეთვე ისეთს ამოცანებში, თუმცა არითმეტიკულის ხასიათისაში, მაგრამ რომლის აზრიც უფრო დახლართულია, სასურველია მიმართონ ანალიტიკურს წესს. მაგალითად დასაწყისის სკოლის დაბალსა და საშვალო განყოფილებებში უმეტესი რიცხვი არითმეტიკული ამოცანებისა შეიძლება სინტეტიურის წესით აიხსნას, უფროსს განყოფილებაში კი საჭიროა ისარგებლონ ანალიზითაც, რადგანაც ეს მეთოდი უფრო ხელს უწყობს მოწაფის გონების განვითარებას, ვიდრე სინტეტიური. თანამედროვე პედაგოგია გვამცნევს, რომ არითმეტიკის სწავლების დროს „უმთავრესი მნიშვნელობა **ანალიტიკურ წესს** აქვს, რადგანაც მხოლოდ ანალიზის შემწეობით კეთდება ამოცანები, რომლის სინტეტიური ახსნა წარმოადგენს მხოლოდ გამეორებას. ამოცანების მნიშვნელობა მარტო გამოანგარიშების წესში კი არ არის, რომელსაც მოწაფეები სწავლობენ რიცხვითი მაგალითებისა და ფორმულების გამოანგარიშებაზედაც, როცა საკითხი, თუ რომელი მოქმედებაა საჭირო, აშკარადა სჩანს, არამედ-ამოცანის სიტყვიერ შინაარსის ლოგიკურად შემუშავებაში. ამიტომაც ამოცანების კეთების დროს საჭიროა თავდაპირველად სიტყვიერი მსჯელობა, ყოველი აზრის ლოგიკურად დამტკიცებით და ბოლოს, თითქოს ამ მსჯელობის შესამოწმებლად, შეძლების დაგვარად, სწრაფად გამორკვევა, გამოანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშება იმ რიცხვისა, რომლის გამოცნობაც შეადგენს ამოცანის მთავარ საკითხს.

ყველა ამოცანები, რომელთაც დასაწყისს სკოლებში აკეთებენ, შეიძლება გავყოთ სამ რიგად: 1) ელემენტარული; ანუ მარტივი ამოცანები, რომელსაც აკეთებენ დასაწყისი სკოლის პირველ განყოფილებაში, ზოგჯერ მეორეშიაც და რომელიც შემდეგ იხმარება საშუალებად რთული ამოცანების კეთების დროს, 2) **რთული, ადვილი** ამოცანები და 3) **მოძნელო** ამოცანები, რომელთა უმეტესს რიცხვს წარმოადგენენ ესრედ წოდებული **ტიპიური** ამოცანები. მეორე რიგის ამოცანებს დიდი განმავითარებელი მნიშვნელობა აქვს. „რთულს მაგრამ არა ძნელს ამოცანებზე, ადვილად შესაძლებელია მოწაფეების ვარჯიშობა ამოცანათა კეთების გეგმის შემუშავებაში, დაწვრილებითი განმარტებაში და ლოგიკურ მსჯელობაში საჭირო შემთხვევაში თითოეული მოქმედების საფუძვლიან ხმარების შესახებ.

ხშირად შეინიშნება, რომ მოწაფეს კლასში ბლომად უკეთია ამოცანები, მაგრამ, რომელიმე ადვილი ამოცანის. კეთების დროს, იგი ხშირად სრულიად იბნევა და გზა კვალს ვერ იგნებს თუმცალა მას მაგვარ ამოცანაზე უფრო ძნელიც გაუკეთებია წინად. ამგვარი მოვლენა ცხადი დამამტკიცებელია იმისი, რომ მოწაფეს წინად ამოცანები შეუგნებლად, უაზროთ და მექანიკურად უკეთია; ლოგიკურ მსჯელობას და აზროვნებას მოკლებული მოწაფე ყოველთვის ალალ-ბეღზე სჯის და პირველი დაბრკოლებისთანავე გონება ებნევა, წვალობს და ვერა მოუხერხებია რა. ამიტომაც, ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ამოცანების ტიპებად დაყოფა და ყოველი ტიპის ამოცანის მტკიცეთ შეთვისება, განმარტება და ლოგიკური მსჯელობის გამართვა მათ შესახებ.

ჩვენს დროში შეხვდებით ისეთს მასწავლებლებსაც, რომელთაც არაფრად მიაჩნიათ არც სინტეტიური და არც ანალიტიური გარკვეული მეთოდები ამოცანების კეთებაში პირველი საკითხი, რომლითაც მიმართვენ მოწაფეებს ამ-სთანა მასწავლებლები, ასეთია: **როგორ უნდა გავაკეთოთ ეს**

ამოცანა? ამ საკითხის განუსაზღვრელობა და უაზრობა აშკარად სჩანს თვით მოწაფეების პასუხიდანაც, რომელნიც არაფერს გარკვეულს პასუხს არ იძლევიან, რადგანაც თვითონ ეს საკითხი არ ითხოვს ერთს გარკვეულს პასუხს, პირიქით ბავშვის გონება ამ შემთხვევაში ვერ ჩერდება ერთს საგანზე დაიფანტება. ზოგი მასწავლებელიც უარს ჰყოფს ორივე მეთოდს და ამოცანის კეთებას პირდაპირ მოწაფეთ მიანებებს, რომ მათ თავის თავად გამოარკვიონ წესი ამოცანის გაკეთებისა. თუ ეს ამოცანა ანალოგიურია, რომლის ტიპიური ამოცანა წინად უკვე განმარტებით გაუკეთებიათ და შეუგნიათ, მაშინ ამისთანა ხერხის წინააღმდეგ არა ითქმის რა; მაგრამ თუ ეს ამოცანა ტიპიურია და მოწაფეები მას ეხლა სწავლობენ, აუცილებლად საჭიროა განმარტება, შესაფერისი კითხვების მიცემა, პასუხი და სრული შეგნებით შეთვისება ამოცანისა, რომელიც შემდეგ დაეხმარება მსგავს ამოცანების თავისუფლად და შეგნებულად კეთებაში.

საზოგადოთ მოწაფეები მაშინ უფრო დახელოვნდებიან ამოცანების კეთებაში, როდესაც ერთი გარკვეული გზა აქვთ დასახული, დაჩვევულნი არიან ერთს საზოგადო მსჯელობის წესს ამოცანათა კეთების შესახებ. მაშინ საღი ლოგიკური აზროვნებაც, საკმაო ვარჯიშის შემდეგ, ვითარდება და ამოცანათა კეთებაც სრული შეგნებით წარმოებს.

ლ. ბ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგიის ისტორია

დ—რ ვაიმერისა

(თარგმანი გერმანულიდან)

(გაგრძელება)

§ 7. როგორ უყურებდნენ რეფორმატორები საერთოდ ჰუმანიზმს და სასკოლო განათლებას.

ჰუმანიზმის ძიერ დაწყებული ბრძოლა საშვალო საეკლესიოების ეკლესიის სულიერათ გაბატონებისა და სამღვდელოების მამინაცვლობის წინააღმდეგ გერმანიაში **რეფორმეციამ** დაათავა. ახალი თაობის ჰუმანისტთა უმრავლესობა მალე მიემხრო საეკლესიო მოძრაობას; ჰუმანისტებს წინ და წინ არ ქონდათ წარმოდგენილი, თუ რა ხიფათში ჩააგდებდა ეს შეერთება მათ საყვარელ მეცნიერებს. მას შემდეგ, რაც ლიუტერი პაპის ეკლესიას ჩამოშორდა და ვორმსის რაიხსტაგმა იგი განდევნა, თეოლოგიურმა საკამათო კითხვებმა ისეთი საერთო ყურადღება მიიპყრეს, რომ ჰუმანიზმი და ჰუმანისტთა ხელში მყოფი უნივერსიტეტები და სკოლები დიდ საგრძნობელ გაჭირვებას განიცდიდნენ ხოლმე. დიახ, რამოდენიმე ხანს განათლების მოწინააღმდეგე მიმართულებამაც კი იჩინა თავი (კარლშტადტი და სხვა). დიდი საქმე მოწასტრებიდან გაქცეულს, უვიც ბერებს ჩაუვარდა ხელში. უკმაყოფილების აცდენა რეფორმატორთა და ჰუმანისტთა შორის შეუძლებელი შეიქმნა: ერაზმუსმა ლიუტერს დააბრალა მეცნიერების საქმის დაქვეითება, როიხლინმა ყოველივე განწყობილება შესწყვიტა მისივე ძმისწულთან დიდებულ მელანხტონთან, რაკი ვერ გადიპირა თავის მხარეზე, მაგრამ ჰუმანიზმსა და პროტესტანტიზმს სამუდამოდ არ შეეძლოთ უკმაყოფილება გაეგრძელებიათ. ამ ორივე მიმართულების შეთანხმებას მარტო ისიც უწყობდა ხელს, რომ თითქმის

მე-XVI საუკუნის ყველა რეფორმატორებს, როგორც მეთაურებს, აგრეთვე მათ თანაშემწეებსაც ჰუმანისტიური განათლება ჰქონდათ მიღებული. საუკეთესო შემაერთებელი მიზეზი სასულიერო წოდებისათვის მეცნიერული განათლების საჭიროება იყო, რომელთაც «დაბადება» ძველი წყაროების საშვალებით უნდა შეესწავლათ.

ლიუტერის აზრით ჰუმანისტიური სწავლა უსაჭიროესს მოთხოვნილებას შეადგენდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ჰუმანისტთა განმავითარებელმა მოქმედებამ მოამზადა ნიადაგი ეკლესიის საუკეთესოდ გარდაქმნისთვის. ჰუმანისტთა სწავლის წეს-რიგი, სამონასტრო და საკათედრო სკოლების წეს-რიგთან შედარებით, ლიუტერის აზრით, დიდს სიბიჯს წარმოადგენდა წინმსვლელობაში. ამიტომაც ლიუტერს ჰუმანისტთა სკოლების სასწავლო მასალა და მეთოდი პროტესტანთა სკოლებში უნდოდა გადმოეტანა; ლიუტერი თხოულობს ასეთი სკოლების დაარსებას თავის მოწოდებაში შემდეგის სათაურით: « გერმანიის ყველა ნაწილების მეთაურთ საქრისტიანო სკოლების დაარსებისა და შენახვის შესახებ ». (1524).

ამ წერილში პირველათ არის გამოთქმული აზრი, რომ სკოლების დაარსება და შენახვა მთავრობის მოვალეობას შეადგენს. ლიუტერის აზრით არ შეიძლება ადგრდა სწავლის საქმე მარტო მშობლებს მიენდოს, რადგანაც თვით მშობლები არ არიან საკმაოდ მომზადებულნი და არც დრო უწყობს ხელს ბავშვებს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ. განსაკუთრებული მასწავლებლის დაქირავება კი მხოლოდ მცხოვრებთა ძლიერ მცირე რიცხვს შეუძლია. აი აქ უნდა ჩაერიოს მთავრობა. მთავრობა მოვალეა ისეთივე ყურადღება მიაქციოს ქვეშევრდომთა სწავლა-ადგრდას, როგორც მშვიდობიანობასა და უსრუნველყოფას აქცევს. სახელმწიფოების და ქალაქების მოხელენი, როგორც სასულიერო, აგრეთვე საერო საქმეებში საჭიროებენ საკმაოდ მეცნიერულ მომზადებას. სასულიერო პირთათვის ძველი ენების ცოდნა საჭიროა, რადგან სახარების შეგნება შეიძლება მხოლოდ მათი საშვალებით. მხოლოდ ძველ ენებში არის სახარება პირველ ყოფილ სიწმინდით დარჩენილი და საერო მოხელენი კი მხოლოდ ძველი ენების საშვალებით თუ შეიძენენ საჭირო ცოდნას. რა თქმა უნდა, ყველა ვერ მიიღებს მეცნიერულ განათლებას; მხოლოდ « რჩეულ ნი » ე. ი. უნდა მიექცეს ყურადღება უფრო ბეჯითი ბავშვების მომზადებას, დანარჩენთათვის კი საკმაო ერთი ან ორი საათით დღეისით მეცადინეობა.

ამ გვარათ ლიუტერი მოითხოვს არა მარტო მთავრობის მიერ მოწესრიგებულს სწავლებას, არამედ ორივე სქესისათვის საყოველთაო სწავლებას, ქალაქებში მაინც. თუ საშუალო საუკუნეებში სკოლებს აარსებდნენ « საეკლესიო და სასულიერო » მიზნისთვის, ლიუტერმა განათლების ასპარეზი გააფართოვა; სასულიერო განათლებას გვერდში ამოუყენა საერო განათლებაც, სამეცნიერო განათლებას — სახალხო განათლება. თავის ქადაგებაში: « ბავშვების სკოლაში სიარულის საჭიროებაზე » ლიუტერი კიდევ მეტს ამბობს—ის ამტკიცებს, რომ მთავრობას უფლება აქვს სავალდებულო სწავლა შემოიღოს- როგორც მთავრობას აქვს უფლება ჯანსაღი პირები იარაღით ხელში, გამოიწვიოს საომრობლოს დასაცავათ, ისეთივე უფლება აქვს მას გონებით საღი ადამიანი იძულებული გახადოს იაროს სკოლაში.

ლიუტერმა განსაკუთრებულის ყურადღებით აღნიშნა საღმრთო რჯულის გაკვეთილების მნიშვნელობა. მისი აზრით საღმრთო რჯულის გაკვეთილები უსაჭიროესი და სახალხო განათლების სხვა საგნებზე უფრო მნიშვნელოვანი არის; ლიუტერს საუკეთესო მასწავლებლათ ის მიაჩნია, ვინც მოწაფეებს მართლად გადასცემს ათს მცნებას, მრწამსსა და მამაო ჩვენოს. საღმრთო რჯულის გაკვეთილების აღდგენა მჭიდროთაა შეკავშირებული ლიუტერის მთელ რეფორმატიულ მოქმედებასთან. რწმენა ცოდვების გამოსყიდვისა, რომელიც სახარების სიტყვით ერთად ერთი საშვალებაა ცოდვათა მოსანანებლად, შეუძლებელი ხდება, თუ ცოტა ოდენი მაინც ცოდნა არა გვაქვს ჩვენი რჯულისა. საჭიროა მსურველთ სწორეთ ეს შეგნება რჯულისა მივცეთ. შეგნების გასაადვილებლად გადათარგმნა ლიუტერმა დაბადება, დასწერა მოკლე სახალხო კატეხიზმო და ამ მიზნითვე თხოულობდა საღმრთო-რჯულის სახალხო სწავლებას. გერმანული «დაბადება» და მოკლე კატეხიზმო მალე ყველაზე უფრო გავრცელებულ სახელმძღვანელო და საკითხავ წიგნებათ გადიქცენ სახალხო სკოლებში.

ლიუტერმა სკოლის ცხოვრების პრაქტიკულ მხარეს ბევრად ნაკლები ყურადღება მიაქცია, ვიდრე მისმა ერთგულმა მეგობარმა და მრჩეველმა **ფილიპ მელანხტონმა** (1493 — 1560). მისმა შრომამ სკოლის მეცნიერულ ნიადაგზე დამყარების შესახებ ნათელ ჰყო პროტესტანტიზმისა და ჰუმანიზმის კავშირის აუცილებლობა. ფილიპ მელიანხტონმა მეცნიერული განათლება მიიღო ჰაიდელბერგში და ტიუბინგენში. როგორც მოწაფე და მიმდევარი **ბებელის** ფილოსოფიისა ტიუბინგენში მელანხტონი ნამდვილი ჰუმანისტი იყო. რიხლინის რჩევით 1518 წ. მელან-

ხტოდნი ვიტტენბერგში ბერძნული ენის მასწავლებელად მიიწვიეს პირველსავე, ეგრედ წოდებულ შესავალ ლექციაში (**De corrigendis adolescentiae litteris**) აღფრთოვანებით ურჩევდა მსმენელთ რომისა და განსაკუთრებით კი საბერძნეთის კლასიკების ღრმად შესწავლას. ამავე ლექციაში მელანხტონმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა სხოლასტიურ მიმართულებას სწავლის საქმეში. როგორც ნამდვილ ჰუმინისტს მელანხტონს განათლების მიზნათ მჭერმეტყველება მიაჩნდა, რომელსაც, მისის აზრით, გერმანელი ვერას დროს ვერ შეითვისებდა, როგორც რომაელი ან ბერძენი, ვერ გახდებოდა ციცერონათ ან დემოსთენათ. მოკლე გრამატიკის შესწავლის შემდეგ მელანხტონი ცდილობდა დაეწყო ავტორების კითხვა, რომელნიც არა მარტო გრამატიკული ფორმების ხმარებას ასწავლიდენ მოწაფეებს, არამედ იძლეოდნენ ნიმუშებსაც და შინაარსს მისაბაძავათ. მელანხტონი დიდს მნიშვნელობას აძლევდა სტილისტიურ ვარჯიშობას, წერილების შეთხზვას, ბერძნულიდან თარგმნას, კამათს და ზეპირად წარმოთქმას («დეკლამაციები»). ციცერონის დახმარებით შეგირდმა უნდა შეისწავლოს არა მარტო შნოიანად, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკი ნათლად და საგნის შესაფერისად. მარტო ფორმა იმას არ აკმაყოფილებს. მოწაფემ საჭირო საგნებიც უნდა შეისწავლოს. კლასიური მწერლების შესწავლამ კი უნდა გაადვილოს ამ საგანთა შეთვისება, რადგან ყველა დარგები მეცნიერებისა ძველ ავტორებს დამუშავებული აქვთ: მათემათიკა, ფიზიკა, მეტაფიზიკა და ეთიკა.

მელანხტონის პირველნება, როგორც ღრმად განათლებული კაცისა, საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა, როგორც ეს ესმოდა თვითონ მელანხტონს. მისი სახელმძღვანელოები დიალექტიკისა და რეტორიკისა, მისი წერილები ფიზიკის, ეთიკის და საეკლესიო დოგმატიკის შესახებ, მისი გადაკეთებული კარლს ქრონიკები, მრავალი ლექციები ახალი აღთქმის, მრწამრის, რომაულ და ბერძნული კლასიკთა, ყოველ ქვადრივიუმის საგნების შესახებ—საკმაო საბუთს გვაძლევენ ამ ადამიანის არა ჩვეულებრივი ცოდნის შესახებ, ისეთი ცოდნისა, რომლის მსგავსი, როგორც მელანხტონის წინათ, ისე მის შემდეგ მხოლოდ არჩეულ პირთ რგებიათ ხვედრათ. მისი ბერძნული და განსაკუთრებით კი ლათინური გრამატიკა დიდ ხანს ითვლებოდა საუკეთესო და ძლიერ გავრცელებულ სახელმძღვანელოთ პროტესტანტთა სკოლებში.

მელანხტონს უწოდეს საპატიო სახელი Praeceptor Germaniae (მასწავლებელი გერმანიისა) და თუ პროტესტანტთა გერ-

ანია გვექნება მხოლოდ სახეში, მაშინ მელანსტონი მართლა ღირსი იყო ასეთის სახელისა. როგორც მისი სახელმძღვანელოების ფართოდ გავრცელება, აგრეთვე მისი პირადი გავლენაც გერმანიაში დიდი იყო. ღრმა მეცნიერის და უებარი მასწავლებლის სახელმა ურიცხვს იმ დროინდელს (ამბობენ 2000 მსმენელზე) მოწაფეს მოუყარა თავი მასთან მსმენელად. რასაც მელანხტონისაგან მოწაფეები სწავლობდნენ, იმას შემდეგ ბეჯითად ავრცელებდნენ მთელს ქვეყანაში. მელანხტონის მოწაფეებს უნივერსიტეტები და უმაღლესი სკოლები, სხვების წინაშე, დიდს უპირატესობას აძლევდნენ. ნიურნბერგელები კიდევაც ცდილობდნენ თვითონ მელანხტონი გადმოებირებიათ თავისკენ ახლად დაარსებულ ლათინური სკოლაში, მაგრამ იძულებულნი დარჩნენ მელანხტონის რჩევით დაკმაყოფილებულიყვნენ; ასეთს რჩევას მელანხტონი ბევრ სხვა პროტესტანტთა ქალაქებსაც უგზავნიდა ხოლმე. როგორც ვიტენბერგის უნივერსიტეტის რეფორმა მომატებულად მელანხტონის საქმე იყო, ისე სხვა პროტესტანტთა უნივერსიტეტებიც (მარბურგი, იენა, კიონისბერგი, ტიუბინგენი, ჰაიდელ ბერგი, ფრანკფურტი და სხვა) მოაწყვეს მელანხტონის რჩევის მიხედვით.

§ 8. პროტესტანტთა სკოლების წესრიგი მეთექვსმეტე საუკუნეში.

(1528) **საქსონიის სწავლა-განათლების წესდების** დაწერამ საუკეთესოდ დაამტკიცა, რომ მელანხტონს კანონიერად უმაღლოდენ გერმანიის მასწავლებელს. ეს წესდება მოთავსებულია წესდებაში: «დარიგება რევიზორებისა საკურფიურსტო საქსონიის მღვდლებისადმი». ამ წესდებაში მელანხტონი აღნუსხავს მთელს გეგმას ჰუმანისტურ—პროტესტანტულ სწავლისას ლიუტერის დედა აზრების განსაზღვრიელებლად. წესდება არა მარტო საქსონიისთვის, არამედ ყველა სხვა პროტესტანთა ქვეყნებისათვისაც გამოდგა.

ამ გეგმით ლათინურ სკოლების მიზანი იყო მხოლოდ «წერა-კითხვა ლათინურისა და საღმრთო რჯული». მოწაფენი უნდა ყოფილიყვნენ სამ რიგათ გაყოფილნი. პირველ განყოფილებისათვის მასალათ უნდა აეღოთ: კითხვა ლიუტერის ანბანიდან «საბავშვო წიგნაკი» *), წერა, პირველ-დაწყებითი გრამატიკა დონატის სახელმძღვანელოს მიხედვით, კატონის ზნეობრივი დარიგებანი და ძრავალი ანდაზები. მეორე განყოფილების უმთავრეს საგნათ აღებული იყო ლათინური გრამატიკა და

*) ზოგიერთი მელანხტონს მიაწერს ამ წიგნის შედგენას.

მასთან ერთად ეზოების იგავარაკები, პეტრეს მოსელწანუსის დიოლოგები, ამორჩეული ადგილები ერაზმუსის საუბრებიდან და პლავტისა და ტერენცის კომედიებიდან. საღმრთო რჯულისთვის ცალკე დღე უნდა ყოფილიყო დანიშნული. რჯულის გაკვეთილი შეიცავდა ახალი აღთქმის ადვილი ადგილების ან და სოლომონის სიბრძნის გარჩევას. კამათი რელიგიური წინააღმდეგობის შესახებ სრულიად აღკრძალულ იყო. მესამე განყოფილებაში გადასვლის უფლება კი ეძლეოდა მხოლოდ უნიჭირესს მოწაფეებს. ვერგილის, ციცერონის და ოვიდიის ნაწერები უნდა დახმარებოდენ შეგირდებს ლათინური პროზისა და ლექსის შეთვისებაში. ამიტომაც დასახელებულ მწერალთა შესწავლასთან ერთად გეგმა თხოულობდა ბავშვებს ყოველს კვირაში არა თუ ლათინური ეწერათ პროზით, არამედ ლათინურ ლექსთა თხზვაშიაც კი ევარჯიშნათ. შემდეგ გრამატიკის ადგილი უნდა დაეჭირა დიალექტიკისა და რეტორიკის კურსს. საღმრთო რჯულს ამ განყოფილებაშიაც ეძლეოდა ერთი განსაკუთრებული დღე, სიმღერას კი ყოველ დღე ერთი საათი ნასადილევს. ლათინურათ ლაპარაკი, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე, ყველა მოწაფისთვის სავალდებულო იყო.

მელანხტონის გეგმის გავლენა ატყვია პედაგოგიურ საქმეში ისეთსავე ცნობილ პირს, როგორიც იყვნენ ლიუტერი, მელანხტონი, და თვით იოდანესს ბუგენ ჰაგენსაც (1485—1558). ამ უკანასკნელმა შეადგენა 1528 წლიდან სკოლის წესდებანი შემდეგი ქალაქებისთვის: ბრაუნშვაიგისთვის, ჰამბურგისთვის, ლიუბეკისთვის, აგრეთვე პომერანისთვის და ბრაუნშვაიგ—ვოლიფენბიუტელისთვის. მაგრამ ბუგენჰანგენის გეგმა უფრო ფართოა. ის არ ივიწყებს აგრეთვე ბერძნულ ენასაც და ყურადღებას აქცევს ადგილობრივ პირობებს. ამ დროს შედგენილს უმრავლეს წესდებათ უმეტესად მელანხტონის ზედ გავლენა ეტყობა; ზოგიერთმა ქალაქმა პირდაპირ შეუცვლელადაც კი მიიღო მელანხტონის გეგმა.

სრულიად დამოუკიდებლათ შემდგარია **ვიურტემბერგის სწავლის გეგმა** ჰერცოგ ქრისტოფორეს მიერ 1559 წ. ის მეXVI საუკუნის ყველა გეგმაზე უფრო დინჯად და უკეთ არის შემდგარი და ამიტომაც განსაზღვრავს დედა-აზრებში ვიუტემბერგის სწავლის საქმეს დღემდის. ამ გეგმაში საუკეთესოდ არის განხორციელებული ლიუტერის საყოველთაო სახალხო განათლება; მეტიც შეგვიძლია ვთქვათ: წესდების შემდგენელთ, როგორ ელთა შორის უსათუოდ იყო ვიურტემბერგის რეფორმატორი იოლანნე ბრენცი, გაუსწრეს კიდეკვაც ლიუტერს, რადგან მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგინეს ყოველ მასწავლებლების შემაერთებელი საერთო გეგმა. ეს წესდება ეხებოდა მთელი ვიურტემბერგის ყველა სასწავლებელს—სოფლის სკოლიდან დაწყებული უნივერსიტეტამდის.

ეს წესდება ვალდებულად ჰხდის ყველა დაბა სოფლებს ააგონ გერმანული სკოლები, სადაც უნდა ასწავლიდნენ წერას, კითხვას, საღმრთო რჯულს, ანგარიშს და საეკლესიო გალობას. ქალაქებს და მოდიდო სოფლებს უნდა მოეწყოთ ლათინური ანუ სამოქალაქო სკოლები, სადაც მოწაფეები პირველიდან მეექვსე კლასამდის რჩებოდნენ. დაბალ კლასებშა შემოღებული იყო მხოლოდ ლათინური, მეოთხედან იწყებოდა ბერძნულიც სასწავლო მასალა უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე მელანხტონის გეგმაში. სწავლის გაგრძელება შეეძლო მხოლოდ იმ მოწაფეებს, რომელნიც ეგზამენს დაიჭერდენ **სამონასტრო სკოლებში.** ეს სამონასტრო სკოლები უნდა შეენახათ მონასტრების საშუალებით. სამონასტრო სკოლებში ჯერ იმეორებდნენ ლათინური სკოლის უკანასკნელი ორი წლის საგნებს და მერმე კი განაგრძობდნენ რომაულ-ბერძნულ მწერლების შესწავლას, რეტორიკას, დიალექტიკას და ყოველ დღე კითხულობდენ lectio theologica-ს. სამონასტრო სკოლები სამღვდელო პირთა უფასოდ გასანათლებლად იყო დაარსებული და შეადგენდა ტიუბინგენის უნივერსიტეტისთვის მოსამზადებელ სასწავლებელს. ტიუბინგენის უნივერსიტეტში იყო ასი ადგილი სტუდენტთათვის, რომელსაც თავშესაფარი (Stift) ჰქვიოდა; აქ სრულიად უსასყიდლოდ იძლეოდნენ ბინას და საჭმელ-სასმელს. არა სამღვდელო პირთ შტუტგარტის პედაგოგიუმი აძლევდა, ლათინური სკოლის გათავების შემდეგ. სწავლის განგრძობის საშუალებას, რომ შეგირდი რაიმე საერო-სექმიზთვის მოემზადებულიყო. უფრო ღრმად კლასიკთა შესწავლის გარდა, აქ შემოღებული იყო ერთად ერთი რეალური საგანი მათემათიკა.

საუკეთესო მასწავლებელთა ასარჩევად სკოლების წესდება სავალდებულოთ ხდება. მასწავლებლობის ყველა მსურველს ეგზამენი უნდა დაეჭირა და სამაგალითო გაკვეთილი მიეცა — ეკლესის მსრუნველთა და პედაგოგიუმის თავმჯდომარეთა თანადასწრებით. საერო და სამონასტრო სკოლების კარგ მასწავლებლებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ სასულიერო თანამდებობას მიანდობდნენ. კარგი შემოსავალი, უფასო ბინა და განთავისუფლება სამოქალაქო გადასახადებიდან ხელს უწყობდა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. რადგან ერთხელვე ყველა სკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისათვის დაასახელეს სახელმძღვანელოები და საგალდებულო გახადეს ზოგიერთი პედაგოგიური ზომა, მასწავლებელთა თვითნებობას მოედო ბოლო, ისე კი რომ საჭირო თავისუფლება მაინც არ დაუკარგავთ.

ამ სასკოლო წესდების მნიშვნელობა თანამედროვეთაც არ გამოეპარათ.

ათი წლის შემდეგ მასთან შედარებით შეასწორეს ბრაუნშვაიგის სკოლების წესდება, მერე ასევე მოიქცნენ ლიპპეში და ბოლოს 1580 წელს **საკიურფიურსტო საქსონაიში.** უკანასკნელს ზოგიერთი ადგილები სიტყვა სიტყვითაც კი გადმოაქვს თავის წესდებაში. ისიც საჭიროდ სთვლის გგრმანული სკოლების დაარსებას ყოველ სოფელსა და დაბებში, ქალაქებში კი ხუთ-კლასიან სამოქალაქო სკოლებს და სწავლის განსაგრძობლად სამს სამეფო სკოლას მაისსენში, გრიმში და შულპფორტში. ამ სამეფო სკოლებს, რომელნიც სამი განყოფილებისგან შესდგებოდა, ექვსის წლის განმავლობაში უნდა მოემზადებიათ მოწაფეები უნივერსიტეტის ყველა სასწავლო საგნების მსმენელად, როგორც ვიურტენბერგის სამონასტრო სკოლებში, ისე სამეფო სკოლებშიაც, შეგირდები სკოლაში სცხოვრობდნენ სრულიად უფასოდ. კლასიკთა ავტორების კითხვა ცოტა უფრო ფართოა აქ, ვიდრე ვიურტენბერგის სკოლებში. ასტრონომია და მათემათიკა შეტანილ იქმნა გეგმაში უფროს კლასებში, როგორც საგანი. მასწავლებელთათვის წესდებას აქვს დამზადებული 150 ადგილი ლეიბციგისა და ვიტტენბერგის უნივერსიტეტებში.

ნ. ლორთქიფანიძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო წარსულიდან

ილია ჭავჭავაძე რუსეთში

(1906 — 1907 წ.)

I

ილიას ჩამოსვლა

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგს ეწვია იმ დროს, როდესაც თითქმის მთელი საქართველო აწიოკებული იყო. ჩვენ გვახსოვს ის საშინელი ხანა და არც მალე დაგვავიწყდება.

პეტერბურგის მოწინავე საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ქართველ დეპუტატების ჩამოსვლას. ცოტა ხნის შემდეგ პირველი სათათბირო, ეს პირველი ისტორიული დაწესებულება, დაიწყებდა მუშაობას. დეპუტატებზე ადრე ილია ჩამოვიდა და თავად-აზნაურთა კრებაზე არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

ილიას ჩამოსვლამ (აპრილი 1906 წ.) პრესსა და საზოგადოება მეტად დაინტერესა ჭავჭავაძეს თითქმის ყველა ჟურნალ გაზეთების წარმომადგენლნი ეწვივნენ. ამათ სურდათ გაეგოთ ილიას მიმართულება და საქართველოს ამბები. განსვენებულ პოეტის პასუხმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თამამი ხმა ყოველთვის არა ჩვეულებრივად მოქმედებს.

აი რა მითხრა ჟურნალისტმა შაუმანმა.

„სხვათა შორის მეც ვინახულე თქვენი პოეტი. ყოველ კითხვაზე დაუზარებლად იძლევა პასუხს. საქართველოს აწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკების შესახებ ნაღვლიან კილოთი მითხრა: „რაც რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მეასედია. ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაქმნეს. მე დარწმუნებული ვარ — ჩვენი დეპუტატები სათათბიროში ამ საგანზე აღძრავენ შეკითხვას. ოუ სახელმწიფო საბჭოში მოხერხდა — იქ ვეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უტყუარი სურათი ჩვენი ქვეყნის ვაებისა“.

„ამის შემდეგ თავადი ჭავჭავაძე შეეხო სხვა კითხვებს. „სხვათა შორის საქართველოს ეკლესიის თავისუფლებას, რომელიც კანონიერ მოთხოვნილებად მიაჩნია. ისტორიულ საბუთებიც კი მოიგონა“. ბოლოს დინჯ ღიმილით შენიშნა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავად აზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობდენ ზოგნი ჩემი ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს“.

აგრე, ასეთის ენით ელაპარაკებოდა ჩამოსვლის პირველ დღესვე ილია საზოგადოებას. აგრე დიდად თვლიდა თავის ახალს როლს და ვალდებულებას.

რამდენად გაამართლა პოეტმა თავისი სიტყვები და მოლოდინი ამაზე ქვემოდ გვექნება სჯა ჯერ საკმაოდ ჩავთვალოთ ის, რასაც ეხლა მოგახსენებთ. რუსეთის თავად-აზნაურთა უმრავლესობა (ამათ შორის სახელმწიფო საბჭოს წევრნი და ამომრჩეველნი) დღესაც დიდი საყვედურით იგონებენ ილიას. უკანასკნელ თავად-აზნაურთა არჩევნებზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ თავ ბაგრატიონ დავითაშვილი, ვ. მიქელაძე, სახელმწიფო სათათბიროს „ცნობილმა“ წევრებმა კრუპენსკიმ და მარკოვმა ბრძანეს: „ჩვენ ავირჩიეთ ილია ჭავჭავაძე. იმან მთელი თავად-აზნაურობა შეგვარცხვინა, ის სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთ მიეკედლა. ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევცდით და ვნანობთ. ეხლა თუ საიმედო კანდიდატს დაგვისახელებთ, ისეთს, როგორც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკია, თუნდ წერა-კითხვაც არ იცოდენ, დიდი სიამოვნებით ავირჩევთო“.... ამათ სხვებმაც ბანი მისცეს.

ამიტომაც საქართველოს თავად-აზნაურთა წარმომადგენელი არ შეუშვენ სახელმწიფო საბჭოში. ამის მიზეზი ილია იყო. მაგრამ ღირსებათ უნდა ჩაეთვალოს ეს თუ ნაკლად ყველამ კარგად იცის. ეს ფაქტი ისტორიულია და ილიას სახელს მხოლოდ სხვის ჰმატებს.

ჩვენ არ ვამბობთ, ილია სოციალისტი იყო, არა. ეს არც რუსთა თავად-აზნაურთ აშინებდა. ამათთვის საკმაო იყო ის, რაც ერთ დიდ წიგნშია აღნიშნული თეთრზე შავად*).

....„По аграрному вопросу готовъ на отчужденіе, если таковое будетъ признано вопросомъ государственной необходимости. Князь является сторонникомъ широкаго мѣстнаго самоуправленія, съ широкой законодательной мѣстной властью“.

მაშინ, როდესაც ილიას პოლიტიკური მიმართულება ასეთი სიტყვებით არის აღნიშნული, სხვა თავად-აზნაურთა წარმომადგენელ წევრების ვინაობის აღწერიდან იგებთ მხოლოდ ერთს: ისინი ეკუთვნიან ან ჭეშმარიტ რუსთა კავშირს, ან რომელსამე მემარჯვენე ჯგუფს. რა თქმა უნდა ასეთი განსხვავება კრუპენსკის და მის ამხანაგებს მეტად აღელვებდა.

„ილიას ესმოდა უკმაყოფილების ხმა (თავიდანვე), მაგრამ ის ასეთ ქცევას დირსეულად აფასებდა. დამოკიდებულებას არ ამწვავებდა, თავის სიტყვას და გადაწყვეტილებას არ ღალატობდა, ჭკვიანურ მხედველობით უცქეროდა სინამდვილეს.

ილია თანდათან მჭიდროდ უახლოვდებოდა საბჭოს მემარცხენეთა გუნდს, რომელსაც შეადგენდენ რუსეთის მოწინავე საზოგადოების და მეცნიერების წარმომადგენელები. საკმაო

*) „Государственный Совѣтъ, 1906—1907 г. С.-П.-Б. გვ. 199 Кн. И. Г. Чавчавадзе“

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო დაგენახათ ილია ამათ შორის სახელმწიფო საბჭოს-კრების დროს, რომ ჩვენთან ერთად გეთქვათ:

— ჩვენ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს და პოეტს ახალ პოლიტიკურ ასპარეზზეც უკვე მიუქცევია უცხო ამხანაგთა ყურადღება. ილია აქაც ილია არის.

აგრე და ასეთ პირობებში დაიწყო დაღლილ მოხუცებულმა ი. ჭავჭავაძემ თავისი ახალი მოღვაწეობა შორეულ ჩრდილოეთში.

II

ილია, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ილია ჭავჭავაძე არ ეკუთვნოდა სახელმწიფო საბჭოს წევრთა იმ ჯგუფს, რომელიც მხოლოდ დიდ ჯამიგირით არის დაინტერესებული. როგორც ვსთქვი-ილია მიეკედლა საბჭოს მემარცხნეთა პატარა წრეს. ეს მცირე გუნდი შეადგენდა განცალკევებულ კომისიას, და დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს პირველ სათათბიროს ენერგიულ და გაბედულ მუშაობას. ეს წრე თავის კრებებზე არჩევდა იმ კითხვებს, რომელნიც სათათბიროში მზადდებოდა.

ასეთი დიადი კითხვები იყო — ამნისტია, **სიკვდილით დასჯის მოსპობა**, აგრარული კითხვა და სხვ. არც ერთ ამ კითხვისთვის არ აუხვევია გვერდი ილიას. ის სიამოვნებით ესწრებოდა ყოველ კრებას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მსჯელობაში.

უკანასკნელ აზრის დასამტკიცებლად საკმაო შემდეგი ორიოდე სიტყვა: სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა. ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოში უნდა წაეკითხა.

თუ რამდენად გულწრფელად სურდა ილიას სასტიკ სასჯელის წინააღმდეგ გალაშქრება ნათლად და სავსებით გვიხატავს შემდეგი სცენა.

ილია თავის ოთახში იდგა. უმთავრესი მისი ფიქრი— აღნიშნული მოხსენება იყო. ამ დროს ეწვია ერთი პეტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგში მცხოვრები ცნობილი ქართველი, რომელთანაც ჭავ-ჭავაძე ძალიან დაახლოვებული იყო. ცოტა მასლაათის შემ-დეგ ილიამ გაიღიმა, შუბლზე ნაოჭი გაშალა და კმაყოფილ კილოთი წარმოსთქვა:

— გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდი-ლით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს. მერმე-კი სახელმწიფო საბჭოს.

სტუმარმა სიჩუმით უპასუხა. ცოტა პაუზის შემდეგ ილიამ ისევ განაგრძო:

— მე ეს მოხსენება მეტად მაინტერესებს და დიდი სია-მოვნებით დავიცავ. თუ გცალია, წაგიკითხავ.

— მე, სამწუხაროდ, შენი წინააღმდეგი ვარ, შენიშნა სტუმარმა.

— როგორა?!?...

— სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს, რა თქმა უნდა, — მაგრამ, ერთი რამ არ მომწონს. რატომ მაინც და მაინც შენ ქართველმა, უნდა იკისრო სახელმწიფო საბჭოში ამ მო-ხსენების წაკითხვა? იქ რუსები განა ცოტაა? პროფესორები, მეცნიერები... რატომ ისინი არ იკისრებენ?!... დარწმუნე-ბული ვარ ასეთი დაუფიქრებლობით მთელ საქართველოს საქმეს ვაფუჭებთ... ისევ რუსმა წაიკითხოს.

— ერიჰა... საიდან სადაო... ამით რა საქმე უნდა წახ-დეს. მაგის ნუ გეშინია. აი, მოხსენებას წაგიკითხავ და მოისმინე. ჩემს აზრს და გადაწყვეტილებას არ გადავ-თქვამ.

— მე პრინციპიალურად არ მსურს მოგისმინო...

— როგორცა გსურს...

ასეთი ბაასი ილიას სხვა ქართველებთანაც ჰქონდა, მა-გრამ იმათ სიტყვებს და შენიშვნებს ის მხოლოდ ისმენდა. მოხსენება ილიამ შეასწორა და თავის ამხანაგებს წაუკითხა. არ ვიცი სად არის ამ ჟამად ეს ნაწარმოები. ალბად ხელთ-ნაწერებში უნდა იყოს. საჭიროა ყურადღებით მოიძებნოს, რადგან მოხსენება მეტად შინაარსიანია.

ასე უცქერდა ილია საერთო-საქვეყნო საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ კარგად იცის, რომ იმ ხანებში პოლონეთის დეპუტატები სათათბიროს უმრავლესობის დახმარებით თავიანთ ავტონომიის პროექტს ამზადებდენ. **ჩვენი ქვეყნის ავტონომიის** შესახებაც ითქვა ორიოდე სიტყვა, — კითხვა აღძრა დეპუტატ ლედნიკიმ: ჩვენი წარმომადგენელნი ჯერ არ ჩამოსულიყვნენ.

ასეთი პირობები და ეს დიადი საკითხი ილიას გონებას არ ასვენებდა. გულ დასმით ათვალიერებდა თან ჩამოტანილ მასალას, მაგრამ ეს საკმაოდ არ მიაჩნდა.

— აქ, უმაღლეს დაწესებულებებში ბევრი საჭირო საბუთებია. უთუოდ ასლი უნდა გადმოვიღო. ვინმე საიმედო პირი ვიშოვნო, და მივანდო ეს საქმე, — ამბობდა მხცოვანი მგოსანი.

ასეთ საიმედო ვაჟბატონის ძებნას ორიოდე კვირა დასჭირდა.

ილიას ვრცელი სია ჰქონდა შედგენილი—სად, რომელ დაწესებულობაში რა საბუთები მოიძებნებოდა. სია შეიცავდა არა მარტო იმ საბუთებს, რომელნიც „ავტონომიისთვის“ იყო საჭირო, არამედ ისეთ მასალასაც, ურომლისოდაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე და აგრარულ კითხვაზე (ჩვენ ქვეყანაში) სჯა დიდად ძნელი იქნებოდა.

მარტო **აგრარული კითხვა** ვინ იცის რამოდენა შრომას ითხოვს. განსაკუთრებით ძნელი იყო ილიასათვის. სახელმწიფო საბჭოში მის მეტი ხომ არავინ კრინტს არ დასძრავდა საქართველოს მიწების მოწესრიგების შესახებ. რა თქმა უნდა ილაპარაკებდნენ, მაგრამ იმათი თვალთა ხედვის ისარი ჩვენთვის რა საპრიანოა! აგრარულ კითხვის გარჩევის დროს ილიას ვრცლად და სერიოზულად დასაბუთებული მოხსენება სურდა წარედგინა. ამისთვის უტყუარი ფაქტები, ცნობები და ხანგრძლივი შრომა იყო საჭირო.

— ეს მე არ მაშინებს,—იტყოდა ხოლმე ჭავჭავაძე.

მართალსაც ამბობდა. იგი მუშაობდა ნელა, აუჩქარებლად, მაგრამ გულწრფელად და სიამოვნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, როგორც ვსთქვით, ილიას კანონიერად მიაჩნდა. ამას არსად არ ფარავდა—არც საბჭოს წევრთა შორის და არც სხვაგან. ამბობდნენ, ავტოკეფალიაზე სათათბიროში იქნება სჯა.

— მაშასადამე საბჭოშიც გადმოვა, მეც ამიტომ ვაგროვებ მასალას და ვემზადები. არა უშავსრა ლმერთი მოწყალეა,—დინჯად წაილაპარაკებდა ილია

მასალები საქართველოდანაც მოდიოდა.

პეტერბურგში, სინოდში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულნი იყვნენ ჩვენი ეპისკოპოზები კირიონი და ლეონიდი. მათთან ერთად ვოსტორგოვიც ბრძანდებოდა. ჩვენი ეკლესიის ბედ-იღბალი წყდებოდა. საქმე მეტად გამწვავდა.

პროფესორმა ა. ცაგარელმა*) ილიას ყოველივე უამბო. აუხსნა საქმის მთელი ვითარება. ორთავემ დაუყონებლივ გადაწყვიტეს ენერგიულად ემოქმედათ. თუმცა ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და ზოგიერთ აზრით უნდა მორიდებოდა კერძო ვიზიტებს სხვა და სხვა საჭირო პირებთან, მაგრამ ასეთ ბიუროკრატიულ წესს ჭავჭავაძემ გვერდი აუხვია. მეორე დღესვე პროფესორ ცაგარელთან ერთად წავიდა პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონისთან. ორთავე ქართველმა ხანგრძლივ ებაასეს სინოდის თავმჯდომარეს ქართველთა ეკლესიის თავისუფლებაზე.

ამ ვიზიტის შემდეგ ილია უფრო არკვევდა საჭირო მასალებს, რასაკვირველია, მოხსენებისთვის. ზოგნი ეუბნებოდენ:

— ილია, წადი ამ და ამ ბიუროკრატთან, მოელაპარაკე ავტოკეფალიაზე.

— ვნახოთ. თუ საჭიროება მოითხოვს... ისმოდა აუჩქარებელი პასუხი.

„თუ საჭიროებას მოითხოვსო“ — ამბობდა ილია და მხოლოდ მოხსენებაზე ჰფიქრობდა. ცალკე ბიუროკრატებთან ვიზიტები შეაჩერა: ილიას სათათბიროს იმედი ჰქონდა, იგი

*) ა. ცაგარელი ესწრებოდა სინოდის კრებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვას ამბობდა. ამიტომაც მთელს თავის ყურადღებას მომავალ მოხსენებას აქცევდა.

წინედაც და ეხლაც მესმის ხოლმე-ილია პეტერბურგში არაფერს არ აკეთებდაო. „თქმა ყოვლისა შესაძლოა". რის აღწერაც მოვასწარ, აქედანაც უკვე ჩანს — რასაც აკეთებდა ილია ჩრდილოეთში. მართალი მოგახსენოთ, პირადად მე — არც ასეთ ენერგიას და შრომას მოველოდი: ილიას ავადმყოფობა ვიცოდით.

III

ილია და სახელმწიფო სათათბირო

ილია სახელმწიფო სათათბიროს კრებებს ძალიან ხშირად ესწრებოდა. ხალხის პირველ წარმომადგენელთა მუშაობა მისთვის წმიდათა წმიდას შეადგენდა. ჭავჭავაძე ავად იყო ისეთის სენით, რომელიც მგოსანს აიძულებდა ხშირად დაეტოვებინა დარბაზი, მაგრამ ეს გარემოება მოხუცს არ აშინებდა.

როდესაც რომელიმე დეპუტატი ტრიბუნიდან წარმოსთქვამდა ძრიელს და თამამს სიტყვას, ილია საამოდ მოღიმარ სახით გამოვიდოდა სათათბიროს კულუარებში და აღტაცებით აღნიშნავდა ორატორის სიტყვის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. არ იფიქროთ, რომ აღტაცება შეუგნებელი იყო. ილია ქება-აღტაცებასთან ერთად კრიტიკულადაც არჩევდა დეპუტატთა ნათქვამს. სათათბიროს ვრცელ და ლამაზ კულუარებში მაშინ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდუღდა. აქ დაუფარავად სცემდა ძლიერი მაჯა სახალხო წარმომადგენლებისა. კულუარებში ისმოდა გაცხარებული კამათი, პოლიტიკური შეტაკება, აგიტაცია და სხვა და სხვა. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, თითქოს ილია აქ ისვენებდა. ის დარბაზში მიღებულ შთაბეჭდილებას აქ უფრო ამაგრებდა. იქ დაწყებული სურათი აქ მთავრდებოდა.

ილიას მოსწონდა ნაბოკოვის, პეტრუნკევიჩის და ვინავერის სიტყვები. ზართლადაც ესენი თავიანთ მოქმედებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილ ევროპის პარლამენტის დეპუტატს მოგაგონებდათ. შეიძლება თქვათ ჩამოთვლილნი პირნი კადეტები იყვნენ. რატომ უფრო მემარცხენენი არ მოსწონდა ილიასო? ეს აჩქარებული საყვედური იქნება. მგოსანს მემარცხენეთა შორის ჰყავდა „საყვარელნი“: ჟილკინი, ანიკინი, მღვდელი აფანასიევი და გლეხი ნაზარენკო*) („ტრუდოვიკები“). ალადინზე ჰავჰავაძე სულ სხვა აზრის იყო.

— კარგად ლაპარაკობს, კარგი ორატორია, — იტყოდა ხოლმე ილია — მაგრამ ნამეტანი გარდამეტებული კილო აქვს. მე სხვასაც ვფიქრობ: ალადინი უმეტეს ნაწილად გულწრფელი არ არის.

ვინც პირველ სათათბიროს ცხოვრებას და კერძოდ ალადინის მოღვაწეობას თვალს ადევნებდა ბოლომდის — ილიას სიტყვებს განმეორებს და ადვილად მიხვდება — თუ რა სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ის სათათბიროს.

სათათბიროში ერთ ისტორიულ კრებაზე ნაბოკოვმა მთავრობის წინააღმდეგ სასტიკი სიტყვა წარმოსთქვა. იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ მოუფერებლად ეუბნებოდენ: „როდისღა მოგვშორდებით!“ ყველა მინისტრები დარბაზში ბრძანდებოდნენ და ისმენდნენ მსუსხავ მსჯავრს. მე ჟურნალისტების ლოჟაში ვიჯექი. სახელმწიფოს საბჭოს წევრთა ლოჟა ჩვენ გვერდით იყო. აქ იყო ილიაც. ნაბაკოვის სიტყვის შემდეგ წამოდგა, ჩამოუარა ჩვენს ლოჟას და ნელის ფეხის ნაბიჯით გასწია კულუარებისკენ. მაშინდელი მისი სახის გამომეტყველება არასდროს არ დამავიწყდება. აქ იხატებოდა უსაზღვრო კმაყოფილება, სიამოვნება, ნეტარება, მტრის დამარცხებაზე აშენებული. ილიას სული და გული ღელავდა, მთელს სახეს ალმური მოდებოდა, ზღვა—თვალნი ბრწყინავდნენ.

— მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა... ნეტავ რა გუნებაზე არიან მინისტრები? ძლიერი მათრახია, ურყევ საფუძველ-

---

*) ნაზარენკო ხარკოვის გუბერნიაში იყო არჩეული, მაგრამ ქართული ენა კარგად იცოდა: რაგდენიმე წელი იმერეთში გაეტარებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე აშენებული. ღირს შესანიშნავი აქ ის არის, რომ ნაბოკოვი მინისტრის შვილია. იცის მინისტრების სუსტი მხარე... ამბობდა ენერგია აღძრული და აღელვებული ილია.

ესეთი სცენის მოწმე ხშირად ვიყავი.

როგორც ხედავთ ილიას ოპოზიციის სიტყვიერი გამარჯვებაც გულს უხარებდა ამას არავის არ უმალავდა და ხმა მაღლა გაიძახოდა.

სათათბირო ერთ თვეზე მეტი მუშაობდა. დაგვიანებულ არჩევნების წყალობით ჩვენი დეპუტატები არ ჩამოდიოდნენ. ჭავჭავაძე თითქმის ყოველ დღე იგონებდა პირველ დეპუტატებს. მას აინტერესებდა იმათი მომავალი საპარლამენტო ტაქტიკა, მომავალი შრომა და პირველი შთაბეჭდილება სათათბიროში.

სანამ ჩვენ დეპუტატების ჩამოსვლას შევეხებოდე, მოვიგონებ ერთს საყურადღებო ფაქტს.

იმ დღეს, როდესაც ილია პირველად ესტუმრა სახელმწიფო სათათბიროს, მე იქ არ ვყოფილვარ. მასთან ერთად სათათბიროში წავიდა ცნობილი ქართველი მწერალი და მოღვაწე ა. ყ.

— როგორ მოეწონა ილიას სათათბირო? — დავეკითხე საღამოს ბ. ყ.

— დღეს საინტერესო კრება იყო, ბევრმა კარგმა ორატორმა ილაპარაკეს, — ჩვენი მგოსანი კმაყოფილი დარჩა.

— თვითონ სასახლე მოეწონა?

ბ. ყ. გაკვირვებით შემომხედა და მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ მომცა პასუხი, რომელშიაც მთლად გამოიხატებოდა უსაზღვრო სიყვარული და პატივის ცემა ილიასადმი:

— რას ლაპარაკობ!!... ასეთი კითხვით როგორ შევაწუხებ მოხუცს...

ა. ყ. პასუხმა დამაფიქრა. ჭავჭავაძეს საქართველოში ორჯერ თუ სამჯერ შევხვედრივარ საზოგადოებაში. ბ. ყ.-კი თითქმის ყოველ საქმეში ილიასთან იყო. მე ვიფიქრე: ალბად ილიას ჯერ კიდევ ვერ ვიცნობ და მასთან სიფრთხილეა საჭირო. სულ სხვა ტიპი წამომიდგა თვალწინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე დღე სათათბიროს კულუარებში გამოჩნდა ილია. იმის ჩვეულებრივი ტანსაცმელი იყო შავი სერტუკი, ნაცრის ფერი ზოლებიანი შარვალი, შავი ჟილეტი და გადმოკეცილი კრახმალიანი თეთრი საყელო. ეს გარეგანი ნიშნობლივობა ვიცოდი, ასე რომ ილიას სახეც რო არ დამენახე-შორე მანძილიდან ისედაც ვიცნობდი.

— მგონი ადრე მოველი?— მხიარულად დამეკითხა ილია.

— კრება ნახევარ საათის შემდეგ დაიწყება, — ვუპასუხე მე.

— შენობა მინდა დავათვალიერო, თუ დრო გაქვთ დამატარეთ, გვთაყვა. დარბაზი და კულუარები მომწონს, მაგრამ ეს ხომ მთელი შენობა არ არის.

ილიამ ხელი გამომდო (ეს ჩვეულებად ჰქონდა) და შევუდექით სასახლის დათვალიერებას. არც ერთი კუთხე არ დაგვიტოვებია, ყველაფერი ვნახეთ. მთელი დრო სასახლის არხიტექტურაზე და მოწყობილობაზე მელაპარაკა. ამის შემდეგ დიდად პატივცემულ ა. ყ. სიტყვები „ასეთ კითხვით როგორ შევაწუხებ მოხუცს“ —არ მაშინებდა. ილიასთან ყველაფერზე შეიძლებოდა ბაასი. აგრე გაეცნო საყვარელი მოხუცი სათათბიროს შენობის ყოველ კუთხეს.

— ეხლა, ყველაფერი შევისწავლე... რას იფიქრებდა პოტიომკინი—თუ მის სასახლეში პარლამენტი მოთავსდებოდა! ცხოვრება მირბის, ცვალებადობს... ასეთი სიტყვებით დაასრულა ილიამ სასახლეში სეირნობა.

ჩვენი წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი, იოსებ ბარათაშვილი, ჯაფარიძე, წერეთელი. ჩამოვიდნენ თუ არა იმ დღესვე სათათბიროს კრებას დაესწრნენ. ილიაც მოვიდა. განა შეეძლო მას ამ დღეს არ მოსვლა! მოსვლისთანავე დამეკითხა— ილაპარაკებენ—თუ არა ჩვენებიო. მაგრამ ამის პასუხს თვით დეპუტატებიც ვერ იძლეოდნენ. დეპუტატებზე აქ გაკვრით ვამბობ, რადგან ამათზე სულ სხვა დროს და სხვა შრომაში შექნება ლაპარაკი. მე ჯერ ვიგონებ იმას, რაც ილიას ეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰავჰავაძემ კრების დაწყებამდის სთქვა:

— ისიდორე რამიშვილი და ნოე ჟორდანია ნიჭიერი კაცები არიან. ისიდორეს სიტყვა მომისმენია. კარგად ლაპარაკობს, ქართული ენაც კარგად იცის. დანარჩენებზე რა მოგახსენოთ გარდა ი. ბარათაშვილისა, რომელიც კარგ ორატორად ითვლება.

ორიოდე საათის შემდეგ ისიდორე რამიშვილი უკვე საათბიროს ტრიბუნაზე იდგა. წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, მაგრამ ეს ექსპრომტი იყო. იგი ლაპარაკობდა თავის პარტიის (სოც.-დემოკრ.) სახელით ხშირად იგონებდა „**великій русскій народ**“-ს. რამიშვილის სიტყვა მეტად მკაცრი იყო. ილია ის. რამიშვილის მთელს სიტყვას დიდის ყურადღებით ისმენდა, ხშირად სახის გამომეტყველება ეცვლებოდა.

მე ვჩქარობდი გამეგო ილიას აზრი. გამოვიდა თუ არა ის დარბაზიდან და დამინახა თვითონვე დაიწყო:

— ქართულად სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს რამიშვილის სიტყვა. ალეთ გამოთქმას არ არიან მიჩვეულნი რუსები. ჩემმა ამხანაგებმა პირველ ხუთ წუთის განმავლობაში ვერა გაიგეს რა. ეს კიდევ არაფერია: რამიშვილი შეეჩვევა საპარლამენტო ორატორობას, მსმენელნი—ისიდორეს თავისებურ კილო-გამოთქმას. სიტყვა აზრიანი იყო, მაგრამ დალოცვილმა რა დაიჟინა ეს „**великій русскій народ**“?! თითქმის მთელი სათათბირო რუსების ინტერესებზე ლაპარაკობს, რალა მაგის თავ-გამოდება ესაჭიროება რუსის ხალხს? მე არ მეგონა—თუ ერთ სიტყვით არ მოიგონებდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. დაიჟინა „**великій русскій народ**“... არა მგონი ბოლომდის გასტანოს ასეთმა ძახილმა...

რამდენად მართალი იყო უკანასკნელი აზრი სხვა დროს გავიგებთ.

დიდხანს დასეირნობდა ილია სათათბიროს კულუარებში. ძალა უნებურად ისმენდა დეპუტატთა აზრს რამიშვილზე. ისმენდა, მაგრამ მისი სული და გული ამ დროს სულ სხვაგან იყო. წარბშეკრული, მოღუშილი სახე სავსებით ხატავდა მგოსნის ღრმა ფიქრს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შორს წავედი,—ცოტა სიჩუმის შემდეგ დინჯად ჩაილაპარაკა ილიამ, აზრთა ასოციაცია ასეთია. რამიშვილის სიტყვამ ჩვენში გადამაფრინა... ბარათაშვილიც იტყვის რასმე უეჭველია?

ილია ისევ დარბაზს დაუბრუნდა. მოლოდინი გაუმართლდა: ი. ბარათაშვილი ცქვიტად ავიდა ტრიბუნაზე და ლამაზ გარკვეულ ხმით ქართველ ერის სახელით მიესალმა მთელს სათათბიროს. ილია მთლად გადასხვაფერდა. შუბლი საამოდ გადეშალა, სახე იღიმებოდა და კმაყოფილად უცქერდა ხალხის წარმომადგენელთა კრებულს. ეს იყო ქართველ მგოსნის, ქართველთა დაღლილ მოღვაწის კმაყოფილება.

ქართველ დეპუტატთა ჩამოსვლამ ჭავჭავაძე სათათბიროს უფრო დაახლოვა. ავადმყოფობა თუ შეუშლიდა ხელს, თორე არც ერთ კრებას არ გამოტოვებდა. არც სიშორე აშინებდა. სათათბიროდან ილია დაშორებით იდგა. მისი ბინა იყო მერვე როუდესტვენსკის ქუჩაზე. ჩვეულებრივ სათათბიროს კრებები თავდებოდა 6 ან $6^1/_2$ საათზე. ხანდისხან დღეც და ღამეც 8—$12^1/_2$ ს. მოხდებოდა კრება. დასუსტებული ილია დაღლილობას არ უშინდებოდა და ღამის კრებასაც ესწრებოდა. სათათბიროს ასეთი მოყვარული სახელმწიფო საბჭოს წევრთა შორის რამდენიმე კაცი იყო. მახსოვს ისეთი კრებები, როდესაც საბჭოს წევრთა ვრცელ ლოჟაში მარტოკა ილია იჯდა.

ივნისის შუა რიცხვები იყო, როდესაც მთელს პეტერბურგს მოედო ხმა,— „სათათბიროს მალე დახურავენო“. ილიამ სახელმწიფო საბჭოს წევრთა შორის გაიგო დანამდვილებით მთავრობის აზრი და გადაწყვეტილება. სათათბიროს მომავალი დახურვა მოხუცს მეტად აღონებდა. ის კარგად გრძნობდა-რა მოჰყვებოდა ასეთ სახელმწიფო აქტს. ის ნათლად ითვალისწინებდა საზოგადოდ მთელი სახელმწიფოს შავ დღეს და კერძოდ ჩვენი ქვეყნის ვაებას, იმ ვაებას, რომელსაც დღესაც ვერ ავშორებივართ.

პირველი სათათბიროც დახურეს. რეპრესიებმა, ახალ ასარჩევ კანონის გამოცემამ ბევრ დეპუტატების დატუსაღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ, დასჯამ და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ახალმა პირობებმა ილიას გული გაუტეხა. რუსეთის აწმყოს გულდაწყვეტილი უცქეროდა და ახლო სანეტარო მომავალს აღარ ელოდა. ილიას სულის ვითარებას მიემატა ახალი ელემენტი — საზოგადოებრივი პესსიმიზმი.*)

მეორე სათათბიროში ილია უფრო ძვირად დადიოდა. ამას გასამართლებელი მიზეზებიც ჰქონდა. სახელმწიფო საბჭოს წევრებს პირველ სათათბიროში, როგორც ზემოდ შევნიშნე, დათმობილი ქონდათ ვრცელი ლოჟა დარბაზში დეპუტატებთან ერთად. ეს პრივილეგია მეორე სათათბიროში მთავრობამ წაართვა საბჭოს წარმომადგენლებს და გადაასახლა ზევიდ ქანდარაზე. ამ ახალ ცვლილების წყალობით ილიას არ შეეძლო ძველებურად დეპუტატებთნ კულუარებში სეირნობა, მათთან ბაასი და სხვ. მთელი კრების განმავლობაში ქანდარაზე, დახუთულ ჰაერში უნდა გაეტეერებინა. ასეთი მძიმე იყო ახალი პირობები, მაგრამ ილია საინტერესო კრებებს არ აკლდებოდა. მე მხოლოდ შორიდან შემეძლო ჩვენი მგოსნის დანახვა: დაბლა იმას არ უშვებდენ და ზევიდ—მე.

მეტად სასტიკად იმოქმედა ილიაზე მეორე სათათბიროს უკანასკნელმა დღეებმა საზოგადოდ ილიას მეორე პარლამენტში არ ემჩნეოდა წინანდელი აღტაცება და აღფრთოვანება. მას გულ გატეხილობა შემოპარვოდა. შექმნილი პოლიტიკური ატმოსფერა თავისას შვრებოდა. ხალხის წარმომადგენელთა დარბაზი ძველს იმედებს აღარ იძლეოდა. ნიადაგს იმზადებდნენ პურიშკევიჩები და „ზუბრები“.

ჩვენი ქვეყნის დეპუტატები ყველანი სოციალდემოკრატები იყვნენ. ისინი თავგამოდებულნი იცავდენ თავიანთ პარტიულ პროგრამას. პოლონეთის ავტონომიაზე აღძრულმა მოხსენებამ სათათბიროში ვერ გამოიწვია უმრავლესობის თანაგრძნობა. ყველა ამ ახალმა პირობებმა ილიას გული აუტკივა. ამნისტიის, სიკვდილით დასჯის მოსპობის, ავტო-

*) ამ პესსიმიზმს და ილიას შეხედულობას ქართველ ხალხის მომავალზე ეხლა ჯერ ვეხებით. ეს ცალკე თემას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეფალიის, ავტონომიის, აგრარულ კითხვის ძველი გეგმანი განხორციელების ელფერს კარგავდენ. ეს გულს წვავდა და ასეთი სულიერი მწუხარება ილიას ღრმა სიჩუმეში იხატებოდა.

სიმწარის ფიალა სათათბიროს დახურვამ და ყველა ქართველ დეპუტატების დატუსაღებამ აავსო. როდესაც ახალი კანონი გამოქვეყნდა და გამოირკვა, რომ მესამე სათათბიროში ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებს მხოლოდ ორი წარმომადგენელი ეყოლებოდა, ილიამა ნაღვლიანად სთქვა:

— ეს ახალი და დიდი უბედურებაა ჩვენებისთვის... ჰორიზონტი შავად იღრუბლება და ახლო მომავალი არას შპირდება. ჩემნი დღენი კარგს არას მოესწრება...

ასეთი იყო შხამით ავსილი ილიას უკანასკნელი ფიქრი და წინასწარ მეტყველება.

ქართველი მხცოვანი მგოსანი ვერ შერიგებოდა იმ გარემოებას, რომ ისეთი ნიჭიერი ახალგაზდა ქართველი, როგორც წერეთელი (მეორე სათათბ. წევრი) და მასთან ერთად მისი ამხანაგები საშინელ სასჯელს მოელოდენ და საზოგადოებას შორდებოდენ. ამ დროს ქართველის გული ლაპარაკობდა, პარტიული განსხვავება შორს იყო გადატყორცნილი.

მესამე სათათბიროს ვერ მოესწრო ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ეს ახალი ხელოვნურად გამომცხვარი პარლამენტი მის დარდს არ აქარწყლებდა. ილია კარგს არას ელოდა...

— მესამე სათათბირო ჩვენ სახელმწიფო საბჭოს არაფრით ჩამოუვარდება. განსხვავება მხოლოდ სახელში იქნებაო, — ამბობდა ილია.

ამ გვარ სულის კვეთებით განშორდა ჭავჭავაძე გაორკეცებულ ცხოვრებას.

IV

ილია და ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირი პირველ სათათბიროში

მხოლოდ პირველ სათათბიროში არსებულ თავისუფლებას შეეძლო შეექმნა ისეთი კავშირი, სადაც ყველა უცხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა, ეგრედ წოდებულ „ინოროდცების“ წარმომადგენლებს მოეყარათ თავი და ტავრიდის სასახლეში დაუფარავად ეწყოთ მსჯელობა ავტონომია-ფედერაციაზე. მეორე სათათბიროში ასეთ კავშირს ადგილი არ ჰქონდა. მესამეში... მთლად მოუხერხებელია.

ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის წევრად ითვლებოდენ უკრაინის, პოლონეთის, ლიტვის, პრიბალტიის მხარის, მაჰმადიანთა, ოსმალთა, ებრაელთა, სომეხთა და სხვათა წარმომადგენელნი (დეპუტატები). ივნისში მიემატა იოსებ ბარათაშვილიც. კავშირის თავმჯდომარედ ითვლებოდა ცნობილი მოსკოველი ვექილი დეპუტატი ლედნიცკი. თუ რა მიზანი ჰქონდა კავშირს, რა საგანზე ჰქონდა მსჯელობა თვით მისი სახელი გვიჩვენებს.

როდესაც სათათბიროში შეიტანდენ რაიმე ახალ კანონ-პროექტს, კავშირი საკუთარ თვალთა ხედვის ისარით გაარჩევდა ამ კანონპროექტს და საერთო დეპუტატთა კრებაზე, ან სპეციალურ კომისიებში წარმოადგენდა თავის მოთხოვნილებათ. აგრარული კითხვა, ავტონომია, ადგილობრივი სასამართლოები, ენა, შკოლა და სხვ. აი კითხვები, რომელნიც დრო-გამოშვებით ირკვეოდა კავშირში.

ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირმა ერთხმად გადაწყვიტა მოეპატიჟა ილია ჭავჭავაძე, როგორც სრულ უფლებიანი წევრი. ზოგნი ეჭვობდენ, — ილია ამ კავშირში არ მიიღებს მონაწილეობას, მოერიდება აგრე ფარდა ახდილს პირდაპირს მუშაობასო, მაგრამ ასეთი აზრი არ გამართლდა. ილიამ დიდისიამოვნებით მიიღო კავშირის წინადადება. კავშირის კრებები უფრო ხშირად საღამობით ხდებოდა. ეს ილიას არ აშინებდა და კრებებს ესწრებოდა.

— აქ ყოველ კითხვის შესახებ მოხსენების წაკითხვაა საჭირო, თორემ ყველა ეს ვაუბატონები ჩინეთის იმპერიას უფრო იცნობენ, ვინემ ჩვენ ქვეყანას—პირველ კრების შემდეგვე სთქვა ილიამ.

ასეთი იყო ილიას გადაწყვეტილება, მაგრამ ავტონომისტ-ფედერალისტთა კრებებზე მოხსენების წაკითხვას ან სიტყვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოთქმას დიდი სიფრთხილე სჭიროდა, მიზეზი მეტად რთული იყო. ძალიან ხშირად თითქმის შეტაკება მოხდებოდა ხოლმე, განსაკუთრებით აგრარულ კითხვის დროს. პოლონელის სიტყვა (ლიტვაში მცხოვრებ პოლონელის) ლიტველს არ ეპიტნავებოდა, უკანასკნელის — პირველს. უკრაინაში მცხოვრებ პოლონელს უკრიანელის და სხვ. რასაკვირველია ეს ხდებოდა, მაგრამ მორიგება შესაძლო იყო.

ეს გარემოება ილიასაც აფიქრებდა. განა შესაძლოა აგრარულ კითხვაზე მოხსენების წაკითხვა (საქართველოს შესახებ) ისე რომ სომეხთა როლს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში არ შეეხოთ? არა. ილიას რომ მოუფერებლად და თავისებურად გამოეთქვა თავისი აზრი, რაღას იტყოდა კავშირის წევრი სომეხი დეპუტატი? ეს კითხვა თვით დროთა მსვლელობამ და ვითარებათა ცვლილებამ შეაჩერა.

ილია დაესწრო რამდენჯერმე კრებებს. მოისმინა უმრავლესობის აზრი თითქმის ყველა კითხვებზე. შეიგნო ყველა სუსტი მხარე კავშირისა. მოუფერებლად და მიუდგომელად დააფასა წინააღმდეგობა წევრთა შორის. ასეთმა ანალიზმა ილია მიიყვანა არ სასიამოვნო დასკვნამდის და გაუქარწყლა დიდი იმედი.

ცოტა ხნის შემდეგ (ამ დროს იოსებ ბარათაშვილიც ესწრებოდა ავტონომისტთა კრებებს) აი რას ამბობდა ილია:

— ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირს საათაბიროში დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ჯერ ჯერობით თვით ორგანიზაცია და მუშაობის სისტემა მეტად სუსტობს. არა მგონი რომ აგრე გასტანოს. აბა, კარგად დააკვირდით — კავშირის უზურპატორი-მეფე დეპუტატი ლედნიცკია. უმრავლესობა მის სიტყვას და წინადადებას წმიდათა წმიდათ იღებს და ეთანხმება. ეს აიხსნება მხოლოდ შეუგნებლობით. წევრთა უმეტესი ნაწილის აზრი ამა თუ იმ კითხვაზე არ არის საამდროვო. მე საქართველოში სოციალდემოკრატები რეტროგრადს მეძახიან, ესენი-კი-ჩემი მოხსენებანი რო წავუკითხო-მგონი, რევოლიუციონერს დამიძახებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ზოგიერთ კითხვებში ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირზე უფრო მარცხნივ იდგა. არც ეს გარემოება აშინებდა მაინც და მაინც ჭავჭავაძეს. ის ჯერ აპირებდა ისეთ მოხსენების წაკითხვას, რომელიც კავშირში აურზაურს და პროტესტს არ გამოიწვევდა.

ერთ მშვენიერ დღეს კავშირს ჩვეულებრივი კრება ჰქონდა. ლაპარაკი იყო აგრარულ კითხვაზე. კავშირს სურდა მალე შეეტანა თავისი წინადადება პარლამენტის აგრარულ კომისსიაში. ეს კრება ავტონომისტ-ფედერალისტთა ცხოვრებაში სწორედ ისტორიულად უნდა ჩაითვალოს. უკრაინელებმა, პოლონელებმა, ბელოროსებმა, ლიტველებმა კინალამ ურთ-ერთი შეურაცხყვეს... როდესაც კომისიის არჩევაზე მიდგა საქმე და კანდიდატად ილია და ბარათაშვილიც დაასახელეს, წამოხტა დეპუტატი თოფჩიბაშევი და ხმა მაღლა დაიძახა:

— ჩვენი წარმომადგენელიც უნდა იქნას არჩეული კომისიის წევრად. ქართველებს თუ ირჩევთ, ჩვენც უნდა აგვირჩიოთ. ქართველებს მიწის სოციალიზაცია სურთ, ისინი სოციალისტები არიან, ჩვენა-კი სულ სხვა პირობებში ვართ და სხვა მოთხოვნილება გვაქვს.

კრებამ თოფჩიბაშევი დააწყნარა. როგორც მახსოვს იმ დღესვე ისიც აირჩიეს კომისსიის წევრად. შემდეგ ნეტარხსენებულმა ილიამა სთქვა:

— არ გითხარ რევოლიუციონერს დამიძახებენ მეთქი?! ჯერ კრინტიც არ დამიძრავს და თოფჩიბაშევი სოციალისტს მეძახის... ნეტავი რის შაეშინდა?

უკანასკნელ შემთხვევას არავითარი სამწუხარო შედეგი არ მოჰყოლია. ვინ იცის მომავლში, სათათბირო რო არ დაეხურათ, შედეგსაც ამოეყო თავი და პრინციპიალური შეტაკებაც მომხდარიყო.

— ეხლა მე რალა საჭირო ვარ? ღიმილით შენიშნავდა ხოლმე ილია ბარათაშვილის ჩამოსვლის შემდეგ. რა-კი ბარათაშვილი აქ არის, უჩემოდაც დაიცავს ჩვენს ინტერესებს.

ჭავჭავაძის ასეთ აზრს ბარათიშვილი ეწინააღმდეგებოდა. გარდა ამისა ილიას ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი უკვე კარგად იცნობდენ, პატივს სცემდენ, როგორც მხცოვან და გამოცდილ შეჭალარავებულ მოღვაწეს. ეს უკანასკნელი პირობა ილიას სულ სხვა ძალას აძლევდა. ამას თვითონაც გრძნობდა და მასთან ერთად ჩვენც. ამიტომაც კავშირიდან წასვლაზე ბოლოს არას ამბობდა.

— რასაც შევძლებ — აქაც გავაკეთებ.

ასეთი იყო უკანასკნელი სიტყვები მგოსნისა. ვამბობ უკანასკნელი, რადგან ერთი კვირის შემდეგ ტავრიდის სასახლე დაჰკეტეს — პირველი სათათბირო დაიხურა.

V

ილია და სოციალდემოკრატები (დეპუტატები).

ჩამოვიდნენ ჩვენი დეპუტატებიც, რომელთა შორის მხოლოდ ბარათაშვილი იყო არა სოციალდემოკრატი. ჩვენ ქვეყნის წარმომადგენელთა ასეთმა ჯგუფმა პეტერბურგის ქართველი ინტელიგენცია და მასთან ერთად ილია დააფიქრა. მიზეზი საყურადღებო იყო. სათათბიროში მოელოდენ ავტონომიაზე მსჯელობას. ქართველთა მინდობილობით ლედნიცკიმ ჩვენების ჩამოსვლამდის პარლამენტის კომისსიაში შეიტანა განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ, „ჩვენი სოციალდემოკრატები წინააღმდეგნი იქნებიან და ხომ შევრცხვით. განცხადება მაინც არ იყოს კომისიაშიო,“ — აი რა ფიქრი ტრიალებდა ქართველთა შორის.

— „რამე უნდა ვიღონოთო“ — ამბობდენ ილია და სხვანი.

რა უნდა ექნათ? ამ დროს და წინედაც ს.-დ. ჟურნალ-გაზეთებში ილიასთან საქმის დაჭერას, პურის მჭამელს და მოლაპარაკესაც ჯვარს აცვამდენ. ამიტომ პეტერბურგის ქართველთ შეუძლებლად მიაჩნდათ შეერთებულ საერთო კრების მოხდენა, თუნდ ისეთი პატარა მსჯელობისა, რომელშიაც ქართველ დეპუტატ-სოციალდემოკრატებთან ერთად ილიას და სხვებს მიეღოთ მონაწილეობა.

ილია იმედს არ კარგავდა. პროფ. ცაგარელი ყოველ შეხვედრაზე გაიძახოდა: „უთუოდ უნდა შევხდეთ სადმე, მოვილაპარაკოთ. ნუ თუ ასეთი პროტესტანტები არიან“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხოვეს გამეგო დეპუტატების აზრი. ის. რამიშვილს, ნ. ჟორდანიას, გომართელს და სხვათ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და შესაძლოდ ცნობდენ მოლაპარაკებას. აქვე უნდა შევნიშნო, რომ მაინც და მაინც დიდს სარგებლობას არც ერთი მხარე არ მოელოდა. მიუხედავად ამისა ხშირად გაისმოდა: „ვინ იცის იქნება შევთანხმდეთ.“ ასეთი ოპტიმისტიური იმედი ილიას ადვილად არ იტაცებდა.

ველოდით შესაფერ შემთხვევას, რომ სადმე შეკრებილიყვნენ. ამასაც მოვესწარით.

პეტერბურგში ჩამოვიდა ცნობილი მდიდარი ქართველი დავით სარაჯიშვილი, რომელიც სათათბიროს კრებაზე წავიყვანე. კულუარებში სეირნობის დროს სარაჯიშვილმა შემდეგი წიანადადებით მომმართა:

— მე მსურს ჩვენს დეპუტატებს და მათთან ერთად ზოგიერთ აქაურ ქართველებს სადილი გავუმართო. მომინდვია შენთვის, აარჩიეთ დრო, დანიშნეთ საათი, ადგილი და მე მზადა ვარ.

ეს მე ძლიერ გამიხარდა. სარაჯიშვილს ავუხსენ, რომ ასეთი შეკრება სწორედ გვინდოდა მეთქი. გადავწყვიტეთ ორ კურდღლის ერთად დაჭერა.

ერთი წუთით—მართალი გითხრათ—შევჩერდი. „ის. რამიშვილი და სხვანი რომ სადილად არ წამოვიდნენ„—გავიფიქრე. მაგრამ დიდად შევცდი. ყველანი დათანხმდენ. ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

— რატომ არ წამოვალ?—გაიკვირვა ის. რამიშვილმა.

„ევროპის სასტუმრო“-ს ცალკე დიდ ოთახში შევიკრიბენით. სუფრის თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა ილიამ, და მთლად სმენად გარდაქცეული, ათვალიერებდა იქ მყოფთ. ისიდორე რამიშვილს მიუჯდა პროფ. ცაგარელი. სადილის გათავებამდის ლაპარაკს ნაწყვეტების ხასიათი ჰქონდა.

სანამ კრების მიზანზე ვიტყოდე რასმე, მსურს მოვიგონო ერთი მხიარული სცენა.

სადილის ბოლოს დავით სარაჯიშვილმა შამპანიურ ღვინით გაგვიმასპინძლდა. ავარდა პრობკა და აივსო ჭიქები შუშხუნა შამპანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიდორე რამიშვილმა არა ჩვეულებრივად შეათამაშა სახე, ულვაშებში ჩაიცინა და მოსვა შამპანიური ღვინო... დაცალა ჭიქა, და სიცილითა სთქვა:

— ძალიან გემრიელი ყოფილა შამპანიური. პირველადა ვსვამ. მშვენიერი ღვინოა. ამიტომ ვერ შორდება და იცავს თავის ცხოვრებას ბიუროკრატია და ბურჟუაზია. რა თქმა უნდა ასეთ ღვინის დაკარგვა ეძნელებათ.

ისიდორეს გულწრფელმა ირონიულმა სიტყვებმა საერთო სიამოვნება გამოიწვია. შამპანიური კიდევ დალიეს. ილია გამხიარულდა და გულ ახდილად შენიშნა:

— სოციალდემოკრატს შამპანიური გაუტკბილდა!

— ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია, მაგრამ, უარს ვერ ვიტყვი, — ჩაილაპარაკა ისიდორემ და დაუმატა; მართლა ჩინებული რამ არის!

ხუმრობასაც ბოლო მოეღო. სადილს მორჩენ და შეუდგენ პოლიტიკას. ილიას ყველანი დიდი პატივის ცემით ეპყრობოდენ.

ნ. ჟორდანია და სარაჯიშვილი გერმანულად და ფრანგულად ლაპარაკობდენ. ისიდორე რამიშვილი პროფ. ცაგარელს მთელს ლექციას უკითხავდა. საგანი — კრების მიზანი, ანუ ავტონომიის შესახებ აზრის საბოლოოდ გამოთქმა. პროფ. ცაგარლის ენერგიულმა განმტკიცებულ რწმენაზე აშენებულმა სიტყვებმა ვერ შეარყიეს ისიდორე. იგი წყნარად და ტკბილად ამბობდა:

— ჩვენ ეხლა ამ კითხვაზე სათათბიროში ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, ჯერ სხვა საერთო კითხვებია გასარჩევი...

ამას მოყვა ის, რაც უკვე ვიცით ჩვენ ესდეკების პროგრამიდან. ჩემზე — უნდა გამოვტყდე — ისიდორე რამიშვილის კილო და მეტად ზრდილობიანი მოფიქრებული სიტყვა კარგად მოქმედებდა. ეს არაფრად არ გავდა იმას, რასაც პარტიულ პრესაში ამოიკითხავთ ხოლმე.

ილია ისეთის ყურადღებით ისმენდა რამიშვილის სიტყვას, თითქოს მოლაპარაკის ყოველივე სიტყვას რთულს ანალიზს უკეთებდა. მგოსანს ხშირად სახის გამომეტყველება ეცვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ხანდისხან დარბაისლურად შეინძრეოდა, მაგრამ მსწრაფლ შესწყვეტდა მოძრაობას. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავს იჭერდა და საშუალებას აძლევდა რამიშვილს დაემთავრებინა თავისი სიტყვა.

დაასრულა ის. რამიშვილმა ვრცელი ლექცია. ილია ცოტახნს იჯდა და ყურს უგდებდა პროფ. ცაგარლის პასუხს. მერმე მრავალ მნიშვნელოვნად გადაჰხედა ყველას, ნელა წამოდგა და ღრმა ჩუმ ფიქრში გართულმა იწყო ოთახში სეირნობა.

ილიას გადმოხედვა, მიმოხვრა, უცაბედი შენიშვნა, შეჩერება ნათლად გვეუბნებოდა: „მე მაგათ ვერას შევაცვლევინებ. რაც ის. რამიშვილმა სთქვა, ის მაგათი მტკიცე გადწყვეტილებაა. ჩვენ სხვა რამ უნდა ვიფიქროთო“.

ამიტომაც ვრცელი მსჯელობა ილიამ ალ. ცაგარელს დაუთმო.

ამ დროს ცოტა ხნით (ნახევარ საათით) მობაასეთ თავი დავანებე. რა მოხდა ამ დროს განმავლობაში დაწვრილებით არ ვიცი. როგორც მერმე გამოირკვა ილიას ვერ მოეთმინა და ლაპარაკში ჩარეოდა.

ღამის მეორე საათზე ერთმანეთს დავშორდით. შთაბეჭდილება საერთო კარგი იყო. ასეთი მშვიდი და წყნარი იყო სოციალ-დემოკრატთა კრება ილიასთან ერთად.

მეორე დღეს ილიას სათათბიროში შევხდი, იმ წამსვე ვკითხე:

— გუშინ ხომ არ დაღლილხართ?

— არა. გუშინდელი საღამო საინტერესოდ მიმაჩნდა, თორემ იმდენხანს რა გამაჩერებდაო. რაც უნდა იყოს ჩვენმა შეკრებამ ერთი რამ აგვიხსნა: ეხლა ვიცი მაინც როგორ მოიქცევიან ჩვენი დეპუტატები, როცა ავტონომიაზე იქნება მსჯელობა.

— განა წინად არ იცოდით?

— ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნი არიან. ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ ის რაც გუშინ გამოირკვა — ახალია. ამათთან, ბელადებთან,

ისიდორესთან და ნოესთან შესაძლოა მოლაპარაკება, სხვებთან კი ჩვენში.... ფანატიკოსები არიან დალოცვილნი. შეიძლება ორს სხვა და სხვა უკიდურესს პარტიას ვეკუთნოდეთ, მაგრამ ჩვენ ერთად ლაპარაკი უნდა შეგვეძლოს. მრწამს ცოტაოდენ სარგებლობას უთუოდ მოიტანს. ნაციონალური გრძნობა ძლიერ ღრმად არის ჩანერგული, შესისხლხორცებული და თუ გაიძახიან „არაო“ — ეს თავის მოტყუილებაა. კარგად ჩაიხედონ გულში*)... ეჰ, შორს წავედი. ისევ გუშინდელ დღეს დავუბრუნდეთ. „ჩვენ საქართველოს ავტონომიას არც დავიცავთ და არც წინააღმდეგ ვიტყვით არაფერს“. ეს დაპირებაც კარგია, მადლი ღმერთს: მე არც ამას მოველოდი.

შემდეგ გამოკითხვამ დამარწმუნა, რომ ეს საყურადღებო აზრი ეთქვათ მაშინ, როდესაც მე არ ვიყავ ოთახში. ზოგიერთ შეშინებული გული ამ ამბავმა დაამშვიდა პირადად ილია — როგორც იმის სიტყვებიდანაც ჩანს — კმაყოფილი იყო.

პროფ. ცაგარელი არც მაშინ იყო დამშვიდებული ასეთ პაწია დათმობით და არც მერმე. მას სურდა ავტონომიის კითხვაში სოციალ-დემოკრატებს ავტონომისტთა მხარე დაეჭირათ, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო მაშინ და შეუძლებელია დღესაც.

ერთხელ ავტოკეფალიაზეც გამოელაპარაკა ილია ზოგიერთებს. გავიგეთ, რომ სიმ. წერეთელი (თვითონ სთქვა) საქართველოს ეკლესიის შესახებ და ავტოკეფალიაზე საკუთარ მოხსენების წარდგენას აპირებდა სათათბიროში. რასაკვირველია ამხანაგების ნება დართვით.

— ამას არ მოველოდი, — ამბობდა ილია. ჯერ ესეც ვიკმაროთ. ეს დაპირებანი შეასრულონ. დამოკიდებულებას ნუ გავამწვავებთ. არა უშავს რა...

აგრე მორბილდა მგოსნის გული დეპუტატ. სოც. დემოკრატთა სიტყვებით. ყველანი ელოდა უმჯობესს მომავალს

*) ილიას აზრის ღამამტკიცებელ საბუთს მოვიყვან სხვა დროს, როცა შევუდგები პაწია შრომას შემდეგის სათაურით «ჩვენი დეპუტატები».

ეროვნული

მთელ რუსეთში. საამო ახლო მომავალი ეხატებოდა ილიასაც, მაგრამ... ველარ განხორციელდა სოციალ-დემოკრატთა დაპირებანი, ვერა დასტკბა სურვილის ასრულებით ჭავჭავაძე და მასთან ერთად მთელი ქვეყანა: პირველი სათათბირო დახურეს.

მეორე სათათბიროში სულ სხვა ახალი პირობები იყო. ხელოვნურმა განსაზღვრამ, აღნიშნულ კითხვების გაქარწყლებამ, ახალმა სუსხიანმა ჩრდილოეთის პოლიტიკურმა ქარმა ილიას და ქართველ დეპუტატთა შორის დასახლოვებული ნიადაგი მოსპო.

VI

ილია და პეტერბურგის ქართველები.

ეხლა დავანებოთ თავი ილია ჭავჭავაძეს—როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს. აწ სხვა კითხვებს შევეხოთ.

ილია ჩამოვიდა თუ არა პეტერბურგში მოწადინებული იყო ყველა ადგილობრივი მოღვაწე ქართველი ენახა, გაეგო ქართველთა ცხოვრება და რამდენადაც შესაძლო იქნებოდა დაახლოვებოდა.

იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა დიდად პატივცემული ალექსანდრე ყიფშიძე, რომელთანაც ერთად ილია ხშირად რავდენიმე საათს ერთობოდა ამა თუ იმ საგანზე სერიოზულ ბაასში. არა ერთხელ შეხვდებოდით ორთავეს სათათბიროს კულუარებში. ა. ყიფშიძე დიდ დახმარებას უწევდა საყვარელს მგოსანს. მაგრამ ა. ყიფშიძე მალე წავიდა საქართველოში.

იტყვიან-თუ რისამე გაგება გულწრფელადა გსურს-მიზანსაც მალე მიაღწევ. ეს უტყუარი სიტყვები არა ერთხელ გამართლებულა.

ილიამ ცოტა ხნის შემდეგ პეტერბურგის ქართველთა მთელი ყოფა-ცხოვრება იცოდა-უმთავრესად ჭავჭავაძეს ყურადღებას იქცევდა ქართველნი მოსწავლენი.

ივნისის უკანასკნელი რიცხვები იყო (1906 წ.) ილიას სათათბიროში შევხვდი. მგოსანს სახე მოღუშული ჰქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ნაღვლიანობა გამოიხატებოდა. მე შემეშინდა,—ავად ხომ არ არის მეთქი.

— გუშინ ჩემთან ერთი ახალგაზდა იყო,—გულ დაწყვეტილი დაიწყო ილიამ—ბევრი ცუდი რამ მიამბო. ნეტავ რამდენად მართალია ჩემი გუშინდელი სტუმარი?

— ძალიან დაუნაღვლიანებიხართ, როგორც ვატყობ.

— ძალიან მეწყინა... მაგრამ ყმაწვილის ნათქვამი გარდამეტებული უნდა იყოს. ქართველნი მოსწავლენი არას აკეთებენო, ქართული ენა სრულიად არიციანო. თავისუფალ დროს მხოლოდ ბანქოს ანდომებენ, კლუბებში თამაშობენ. ამ ნიადაგზე ბევრს მეტად საზარელს და საძაგელ შემთხვევათ ჰქონდათ ადგილიო. ის სტუდენტები, რომელთაც ყველა მოსწავლეთა წრე საუკეთესოდ სთვლიან, კლუბებში ათენებენ და აღამებენ. ახლებს თითქმის ძალით აჩვევენ ბანქოს თამაშსაო. ეს რა უბედურება დატრიალებულა? ნუ თუ მართალია?

— საზოგადოდ რა მოგახსენოთ, მაგრამ ეგ სენი მართლა რომ გავრცელებულია. ბანქო ბევრს ნიჭიერს და ენერგიით სავსე ახალგაზდა მოსწავლეს უბნევს გზას და აკარგვინებს ძვირფასს დროს.

რავდენიმე წუთის განმავლობაში ილიას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ წარბები მოწყენით შეათამაშა.

— ეს უბედურობაა,—გაიმეორა ჭავჭავაძემ. მითხრა—ერთი ახალგაზდა ჩამოვიდა საქართველოდან, თან ჩამოიტანა ორასი თუმანი, სურდა სწავლის შეძენაო. დღეს-კი არც ფული, არც ცოდნა, მხოლოდ ბანქოს თამაში და კლუბის ბინა ასწავლეს მეგობრებმაო. ეს სასტიკი დანაშაულია,—აამაღლა ხმა ილიამ.

— მეც მიამბეს. ეს ფაქტი—სინამდვილეა.

— მეტს ვერას ვიტყვი... ნამეტნავად გულს მიკლავს ასეთი ქცევა სტუდენტთა შორის. ქართველ სტუდენტთა შორის ასეთ საზიზღრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს...

ამ დროს ილიას თარხნიშვილის ქალები მიესალმნენ და სიტყვა გააწყვეტინეს.

ხშირად უბრუნდებოდა ილია ამ საგანს. საშინელს მსჯავრს დებდა აქ მყოფ ახალ გაზდობას, ხმა მაღლა, გასაგონად. საუბედურად მგოსანი მოგვშორდა, ეს სენი კი ისევ ძველებურად იზრდება ჩვენ ახალ გაზრდათა შორის — როგორც თვითონ ახალ გაზდანი ამტკიცებენ.

არც პეტერბურგში დარჩენილნი ქართველების ცხოვრება აკმაყოფილებდა ჭავჭავაძეს. იმის აზრით, ვინც რუსეთში რჩება, აქ ეკიდება ოჯახს და აქაურ საზოგადოებაში (რუსის) მოღვაწეობს — ის ჩვენი ქვეყნისთვის მაინც და მაინც დიდი საიმედო და გამოსადეგი არ არის. ამათ შორის სულ სხვა ფრივ უცქეროდა ქართველ პროფესიორებს. დროებით დარჩენილ ქართველები, ილიას აზრით, ძალას იკრეფენ და რაც მალე წავლენ ჩვენში — მით უმჯობესია

ჭავჭავაძეს გულს უკლავდა პეტერბურგის ქართველების დაქსაქსვა.

— ვერავითარ ერთობას ვერ ვხედავ აქ ქართველთა შორის. უმრავლესობა ერთმანეთს სრულებით ვერ იცნობს. რაღაც განცალკევებულ ცხოვრებას მისცემიან მე არას ვამბობ იმათზე, რომელნიც მუნდირებში გახვეულან, აქაურ კუპჩიხები და მდიდარი ქალები შაურთავთ. არა, ამათ გარდა სხვანი, უფრო წმინდა ელემენტები რაღას შვრებიან? პროფ. ცაგარელსა ვკითხე — როგორ არის პეტერბურგელ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების საქმე მეთქი. წევრებს თითქმის არ აინტერესებს ეს დაწესებულება, ფული არ შეუტანიათ და საზოგადოება არაფერს აკეთებს. ეხლა გადახედეთ პოლონელებს. გუშინ სახელმწიფო საბჭოს წევრი, პოლონელი, მიამბობდა იმათ საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიას... მართალი გითხრათ შემრცხვა.

აგრე ლაპარაკობდა მოხუცი.

ზოგნი ამბობენ: — „ილიას არ სურდა პეტერბურგელ ქართველებთან დაახლოვება, იმათი ვინაობის გაგება, გულ გრილად უყურებდა იმათ ცხოვრებასაო“. ეს სიტყვები გამიგონია ხშირად, უმრავლესობისთვის საკადრისი პასუხი გამიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კი საჯაროდ ვაცხადებ, რომ ასეთი სიტყვები ილიას ხსოვნის შეუგნებელი შეურაცყოფაა და სხვა არაფერი. ჩემ ნაამბობიდან მიხვდებით — რამდენად მართალნი არიან „ავ ენათა“ პატრონნი.

ილიამ პირველ ორ-სამ თვეში შესძლო პეტერბურგის შესწავლა იმდენად კარგად, რომ უტყუარ აზრის წარმოთქმა თავისუფლად შეეძლო. ის არ იჯერებდა გაგონილ ჭორს, ის ითხოვდა საბუთს და გაგებულს სხვა საშუალებითაც იკვლევდა. ბევრი, თამამად შამიძლია ვსთქვა, უმეტესი ნაწილი პეტერბურგელ ქართველთა არ იცნობს თავიანთ აქ მყოფ-მემამულეთა დაქსაქსულ კოლონიას ისე, როგორც ილია იცნობდა მათ; ჭკვა, ნიჭი, სწორი გათვალისწინება, ულმობელი კრიტიკა — ანალიზი ყოველთვის ასეთ ნაყოფს მოიტანს.

ილიას ქართველი საქართველოში უყვარდა, უყვარდა საქართველოს ტურფად მოხავერდებულ მდელო — მთებში, სადაც მუდამ ისმის ჩუმი და მძლავრი ხმა: „აქ უნდა შრომა, შრომას კი ძალთა შეკრება“.

ეს კანონიერი ხმაა.

VII

შიო ჩიტაძის პანაშვიდი.

პირველ სათათბიროს უკანასკნელი დღენი იყო, როდესაც ტფილისიდან საშინელი ამბავი მოვიდა „შიო ჩიტაძე მოკლეს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში“. ვინ აღწერს იმ წუხილის ძლიერებას, რომელიც ასეთმა ახალმა სასტიკმა ცნობამ შეჰქმნა.

ილიას სიბრძნით სავსე თვალები ცრემლთა ზღვაში დასცურავდა, სახე სულის ტანჯვას და უსაზღვრო ნაღველს მოეცვა. ჩიტაძის ვერაგულად მკვლელობას მოხუც ქართველებზე მეტად ემოქმედა.

— რა უბედურება გვატყდება თავს?!... რას ვესწრებით? რას გვიშვრებიან?!... უთუოდ შეკითხვა უნდა შეიტანონ ჩვენმა დეპუტატებმა. რა ხდება?... გულმოკლული გაიძახოდა ილია.

როდესაც ჭავჭავაძემ გაიგო ქართველი დეპუტატები დღესვე აპირებენ შეკითხვის აღძვრასო—ცოტათი ვითომ დამშვიდდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გულში ღრმად ჩასერილი ახალი არა ჩვეულებრივი შხამი თავისას შვრებოდა. შიო ჩიტაძის მკვლელობის გამო აღძრულ შეკითხვის გარჩევას სათათბიროში ილია დაესწრო, მოისმინა ჟორდანიას, ჯაფარიძის და ბარათაშვილის სიტყვები. განსაკუთრებით გული აუჩვილა უკანასკნელის სიტყვამ.

იმ დროს პეტერბურგში იყვნენ ჩვენი ეპისკოპოზები კირიონი და ლეონიდი. ადვილი მისახვედრია როგორ მიეგებნენ ესენი გულ შემზარველ ამბავს. გადაწყვიტეს ალექსანდრე ნევის ლავრაში პანაშვიდის გადახდა.

პანაშვიდი დანიშნული იყო დილის 11 საათზე. სამწუხაროდ პეტერბურგელ ქართველთაგან ორიოდე კაცი დაესწრო. ამათ შორის პროფ. ცაგარელიც.

ილიას არ მოველოდი. მიზეზი: ავადმყოფობა და პანაშვიდის ადრე დანიშვნა. შევცდი. ილია ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც მოვიდა—როგორც მახსოვს—ყველაზე უფრო ადრე.

— რად დაიზარეს პანაშვიდზე დასწრება,—საყვედურის კილოთი ჩაილაპარაკა გაჯავრებულმა ილიამ. რა სუსტნი ვართ!...

აგრე გული დაწყვიტა მგოსანს პეტერბურგელ ქართველთა გულგრილობამ, ანუ უკეთ რომ ვთქვა სიზარმაცემ. მაშ რით უნდა აიხსნას პანაშვიდზე არ მოსვლა?

ასეთნი ბრძანდებიან ჩრდილოეთში დაბინავებულნი შვილნი საქართველოსი, რომელთ გონებას და გულს დღითი დღე უფრო ყინავს თეთრ ზღვიდგან გადმოვარდნილი ატმოსფერა.

დიდხანს, დიდხანს შერჩა ილიას უეცრივ აღმოცენებული შხამით ავსილი ფიქრები. ყოველ შეხვედრაზე ჩიტაძის მხეცურ მკვლელობას იგონებდა. ისეთი აზრთა გამტაცი იყო ილიას დარდიანი შენიშვნები, რომ ძალაუნებურად თვალთ წინ მეხატებოდა ჩვენი ქვეყნის წითლად შეღებილი სურათი, რომელზედაც შავად ჩნდა მტარვალობის ნაბიჯი. მგოსნის მოკლე სიტყვები აგრე შორს გიტაცებდათ.

განა შეეძლო წარმოედგინა მხცოვან დაუღალავ მოღვაწეს—რა მოხდებოდა ერთი წლის შემდეგ? განა შეეძლო წარმოედგინა, რომ 12 თვის შემდეგ თვითონ დავარდებოდა უმწეო მსხვერპლად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია—არა... მაგრამ ეს უბედურობაც მოხდა და მეორე სამგლოვიარო პანაშვიდი გადაიხადეს...

რა სასტიკია ცხოვრება?!..

VIII

საქართველოში გამგზავრება.

მეორე სათათბიროც დახურეს... საუკეთესო იმედებ გაცრუებული ილია ჭავჭავაძე ეძებდა ახალს პირობებს. ახალს შედარებით ჩრდილოეთის არე-მარესთან, ისე-კი ძველს... საქართველოს ჰაერს, თუმცა ეს ჰაერი კვამლ-სისხლით გაჟღენთილი იყო. ქართველ მგოსნის გული საყვარელ ქვეყნისკენ ილტვოდა, სადაც მთელი წელიწადი არ ყოფილიყო.

ნაცნობ-მეგობრები ილიას არ ურჩევდენ საქართველოში წასვლას. დარჩი აქ, ცარსკი სელოში ან სხვაგან ქალაქის გარე დაბინავდიო,—ეუბნებოდენ. ჩვენში გამწვავებულ ცხოვრებით აშინებდენ. ილიას მეუღლესაც არ სურდა კავკასიაში გამგზავრება, ისიც წინააღმდეგი იყო.

— როგორ შეიძლება?! ამდენი ხანი არ ვყოფილვარ საქართველოში!.. ზაფხული თუ იქ არ გავატარე, ჩვენ ქვეყანას არ გადავხედე – ზამთარში აქ რა გამაძლებინებს? განა დიდი ხანი დამრჩენია? უთუოდ წავალ,—გადაწყვეტით ამბობდა ილია.

ტყვილა აშინებდენ ჭავჭავაძეს.

— რას ან ვის უნდა შავუშინდე?!... გაკვირვებით დაეკითხებოდა ხოლმე ილია მოლაპარაკეს. მე იქ რა უნდა მაშინებდეს? **მე არავინ არას მიზამს საქართველოში.** შიშით განა აქ უფრო არ უნდა მეშინოდეს?

— დაცინვით ჩაიღიმებდა პოეტი:

— თქვენ თვითონ ნუ გეშინიათ,—შემოდგომაზე ისევ ერთად ვიქნებით. უფრო გაყოჩაღებული ჩამოვალ..

აი რამდენად უყვარდა თავის ქვეყანა, რამდენად ენდობოდა ქართველებს და მათ მიდამოს განა. ამის უფლება არა ჰქონდა ილიას?!

ასეთის რწმენით და ნდობით სავსე გაემართა ილია ჭავჭავაძე ჩვენი ქვეყნისკენ. მისი გული წყნარად სცემდა ტ ცუდს არას მოელოდა, წინასწარ გრძნობა ახლო მომავალში ავს არას უქადდა.

წავიდა რუსეთიდან ილია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდა და თან პეტერბურგში დარჩენილ ნაცნობ-მეგობართა საბედისწერო გაფრთხილება უკან მისდევდა. ამათ შიშის საფუძვლიანობას ილია ალბად მაშინ მიხვდა, როცა თავის მკვლელთ შესძახა:

— რას შვრებით, თქვე უბედურნო!...

მე მრწამს,—ამ დროს ელვის სისწრაფით მოიგონა ილიამ შორე მეგობართა რჩევა... მაგრამ ამ ჯოჯოხეთურ წამს თავი დავანებოთ...

აქ იწყება ტრაგედია...

პეტერბურგი, თებერვალი 1908 წ. **მალაქია ბოლქვაძე.**



ილია ჭავჭავაძის ძეგლის მოდელი, გაკეთებული ი. ნიკოლაძის მიერ. ეს მოდელი მოიწონეს ადგილობრივმა მცოდნე პირებმა, „წ. კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობა შეუდგა ხარჯთ აღრიცხვის შედგენას, რის შემდეგ გამგეობა შეუდგება ძეგლის დადგმის განხორციელებას მგოსნის საფლავზე მთაწმინდაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი პოლონელთა სკოლის ცხოვრებიდან, პრუსიაში*)

ეს ამბავი მოხდა გაზაფხულზე, სკოლების ინსპექტორის რევიზიის წინად. ამ რევიზიის მოახლოვებას უკვე გრძნობდნენ ოტკოვის საბრალო სკოლაში.

ბატონი მასწავლებელი ტელესფორ იანისკა გამოჭიმული ბრძანდებოდა თავისს დანჟღრეულ კათედრაზე, როგორც ტახტზე. მარჯვნით თავის ყავარჯენი ეყუდა—ნერგის ჯოხი. ფეხებთან ჩამსხდარიყვნენ მისი ქვეშემრდომნი: მარცხნით ქალები, მარჯვნით ვაჟები.

ბატონი იანისკა რამდენიმე დღე ბეჯითობდა, მუყაითობას იჩენდა, რაც მას საზოგადოთ აკლდა. ამის შედეგად იყო, რომ იმისი ჯარი ერთს მისს შეხედვაზე შიშისაგან კრთოდა, კანკალებდა.

დღეს მას საფუძვლიანი გამეორება უნდა მოეხდინა სკოლაში. მან დაიწყო უბრალო, მაგრამ უმნიშვნელო კითხვებიდან:

— რა გქვიან შენ?

ყველა მზად იყო პასუხის მისაცემად:

— მე მქვიან იოსებ სტეფანსკი, ან სტეფანე ნაროტნი, ან სტანისლავ კუბიაკი და სხ.

---

*) ეს სურათი წარმოადგენს პოლონელ სკოლას პრუსიაში, სადაც სწავლება პოლონელთათვის უცხო ენით წარმოებს. მოთხრობა საყურადღებოა, როგორც ცხადი გამომხატველი ბავშვის პსიხოლოგიისა. მოთხრობა ეკუთვნის ადამ ჭელლერს შტეინიდან: დაბეჭდილი იყო გერმანულად ჟურნალ Die Gegenwart«-ში, რუსულად გადათარგმნულია მ. უსპენსკის მიერ და დაბეჭდილი 1906 წ. «Русская школа»-ს № 12, საიდანაც ჩვენ ვსთარგმნეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ყველამ იცოდა; ყველას გამოკითხა, უკანასკნელ იგნაცა სტუპკამდის, რომელიც არ განირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით. ყველაზე უფრო ამ საცოდავ ბავშვს უცხო ენა ეძნელებოდა, იმისი ენა, რომელიც ვერ ძლევდა მისთვის უცხო ენის ბგერებს, ძლიერ ამახინჯებდა გერმანულ სიტყვებს. ამას თვითონაც გრძნობდა.

მასწავლებელმა თავისუფლად ამოიოხრა და გადავიდა შემდეგ კითხვაზე — სად ცხოვრობ? ყველასაგან ჩინებული პასუხია. პირველიდან დაწყებული უკანასკნელამდის სხაპა სხუპით იძლეოდნენ გაზეპირებულ პასუხს.

მასწავლელი გადავიდა შემდეგ კითხვაზე:

— რა ჰქვიან ქვეყნის ოთხს მხარეს?

აქაც მოწაფეებმა ცოდნა გამოიჩინეს, ხან აქ, ხან იქ დაუცხრომძლად მოისმოდა ერთი და იგივე სიტყვები. რიგი მიდგა იგნაცა სტუპკაზე. მასწავლებელმა ჰკითხა;

— რა ჰქვიან ქვეყნის ოთხ მხარეს?

— იგნაც სტუპკა ამაყად წარმოსდგა, თავი განზე გადაიგდო, თვალები ჭყიტა და იმის მაგიერ რამ ეთქვა: Die Vier Himmelsri chtungen cheissen: Osten, Süden, Westen, Norden", მიუგო: Die fior Chimmelsrichtungen Cmaissen: Ostern. Sünden, Wespen, Morden", ბავშვმა „Osten" (აღმოსავლეთი) მაგიერ სთქვა: Ostern (აღდგომა) „Süden" (სამხრეთი)-ს მაგიერ სთქვა: Süden (ცოდვები). „Westen (დასავლეთის) „მაგიერ — Wespen — კრაზანები" და Norden — (ჩრდილოეთის) მაგიერ — „Morden — მოკლვა".

ვინ იცის, საიდან ან როგორ მივიდა იგი ამ აღმოჩენამდის. მასწავლებელმა ჯოხს წაავლო ხელი.

— რაო? მობრძანდი აქ?

ზოგ ქალებს სიცილი აუტყდათ. იგნაცმა მიიღო შენანებული ცოდვილის სახე და ნელის ნაბიჯით გაემართა მასწავლებლისკენ. მივიდა საკლასო დაფასთან. შეჩერდა. მასწავლებელი მიუახლოვდა.

— რა ჰქვიან ქვეყნის ოთხს მხარეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგნაცმა შიშის კანკალით დაიწო დამტვრეული გერმანული ენით: ქვეყნის ოთხ მხარეს ჰქვიან: აღდგომა, ცოდვები, კრაზანები... ჯერ „სიკვდილამდის“ საქმე არ მისულიყო, რომ მასწავლებელმა ტყლაშანი მოსდო ყბაში.

მასწავლებელი თავს ვერ იკავებდა, როცა იმის წინ იგნაცი გაჩერდებოდა. იგნაცმა მოისო ხელი გაწითლებულს ლოყაზე და მიეცა ღრმა ფიქრს თუ რის გამო იყო გამოწვეული ეს სასჯელი.

ეხლა მასწავლებელი შეეცადა სიკეთით ემოქმედა და დაფაზე დასწერა სწორი პასუხი.

იგნაცი შიშის კანკალით ადევნებდა თვალებს მასწავლებლის ხელს. კითხვაშიაც არ იყო იგნაცი გაწრთვნილი: ეხლა მას თვალწინ ედგა მზად თეთრი სიტყვები შავს ფიცარზე.

მასწავლებელმა დასდო ცარცი, დაჰკრა ჯოხი დაფას:

— წაიკითხე, როგორ უნდა სთქვა!

იგნაცმა მოიკრიფა უკანასკნელი ძალ-ღონე და ენის ბორძიკით ძლივს ძლივობით წაიკითხა ისე, როგორც მას ეგონა დაწერილი.

მასწავლებელი სიბრაზისაგან გაწითლდა, მოიღერა მუშტი;

— ეს სრულიად უნიჭოა! შენ კითხვაც არა გცოდნია!

იგნაცმა მორთო ღრიალი, ამან უფრო გააოფთრა მასწავლებელი.

— მე შენ გიჩვენებ! თუ არ მიეჩვევი სწორ ლაპარაკს, წამოგაწვენ სკამზე და მე ვიცი შენი... შე საძაგელო შენა! გაჩერდი აქ, სანამ ფეხებზე არ ჩამოწყდე!

შემდეგ მასწავლებელი ისევ მიუბრუნდა თავისს ცხვრებს, მივიდა შემდეგის კითხვებით იგნაცამდის და ხელ ახლად ჰკითხა:

რა ჰქვიან ქვეყნის ოთხს მხარეს?

იგნაცმა ისეთივე პასუხი მისცა, როგორც წინედ.

ჯერ კიდევ პასუხი არ დაემთავრებია

— გამოსწი ხელები!

იგნაცმა ნელა გაუწოდა მასწავლებელს მწვირიანი თათი.

მთელს კლასში სამარისებრივი სიჩუმე ჩამოვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე!

ტლაშ! მოისმა ჯოხის ხმა. იგნაცმა სწრაფად გასწია უკან ხელი; ტლაშ! გაისმა კიდევ ხმა და ჯოხი მახლობელ სკამის კიდეზე შუაზე გადატყდა.

მასწავლებელი აიმღვრა; იგნაცმა მოართო უარესად ღრიალი.

— დაიცა მე შენ გიჩვენებ! შენ, სადოვსკი, თვალყური გეჭიროს აქ, სანამ დავბრუნდებოდე, უნდა ახალი ჯოხი მოვიტანო, ვინც ილაპარაკოს ჩასწერე.

მასწავლებელი გავიდა კლასიდან.

ერთს წუთს, მასწავლებლის გასვლის შემდეგ, სრული სიმშვიდე იყო.

შემდეგ ზოგმა ქალებმა დაუყვირეს იგნაცს: jy Ignatz, nie Ostan tylks Osten! Osten, Süden, Westen, Norden! მაგრამ იგნაცი მათ ყურს არ უგდებდა. ეხლა რომ იმას გააწვენდნენ და ბევრსაც სცემდნენ, ამაში ეჭვი არ იყო. იგი მორჩილებით იხედებოდა ფანჯარაში და თავის პერანგის სახელოთი ცხარე ცრემლებს იწმენდდა პირისახიდან.

მასწავლებელმა მოსჭრა ახალი ჯოხი, გამოიარა ბალში სახლისაკენ — ბალში აქეთ იქით ბალახებს დაუწყო თხრა, ბოლოს დაინახა, რომ სალათა სიცხისაგან ხმებოდა. მისდო ჯოხი განზე, აიღო სარწყავი და დაუწყო სალათს რწყვა. ორჯელ სამჯერ მორწყო, მოაგონდა თავისი სამწყსო. აიღო თავისი ყავარჯენი და გაემართა სახლისკენ. დერეფანში ბავშვების ველური ხმაურობა მოისმოდა საკლასო ოთახიდან. გაანჩხლებულმა მაგრად მოჰკიდა ჯოხს ხელი და ჩქარის ნაბიჯით გაეშურა კლასის კარებისკენ.

მაგრამ უცებ, მეორე მხრით, სამზარეულოდან მოისმა ნაზი ხმა: ტელჩუ!

მასწავლებელი მობრუნდა და თავისი ცოლი დაინახა, რომელიც სამზარეულოს კარებთან იდგა. ამ დროს იმისმა ცხვირმა იგრძნო მოხრაკული წიწილის მომხიბლავი სუნი.

ღმერთო ჩემო! ტელესფორ იანისკაც ხომ ადამიანი იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე ბრძოლის შემდეგ კლასის კერებთან, იგი წავიდა ცოლთან და მოხრაკულ წიწილებთან. თავის ენერგიული სამსახურისათვის მასწავლებელმა ნება მისცა თავის თავს სადილის წინ არა ჩვეულებრივ ესაუზმა.

კლასში ბავშვებს ჩხუბი, ყვირილი და ღრიანცელი აეტეხნათ.

მხოლოდ იგნაცი იდგა ისევ მოჯადოვებული საკლასო დაფასთან და დაღვრემილი ფანჯარაში გაიყურებოდა. მხოლოდ ის ხედავდა, როგორ მოდიოდა მასწავლებელი, და იცოდა რომ ის ეხლა სამზარეულოში ზის.

უცებ იგნაცას ამღვრეულმა მტრედის ფერმა თვალებმა მომაკვდავი მშიშარა სახე მიიღო.

სოფლის მტვრიანი გზით სკოლას მოუახლოვდა დახურული ეტლი, რომელშიაც ება სამაზრო სკოლების ინსპექტორის წაბლის ფერი ცხენები.

— ინსპექტორი! წამოიძახა იგნაცმა შიშით, რადგანაც მისი „სიავკაცობის“ ამბავი ამ მაღალ ბატონისთვისაც არ შეადგენდა საიდუმლოებას.

საკლასო ოთახში ყველა მიყუჩდნენ, როგორც თაგვები.

იგნაცამ გადადგა ორი ნაბიჯი, უნდოდა ადგილზე დამჯადარიყო, მაგრამ კანკალი აუტყდა, რადგანაც ინსპექტორი მოდიოდა და მასწავლებელი სამზარეულოში იყო.

ერთი ფეხის გადადგმით იგნაცა კარებთან იყო, გამოჰყო თავი და დაბალის ხმით დაიძახა:

— ბატონი ინსპექტორი!

და უცებ დაიჭირა თავისი ადგილი. შემოვიდა ინსპექტორი. იმას კვალ და კვალ უკანასკნელი ლუკმის ღეჭვით მოჰყვებოდა მასწავლებელი.

ბავშვები ადგნენ.

მასწავლებელმა ბოდიში მოიხადა მცირე ხნით სწავლის შეწყვეტის გამო, რადგანაც ეხლა ხან გავიდა კლასიდან.

მაღალმა ბატონმა აიღო საკლასო დავთარი და გამოკითხა მასწავლებელს როგორ წარმატებას იჩენენ სწავლაში მოწაფეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჰ, — სთქვა მასწავლებელმა — წარმატება კარგია — მხოლოდ ამ იგნაცი სტუპკას კი არ ვიცი რა ვუყო! მე მგონია, რომ მაგიდან არა გამოდნება რა.

ამდენად უმადური გახდა მასწავლებელი. მაგრამ იგნაცის არც მადლობა უნდოდა. ის უკვე ბედნიერი იყო იმით, რომ ქვეყნის ოთხი მხარის გულისათვის ტყავი არ გააძვრეს.

ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის აღზრდა მომავალში*)

დედა.

მწვანე მოლით მოფენილს ბაღში, სადაც ხორკლიანი ხეები ვერცხლსავით ბრწყინავდენ და სხვა და სხვა ყვავილების თაიგულები საუცხოოთ ელვარებდენ მოწმენდილ ცის ქვეშ, ბავშვები თამაშობდნენ.

მათ მიუახლოვდნენ ჩვენი მგზავრები.

ყველაზე წინ მიდიოდა შავთვალა, ამაყი სახის ყმაწვილი. ხელში ხის აყვავებული ტოტი ეჭირა. უკან მოსდევდა წყვილ-წყილად ოც-და-ათამდე ქალი—ვაჟი. ყველანი უქუდოთ და ფეხშიშველნი იყვნენ, ტანზე საზაფხულო ბრჭყვიალა ტანისამოსი ეცვათ. ყველა ცდილობდა სერიოზული სახე მიეღო, რაც სრულებით არ შეეფერებოდა მათს მომცინარე თვალებს და სიმკვირცხლეს.

ბავშვები მღეროდნენ ძველებურს მხიარულ საბავშვო სიმღერას.

— ეს მაგონებს იმ დროს, როცა ჭუჭყიანი ბლუზა მეცვა და მწყემსის ბავშვებთან ერთათ ვთამაშობდი ბედფორდგრინში, სთქვა გენერალმა.

— ხომ არ მოგაგონებთ ლონდონის ღარიბ უბნების ბავშვებს ისინი, ბ-ნო ჯორკლ! ჰკითხა მისანმა.

---

*) ამოღებულია ბლეჩფორდის რომანიდან, რომელშიაც აწერილია მომავალი წესწყობილება და ცხოვრება. გენერალი სტორმი და ლეპუტატი ჯორკლი მისანი ფრაის ხელმძღვანელობით მოგზაურობენ სოციალისტურ „სახელმწიფოში“. რომანი მოგვითხრობს მათ ნახულს ღა გაგონილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სრულიადაც არა, უპასუხა ჯორკლმა. მხოლოდ ის მომაგონა, რომ გკითხოთ როგორაა მოწყობილი სწავლა-აღზრდის საქმე ამ... „სახელმწიფოში“.

— ბძანეთ.

— დავიწყოთ თავიდან, ყველაზე უწინარეს მითხარით, როგორი პირველ დაწყებითი სკოლებია აქ?

მისანმა გაიღიმა.

— აქ პირველ დაწყებითი სკოლა სრულებით არ არსებობს.

მ. ჯორკლს გაუკვირდა.

— თქვენ გინდათ ბრძანოთ, რომ აქ ბავშვებს არავითარ განათლებას არ აძლევენ?

— პირიქით. აქ ბავშვები საუცხოოთ არიან აღზრდილი.

— „თუმცა აქ სკოლები არ არსებობს?“

— „სწორეთ იმიტომ, რომ სკოლები არ არსებობს“.

— მაშ, როგორ იზრდებიან?

— ჩემო ძვირფასო ბატონო! სანამ მაგის პასუხს მოგცემდეთ უნდა აგიხსნათ, თუ ვის უნდა ვუწოდოთ გაუნათლებელი და უსწავლელი. აქ ბავშვებს ისე არა ზრდიან, როგორც ჩვენს ინგლისში, რადგან იქა და აქ ცხოვრების იდეალი სულ სხვა და სხვაა და, რადგანაც მიზანი სხვა და სხვაა, მიზნის მისაღწევი საშვალებაც ერთნაირი არ არის!

— გამაგებინეთ, რაში გამოიხატება ეს სხვა და სხვაობა.

— ჩვენს ინგლისში საზოგადოება დაყოფილია კლასებათ, რელიგიურ სექტებათ, პოლიტიკურ პარტიებათ და მთელი ჩვენი ინგლისი მუხლს იდრეკს იმპერიალიზმისა და ვაჭრობის წინაშე. აქ კი, არც კლასებია, არც რელიგიური სექტები, არც პოლიტიკური პარტიები, არც იმპერია და არც ვაჭრობა.

— მერე განა ეგ კარგია?

— ჩვენს ინგლისში საჭიროა ისეთი ბავშვები, რომელნიც აღჭურვილნი უნდა იყვნენ სპეციალური, რაიმე განსაკუთრებული მიზნის შესაფერი ცოდნით. თითოეული 72 ერთი მეორეს მოწინააღმდეგე სექტათაგანი ცდილობს გაჟღენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოს ბავშვის ნაზი სხეული თავისი ცალმხრივი სარწმუნოებრივი დოგმებით, და იმპერიისა და ვაჭრობის გულისათვის ახალგაზდა გონება საოცრად იშხამება და იბორკება. ამის შედეგია ის, რომ ზოგიერთები გამოდიან ბეჯითი და მორჩილი მუშები და ზოგიერთები კი ვერაგი მბძანებლები და ბატონები, იმისდა მიხედვით, თუ ვის რას ანიჭებს ჩვენი კანონმდებლობა.

— ეგ ყველაფერი კარგი! მაგრამ რას მეტყვით აქაური ბავშვების შესახებ?

— გარდა ამისა ჩვენს ინგლისში ბავშვები დაყოფილი არიან ცალკ-ცალკე რაზმებათ საალმზრდელო ყაზარმებში, სადაც ასწავლიან ნელი კუს ნაბიჯით, წესების თანახმად, განსაკუთრებული ფელდფებელები, სქოლასტიკური ავტომატები. და ყველაფერი ეს იმიტომ არის მოწყობილი, რომ ჩვენმა პაწიებმა დაკარგონ ყოველივე ინდივიდუალობა, რამდენათაც შესაძლებელია დაემსგავსონ ერთმანეთს და საკვებით დაემორჩილონ ბრძანებას, რომ გავიმარჯვოთ ეროვნულ ბრძოლაში, ავაყვავოთ იმპერია და ვაჭრობა.

— დიახ, დიახ! მაგრამ აქ როგორ-ღა არის?

— აქ მხოლოდ ის უნდათ, რომ ბავშვები ბედნიერი და ჯანმრთელი იყვნენ და აღიზარდონ კარგ და ნიჭიერ ქალებათ და კაცებათ.

— და ამისათვის?

— ამისათვის აქ დასწვეს ყველა წესები, დააქციეს ყაზარმები, დაითხოვეს ფელდფებლების მსგავსი მასწავლებლები და მიმართეს მხოლოდ დედის გავლენასა და ავტორიტეტს.

— დედისა?

— დიახ. აქ მთელი პოლიტიკის, სარწმუნოების, ფელდფებელების პირველ-დაწყებითი სკოლების და სხვათა ამის მსგავსთა მაგიერია მხოლოდ ერთი დედა.

— თქვენ გინდათ სთქვათ, რომ ბავშვების აღზრდა აქ ქალებს აბარია?

— საბედნიეროთ ეგ — აგრეა. რას ასრულებს ჩვენში პირველ დაწყებითი სკოლა, თუ არ დედის მოვალეობას, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მეტათ უნიჭოთ და უნაყოფოთ. მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც კასტების მედიდურობამ, სექტების გაბოროტებამ და ვაჭრობის გაუმაძღარმა კლანჭებმა გარდაქმანა ქალი მოწამეთ, ან სათამაშო ნივთათ, მხოლოდ ასეთ საზოგადოებაშია შესაძლებელი საალმზრდელო ყაზარმები და სქოლასტიკოსი მასწავლებლები, რომელნიც ფელდბეფელებს მოგვაგონებენ...

— მაგრამ მე ვფიქრობდი, რომ სოციალისტური აზრები.

— თქვენ ლაპარაკობთ გერმანიის სოციალისტურ აზრების შესახებ, ცხარეთ უპასუხა მისანმა იქ მეც მგონია, არიან ისეთი დოქტრინერი სოციალისტები, რომელთაც უნდათ გამოგლიჯონ ბავშვები დედებს და დარაზმონ ერთგვარ, უპიროვნო მოქალაქეთა ბატალიონებათ და დივიზიებათ. აქ კი ყველაზე მეტათ დედას ენდობიან.

— მაშ, აქაური დედა საოცრად განვითარებული და ჭკვიანი უნდა იყოს, სთქვა გენერალმა.

— ბატონო, უპასუხა მისანმა, სიყვარულზე უფრო ღრმა სიბრძნე არ არის რა დედამიწაზე.

— ოჰო! წამოიძახა ბ ჯორკლმა. მაგრამ რას ასწავლიან ბავშვებს ეს საოცარი დედები?

— ბევრს ისეთს რასმე, რასაც არ შეიტანდა თავის პროგრამაში განათლების არც ერთი მინისტრი. განა შესაძლოა მზის სხივების გალიაში მომწყვდევა?

— ვშიშობ, თქვენ... მეტის — მეტათ გატაცებული ადამიანი ბძანდებით. ნუ თუ თქვენ გინდათ დამიმტკიცოთ, რომ ნათელი და სისტემატიური ელემენტარული განათლების მაგიერობა შესძლოს ქალის უაზრო ლაყბობამ და მოფერებამ?

ბ. ჯორკლი გაცხარდა და დაცინვით გადახედა მოსაუბრეს, მაგრამ მისანმა უპასუხა თავისი ჩვეულებრივი აუღელვებული დინჯი კილოთი.

— საქმეც ეგ არის. სწორეთ მანდ არის ახალი აზრიც მაგრამ თქვენ, თქვენ რა უნდა დამიმტკიცოთ? რამდენადაც ვიცი თქვენ რაღაც ოფიციალური დამოკიდებულობა გქონდათ განათლების სამინისტროსთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, მე მქონდა ეგ პატივი.

— კეთილი და პატიოსანი. ნუთუ თქვენ გინდათ დამიმტკიცოთ, რომ უნდა გავაძეოთ სიცოცხლით სავსე, ნაზი, ბუნებრივის ნიჭით დაჯილდოვებული დედა, რომლის გული არის აკვანი ყოველივე მამაცობისა და კეთილშობილებისა, რომლის განუსაზღვრელი და არა ჩვეულებრივი გრძნობიერება პატივცემულია ყველასაგან, ნუთუ ასეთი დედა უნდა გავაძევოთ მთელის მისი ძლიერი სინაზითა და სიკეთით და მისი შვილები მოგანდოთ თქვენ?!

— მე ვამტკიცებ, რომ მთავრობის განსაკუთრებული კაცები, რომელთაც მინდობილი აქვსთ სწავლა აღზრდის საქმის შესწავლა, და გამოცდილი სპეციალისტები, ყოველთვის აჯობებენ იმათ მოუწესრიგებელს... ერთი სიტყვით მე ის მინდა ვსთქვა, რომ დედები, რამდენადაც ვიცი, სრულებით არ არიან მომზადებული მასწავლებლობისათვის.

— რამდენადაც თქვენ იცნობთ ჩვენს დედებს? ჩვენს ინგლისში. დიახ“.

— უმაღლესი კლასის ქალები ქარაფშუტები არიან, დაბალი კლასის კი — სრულიად უვიცნი. მე არ ვიცნობ უტოპიურ ქალებს, მაგრამ ჩვენები სრულებით გამოუსადეგნი არიან. საზოგადოთ, არ შემიძლიან დავეთანხმო თქვენს აზრს ქალის შესახებ. თქვენ რას იტყვით ბ. გენერალო?

— ჰმ! უნდა მოგახსენოთ, რომ დედა ჩემი კარგი ადამიანი იყო.

— ვმადლობ ბედს, სთქვა მისანმა, რომ ჩვენს ინგლისშიაც ბევრია ასეთი ქალი.

— კარგი! უთხრა ჯორკლმა, დაწვრილებით გავიცნოთ საგანი. რას ასწავლიან ეს საოცარი დედები, თავიანთ საოცარ ბავშვებს?

— პირველათ დედა ასწავლის თავის შვილებს სიმართლეს, პატიოსნებას და თავაზიანობას. კოცნის, სიმღერის, ტკბილი საუბრების, ალერსის, ძვირფასი მაგალითის, სიყვარულის და სხვა საუცხოვო ძალების შემწეობით ქმნის მათ კარგ და ბედნიერ ადამიანებათ. მათი მხიარული ხმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრწყინვალე სახე აშკარათ გეუბნება, რომ ისინი კარგი დედის შვილები არიან... დედა ასწავლის ანბანს. ყველაზე უწინ კითხვას, წერასა და თვლას. ყველა ბავშები კითხულობენ მშვენივრათ. რაც შეეხება არითმეტიკას, ძალიან გამარტივებულია, რადგანაც აქ მოსპობილია ფული. ბავშვები რამდენიმე უბრალო არითმეტიკულ წესს სწავლობენ.

— სხვას არაფერს?

— როგორ არა. ყველა ბავშვი სწავლობს ხატვას, ხეზე ამოჭრას, თიხისა და მის მსგავს ნივთების კეთებას, ამას გარდა ყველა ბავშვებს ასწავლიან სიმღერას, ცეკვას და დაკვრას რომელსამე საკრავზე. ეს შეეფერება პატარა ბავშვებს. მათმა უმრავლესობამ იცის სიმღერა და დაკვრა, ცეკვა, ხატვა და ფიცარზე ხერხით მუშაობა; 13 წლამდის უკვე იციან წერა კითხვა, როგორც საერთო, აგრეთვე ინგლისურ ენაზედაც. ამას გარდა ისინი სწავლობენ სხვა საგნებსაც: ბოტანიკას, ასტრონომიას, გეოგრაფიას, ბალოსნობას და ბევრს სხვასაც. რასაკვირველია უმთავრესი ყურადღება ფიზიკურ აღზრდაზეა მიქცეული. აქ მამებიც შველიან. ყველა ბავშვებმა ვაჟებმაც და ქალებმაც იციან ცურვა, ნაოსნობა და სხვა თამაშობა.

— „როდის ღა იწყებენ ისინი მუშაობას?“.

— „სხვა და სხვა დროს. საზოგადოთ იმათ უნდათ მუშაობა იმაზე ადრე, ვიდრე ფიზიკურად გამაგრდებოდნენ და მუშაობის ნებას მისცემდნენ. მაგრამ ზოგიერთებს აძლევენ ცოტ-ცოტა საქმეს, რ ...ცა 13 წლისა გახდებიან, ან ერთი ორი წლით გვიან.

— „ამნაირად, ნამდვილად ისინი არც ერთს სკოლას არ გაივლიან?“.

— „თქვენ, უეჭველია, იცით, რომ შრომა თავის თავად კარგი სკოლაა. მაგრამ ზოგიერთი მისი დარგი სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. მაგალითად ყმაწვილს რომ ხეროთ მოძღვრება ან ინჟინრობა უნდოდეს, ან გემზე სამსახური — მისთვის მეტი ცოდნაა საჭირო, ვიდრე ხელოვან მექანიკის ან კალატოზისა და მისს მსგავსებისათვის ამ მოთხოვნილებას სპეციალური კლასები და სკოლები აკმაყოფილებენ. ყველა ისინი ნება ყოფლობითია და არა სავალდებულო. ბავშვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც კალატოზობა მოსწონს, შეიძლება, სრულიადაც არ უნდოდეს ხუროთ მოძღვრება შეიძლება მან უპირატესობა მუსიკას, ხატვას ან მათემათიკას მისცეს. ბავშვი მიდის სკოლაში და სწავლობს იმას, რაც მას იტაცებს. მე მხოლოდ ამ აზრითა ვსთქვი, რომ ბავშვებს მუშაობა 13 წლიდან შეუძლიათ დაიწყონ. ნამდვილად კი ისინი მხოლოდ შრომის რომელიმე დარგის სწავლებას იწყებენ და არც ერთს ბავშვს არ მიცემენ მოწიფული კაცის სამუშაოს. თქვენ ხედავთ რომ სამუშაო აქ ადვილი და სასიამოვნოა. არავინ არ არის მოვალე დღეში 3—4 საათის მეტი იმუშაოს — ეს დამოკიდებულია მისს სურვილზედაც.

— თქვენ ამბობთ, რომ მამაკაცები ხანდისხან იმაზე მეტს მუშაობენ, რაც ვალდებულნი არიან?

— „რატომ არა? განა ჩვენს ინგლისში ათასობით ხალხი იმაზე უფრო მეტს არ მუშაობს, ვიდრე უნდა იმუშაონ? მაგალითად თქვენ? აქ უმეტესობა განსაზღვრულ დროზე ორჯელ მეტს მუშაობს და, გაკვეთილების შემდეგ, ერთობიან სხვა და სხვა საქმით. თქვენ სახეში უნდა გქონდესთ, რომ ადამიანებისათვის შრომა ტვირთი კი არა კმაყოფილებაა. ხშირად მხატვრულ ხელოვნების ან ხელოსნობის მსრულების დროს, ადამიანი იმდენად წახალისდება საქმეში, იმდენად შეუყვარდება საგანი, რომ ვერას გზით ვერ მოაშორებ საქმეს. მაგრამ მე ცოტა განზე გადავუხვიე. ჩვენ ბავშვების აღზრდის შესახებ ვლაპარაკობდით. ამის ნიშნობლივი თვისება იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი ცდილობს ბავშვის — ვაჟის ან ქალის ძალა, არ დახარჯოს მათთვის გამოუყენებელ ცოდნაში. სისულელე იქნებოდა მაგალითად რომელიმე ჩვენ მშვენიერ მქარგავ — მომღერალ ქალს მისი სურვილის წინააღმდეგ ასწავლიდე ქიმიას, ან მარტივს ნაწევრებს. ის ქსოვს მშვენიერს საუცხოვო ნოხებს, ამის თავდები ვარ, მაგრამ მთელი მისი სული სიმღერაშია გარეული“.

— „ყველა ეს კარგი და პატიოსანი. მაგრამ ვინ აღმოაჩენს და გადასწყვეტს იმ საკითხს თუ რის მისწრაფება აქვს ბავშვს?“

— „რასაკვეველია, დედა, ვის შეუძლიან დედის უკეთ ამის გამოცნობა.

— მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ ყველა ბავშვები სწავლობენ ხატვასა და სიმღერასო“

— მე საზოგადოთ ვამბობდი, მაგრამ, რასაკვირველია, თუ ბავშვები რომელიმე სავანში ნიჭს ვერ იჩენენ, მაშინ მათ სხვა რასმე ასწავლიან“.

— „განა ყველა დედებს შეუძლიან ხატვა?“

— უმრავლეს შემთხვევაში. მაგრამ, რასაკვირველია, თუ საჭირო იქნა მასწავლებელი, მისი მოწვევა შეიძლება სკოლიდან. ძლიერ ხშირათ მეზობლები აარსებენ კლუბს. საზოგადო გაკვეთილებისათვის, სადაც ვინმე მშობელთაგანი, ან ერთ — ერთი უფროსი ბავშთაგანი ასწავლის პაწიებს მუსიკას, ან რომელსამე ხელოვნებას. გახსოვდეთ, რომ ესენი მხატვრების, და მემუსიკეთა ხალხია.

— მაშ თქვენ გჯერათ რომ ამგვარი არევ-დარეულ სისტემას, ან უკეთ რომ ვსთქვათ, უსისტემობას კარგი ნაყოფი მოაქვს?

— ეს სწორეთ რომ გონიერი სისტემაა. თქვენ ნახავთ რომ, თუმცა აქ ბავშვები გზადაბნეულები და გაკვეთილებით დაქანცულები არ არიან, მაგრამ, როგორც კაცები, ისე ქალებიც ჩვენზე უფრო განათლებულნი არიან. ჩვენს ინგლისში ადამიანები ჩვეულებრივ ივიწყებენ ყველაფერს მაშინ, როცა აქ იწყებენ სწავლას.

— მერე რითი ხსნის, თქვენ ამას? იკითხა გენერალმა.

— ეს შედეგია ჩვენი ახირებული სისტემისა. ჩვენ გაველინთავთ ბავშვს მათემათიკის, ისტორიის, ლათინურის და ბერძნულის ენების ნაწყვეტებით და შემდეგ ვგზავნით საბრძოლველათ არსებობისათვის, სადაც გაბატონებულია უაზრო კომერციული ანგარიში. ახალგაზდა ადამიანი იმდენს მუშაობს, ისე გატაცებულია თავის საქმით, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში სრულიად ივიწყებს იმ „კოდნას“, რომელიც ასეთის ტანჯვით შეიძინა, აქ კი ბავშვი თვითონ ირჩევს თავისსამუშაოსაც და მეცნიერებასაც თავის გემოვნებაზე, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას მოსწონს. თუ მაგალითათ მას სურს სანავოსნო ინჟინერობა, — ის კიდებს სამუშაოს ხელს, სრულიად დამშვიდებით. მას არ ეშინია, არც თავისი ჯამაგირისა, არც მომავლისა და გარდა ამისა თავისუფალ დროს ის სწავლობს სხვა რასმე, რაც ეინტერესება და მოსწონს. მაგალითათ ავაღოთ ჩემი ერთი კარგი ნაცნობი ქალი გილდა პარკერი. იგი — ბიბლიოთეკის გამგეა. ყოველ დღე 4 საათის განმავლობაში ბიბლიოთეკაშია და ამასთანავე ერთათ იგი ცნობილია, როგორც ჩინებული მხატვარი. ის საუცხოვო არტისტია, თავისუფალ დროს ამზადებს სამუსიკო იარაღებს და სწავლობს ბუნების მეტყველებას. საოცრათ ჰყავს შესწავლილი პეპელები და ჩრჩილები. თუმც ახალგაზდაა, მაგრამ ავტორიტეტის სახელი აქვს დამსახურებული. ან აი თუნდ კიდევ ლესსელი, რომელიც სახურავებზე მეხის ასაცდენ მანქანებს აკეთებს. ის ხომ გამოჩენილი არტურ ველლენტაინ ლესსელია, რომელიც აქ ითვლება საუკეთესო ნოველისტ მწერლათ. ამგვარათვე უმთავრესი ასტრონომი ითვლება ავტორიტეტათ მებაღეობაში, და ვარდების გაშენებაში. ამასთანავე საუცხოვოთ ხატავს სახებს ხალიჩებისა და მოზაიკისათვის. ელისაბედ ალისონ გრუმმა, ცნობილმა ლინგვისტმა 19 წლამდის არ იცოდა არც ერთი ენა, გარდა ინგლისურისა და ესპერანტოსი. ამის შემდეგ მან შეისწავლა თითქმის ყველა ენები, მაგრამ ამავე დროს არ მიუტოვებია თითბერზე ამოჭრა.

— იგი ახლაც განაგრძობს ასეთ მუშაობას? — იკითხა გენერალმა.

— არა, ახლა მას აღარ სცალია, ხშირათ დადის კონსულტაციებისთვის... თუმცა ხანდისხან მეჭურჭლეობასაც მისდევს...

№.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარცხვენილი მომჩივრები.

(ძველი ამბავი)

სოფლის ორი პატარა ბიჭი მეზობლები—საბუკა და ივანჭელა, ღობის ძირას კოჭაობას თამაშობდა.

ჯერ მშვიდად იყვნენ, ტკბილად თამაშობდნენ; ხან ერთი მოუგებდა, ხან მეორე, არაფერი საწყენი არ მოჰხდენიათ.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ბედი ცვალებადია, დაუდეგარი და არგამტანი.

ბიჭუნებსაც ისე მოუვიდათ.

— შენი კოჭი თაფია, ლილილმე!... შეჰყვირა საბუკამ, როცა ივანჭელამ კოჭი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რათაო, რითვი უნდა აჰკრა, როცა შენი ქიკია, ჩემი თაფი და მე უნდა დავკრა... არ მიჯერია... აკვრა არ აქნება... ჯიუტობდა ივანჭელა.

— არა, უნდა ავკრაო, ახირდა საბუკა და დასწვდა, უნდა კოჭი აეკრა, მაგრამ ივანჭელამ არ დააცალა, ჰკრა ხელი და გადაჩეხა.

— შენ არ გეუბნებიან, არ იქნებაო... ჯავრობდა ის.

წამოხტა საბუკა, ეცა ივანჭელას და ლობის ძეძვებზედ მიაკრა.

— ძეძვმა რომ უჩხვლიტა, ივანჭელა გაცხარდა, მორთო ღრიალი და თანაც საბუკას წაუშინა თავპირში მუშტები.

ასტყდა ერთი ცემა-ტყეპა, ტირილი და ღრიალი.

ამათ ყვირილზედ გამოიხედა ივანჭელას დედამ. თავის შვილი ლობეზედ მიკრული რომ დაინახა, ეცა საბუას, გამოათრია აქეთ და ორიოდე მიაყოლა.

მაგრამ ბედზედ გამოუსწრო საბუკას დედამაც და წამოეშველა თვის შვილს; ბავშვი გამოჰგლიჯა ხელიდან და თითონ იმას მიჰვარდა. დაუწყო ლანძღვა-თრევა და კავებშიაც მისწვდა.

არც ივანჭელას დედა ჩამოუვარდა. დაუწყეს ერთმანეთს ლანძვა-გინება და თან წეწვაც. კინალამ ერთმანეთს სისხლი ადინეს.

— შენი შვილი საძაგელია, მოურიგებელია, ჯერ დედ-მამა რა ხალხი ხართ, თქვენ სახელგასაწყვეტნო, რომ შვილი რიგიანი გყვანდეთო... ყვიროდა საბუკას დედა; —

— შენზედ ფინთსა და მურდალს მეხი კი დავაყარე თავზედ... შე უნამუსო შენა... ბრაზიანობდა ივანჭელას დედა.

ამასობაში მოვიდა მესამე მეზობელი, ცოტა დააშოშმინა ორივე და ურჩია წასულიყვნენ მდივანბეგთან და ის გაასამართლებდა ორსავე, ვინ მტყუანი იყო მათში და ვინ მართალი. იმათაც დაუჯდათ ჭკვაში ეს რჩევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაისვეს ბავშვები გიდლებში*), წამოიკიდეს ზურგზედ და გაუდგნენ გზას, რადგანაც მოსამართლე სხვა სოფელში სცხოვრობდა.

მიდიოდნენ ერთად, მაგრამ მაინც ამრეზით იყვენ.

გზა რომ გაანახევრეს, ბავშვების ლაპარაკი მოესმათ.

ყური დაუგდეს და რა ესმით?..

— ბიჭო საბუკ, კოჭები თან მოგაქ შენა?

— ჰო. შენა?

— მეც.

— რა იყო?

— იქ რო მივალთ, აი ვილაცასთან რომ მივდივართ, იქ დასმა-გადავლა ვითამაშოთ, მანამ დედა საქმეს მორჩება, ჰო?

— ვითამაშოთ. ჩემი ჯილა ისეა ჩატყვიული, რომ სამ კოჭს ერთად გაიტანს.

— ჩემი ჯილა! სულ ალჩუსა ჯდება!..

— გინდა გავცვალოთ?

— სართი მომეცი და გაგიცვლი.

დედებს ვაუკვირდათ. ერთმანეთს შეხედეს განცვიფრებულებმა.

— ქა, ესენი რა არხეინად ლაპარაკობენ, ჩვენ მაგათ გულისთვის ერთმანეთი ჩავჭამეთ, საჩივლელადაც მივდივართ და ესენი კი... ერთი ამათ უყურე!... სთქვა გაკვირვებულმა და თითქმის გაჯავრებულმაც საბუკას დედამ.

— შენ ეგა თქვი და!.. ჩვენ ერთმანეთს გადაგვკიდეს ამ არ გასაშვებებმა და ეხლა კი ტკბილად ეჭუკჭუკებიან ერთმანეთს. აი თქვე გასაწყვეტნო, თქვენა...

— რო მივიდეთ კიდეც ი მდივანბეგთან. რაღა პირით ვიჩივლოთ?... რა უთხრათ?

---

*) ლაწნული რგვალი კალათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო და რას გვეტყვის ის კაცი!.. უი დამიდგეს თვალები, ხომ შევრცხვებით, ხალხში თავი მოგვეჭრება!..

— მაშა ქა... უი, უი... ისევ გავბრუნდეთ შინ, თორემ შევრცხვებით .. ამათ კი შინ რო მივალთ, ყურები ავაგლიჯოთ, რომ მერე აღარ იჩხუბონ....

იბრუნეს პირი მომჩივრებმა და გამობრუნდნენ სახლისკენ დარცხვენილნი, რომ ბავშვების ჭკვას აჰყვნენ და ერთმანეთი საშინლად გალანძღეს და გაწეწეს იმათის გულისთვის.

დ. ნ—შვილი.

ს ა დ ღ ე ი ს ო.

გლოვის ზარად, გულმეძზარად
მოგვეგლინა განცდის ყამი
და ქვითინებს გულსაგლავად
ქართვლის დედა, ცრემლ-ნანამი,

—

მთა დანისლა, ველი გაჭკნა,
აღარ ჰყვავის ხმება ძდელოდ,
შინ თუ გარედ ვერაგულად,
იწიწკნება საქართველოდ...

—

დავლაჩრდით და დავძაბუნდით,
დავწვრილშანდით, დავქუცმაცდით,
წადმართისკენ მივდიოდით,
პირ-უკუღმა დავბარბაცდით!..

—

ორთა შუა გაბიდულნი
არც კარგად და აღარც ავად
სხვების კუდში მივჩანჩალებთ,
არა რა ვართ თავის თავად!..

—

აღარა გვყავს კარგი დედა
მწვრთვნელ-გაძზრდელი და ნუგეში
რა დედაა, შვილებს რომ ზრდის
გუგულივით სხვის ბუდეში?!

—

სიტყვის თქმა და წამოსროლა
ყველასათვის აღვილია,
მაგრამ ვინ შვას, აღგვიზარდოს
მომავალში ჩვენ ილია?..

—ვინც წარსულ ღვაწლს აზრიანად
შეისისხლ-ხორც-შეიტოძებს,
აწმყოს განსჯის იმ თვალსაზრით
გვერდს აუხვევს რა შეცდომებს;

—

ხალხის ძაჯის ცემისათვის
თვალი მარად მიუპყრია,—
თვით მძლეთა-მძლე მხსნელი
დროშა
მოძავლისა მას უპყრია!..

—

ჩვენ წინ გვიძევს მამათ ღვაწლი,
გზა მათგანვე გაკვალული,
მხოლოდ გვმართებს მხნეობა და
საქმისადმი სიყვარული!..

—

რომ აყვავდეს მთა და ველი,
აბიბინდეს კვლავცა მდელოდ
და მამული საყვარელი
ჭირნახული საქართველოდ!

—

მწუხრი ცისკრად შეგვეცვალოს
სინამდვილედ თვით ოცნება
და ასრულდეს შვილით შვილად
ნაანდერძი მგოსნის მცნება!..

დ. თომაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მოკლე ისტორიის რეცენზიის გამო.

ჟურნალ „**განათლების**“ მეორე ნომერში მოთავსებულია რეცენზია ჩემის წიგნისა „**საქართველოს მოკლე ისტორია**“. ეს რეცენზია ხელმოწერილია დღევანდლამდე უცნობის ფსევდონიმით „**გაკიცხული**“; ბ-ნი გაკიცხული თავის რეცენზიას იწყებს შემდეგის შენიშვნით: „**ეს ისტორიაც შ. დგენილია უკვე ცნობილ სახელმძღვანელოების მსგავსად და წარმოადგენს მემატიანის მოთხრობის კონსპეკტიურს აღნუსხვას. ეს თვისება უფრო ვალს ჩინოდ მოსჩანს საქართველოს ისტორიის დასაწყისის გადმოცემაში ჩვეულებრივი წარმოდგენით ფარნაოზ მეფეზე, როგორც „ქართულის მწიგნობრობის“ შემომღებზე, ვახტანგ გორგასლანის ძლევა-მოსილს ლაშქრობაზე, წმ. ნინოს სასწაულებზე და სხვა. სახელმძღვანელში ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ ისეთს ფაქტებს, რომელიც ჩვენი დროის მეცნიერულად გამოკვლევაზე არიან დამყარებულნი. საეჭვო ცნობები უნდა განიდევნონ. ზღაპრულად არის მოთხრობილი საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან გურამ ბაგრატიანის გამეფებამდე**“.**

ის აზრი, რომ სახელმძვანელოში ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ ისეთს ფაქტებს, რომელნიც ჩვენის დროის მეცნიერულს გამოკვლევაზე არიან დამყარებულნი, შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ფაქტები, რომელთაც ისტორიის შემდგენელი საისტორიო მასალებში ხვდება, ნამდვილად გარჩეულნი და გარკვეულნი არიან მეცნიერულად და მეცნიერებას მათ შესახებ გადაჭრილი დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნა აქვს ღადგენილი. ხოლო როდესაც მეცნიერებას არა აქვს ჯერ კიდევ გარჩეულ-გარკვეული ისტორიის ყველა ფაქტები, მაშინ თვით სახელმძღვანელოს შემდგენელმა უნდა იკისროს მეცნიერის როლი, თითონ უნდა გაარკვიოს ფაქტები და მოიხსენიოს სახელმძღვანელოში იმისთანები, რომელნიც თავისთავად დასაჯერებელნი არიან და არ ეწინააღმდეგებიან მეცნიერთაგან დამყარებულს ფაქტებს. ეს შენიშვნა მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმიტომ, რომ ჩვენი ისტორია მთლად ჯერ-ჯერობით მეცნიერულის კვლევის საგნად არ გამხდარა და აუარებელი ფაქტებია, რომელთა შესახებ მეცნიერებს ჯერ არ უთქვამს არც ჰო, არც არა.

მეორე აზრი რეცენზიტისა, რომ საეჭვო ცნობები უნდა განიდევნოსო წარმოადგენს მეტად სუბიექტივურს წესს. რაც ერთისთვის საეჭვოა, ის მეორეს შეიძლება არ ეჩვენოს საეჭვოდ. ისეთი საეჭვო ცნობა, რომლის მეცნიერულად უარყოფა არ შეუძლიანთ ისტორიის შემდგენელს, უთუოდ მოხსენებულ უნდა იქნას სახელმძღვანელოში, თუ თავის თავად ის ცნობა წარმოადგენს შესანიშნავს ფაქტს.

რეცენზენტის აზრით ჩვენს სახელმძღვანელოში თურმე ზღაპრულად ყოფილა მოთხრობილი ისტორია ბაგრატიონთა გამეფებამდე. ასეთი ხასიათი ძიულია ჩვენს წიგნს იმიტომ, რომ იგი შეგვიდგენია უკვე ცნობილის სახელმძღვანელოების მსგავსად და მხოლოდ კონსპექტიურად აგვინუსხია მემატიანის მოთხრობა. ბ-ნის გაკიცხულის ასეთი შენიშვნა ყოვლად უსაფუძვლოა. ჩვენს წიგნს სრულებით არა აქვს ზღაპრული ხასიათი, ძალიან განსხვავდება ცნობილის სახელმძღვანელოებისაგან და არავითარს მემატიანის მოთხრობის კონსპექტიურს აღნუსხვას არ წარმოადგენს.

ჩვენ არ ვიცით, რომელი სახელმძღვანელოები მიაჩნია რეცენზენტს **ცნობილ სახელმძღვანელოებად**, მაგრამ ეს ჩვენთვის სულ ერთია. ჩავაგდოთ ცნობილ სახელმძღვანელობად ყველა საისტორიო წიგნები, რომელნიც დაწერილან დღევანდლამდენ არა-მეცნიერთაგან, სამეცნიერო ხარისხის უქონელთაგან. მე ჩემის წიგნის დასაცველად ვიხმარ ასეთს

საშუალებას: შევუდარებ მას არა იმ ყბად-აღებულს ცნობილს სახელმძღვანელებს, არამედ ერთ-ერთს ანუ, უკეთ ვთქვათ, ერთად ერთს „ჩვენის დროის მეცნიერულათ გამოკვლევაზე დამყარებულს“ საქართველოს ისტორიას, რომელიც მოგვეპოვება ქართველებს. ეს არის შრომა ფრიად ცნობილის პროფესორის ალ. ხახანაშვილისა, დაწერილი ფრანგულად და გამოცემული პარისში 1900 წ. ამ გრძელის სათაურით: Histoire de Géorgie publiée sous la direction de M. Raphaël Isarloff. Aperçu géographique et Abrégé de l'histoire et de la ittérature Rgéorgiennes par M. A. Khakhanoff, professeur. თქმა არ უნდა, რომ ჩვენი რეცენზენტი არც ისე შორს წავა, რომ გაბედოს და პროფესორის ნაშრომი დაიწუნოს და არ ჩათვალოს იგი „ჩვენის დროის მეცნიერულად გამოკვლევაზე დამყარებულად“. უეჭველია, დამეთანხმება, რომ ამ შრომიდგან განდევნილი იქნება ყოველი საეჭვო ცნობები. თუ ჩვენ მოვახერხეთ და დავამტკიცეთ, რომ ჩვენს ისტორიაში არა გვაქვს შეტანილი არავითარი ისეთი ფაქტი, რომელიც არ ჰქონდეს სარწმუნოდ მიღებული მოხსენებულს ავტორიტეტს, ამით დამტკიცებული იქნება რეცენზენტის უსაბუთობაც. ჩვენი ფარი და ხმალი იქნება მხოლოდ პროფესორის ხახანაშვილის ავტორიტეტი და სხვა არაფერი.

იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს წიგნში ისტორია მოთხრობილია ზღაპრულად, რეცენზენტი ამბობს ვითომ წარმოდგენილნი გვყავდენ ფარნაოზ მეფე მწიგნობრობის შემომღებად, ვახტანგ გორგასალი ძლევა-მოსილს მოლაშქრედ და წმ. ნინო სასწაულების მომქმედად. სამწუხაროდ ამ სამის მაგალითის მეტს არ იხსენიებს რეცენზენტი და არ ვიცით რას იგულისხმებს სიტყვებში „და სხვა“. ვიდრე შევიტყობდეთ ამას, გავარჩიოთ, რაოდენად მართალია ბ-ნი გაკიცხული, როდესაც სამს ხსენებულს მაგალითს ასახელებს.

ჩვენი მატიანე თავის მოთხრობაში ფარნაოზ მეფისა, წმინდა ნინოსა და ვახტანგ გორგასალის შესახებ ბევრს რასმე იმისთანას გადმოგვცემს, რასაც ზღაპრული ხასიათი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიკოსი მოვალეა ამ მოთხრობაში ისტორიული ელემენტი გაარჩიოს ზღაპრულის ელემენტისგან და სახელმძღვანელოში შეიტანოს მხოლოდ ის, რაც ან ამ დროის მეცნიერულს გამოკვლევაზეა დაფუძნებული, ან, თუ მეცნიერებისაგან ჯერ კიდევ გაურჩეველია, არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს და ბუნებრივობას. ამ თვალსაზრისით რომ გავარჩიოთ მატიანის თქმულება ფარნაოზის შესახებ, უნდა აღვიაროთ, რომ მეცნიერულად იგი ჯერ არავის გამოუკვლევია, არც უარუყვია ვისმე სრულად ეს თქმულება და არც დამყარებულად უცვნია ვისმე. შესაძლებელია, რომ ფარნაოზ მეფე სრულებითაც არ არსებულიყვეს და იყვეს ფანტაზიის ნაყოფი. მაგრამ ვიდრე ეს დამყარდებოდეს მეცნიერულად, ჩვენ არ შეგვიძლიან სრულებით უარვყოთ ფარნაოზი და მის შესახებ ის თქმულებანი, რომელნიც არ შეიცავენ არაფერს წინააღმდეგს ბუნებრივობისას და ცნობილის ფაქტებისას. ამნაირად ჩვენ მთელი მოთხრობა ფარნაოზის შესახებ მივიჩნიეთ საეჭვოდ და მხოლოდ ვთქვით, რომ ჩვენი მატიანე ქართველების მაკედონელთაგან გათავისუფლების მოთავედ და პირველს მეფედ სთვლის ფარნაოზს. აგრეთვე დავუმატეთ, რომ იგივე მატიანე მიაწერს ფარნაოზს მწიგნობრობის შემოღებას და მეცადინეობას ქართველთა სარწმუნოების და ზნეობის გაწმენდისათვის.

როგორც ხედავთ ამ შემთხვევაში არც კონსპეკტიურად აგვინუსხავს მატიანის მოთხრობა და არც ცნობილის სახელმძღვანელოებისთვის მიგვიბაძნია. ჩვენ უფრო კრიტიკულად მოვეკიდეთ მატიანეს, ვიდრე თვით პროფესორი ხახანაშვილი, რომელიც თავის ზემოდ მოხსენებულს შრომაში სწერს პირდა-პირ, როგორც უტყუარს ისტორიულს ფაქტს: **„აზისაგან მოკლულის მცხეთის მამასახლისის შვილის ფარნაოზის წინამძღოლობით ხალხი აჯანყდა უცხოელთა წინააღმდეგ. ფარნავაზმა შეჰკრა კავშირი იმიერ-საქართველოს მთავრებთან** (souverains) **დაამარცხა მაკედონელი მმართველი და აღადგინა ძველი წეს-წყობილება** (régime). **ამ გმირმა, რომელმაც მოახერხა შეეერთებინა ქართველთა გაცალკევე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ძალები და დაეხსნა ხალხი უცხოელთა ულლისაგან, შეიძინა დიდი გავლენა ქვეყანაში და ცნობილ იქნა მეფედ, ე. ი. უფროსად (premier) **თავის თანა მოქალაქეთა შორის".**

როგორც ხედავთ, პროფესორს ხახანაშვილს არავითარი ეჭვი არ შეაქვს ფარნაოზის არსებობაში და მის მიერ საქართველოს გათავისუფლებაში. ჩვენ კი არც პროფესორს დავენდეთ, არც მატიანეს და მხოლოდ მოვიხსენიეთ, რომ მატიანე ფარნაოზს სოვლის მაკედონელების განდევნის მოთავედო. ეტყობა, რეცენზენტი ასეთს ჩვენს უნდობლობას ნაკლულევანებად არ გვითვლის, რადგან ჩვენის აზრის პროფესორის აზრისაგან განსხვავებაზე ხმას არ იღებს. სამაგიეროდ დიდად გვიკიჟინებს იმას, ვითომ ფარნაოზ მეფე წარმოგვედგინოს როგორც მწიგნობრობის შემომღები. ეს კიჟინი მეტად უსაფუძვლოა. თუმცა დაუჯერებლად არ მიგვაჩნია მატიანის ის ცნობა, რომ ქართული მწიგნობრობა გაჩენილიყვეს იმ დროს, როდესაც წარმოუდგენია მატიანეს ფარნაოზის მეფობა, ჩვენ მაინც არ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ფარნაოზმა შემოიღო მწიგნობრობაო, რადგან თვით ფარნაოზის პიროვნება საეჭვოდ მიგვაჩნია და ამიტომ მისგან მწიგნობრობის შემოღებაც, ცხადია, საეჭვოდ უნდა მოგვეხსენებინა. ასეც მოვიქეცით და ვთქვით მხოლოდ, რომ მატიანე მწიგნობრობის შემოღებას ფარნაოზ მეფეს მიაწერსო. ამნაირად ჩვენ არამც თუ არ გადმოგვიცია ცნობილის სახელმძღვანელოების მსგავსად მატიანის თქმულება, არამედ გაგვიბედია და არ მიგვიღია აზრი თვით მეცნიერის პროფესორის ხახანაშვილისა, რომელიც გადაჭრით ამტკიცებს, რომ ფარნაოზ მეფემ შემოიღო ქართული მწიგნობრობაო. აი რასა სწერს იგი თავის ვრცელ შრომაში — Очерки по исторіи грузинской словесности, вып. II: **„გადმოც მა, რომელიც მტკიცედ არის შენახული ხალხ ს მ ხსიერებაში და მწერლობაში, მიაწერს იმას** (ფარნავაზს) **მხედრულის ასოების შემოღებას. ჩვენ შეგვიძლიან მხარი დავუჭიროთ ამ რწმენას და წარმოვადგინოთ ისტორიული საბუთები"** (იხ. გვ. 15). ამის შემდეგ პროფესორს მოჰყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი საბუთები და ამტკიცებს, რომ ფარნაოზ მეფემ შემოიღო ზენდურის ასოების მსგავსი მხედრული ასოებიო. ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვეულებრივს წარმოდგენას ფარნაოზ მეფეზე, როგორც ქართულის მწიგნობრობის შემომღებზე, ჰყოლია ისეთი ავტორიტეტიანი დამცველი, როგორიც არის პროფესორი ხახანანაშვილი და ჩვენ რომ სახელმძღვანელოში იმავე პროფესორის ნამოძღვრალი გაგვემეორებინა, ცოდვად არ უნდა ჩაგვთლოდა. მაგრამ ჩვენ არც ეს გვიქნია. არამც თუ მატიანეს არ დავუჯერეთ, თვით პროფესორის აზრიც არ გავიკარეთ ახლო, როგორც ყოვლად უსაბუთო და შემცდარი, რადგან თუ შემოღება იყო, ფარნაოზს **მხედრული** კი არ უნდა შემოელო, არამედ **ხუცური**, რომელიც, როგორც პალეოგრაფია ამტკიცებს, ბუნებრივ და თანდათან შეუმჩნეველად შეიცვალა **მხედრულად**.

მეორე მაგალითი, რომელსაც ასახელებს რეცენზენტი, არის მოთხრობა ვახტანგ გორგასალზე. ჩვენის მატიანის მოთხრობა ამ მეფის საქმეთა შესახებ ზღაპრულის ელემენტებით არის შეზავებული, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამ მოთხრობის საფუძველი ტყუილი და მოგონილი იყოს. ზღაპრული ელემენტები რომ მოაშოროთ მოთხრობას, შეგვრჩება ხელში ისეთი ფა'ტები, რომელნიც სულ არ ეწინააღმდეგებიან სინამდვილეს. ჩვენც სწორედ ასე მოვიქეცით: მატიანის თქმულება გავწმინდეთ ზღაპრულის ელემენტებისაგან და ის გადავეცით მკითხველს, რაც დასაჯერებელი და ბუნებრივია. ჩვენს მეცნიერს ისტორიკოსებს ჯერ არ გაურჩევიათ კრიტიკულად ვახტან გორგასალის ისტორია და არ უარუყვიათ ის ძირეული ფაქტები, რამელნიც ჩვენ ავნიშნეთ. პირიქით, პროფესორი ხახანაშვილი, რომელიც ბ-ნს გაკიცხულს, უეჭველია, ავტორიტეტად მიაჩნია, ისევე მოგვითხრობს ვახტანგის ისტორიას, როგორ ჩვენ და არ ერიდება იმისთანა წვრილმანებსაც კი, რომელნიც უფრო ხალხის ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ისტორიული ფაქტები. მეცნიერება პროფესორის პირით მოწმობს ვახტანგ გორგასალის ძლევამოსილობას და საკვირველია, რეცენზენტი რად გვიკიჟინებს მეცნიერის ხახანაშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიერ დამყარებულის ფაქტების სახელმძღვანელოში შეტანას!

მესამე მაგალითი ჩვენის **ისტორიის** ზღაპრულის და მატიანურის ხასიათისა, ბ-ნის გაიცხულის თქმით, ყოფილა ის, რომ ჩვენ აღნიშნული გვაქვს ასრედ წოდებული **წმ. ნინოს სასწაულები.**

წმინდა ნინოს შესახებ ჩვენი მატიანე ძალიან დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორც მის ვინაობას, ისე მის სასწაულებს. ცნობილი სახელმძღვანელოები მატიანის მიხედვით გადმოგვცემენ ნინოს ბიოგრაფიას და მოღვაწეობას. სახელმძღვანელოები იქით იყოს, თვით მეცნიერი პროფესორი ხახანაშვილი ასე იქცევა. თავის ისტორიაში იგი კონსპექტიურად გადმოგვცემს მემატიანის მოთხრობას წმინდა ნინოს, როგორც ვინაობაზე, ისე სასწაულებზე, ასე რომ არავითარი კრიტიკული ელემენტი არ შეაქვს. ეტყობა, თვით ამ მეცნიერს უტყუარს ჭეშმარიტებად მიაჩნია ის ჩვეულებრივი წარმოდგენა წმ. ნინოს ვინაობაზე და სასწაულებზე, რომელიც გვხვდება ცნობილს სახელმძღვანელოებში. ჩვენც რომ პროფესორის ხახანაშვილის ავტორიტეტს ავყოლოდით და იმისებრ კონსპეკტიურად აგვენუსხა მატიანის მოთხრობა წმ. ნინოზე, მაინცა და მაინც დიდს ცოდვად არ უნდა ჩაგვთვლოდა. მაგრამ ასე არ მოვქცეულვართ. ჯერ ერთი, ჩვენ ავყევით ბ-ნს ივანე ჯავახიშვილს და, ხახანაშვილის ავტორიტეტის წინააღმდეგ, სრულიად უარვყავით წმ. ნინოს ჩვეულებრივი ბიოგრაფია, მეორეც, ჩვენგან მოხსენებულს ასრედ წოდებულს სასწაულებში არაფერი სასწაულებრივი არ მოიპოვება. თუ შეადარებთ ჩვენგან მოთხრობილს სასწაულებს პროფ. ხახანაშვილისგან მატიანისტურად მოთხრობილს სასწაულებს, დაინახავთ, რომ ჩვენგან აღნიშნული სასწაულები წარმოადგენენ სრულებით ბუნებრივს ფაქტებს, რომელნიც მაშინდელს ხალხს ადვილად შეეძლო გადაექცია ზესთა ბუნებრივს მოვლენად. ჩვენს მოთხრობაში ეს ზესთა ბუნებრივი ელემენტები ჩამოშორებული აქვთ ამ ფაქტებს და ისე არიან მოთხრობილნი, როგორც უნდა მომხდარიყვნენ. ბ-ნს გაკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხულს თუ ჰგონია, რომ არავითარი ასეთი ფაქტი არ მოხდებოდა, ჩვენ მას არ დავეთანხმებით. ხალხი არ იწამებდა ნინოს და მის რჯულს, თუ რამე არ დაენახა ისეთი, რომელიც მის გონებასა და გრძნობაზე იმოქმედებდა. ასეთი ფაქტები უნდა ყოფილიყვნენ ბავშვისა და დედოფლის განკურნება და ნადირობის დროს მეფე მირიანის გადარჩენა განსაცდელისაგან. დანარჩენი სასწაულები, რომელთაც ხახანაშვილი უკლებლად მოუთხრობს, ზესთაბუნებრივნი არიან და ამიტომაც ჩვენ არ მოგვიხსენებია.

ამ სამის მაგალითის განხილვითგან მკითხველი მშვენივრად დაინახავს, რაოდენად სამართლიანად გვიკიჟინებს ბ-ნი გაკიცხული, ვითომ ჩვენი წიგნი ყოფილიყვეს შედგენილი **ცნობილის სახელმძღვანელოების** მსგავსად და წარმოადგენდეს მხოლოდ კონსპეკტიურს აღნუსხვას მემატიანის მოთხრობისას. სვინიდისიერად რომ შეედარებინა რეცენზენტს ჩვენი ისტორია არა თუ **ცნობილის სახელმძღვანელოებისთვის**, არამედ თვით პროფესორის ხახანაშვილის ისტორიისთვის, დაინახავდა, რომ ჩვენ გაცილებით უფრო კრიტიკულად გვაქვს გადმოცემული მატიანის მოთხრობა, ვიდრე მათ. იმათთან შედარებით სრულებითაც არ აგვინუსხავს კონსპეკტიურად მატიანის მოთხრობა. ჩვენის წიგნის შედგენის დროს ისტორიულს ფაქტებს ჩვენის შეხედულობით ვარკვევდით, რაც უარსაყოფელი მიგვაჩნდა, უარვყოფდით, რაც დასაჯერებელი და სარწმუნო, შეგვქონდა წიგნში, რაც საეჭვო, საეჭვოდ ვიხსენიებდით. რეცენზენტი რომ არსებითად შეხებოდა ჩვენს შრომას და გაერკვია რა შეცდომა მოგვსვლია, როდესაც რომელიმე ფაქტი ან ნამდვილად ჩაგვითვლია, ან უარგვიყვია და ან საეჭვოდ დაგვიდვია, მით დიდს ღვაწლს დასდებდა თვით მეცნიერებას და უფრო რიგიანს საქმეს იქმოდა. ამის სამაგიეროდ რეცენზენტმა გვიკიჟინა ისეთის შეცდომების ჩადენა, რომლებიც არ ჩაგვიდენია და ამით ძალაუნებურად გვაფიქრებინა, რომ მას ან მხოლოდ ჩვენი გალანძღვა ჰქონია მიზნად, ან არაფერი სცოდნია-რა საქართველოს ისტორიისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოხსენებულის საზოგადო დახასიათების შემდეგ რეცენზენტი აღნიშნავს ჩვენის წიგნის რავდენსამე სხვა ნაკლულევანებას. ეს ნაკლულევანებანი ისეთივე ნაყოფია რეცენზენტის ფანტაზიისა, როგორც ზემოდ გარჩეული დახასიათება.

მაგალითად, რეცენზენტი ამბობს: **„სოციალური და კულტურული მდგომარეობა ზღაპრული ხასიათით დასაბუთებულია თამარ მეფის დრომდე“.** ამ გაუგებარის ფრაზის აზრი ჩვენ ისე გვესმის, ვითომ თამარ მეფემდე რაც ჩვენს წიგნშია ნათქვამი სოციალურს და კულტურულს მდგომარეობაზე იყვეს დამყარებული ზღაპრულს ცნობებზე. ამის თქმისთვის რეცენზენტს არავითარი საბუთი არა აქვს. იმ მოსაზრებით, რომ სოციალურის და კულტურულის ცხოვრების აწერის დროს, მასალის ნაკლებობის გამო, არ შეგვპაროდა რამე შეცდომა, ჩვენ მეტად მოკლედ და ნაკლებ გვაქვს ნათქვამი ჩვენის ისტორიის ამ მხარეზე: ჩვენი დახასიათება ძველის სოციალურის წყობილებისა არის დაფუძნებული ჯერ ერთი მატიანის ისეთს ცნობებზე, რომელთა სინამდვილის უარყოფა არავითარს კრიტიკას არ შეუძლიან, მეორეც კლასიკურის მწერლის სტრაბონის ცნობაზე, რომელიც ყველა ავტორიტეტისგან ფრიად სანდოდ არის მიღებული. აგრეთვე კულტურულის მდგომარეობის აწერილობა ძველს საქართველოში დაფუძნებულია კლასიკურის მწერლების ცნობებზე, ხოლო ქრისტიანობის მიღების შემდეგის დროისა თვით ჩვენის მწერლობის ნაშთებზე. კარგი იქნებოდა, რომ რეცენზენტს აენიშნა, რომელი ცნობა ნახა ჩვენს წიგნში ზღაპრულის ხასიათისა, მაშინ იქნება ღირსეული პასუხი გაგვეცა.

შემდეგ 8-ნი გაკიცხული ბრძანებს: **„ამასთანავე არა ჩანს ისტორიული პერსპექტივა, თანდათანობითი განვითარება ეკონომიური და იურიდიული წეს-წყობილებისა. მკითხველი ისეთს შთაბეჭდალებას** (ბოდიშს ვიხდი, **რომ** დ. **კარიჭაშვილის შემოტანილს სიტყვას „ჩაბეჭდილებას“ არ ვხმარობ) გამოიტანს „საქართველოს მოკლე ისტორიიდან“, რომ ჩვენი წარსული ცხოვრება ქრისტეს დაბადებიდგან თამარ მეფემდე თითქმის ერთს ყალიბზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ჩამოსხმული და ევოლიუცია არ განუცდია. „ქართველების შინაური წეს-წყობილება", მამასახლისობაზე დამყარებული, არ შეცვლილა ფარნაოზ მეფის დროს და როდის და რ- მიზეზების გამო შეირყა და დაირღვა „გვაროობრივ-თემობრივი წეს-წყობილება", ახალი სახელმძღვანელოს მკითხველი ვერ გაიგებს და ვერც ახსნის".

ბ-ნის გაკიცხულის ამ შენიშვნაში სამართლიანია მხოლოდ ის, რომ თანდათანობითი განვითარება ეკონომიურის და იურიდიულის წეს-წყობილებისა ჩვენს წიგნში არა ჩანს. მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენ გაფაციცებით ვეძებდით ლიტერატურაში ცნობებს ეკონომიურის და იურიდილის წეს-წყობილების თანდათანობით განვითარების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ ვერსად ვიპოვეთ. პროფესორის ხახანაშვილის ისტორია და სხვა ნაწერები რავდენჯერმე წავიკითხეთ, გვეგონა იქ რასმე ვიპოვიდით, მაგრამ ამაო შეიქნა ჩვენი შრომა. ჩვენის ისტორიის ეს მხარე ჯერ-ჯერობით გამოუკვლეველია. მხოლოდ ამ უკანასკნელს დროს მოჰკიდა ხელი ბ-ნმა ივ. ჯავახიშვილმა ამ მხრით ჩვენის ისტორიის გამოკვლევას და კიდევ ბევრი ხანი გაივლის, ვიდრე ერთი კაცი აგვიწერდეს ეკონომიურის და იურიდიულის წესწყობილების თანდათანობითს განვითარებას. რაიცა შეეხება იმას, ვითომ მკითხველი ისეთს ჩაბეჭდილებას (მე საბოდიშო არა მაქვსრა, რომ არ ვხმარობ „შთაბეჭდილებას") გამოიტანდეს „საქართველოს მოკლე ისტორიითგან", თითქოს ჩვენი წერილი ცხოვრება ქრისტეს დაბადებიდგან თამარ მეფემდე თითქმის ერთს ყალიბზე ყოფილიყვეს ჩამოსხმული და ევოლუცია არ განეცადოს, ეს თვით მკითხველზეა დამოკიდებული. შეგნებული მკითხველი ასეთს ჩაბეჭდილებას არ გამოიტანს, რადგან წიგნში წაიკითხავს, რომ საქართველო ყოფილა ხან თავისუფალი, ხან დამორჩილებული, ხან ძლიერი, ხან სუსტი, ხან წარმართი, ხან ქრისტიანი, ხან შეერთებული, ხან განაწილებული, ხან გაოხრებული, ხან თვითმპყრობელის მეფის ხელში, ხან უუფლებო მეფის ან მთავრის ხელში. რა წარმოსადგენია, რომ მკითხველმა ესეები ყველა გაიგოს და თან იფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს, რომ ჩვენი წარსული ცხოვრება ერთს ყალიბზე ყოფილიყოს ჩამოსხმული. რეცენზენტი ცილსა სწამებს მკითხველს.

ბ-ნის გაკიცხულის სიტყვები — მკითხველი ვერ გაიგებს და ვერ ახსნის, თუ როდის და რა მიზეზების გამო შეირყა და დაირღვა გვაროობრივ — თემობრივი წეს-წყობილობაო, მართალია, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ჩვენს წიგნში არ არის ამის შესახებ ცნობები, არამედ იმიტომ რომ ხსენებული წეს-წყობილება მუდამ ირყევოდა და თავის დღეში არ დარღვეულა: ამ წეს-წყობილებამ მოაწია მეთვრამეტე საუკუნემდე.

ბ-ნი გაკიცხული ერთს უცნაურს ბრალსა გვდებს, როდესაც ამბობს: **„საქართველოს ეკლესიის გათავისუფლების ისტორია არეულად აქვს მოთხრობილი“**. ჩვენ ცალკე თავი არ გვიძღვნია საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებისთვის, მხოლოდ თანდათანობით მოვიხსენიეთ ის უმთავრესი ფაქტები, რომელნიც ჩვენის ეკლესიის უცხო ეკლესიის გავლენისაგან გათავისუფლებას აღნიშნავენ. აქ ჩვენ დავემყარეთ მამა კალ. ცინცაძის მშვენიერს შრომაზე ამ საგნის შესახებ. მამა კალ. ცინცაძე უარყოფს იმ ზღაპრებს, რომელიც წინად იწერებოდენ ჩვენის ეკლესიის გათავისუფლების შესახებ და რომელნიც გამეორებულნი აქვს პროფ. ხახანაშვილს თავის ისტორიაში. მამა ცინცაძის შრომა რავდენიმე წელიწადია დაიბეჭდა და მის წინააღმდეგ ხმა არ ამოუღია არავის. ასე გაშინჯეთ, პროფ. ხა-ანაშვილმაც კი ძალიან მოიწონა, თუმცა მისგან მოწონებული შრომა სრულებით აბათილებს მისგან მოთხრობილს საქართველოს ეკლესიის ისტორიას. რა მოეჩვენა არეულად ბ-ნს გაკიცხულს, ჩვენ ვერ გაგვიგია.

რეცენზენტი არ სჯერდებოდა იმას, რომ აღნიშნავს ფაქტის ვითომ შეცდომით გადმოცემას ჩვენის მხრით, იგი ცდილობს ჩვენი „ფილოსოფიაც“ გააბათილოს. ამ განძრახვით იგი სწერს: **„სოციალური მოვლენათა ახსნა აჩქარებული და მოუფიქრებელი“**. ავტორს გულწრფელად **სწამს, რომ გიორგი მესამემ შინაური მშვიდობიანობა დაამყარა შემდეგი სასწაულ-მოქმედი განკარგულებით, რომელიც**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს შეშურდებათ ჩვენს დროშიაც. ამოვწერთ ამ ადგილს. „მეფემ უბრძანა მოეარნათ ყველა კუთხეები, სადაც ავაზაკობა ხდებოდა, დაეჭირათ ყაჩაღები და შემდეგ ჩამოეხრჩოთ იმ ნივთებითურთ, რომელნიც მათ ამოაჩნდებოდათ ნაძარცვი. მეფის ბრძანება სავსებით შესრულებულ იქნა და ამგვარის ღონისძიებით მალე მოისპო ყაჩაღობა„. ამ სიტყვებს, ბ. კარიჭაშვილის ისტორიის ფილოსოფიის დამახასიათებელს, ვერაფერს, დავუმატებთ და განვმარტავთ.

ცხადია, გაკიცხულისთვის სამჯობინარია არ დაუმატოს არაფერი და არ გამარტოს, თუ რამ გამოიწვია ის ყაჩაღობა, რომელიც ხსენებულის საშუალებით გიორგი მეფემ მოსპო. ესეთი დამატება და განმარტება ხომ დაანახვებდა მკითხველს, რომ კარიჭაშვილის „ფილოსოფიაში“ არაფერი სასაცილო არ არის და რომ პირიქით რეცენზენტის ფილოსოფია მეტად მჩატე და ფუქსავატი ყოფილა. საქმე ის არის, რომ რეცენზენტისგან მოყვანილს ჩვენს სიტყვებს წინ მიუძღვის შემდეგი: „ორბელიანთ განდგომილებაში მონაწილე აზნაურთ და დიდებულთ დასჯას მამულების წართმევით ერთი სამწუხარო შედეგი მოჰყვა. უშრომელად ცხოვრებას მიჩვეულს აზნაურებს, უმამულოდ დატოვების გამო, მეტად გაუძნელდათ ცხოვრება და ამიტომ მიმართეს იარაღით საზრდოს მოპოვ ბას, ე. ი. დაიწყეს მცარცველობა. ქვეყანა მეტად შეწუხდა გაძბედავის ყაჩაღების ცარცვისაგან და დაიწყეს მეფესთან ჩივილი და შემწეობის თხოვნა. ამ ცარცვა-ყაჩაღობის მოსასპობად მეფემ შეადგინა 1180 წ. ჯარის რაზმი და უბრძანა“..... რეცენზენტმა, უეჭველია, ეს სიტყვები განგებ გამოტოვა, რომ მკითხველისთვის დაენახვებინა ვითომ ჩვენ გულწრფელად გვწამდეს, რომ იმისთანა სოციალური მოვლენის წინაამდეგ, როგორიც არის ცარცვა-ყაჩაღობა, უებარი საშუალებაა ჩამოხრჩობა. მკითხველი ახლა ხედავს, რომ ჩვენს ნათქვამში არაფერი ახირებული და უცნაური არ მოიპოვება. მეფისაგან უმამულოდ დატოვებულმა რამდენმამე თავადმა და აზნაურმა მოინდომეს იარაღით ეშოვნათ ის, რაც მეფემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუსპო, ე. ი. გამოუცხადეს ბრძოლა სახელმწიფოს. სახელმწიფომ თავი გამოიდო თავის-თავის დასაცველად: რავდენიმე თავადი და აზნაური სახრჩობელას სხვერპლი შეიქნა. ამით ერთი მეომარი მხარე სრულებით მოისპო. აქ რა შუაშია ან სოციალური მოვლენა, ან რამე ფილოსოფია. ეს არის უბრალო შემთხვევა ორის მეტად უთანასწორო ძალის შეტაკებისა და ერთისაგან მეორის გასრესისა.

გახარებული იმით, რომ ჩვენი „ფილოსოფია“ მასხარად აიგდო, თავის ნათქვამს რეცენზენტი უმატებს: **„მხოლოდ ამას მინდა გვ,რდით ამოვუყენო ერთი ადგილიც „მოკლე ისტორიიდან“ რომ წარმოვიდგინოთ უნიადაგო და უშინაარსო სიტყვების რახა-რუხი. მეხუთე თავს (არაბთა მფლობელობის დროს) ავტორი შეეხება რა „ეროვნული გრძნობის გამოღვიძებას“, დასძენს: „გონებრივ და ზნეობრივ ქართველებს ახლა თავიანთ თავი სხვებზედ ნაკლებად აღარ მიაჩნდათ და ამიტომ უკე-ესის მომავალის იმედით იყვნენ აღსავსენი“. რა კონკრეტიულს ცნობას იძლეკა ს საუცხოვოდ აგებული ტირადა? რომელს ისტორიულს წიგნში შეგხვედრიათ ამგვარი პუბლიცისტიური აღმაფრენა? პასუხს ნუ მოითხოვთ“.**

ოღონდაც რეცენზენტისთვის სჯობია, რომ პასუხი არ მომთხოვონ, ის სამჯობინრად ხედავს წიხლი ეკრას ნიშანში ამოღებულს ადამიანს და არხეინად, უპასუხოთ გაბრუნდეს უკან.

ვთხოვ მკითხველს კარგად ჩაუკვირდეს რეცენზენტისგან სამასხაროდ აღებულს ტირადას და ბრძანოს, რაა იმაში უცნაური, ან რა პუბლიცისტიური აღმაფრენაა იგი. მეცხრე-მეათე საუკუნეში ქართველობა ეროვნულად განვითარდა, თავისი ღირსება შეიგნო და დაადგა დამოუკიდებელის განვითარების გზას. როდესაც ერი გონებრივ და ზნეობრივ დაცემულია, ის თავისთავს სხვა ერებს ვერ დაადარებს, თავის თავი სხვებზე ნაკლებად მიაჩნია, თავის ეროვნებას უარჰყოფს, ცდილობს სხვა ერის ენა შეითვისოს და გადაგვარდეს, ხოლო როდესაც გონებრივ და ზნეობრივ ამაღლდება, მაშინ თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ღირსებასაც იგრძნობს, სხვა ერებზე დაბლა არ აყენებს თავს და დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობს. ასე დაემართა ქართველს ერსაც. რავდენისამე საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურად დაცემული, კულტურულად და ზნეობრივად ბერძნების, სირიელების, სომხების, სპარსების და არაბების გავლენის ქვეშ მყოფი, გონებრივ და ზნეობრივ მომწიფდა მეცხრე-მეათე საუკუნეს, რასაც შედეგათ ის მოჰყვა, რომ მეათე საუკუნის ბოლოს მთელი ქართველობა შეერთდა და დაარსა ძლიერი სახელმწიფო. ჩვენ ეს დიდებული მოვლენა ავნიშნეთ სამასხაროდ აღებულს ტირადაში, რომელშიაც ბ-ნი გაკიცხული მხოლოდ უნიადაგო და უშინაარსო რახირუხს ხედავს.

ვიტყოდი ორიოდე სიტყვას რეცენზენტისგან სტილის დაწუნების და მისგან მოგონილის „ისტორიულის სტილის" შესახებ, მაგრამ ეს მეტად მიგვაჩნია. აქ მკითხველი თითონაც კარგს მოსამართლეობას გასწევს. სტილის უვარგისობის გამოცნობაში ბ-მა გაკიცხულმა ისეთივე უნარი გამოიჩინა, როგორც ისტორიულის შრომის დაფასებაში.

ვისარგებლებთ შემთხვევით და ორიოდ სიტყვას ვიტყვით იმ რეცენზიის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა გაზეთს „ფარშ"ი. პირველად, უნდა გამოვუცხადოთ დიდი მადლობა, როგორც რეცენზენტს, ბ-ნს ცანს, ისე „ფარის" რედაქციას. პირველს იმიტომ, რომ რიგიანად მოექცა ჩვენს პიროვნებას და არ გაგვლანძღა. მართალია, მისი მსჯავრი ძალიან მკაცრია ჩვენის წიგნის შესახებ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იგი გულწრფელია. ბ-ნი ცანი ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და რაც ჭეშმარიტებად მიაჩნია. ამის თანა მოკამათეს დიდს პატივს ვცემთ. რედაქციას ვუცხადებთ მადლობას იმიტომ, რომ საჭიროდ დაინახა შენიშვნაში გამოეთქვა, რომ სავსებით არ ეთანხმება ბ-ნს ცანს. მეორედ, უნდა მოვახსენო ბ-ნს ცანს, რომ მე არ ვეთანხმები მას და უსაფუძვლოდ მიმაჩნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტესი ნაწილი მის შენიშვნებისა. რომ პასუხი ვაგო ყველა მის შენიშვნებზე, ძალიან ბევრი შრომა დამჭირდება. ვარჩევ ეს შრომა თვით საგანს მოვახმარო და არა გაკვრით შენიშვნების გამო პასუხების წერას. ცანის შენიშვნები წარმოადგენენ უბრალო ჩაბეჭდილებას კერძო მკითხველისას და, როგორც ასეთს, სრული უფლება აქვთ არსებობისა. უეჭველია **ცანის** ჩაბეჭდილებას **ჩინის** ჩაბეჭდილება დაუხვდება წინ და ესინი ერთმანერთს გაუსწორდებიან. ჩვენთვის ესეც საკმარისია.

დ. კარიჭაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

1. ფიზიოლოგიური ლექცია

რუსულის ნათარგმნიდამ ქართული ნათარგმნი გიორგი არეშიძის მიერ 1891 წ. ფასი ერთი აბაზი.

ამ წიგნაკის შესახებ სულაც არას ვიტყოდით, რომ საჭირო არ იყვეს გაწმენდა ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურისა ისეთი მავნე წიგნებისაგან, როგორც არის დასახელებული «ფიზიოლოგიური ლექცია». ზოგი გულ უბრყვილო მკითხველი გაიმეტებს აბაზს და შეიძენს ამ წიგნაკს, რათა სამეცნიერო ლექციის წაკითხვით ცოტათი მაინც დაიკმაყოფილოს ცნობის მოყვარე გონება. მაგრამ იმედ-გაცრუებული, სასოება დაკარგული და მოტყუებული დარჩება. მოლემოტის ფიზიოლოგიური ლექცია არეშიძის თარგმანით სულით-ავადმყოფის ბოდვად არის გადაქცეული. საბრალო მკითხველი, რომელიც ბოლომდის ჩაიკითხავს ამ წიგნს. ვნება ამ გვარი თარგმანებისა ცხადია: რყვნიან ენას, აფთხობენ მკითხველს, კითხვის ხალის უკარგავენ და და ცოდნის სურვილს უსუსტებენ. ამ გვარი სამეცნიერო წიგნები უთუოთ განდევნილი უნდა იქმნენ ლიტერატურიდამ.

გადამალეთ რომელიც გინდოდეთ გვერდი, თუ დაახლოვებით მაინც მიხვდებით, რა უნდოდა ეთქვა მოლემოტს — იმდენად მახინჯია თარგმანი.

აგერ პირველი გვერდი: «გერმანიამ მომცა მე განათლებული სწავლა და მერმე სულსწრაფობის საზღვრის დადებით მომცა ცოტის ხნის ოდენ გამჭრიახობისთვის მხარე, რომელსაც ხათირიანი ჰოფრატნი ანუ მდივანბეგნი მზა იყვნენ შეგემჭიდრეებინე ყოველ მარჯვე დროს. შვეიცარიაში მე მოვხვდი მხოლოდ ამისათვის, რომ ესე მინდოდა, ძვინად პროფესორთა ყოვილისა, ერთი იმათგანი პირველი სახელმწიფო დარბაისელთაგანი, კაცი უმეტეს თავისუფალი დაბრკოლება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგან». აგერ მეექვსე გვერდი: «აღწერისათვის ბუნებითი ნიჭთა პოლიბრეტიის მცხოვრებლებთა, მე უნდა ვსთქვა რამთოდენიმე სიტყვა იყლიმისთვისაც». მე 14 გვ.: «უდიდესი დიამეტრი ანუ წრის ღერძი წითლებისა შეესწორების დაახლოვებით ნახევარ დიამეტრს სწორედ ჩმინდა ბეწვს გადაბრუნებულ მხარეზე დედაკაცის ხელისა» ანუ: წითლებისა და თეთრების წვრილ სხეულებთა შუა აღმოჩნდება იმათ ფოერმამი უფრო კიდევაც ცხადათ, ვინემც მათ ტოლისად, რომელიც ქვემდებარეა სხვა და სხვა ოერჭოფებათ.

მე-23 გვერდზედ: «ეს კრისტალლები არიან აგალმები, რომელნიც აუგეს სისხლის სხეულ ლეშებს, და მასალებათ ამ სახსოვრების აშენებისათვის იყვნენ თვითვე მიცვალებულების გვამი სისხლის ალყებთა». თარგმნის დასასასიათებლად საკმარისია მოყვანილი ადგილებიც.

რაც შეეხება ცალკე სიტყვებს, აი რას შეხვდებით ამ წიგნში: გარეშეცულება, მოქენეობა, ინოხი, სისხლქაფის წრეები, ბაყაყის ალეყები, ბერიქლები, ბურცები, ტმოგვები, ტიზი, ძარღვებ ჩინჩილა, ფესვფენუცა, ქანთილას წრე, მობუშტავებული ბუნება, ოერთქლის მაშინის ურემი (პარავოზი), საარტერიო სარეცელი (საწოლი), განმფართოებელი და შესაკრუნჩხი ლავიწები ტმოგვებთა ვნებათასა და სხვა და სხვა.

კოტე ელიოზიშვილი.

დარვინიზმი

თხზულება ფერიერისა. წიგნი პირველი და მეორე ი. ფანცხავას თარგმანი გამოც. ივ. როსტომაშვილისა. ფასი ოერთავე წინისა 35 კაპეიკი.

ხშირად გვსმენია, რომ ქართული ენა განუვითარებელია. შეუმუშავებელი, სამეცნიერო ტერმინები არ მოიპოვება და სამეცნიერო წერილების წერა და წიგნების თარგმნა შეუძლებელიაო. ამით იმაროლებს თავს ზოგიერთი ჩვენი სწავლული და საკუთარ სიზარმაცე — უმოქმედობას, ქართული ენის სრულ უფოდინაროებას ბოდიშს ხდის. წიგნაკი, რომლის სათაურიც ზევით მოვიყვანეთ, ამ აზრის უსაფუძლოების საქმით დამტკიცებაა. დარვინიზმი ფერიერისა — სამეცნიერო წიგნია, ტერმინებით სავსე, და მისი ქართულად გადმოდება თუმც ფრიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი საქმეა, მტკიცე სურვილმა და დაკვირვებულმა შრომამ შესაძლებელი გახადეს მისი ქართულად გამოცემა. ფანცხავა არჩევანში არ მოტყუებულა. დარვინის თეორიის ცოდნა ეხლა ყოველ განათლებულ და შეგნებულ კაცს მოეთხოვება, ხოლო ეს თეორია ფერიერზედ უკეთესად და გასაგებად არავის აუხსნია. თვითონ დარვინმა რომ წაიკითხა ფერიერის წიგნი, სთქვა: «ცხადი, განსაცვიფრებელი სიმარტივით და სინამდვილით არის ახსნილი ჩემი თეორიაო».

ჩვენი მიზანია ამ ყამად ქართული თარგმანის დაფასება. სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძნელად მოიპოვება იმისთანა ნათარგმნი სამეცნიერო წიგნი, რომელიც თარგმანის მოზერხებულობით ფანცხავას თარგმანს უდრიდეს. ამ თარგმანში კაცს აკვირვებს ის ოსტატობა, ის ცოდნა ქართულის ენისა, რომლის შემწეობითაც ფანცხავას გადმოუქართულებია ზოგიერთი ფრიად ძნელი წინადადება, გვერდი აუქცევია სიძნელისათვის და იმავე დროს ახრი, შინაარსი სამაგალითოთ დაუცავს. აქ ვხედავთ შეგნებულს თარგმანს და არა გადმოთრევას, რაც სჩვევია ბევრს ჩვენ მთარგმნელს. მახინჯი, უაზრო თარგმანის მაგალითი ზევით იყო მოყვანილი. ქართულ ენაზე სამეცნიერო წიგნების თარგმნა ახალი ცდაა, და როგორც ასეთს შეცდომები ყოველთვის თანა სდევს. ამიტომაც არ ვამტყუნებთ ბატონ ფანცხავას, თუ ზოგიერთი ტერმინი, ზოგიერთი სამეცნიერო ცნება სისწორით ვერ გამოსთქვა ქართულის ენით; თუ ზოგი ერთი ადგილი სინამდვილით ვერ არის გადმოცემული, ან თუ ზოგან ქართული ენა კოჭლობს.

.ბ. ფანცხავა გასამტყუნარი არ არის იმიტომ, რომ ჩვენ ენაზედ სამეცნიერო ტერმინოლოგია ჯერ-ჯერობით შეუმუშავებელია და ზოგიერთა განყენებულ ცნებათა გამოხატვა ქართულად ძნელია. ხოლო ძნელი და არა შეუძლებელი. სამეცნიერო წიგნის მთარგმნელი, ან სამეცნიერო წერილის დამწერი, ქართული ტერმინოლოგიის ერთსა და იგივე დროს მთარგმნელიც და შემქნელიც უნდა იყვეს. ასეთ მუშაობისთვის საჭიროა ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა, ქართული მწერლობითი სიტყვიერების, როგორც ძველისა ისე ახლის, შესწავლა. ბევრი შრომა, ბევრი ფიქრი, სიფრთხილე და დაკვირვება უნდა ზოგჯერ ერთი ტერმინის ქართულად გადმოღებას, და წარმოიდგინეთ ის შრომა, დრო და ფიქრი, რამდენიც უნდა მოანდომოს კაცმა მთელი სამეცნიერო წიგნის გადმოთარგმნას ან შედგენას. შრომა კი ამ მხრივ ჩვენთვის, ქართველებისთვის,

აუცილებელია; ვიტყვი მეტს, დავიგვიანეთ კიდეც. მით უმეტესად, საჭირო ენერგიული მუშაობა; ხოლო თვითეული ადამიანის განმარტოებულ შრომას, ჩრეებათ და ჯგუფებად შემდგარ სპეციალისტთა შრომა ემჯობინება. ამ შრომას გვავალებს მოწარდი თაობა, ქართული კულტურის სვე-ბედი.

ბ-ნი ფანტხავას ლვაწლი ტერმინოლოგიის შემუშავებაში თვალსაჩინოა.

მივუბრუნდეთ თვით თარგმანს, და ჯერ შევეხოთ იმ ადგილებს, სადა აზრი დამახინჯებულია, პირველი წიგნის მე-16 გვერდზედ, იმ პარაგრაფში, სადა საზრდოზეა ლაპარაკი, სიმშილის მაგიერ სიცივეა თარგმნილი, რაც აზრს გაუგებრათ ხდის. მე-24 გვერდზედ სწერია: «ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ადამიანის ნამოქმედარი. ბუნების ნამოქმედარისთანა სრული არ არის: ბუნება თვის ნამოქმედარისთანა სრული არ არის: ბუნება თვის ნამოქმედარს მთელი გეოლოგიური პერიოდების განმავლობაში აუმჯობესებდა». აზრი სრულებით გაუგებარია, თუ სიტყვები:

«ბუნება თვის ნამოქმედარისთანა სრული არ არის» არ ამოვშალეთ.

ნამდვილათ აზრი ასეთია. გასაკვირველი არ არის, თუ ადამიანის ნაწარმოები ისეთივე სრული და უნაკლულო არ არის, როგორც ბუნების ნაწარმოები; ჯერ ერთი—ადამიანის სურვილი ცვალებადია, მეორე—მისი სიცოცხლე სან მოკლეა; ბუნება კი თავის ნაწარმოებს მთელი გეოლოგიური პერიოდების განმავლობაში აუმჯობესებს.

მე-27 გვერდზედ ნათარგმნია: «გინდ შეიცვალე, გინდ მოკვდიო» ითქო ბუნება არსებას არჩევის ნებას აძლევდეს. უნდა იყვეს: შეიცვალე ან მოკვდიო. ასეთია ბუნების მკაცრი კანონი.

მე-39 გვ. სწერია: «აგებულობა დამოკიდებულია ჩვეულობასა და ცხოვრების წეს-რიგზე». ნამდვილად კი ასე უნდა იყვეს: **გეგმის მხოლოება სრულიად არ არის** დამოკიდებული ჩვეულებისა და ცხოვრების წეს რიგისაგან.

მე-56 გვ. ნათარგმნია: გვარნი იცვლებიან და თვითეულს მათგანს ცალკე წინაპარი ყავს». ნამდვილათ კი: გვარნი **არ** იცვლებიან.

მე-71 გვ. სწერია: «უცებ და ერთბამათ რომ ჩამოდგნენ (გაცოცხლდნენ) ის გვარები, რომელთაც კი ოდესმე დედა-მიწის ზურგზედ უცხოვრიათ, მამინ ჩვენი თვალის წინ ჩამწკრივდებიან ყველა თან და თანი და გარდამავალი ფორმები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეც შეგვეძლება სრული სინამდვილით თვითეული გუნდი განვსაზღვროთ, განვმარტოთ ».

ნამდვილი კი სულ სხვას გვეუბნება: ყველა ის გვარები, რომელთაც კი ოდესმე დედამიწის ზურგზედ უცხოვრიათ, რომ ერთბაშათ გაცოცხლდნენ, ჩვენ თვალს წარმოუდგება ისეთი თან და თანობა ფიზრმებისა, **რომ ერთი გუნდის შეორისაგან სრული სინამდვილით გამორჩევა შეუძლებელი იქნება**.

შეორე გვარი ნაკლულოვანება თარგმანისა—მნიშვნელოვანი ადგილების გამოტოვებაა. იმავე პირველი წიგნის მე-16 გვერდზედ თარგმნილი არ არის რამდენიმე სტრიქონი, რომლებიც შეიცავენ იმის მაგალითებს, რომ საზრდოს მოსაპოებლად ბრძოლაში იმარჯვებენ ფიზიკურად უფრო მძლავრნი, ან უფრო მოხერხებულნი.

მე-51 გვ. სწერია: « ადვილათვე **ხსნის იმ** გარემოებას, რომ ორგანო ხანდახან თავის დანიშნულებას, ფუნქციას გამოიცვლის ხოლმე ». რა ხსნის? გამოტოვებულია: ჩვეულება.

მე-57 გვ. სწერია: ბუნებრივივე მიზეზებით ხსნის ». რასა ხსნის! გამოტოვებულია: ბუნებრივ მოვლენათა.

მე-76 გვ. ამტვრევენ, ამსხვრევენ-ს შემდეგ უნდა იყვეს: ცხოველთა რბილი და ლორწოიანი ნაწილები ისრწნებიან და კვალ წმინდათ ჰქრებიან.

ბევრგან ქაროული ესა კოჭლობს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. პირვ. წიგნის მეოცე გვერდზედ სწერია: « ერთი მუჭა ბუმბული რომ **ჰაერზე ზევით** ავისროლოთ, მაშინვე თვითეული მათგანი **დედამიწას დაეცემა** » ქართულად ასე ითქმის « ჰაერში ავისროლოთ », და « დედამიწას დაეცემას » მაგიერ: დედამიწაზედ დაეცემა.

მე-27 გვ. იმის მაგიერ, რომ სწორედ, მოკლედ და ქართულის კონსტრიკციით ეთქვა: მისი ზე-გავლენა უძლეველია იმიტომ, რომ განუწყვეტლივ მოქმედობს, ბ. ფანცხავას უთარგმნია: « მისი ზედ-გავლენა აუცილებელი და უძლეველია. მას ასეთი მოქმედება განუწყვეტლივ აქვს ».

მე-31 გვ. სთარგმნის: « ინგლისელები ასეთ ცდას არა მარტო მტრედებზედ, ცხენებზედაც კი ანდენენ: მათ ჩქარა სიარულისა და მშვენიერი ტანის ცხენები ჰყავთ, ჰყავთ აგრეთვე ტლანქ და ხორციანი, მაგრამ მძიმეთ მავალიც, თუმცა ძალ-დონის მექონეა და დიდი ტვირთის ზიდვა შეუძლია ». სრულიად ქართულს არა ჰგავს. ჩვენ ამ აზრს ასე გამოვთქვამდით: ინგლისელები ამ კანონის სინამდვილეს მარტო მტრედებზედ კი არა, ცხენებზედაც ჰსცდიან; ამათ კოხტა და ფეხ-მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხენების გარდა, ძძიმე, ხორციანი, მაგრამ ლენიერი, ცხენებიცა ჰყავთ.

მე-54 გვ. სწერია: « ხის უზარმაზარი ტოტები, რომელთაც უფრო პატარა, მაგრამ აგრეთვე დიდრონი შტოები ბევრი პატარებით ასხიათ, ოდესღაც, როცა თვითონ ხეც მცირე იყო, პატარა ლერწს წარმოადგენდნენ ».

ვერც ქართულია კარგი და ვერც აზრია კარგად გამოთქმული.

ჩვენ ასე ვიტყოდით: დიდრონი, მრავალ წვრილ შტოებად დაყოფილი ტოტებიც, ოდესღაც, თვით ხის ნოჩრჩობისას, ქორფა ყლორტები იყვნენ.

სასაცილოთა ხმარობს ბ. ფანცხავა მქონეს მაგიერ « მექონეს ».

კორეკტურულ შეცდომებს არ გამოუდგებით, თუმცა მათი რიცხვი დიდია, და ხშირად აზრს გაუგებრათა ხდიან; შევეხებით ჩვენთვის უფრო საყურადღებო საგანს—ტერმინების ავ-კარგიანობას.

ბ. ფანცხავა **ატროფიას** მოკვეთად სთარგმნის; ატროფია ნიშნავს **გალევას,** რომელსაც შეიძლება გაქრობა მოჰყვეს. მოკვეთა არ გამოგვიხატავს ორგანოს დაპატარავების და გაქრობის თან და თანობას, არამედ ერთდროულ მოსპობას; ატროფია გალევა და არა მოკვეთა.

მე-28 გვ. იმავე ატროფიას სხვანაირადაც სთარგმნის, და გალეული ორგანოს მაგიერ, ამბობს: « დამჭკნარი ნაშთი ». სიტყვა დამჭკნარი არ ვარგა ატროფიის სათარგმნელად, რადგან დაჭკნობას უთუოდ გალევა არ მოსდევს.

ინდივიდი—ფანცხავას პირადობათ უთარგმნია. პირადობა ქართველებს გვესმის, როგორც ადამიანის ხასიათის თვისება, მარტო თავის თავზედ ზრუნვა, ეგოიზმი. ინდივიდი ნიშნავს თვითეულ, განუყოფელ არსებას. საჭირო არ არის, რომ ყველა სამეცნიერო ტერმინი უთუოდ ქართულათ ვსთარგმნოთ; მრავალი მათგანი საერთაშორისო ტერმინად გამხდარა, და ჩვენც უთარგმნელად უნდა შემოვიტანოთ ქართულ მწერლობაში. ამ გვარ ტერმინებს ეკუთვნის ინდივიდი.

მე-24 გვ. თარგმნილია: « მცენარეთა სამეფოში ჰავას უფრო დიდი ზეგავლენა იმ ორგანოზე აქვს, რომლითაც მცენარე იზრდება, ვიდრე წარმოშობელ ორგანოზე ».

რუსულ ტექსტში სწერია „растительная система“, ხოლო ფანცხავას უთარგმნია: » ის ორგანო, რომლითაც მცენარე იზრდება ». მცენარეს ერთი რომელიმე განსაკუთრებული საზრდე-

ლი ორგანო არა აქვს, არამედ სიცოცხლის ამ პროცესისთვის მთელი სისტემაა მოწყობილი და ამიტომ უფრო სწორე იქნება, რომ „растительная система“ ვსთარგმნოთ «საზრდელი სისტემა». აგრეთვე გადმოვსთარგმნით «წარმოსაშობი სისტემა— воспроизводительная система-ს—და მთელი წინადადება ასე იქნებოდა: მცენარეთა სამეფოში საზრდოდ სისტემას უფრო ემჩნევა ჰაერის ზეგავლენა, ვიდრე წარმოსაშობ სისტემას.

მე-25 გვ. ნათარგმნია სიტყვა Umbrosa (тѣнистая)—«ნაჩრდილარი». უნდა იყვეს—ჩრდილიანი, მაჩრდილოებელი.

Устьица (у листьевъ)-ს სთარგმნის «ამოსაფშვინავი ბაგენი». რა საჭირო ასეთი საშიში სიტყვა, როცა შეგვიძლიან ვსთქვათ—**სასუნთქი ნაჩვრეტები,** რადგან ამ ნაჩვრეტების დანიშნულება სუნთქვაა და არა ფშვინვა.

ცნება რასსას ბ. ფანცხავა ბევრნაირათა სთარგმნის, მაგრამ არც ერთი მისი თარგმანი არ ვარგა. პირველ წიგნში (27 გვ.) «თემად» სთარგმნის, მეორეში კი—(მე-3 გვ.) «ჯიმად» და «ტომად». თემი, თემობა უდრის რუსულ სიტყვებს миръ, мірская сходка, община; ამ გვარივე მნიშვნელობით ხმარობს ჩვენი ხალხი და მწერლობა სიტყვა თემს.

«ტომი» უდრის რუსულ племя'ს ხოლო ჯიმი—порода'ს და იტყვიან მაშინ, როცა პირუტყვებზედ აქვსთ ლაბარაკი. მაგ. კარგი ჯიმის ცხენი და სხვ. ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე ცნება რასსა'ს გამოსახატავად ხმარობს სიტყვა «**მოდგმა'ს**» «რაც უფრო შესაფერია და ჩვენც ეს სიტყვა უნდა განვამტკიცოთ მწერლობაში; დანამაული არ იქნება, რომ თვით სიტყვა რასსაც შემოვიტანოთ ქართულ ენაში.

„Происхожденіе და воспроизведеніе“ ამ ორ სხვა და სხვა ცნებას ფანცხავა სთარგმნის ორი სიტყვით: წარმოება და წარმოშობა, მაგრამ არევ დარევით ხმარობს, და მკითხველი ვერ მიხვდება იგულისხმოს происхожденіе, თუ воспроизведеніе. ესეც არ იყვეს, происхожденіе'ს გამოსახატავათ არც ერთი სიტყვა არ ვარგა, არც «წარმოება»—რაც производство'სა ნიშნავს, არც «წარმოშობა», რაც—воспроизведеніе'ს ხატავს; ხოლო воспроизведеніе'ს სრულიად არ უდგება სიტყვა «წარმოება». სიმტკიცე და გარკვეულობა—აი რა მოეთხოვება ტერმინს. სწორედ ამ ორივე მოთხოვნილების წინააღმდეგ სცოდავენ ფანცხავას ეს ტერმინები.

Происхожденіе'ს გამოსახატავათ ჩვენ გვაქვს სიტყვები: **ჩამომავლობა, წარმოდგომა.** მაგ. Происхожденіе видовъ—ჩვენ გადმოვსთარგმნიდით—გვართა წარმოდგომა ან გვართა ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობა; რაც შეეხება воспроизведеніе'ს იგი შესაბამება ქართულ «წარმოშობას». მაგ. воспроизводительные органы— ქართულად ვიტყოდით: წარმოსამობი ორგანოები; ან „единство происхожденія"ს გადმოვსთარგმნიდით: ჩამომავლობის მხოლობა. და არა წარმოების მხოლობა. როგორცა სთარგმნიხ ბ. ფანცხავა მეორე წიგნის მე-4 გვერდზედ.

Ископаемое'ს გამოსახატავად ბ. ფანცხავას შეუთხზავს ახალი ტერმინი «სამთხრებლო». გრამმატიკულად რომ გავარჩიოთ ეს ტერმინი, აი რა გამოვა: მთხრებლი (თხრებლი) ნიშნავს თხრილს, ორმოს; «სა» ნაკვეთი, რომელიც არსებით სახელს აქცევს ზედ-შესრულად მიკუთნილებითათ, ან შესაფერობითად. მთლად სიტყვა «სამთხრებლო» აღნიშნავს საგანს, რომელიც ეკუთვნის თხრილს, ან მთხრებლს, დანიშნულია მთხრებლისთვის, შესაფერია მთხრებლისა. ყველა ეს კი სრულიად არ გამოხატავს მიწაში ნაპოვნს, მიწიდამ ამოღებულს ცხოველთა ან მცენარეთა ნაშთს. იგივე ტერმინი Ископаемое ივანე ბატონიშვილს კალმასობაში «აღმონაკვეთად» აქვს თარგმნილი. ჩვენის აზრით ვერც «აღმონაკვეთია» შესაფერი ტერმინი უფრო მარტივი და სწორე იქნება ვიხმაროთ სიტყვა **ამონათხარი**.

მე-45 გვ. Борьба за существованіе—ფანცხავას უთარგმნია „არსებითი ბრძოლა". არსებითი არ ნიშნავს არსებობას. არსებითი უდრის რუსულ სიტყვებს: существенный, насущный, существительное; ხოლო существованіе ნიშნავს ქართულად არსებობას. ამიტომ „борьба за существованіе" უნდა ითარგმნოს—**არსებობისთვის (სიცოცხლისთვის) ბრძოლა**.

მე-51 გვ. Нисшія животныя თარგმნილია: „მდარე არსება". მდარე ცუდ ღირსებას, ცუდ თვისებას ნიშნავს; გამოთქმა, ტერმინ нисшія животныя—კი ნიშნავს ცუდ თვისებას კი არა დაბალ საფეხურზე მდგომ ან მარტივ აგებულების ცხოველებს. უნდა ითარგმნოს **დაბალი ცხოველი, დაბალი არსება**. Органическій и организованный — ფანცხავას მიერ ნათარგმნია ერთი სიტყვით — „ორგანიული", რაც მარტო პირველ სიტყვას შეეფერება. организованный-კი ნიშნავს ორგანოების მქონეს და უნდა ითარგმნოს: ორგანოსანი ან ორგანოვანი.

ტყავის აგებულება ესლა უფრო ნამდვილად არის შესწავლილ-გამოკვლეული და მთარგმნელის მოვალეობაა ტყავის აგებულების აღწერილობა თანამედროვე ცოდნის მიხედვით შეესწორებინა; თორემ ესლა აღარავინ ამბობს „უჯრედები თეთრ-კანიან ადამიანებს **მოყვითანო სითხით აქვთ** აღვსილი,

ზანგებს-კი შავით. ამ სითხეს პიგმენტი ეწოდება.“ პიგმენტი სითხე კი არა, მაგარი ნივთიერებაა; იგი უჯრედებშია მოთავსებული. გასწორება უნდოდა კიდევ შემდეგ ადგილებს: „ჭორფლი პიგმენტის გაშავებით წარმოსდგებაო“, ამ ყამად ამბობენ, რომ პიგმენტი მზის შუქის გავლენით კი არ შავდება, არამედ მატულობს. მზის მოკიდება პიგმენტის დირსებისგან კი არა, მის რაოდენობისაგან არის დამოკიდებული, — პიგმენტი მატულობს და სიშავე. ჭორფლი იქიდამ წარმოსდგება. აგრეთვე ხალი შეცვლილი პიგმენტი კი არა, არამედ ერთ ადგილს ბლოდად მოგროვილი პიგმენტია. არც ალბინიზმია შეცვლილი პიგმენტი—არამედ პიგმენტის ნაკლებობაა. აი როგორია ამ ყამად მეცნიერებაში პიგმენტებზე სწავლა. ყველა ამის გასწორება საჭირო იყო შენიშვნაში ქაინდ.

პიგმენტს ეძახიან საღებავ ნივთიერებას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სისხლის სადებავი ნივთიერებისაგან (გემოგლობინისაგან) წარმოსდგება და თვალთ უხილავი მარცვლებისაგან შესდგება. (მათი გაშინჯვა მიკროსკოპით შეიძლება). პიგმენტი ზოგი შავია, ზოგი ყვითელი, სპილენძის ფერი და სხვ. მისი ერთ ადგილს მოგროვება, ან გაფანტვა-შემცირება სხვა და სხვა მიზეზის გამო, გამოიწვევს ფერის გამოცვლას.

რუსულ Кожа'ს უდრის ქართული სიტყვა ტყავი და არა კანი, როგორც სთარგმნის ფანცხავა. ტყავი ორ კეცად განიყოფება: ერთი, რომელიც გარედან არის და თხელი და გამჭვირვალეა, არის, ეპიდერმისი (ასე ეძახის მცენიერება), მეორე—უფრო სქელი და ეპიდერმისის ქვეშ მოთავსებული—არის თვით ტყავი, საკუთრად ტყავი—დერმა. ეპიდერმისის გამოსახატავად ემჯობინება ვიხმაროთ სიტყვა **„კანი“**, ხოლო Кожа'ს (ეპიდერმისიც და დერმაც ერთად) უფრო შეეფერება სიტყვა **ტყავი**

საზოგადოთ, ფანცხავას თარგმანში ძლიერ კოჭლობენ ანატომიური ტერმინები.

მე-26 გვ. (მეორე წიგნი) гортань თარგმნილია „სასა“'დ.; სასა ნიშნავს რუსულ небо'ს; ხოლო гортань **ყანყრატოს**.

მე-29 გვ. სწერია: „სამივე ძუძუ გულის ფიცარზე ჰქონდა'“ო. На груди—თარგმნილია: „გულის ფიცარზედ“ უნდა იყვეს—მკერდზედ. იმავე გვერდზედ пахъ უთარგმნია ფერდათ; შეცდომაა, რადგან ქართველები пахъ-ს საზარდულს უძახიან, მიუტევებელი შეცდომაა.

მე-39 გვ., წინადადება: „у обоихъ (зародышей) желточная перепонка сфероидальная, а послѣдъ дискоидальный“. ფან-

ცხავას უთარგმნია: ორსავე განსახულებას კვერცხის ბულის-გარსი **ჯერ** სფერის (ბურთია) მსგავსი აქვსთ, **მერმე-კი** დისკისა“. Послѣдъ—გაუგია როგორც послѣ და უთარგმნია: ჯერ... მერმე-კი.

Послѣдъ—ბავშვის აბზანაგი, ბოლოყლი.

იმავე გვერდზედ грудная полость ნათარგმნია—**გულ-გვერდი.** გული—сердце, გვერდი—бокъ, მაშ გულ-გვერდი იქნება сердце—бокъ, რა უგავს ამას грудная полость'ისა? როგორც ზევითაც ვსთქვით грудь ქართულად მკერდია.

Позвоночникъ и позвонки—ნათარგმნია ერთი სიტყვით: „ზურგის ძვალი“. თუ ტერმინი „ზურგის ძვალი“ позвоночик'ს გამოხატავს, позвонк'ებს აღარ გამოადგება. Позвоночик'ის გამოსახატავად გვაქვს სიტყვა—**ხერხემალი;** позвонки—ხერხემლის ძვლები. Крестецъ'ი ნათარგმნია **კუდუსუნ'ად**, ნამდვილად კი крестецъ—გავასა ჰქვიან, ხოლო კუდუსუნი ნიშნავს Кончикъ'ს. „Семь шейныхъ позвонковъ“ თარგმნილია=„კისრის შვიდი ხერხემალი“. ზევით—позвонок—ზურგის ძვალი იყო, ეხლა ხერხემლად გადიქცა.

მე-29 გვ. სწერია: „კუდის ნატამალი კუდუსუნს და წარმოადგენს“. აქ Кончикъ. — კუდუსუნად არის თარგმნილი; მე-37 გვ. კი კუდუსუნად Крестецъ-ი უთარგმნია, ხოლო Кончик'ი „კუდის ნატამლად“ როგორც ეტყობა, ფანცხავას ეს ტერმინები ვერ გამოურკვევია და არევ დარევით ხმარობს.

უნდა ვსთარგმნოთ: Крестецъ—გავა; Кончикъ—კუდუსუნი.

მე-12 გვ. სწერია: „ხორბლების თესლით მკვებელი“ და თარგმანია ერთი ტერმინისა: зерноядныя. ხორბალი მხოლოდ პურის მარცვალსა ჰქვიან; სიმინდის, ქერის, ფეტვის და სხვ. მარცვალს—ხორბალს არ უძახიან. Зерно—ქართულად—მარცვალი, зерноядныя—მარცვლეულის მჭამელი.

მე-14 და 21 გვ. Ягодица'ს სათარგმნელად ნახმარია სიტყვა „დვრილა (ბუმუს თავი)“. აქ რადაცა გაუგებრობაა; უნდა ვიფიქროთ ეს კორეკტურული შეცდომაა, თორემ საიდამ ягодица, საიდამ ბუმუს თავი; ягодица — ქართულად — დუნდული.

მე-21 გვ. „Правая ляшка и ягодица“ თარგმნილია:

„მარჯვენა იღლია და ბუმუს თავი (დვრილი)«. Ляшка'ს ქართველები ბარძაყს ეძახიან და არა იღლიას. ესეთი მსხვილი შეცდომები არ ეპატიება ისეთ დაკვირვებულ მთარგმნელს, როგორიც ბ. ფანცხავაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ მიუხედავათ ყველა ზემოდ ჩამოთვლილ შეცდომებისა, თარგმანი საზოგადოთ მაინც ჩინებულია.

კოტე ელიოზიშვილი.

„ნაკადული“ — № 3 — 6, მცირე წლოვანთათვის და 2 — 3 — მოზრდილთათვის თებერვალი — მარტი 1908 წ.

ზემოდ აღნიშნული ნომრები ჩვეულებრივად საინტერესოდ არის შედგენილი. რაკი ცოტად თუ ბევრად დაწვრილებითი განხილვა ამ ნომრებში მოთავსებულ მასალისა შორს წაგვიყვანს, ამიტომ ზოგიერთ, ჩვენის აზრით, უფრო საყურადღებო მისალას შევეხებით.

მესამე ნომერში, მცირე წლოვანთათვის, მოთავსებულია პატარა მოთხრობა ევდოშვილისა: „კურდღლაობა“. ავტორი მოუთხრობს მკითხველებს, პატარა მოსწავლის პირით, როგორ აუსრულა მეზობელმა ბერომ იმას თხოვნა და წაიყვანა კურდღლებზედ სანადიროდ. მალე წამოაგდო ძაღლმა კურდღელი, რომელმაც მოჰკურცხლა დასამალად, „მაგრამ იგრიალა თოფმა და კურდღელი გრიგალივით რამდენჯერმე გადატრიალდა თოვლში“. ბავშვი დაჰყურებს კურდღელს, რომელსაც „გვერდიდან სისხლი სდიოდა, თვალებს ხან ჰხუჭავდა, ხან ახელდა, *) თავს თოვლზედ ანარცხებდა, იხლაკნებოდა. ემცნეოდა საწყალს, რომ საშინელს ტანჯვაში იყო“. ბავშვი უცქერის ამ სურათს, ჰგრძნობს საბრალო უდანაშაულო მსხვერპლის ტანჯვას და თითონაც იტანჯება. „რად მოვუსპეთ სიცოცხლე ამ უბედურს? რას ვერჩოდით? დეე ამასაც ჩვენსავით ეხარნა თავის დედმამახთან, და ძმასთან და ტოლ-ამხანაგთან... საწყალო, საწყალო, უმწეო კურდღელო! მე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება შენი უკანასკნელი შემოხედვაც“... ამბობს გულდასერილი ბავშვი. პედაგოგიური მნიშვნელობა ესეთი მოთხრობებისა, რომელიც უბრალოდ, მარტივად არის დაწერილი, თავის თავად ცხადია და ნათლად სჩანს ბავშვის გულ-უბრყვი-

*) კურდღელს თვალის დახუჭვა არ შეუძლია, რადგანაც ქუთუთოები პატარა და მოკლე აქვს, ვერ ჰფარავს თვალის კაკლებს, ამიტომ თვალხილულელი სძინავს. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო სიტყვებიდგან. თუ ეს პატარა მოთხრობა იმავე გრძნობებს აღძრავს პატარა მკითხველებში, რომელიც (რაშიაც ჩვენ დარწმუნებული ვართ) მოამბე ბავშვის გულში იბადებიან, სასიკდილოდ გამზადებულ კურდღლის ყურების დროს, მაშინ ავტორის მიზანი და, მაშასადამე, ყურნალის დანიშნულებაც, მიღწეულად უნდა ჩავთვალოთ.

მეოთხე №-ში ყურადღებას იქცევს მშვენიერი მოთხრობა ქ. ცქვიტისა: „მურას ამბავი". სცხოვრობდა ერთი ქვრივ-ოხერი, მოხუცებული დედაკაცი, რომლის ავლადიდებას შეადგენდა ორი ძროხა. ამ ძროხებით ცხოვრობდა. იმათით ედგა სული; რასაკვირველია, ისე უვლიდა მათ, როგორც შვილებს. ამ ქვეყნად მშველელი და მომხმარე არავინა ჰყავდა, გარდა მურასი, რომელიც გონიერ ადამიანივით უვლიდა ძროხებს! მაგრამ ვიღაც თავზედ ხელ აღებულებმა მოინდომეს ქვრივ-ოხრის პირში სულის ამოხდა და ძროხების მოპარვა. რამდენჯერმე ზედი-ზედ დაეცნენ ქვრივის სახლს, მაგრამ ყოველთვის მურიამ მთელი უბნის მცხოვრებლები ფეხზედ დააყენა და ძროხები დაუყრევინა. ქურდებმა განიძრახეს ძაღლის თავიდგან მოშორება და ამ მიზნით საწამლავი აჭამეს. შემდეგ ავტორი გადმოგვცემს, თუ როგორ იტანჯებიან ორი ერთმანეთისთვის თავდადებული არსება: ბებერი დედა და მურია. როცა კითხულობ ამ ადგილებს, გავიწყდება, რომ ავტორი პირუტყვზედ მოგვითხრობს, გავიწყდებათ, რომ „თხზულებაა", ბებერთან ერთად თქვენც იტანჯებით; ნათლად გაქვთ არამც თუ წარმოდგენილი, არამედ თითქოსა ხედავთ ბებერსაც და იმის მურასაც, მათ დედა-შვილურ დამოკიდულებას. „მეც ისე მიყვარდა და ვაფასებდი, რომ, არ დაიჯერებ, ორივე ძროხა რომ ერთ დღეს დამხოცოდა, ისე არ ვინაღვლებდი. როგორც იმ ძაღლს", ათავებს დედა თავის მურას ამბავს, და მკითხველს ერთ წუთსაც არ ეპარება ამაში ეჭვი.

პატარა ბავშვები სიამოვნებით წაიკითხავენ ამავე ნომერში მოთავსებულ თ. რაზიკაშვილის ხულხურ ზღაპარს კუჭის გაუმამდრობის შესახებ. მეხუთე ნომერში მოთავსებულია თ. რაზიკაშვილისავე „ერთი ციყვის თავგადასავალი". ძრიელ გასაგები, მარტივი და ცოცხალი ენით მოუთხრობს ბავშვებს ციყვის ცხოვრებას, მეტადრე მის ოინებს, თავგადასავალს. უკანასკნელ, მეექვსე ნომერში, მკითხველი, უეჭველია, ყურადღებას მიაქცევს ვაჟა-ფშაველას ლექსს: „ქორს", და დ. გმოველის „პატარა ცელქებს". ამ უკანასკნელის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ სურათი იმოდენად ცოცხლად არის დაწერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, რომ ბევრი პატარა მკითხველი თავის თავს დანახავს დემ. გმოველის „პატარა ცელქებში". რაც შეეხება ვაჟას ლექსს, უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ვისაც სიფლად უცხოვრია, ის, უეჭველია, აღიარებს, რომ ვაჟას მიერი ქორის დახასიათება საუცხოვოა; ასევე ხელოვნურად არის დახასიათებული მამლაყინწაც, მომავალი მამალი, იმედი ობლად დარჩენილ ქათმებისა. მხოლოდ ლექსის ბოლო არ შეეფერება დანარჩენ ნაწილს. ქორს ჯავრი სჭირს მამლისა, თვალს ადევნებს შორიდგან და დრეს ელის, ხელთ იგდეს იგი. ერთხელ, როდესაც მამლაყინწა თავმოშწონედ იჯდა ღობეზედ, ქორმა ჩამოუქროლა. ჩიორა შამბში გადუხტა, ქორმა თავი ვეღარ შეიკავა, მოქნეული ვეღარ მოიზოლა და სარზედ დაეგო. ერთი სიტყვით, ხერხმა აჯობა ღონეს. ამის შემდეგ მამლაყინწა საქვეყნოდ გაჰყივის: „გავიმარჯვეო", და მეზობლის ქათმებისაგან მოლიცვა მოსდის. შეიძლება იკითხოს მკითხველმა, აქ რაა შეუფერებელიო. წარმოიდგინეთ, ჩვენც ეგრე გვეგონა, მაგრამ აი რა სთქვა ერთმა პატარა მკითხველმა: „ეგ სადაური გამარჯვებაა, ჩიორამ ხერხი იხმარაო. აბა არ დამალულიყოსო". ჩემის აზრით, ბავშვი მართალია: აქ გამარჯვება არ არის, ის გამარჯვება, რომლის დანახვაც ბავშვს უნდა: დეე, მამალი და ქორი ერთმანეთს **პატიოსნად შეებან,** დეე, ქორი, როგორც საზიზღარი არსება, სისხლის მსმელი მტერი, დამარცხებულ იყვეს პატიოსან ბრძოლაშიო", ამ რიგად აზროვნებინებს ბავშვის გონებას ბავშვისავე პსიხოლოგია, მამლის ესეთი უნებლიე „ხერხით" და გამარჯვება ბავშვისთვის სიმპატიური არ არის. ჩვენ შევეხეთ 3—6 ნომრებში მოთავსებულ ორიგინალურ მასალას. ამავე ნომრებში მოთავსებულია საგმაო ნათარგმნი მასალა; მათში, ჩვენის აზრით, ყველაზედ მეტი ინტერესით წაიკითხავენ ბავშვები „მუშა—სბილოებს" (№ 6). მცირე შენიშვნა: კარგს იზამდნენ ჟურნალის ხელმძღვანელნი, რომ მცირე წლოვანებს აწოდებდნენ ისეთ მასალას, რომელიც ერთ ნომერში თავდებოდეს. ჩვენის აზრით, შთაბეჭდილების მთლიანობისათვის ეს აუცილებელი საჭიროება.

უკვე გამოსულ „ნაკადულის" თებერვლისა და მარტის ნომრებში მოზრდილთათვის ბლომად მოიბოვება საყურადღებო მასალა· არის ისეთი მოთხრობებიც, რომელნიც დაამშვენებდნენ დიდ სალიტერატურო ჟურნალს, ანუ სხვა გამოცემასაც. ესეთია მოთხრობები თედო რაზიკაშვილის, ვაჟა-ფშაველასი და ქ. ცქვიტისა. ამ ჟამად ბ. ვაჟა-ფშაველას „სათაგურზედ" არას ვიტყვით, რაკი ეს საინტერესო მოთხრობა ჯერ დამთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული არ არის. მეორე ნომერი იწყება აკაკის იგავ-არაკით: ,,ყვავი და ბულბული'' აკაკის სახელი თავდებია იმისა, რომ როგორც სხვა იმის იგავ-არაკებს ,,ყვავს და ბულბულსაც'' სიამოვნებით წაიკითხავენ ბავშვები. თ. რაზიკაშვილის პატარა მოთხრობას ,,რძლებს თინას და ფეფეს დილის ძილი უყვარდათ'' ინტერესით წაიკითხავს, როგორც ყრმა, ისე მოწიფული. ჟურნალის ერთ გვერდზედ საუცხოვოდა აქვს დახატული ნიჭიერ მწერალს, თუ რა დიდი უდელი აწევს ოჯახში გლეხის ცოლს; ამასთანავე ნათლად სჩანს, რამოდენად უმადურად ეკიდება მამაკაცი დედაკაცის გამუდმებულ შრომას; მაგრამ სჯობია, ეს ადგილი თუ სულ არა, შემოკლებით მოვიყვანო, თორემ, ჩემის აზრით მისი მარტო შინაარსის გადმოცემა ცოდვა იქნება: ,,რძლები ახალგაზდანი იყვნენ. ჯანით და ღონით სავსენი, იდალებოდნენ კიდეც. ვერც დაიძინებდნენ, ვიდრე ყველა ოჯახში მყოფნი არ დაწვებოდა. მუდამ ჩიკორივით ფეხზედ უნდა ეტრიალნათ. **ასეთი იყო ჩვეულება**...

— ძალო! წყალი დამალეინე! ეძახდა პატარა ბიჭი. ცომშიაც რომ ჰქონოდათ ხელი, მეტი ღონე არ ეყო, უნდა ამდგარიყვნენ...

— ფეფე! — ბატონო! — წყალი შედგი, ჭურჭელია დასარეცხი, უბძანებდა დედამთილი.

— ფეფე! — ბატონო! — ემანდ დოა შესადღვები, ჩვენებიანთ სადღვებელი გამოართვი...

ფეფე! ეძახდა მაზლი — ბძანე!... მოდი კვერზედ დაუდექ...

— დედაა! ღრიალებს პატარა ქალი, რომელიც აკვნისთვის მოუყენებიათ... გიგლა ტირის, მუმუ მოაწოვეე!

— ადამიანო, მოდი, კალოა მოსაქცევი, ნაბირი შემოსაგველი, უძახის ქმარი.... უცქერის მამამთილი, რომ იმისი რძლები აქაც არიან, იქაც, თითის ტარივით ფეხზედ ტრიალებენ, ძაინც ასე იძახის: პატარძლებია, მაგრე უნდა, მაშ როგორ იცხოვრონ!'' მკითხველი ჰგრძნობს, რა შეუბრალებლად ეკიდებიან ოჯახის უფროსები ახალგაზდა რძლებს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამ უფროსთადმი იმავე მკითხველს ზიზღი არ ებადება, პირიქით მოწიწებით ეკიდება მათ. რათ ხდება ეს? იმიტომ რომ, როგორც ნიჭიერი ავტორი სამართლიანად შენიშნავს, ,,მამამთილი მხნე, გამრჯელი, ალალი ლუკმის მჭამელია, **როგორც მომეტებული ნაწილი ქართველი გლეხობისა.** დამე ერთი პირი წაეძინება, მერე წამოდგება; ჯერ ისევ დამეა. პირზედ წყალს შეისხამს, პირჯვარს გადიწერს.... არე მარეს დააოვალიერებს: საბძელს, კალოს, ძნას, ბაკს, ბოსელს, სა-

ღორეს"... შრომის შვილს შრომა უყვარს, ამასვე მოსთხოვს ყველა ოჯახის წევრს, ამიტომაც არის, რომ მკითხველი გულით აპატივებს მამათილს იმ ოინს, რომელიც იმან ჩაიდინა რძლების დილის ძილის გადასაჩვევად:

ყველას უბრძანა რძლები არ გაეღვიძებინათ, ერდო დაუბნელათ. რძლებს თუმცა გამოეღვიძათ, მაგრამ ისევ გულიანად ჩაიძინეს, რაკი ბნელოდა, და, მაშასადამე, მათის ფიქრით, ჯერ არ გათენებულიყო. როდესაც ძილით გამაძღარნი წამოდგნენ, უკვე შუადღე იყო, ყველანი კალოზედ გაზვეტილიყვნენ, ნახირი ისევ ბოსელში იყო დამწყვდეული, ქათმები—საქათმეში და სხვა. როდესაც რძლებმა ნახირი სოფელში ჩაატარეს, ყველამ ყიჟინა დასცა. ამ სირცხვილს რძლები არჩევდნენ, დედა მიწა გაწყვეტილიყო და შიგ ჩაცვივნულიყვნენ. რძლებსა და მამამთილ შუა ამ საქვეყნოდ შერცხვენის შემდეგ დამოკიდულება უნდა გამწვავებულიყო; თუმცა ამის შესახებ ავტორი არას გვეუბნება, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რძლები ისევ პატივის ცემითა და მოწიწებით უყურებენ მამამთილს. რათა? იმიტომ, რომ „არც მამამთილი იყო გაჯავრებული". თ. რაზიკაშვილის მოთხრობას მოჰყვება ლამაზი, როგორც ლექსით ისე შინაარსით: „ტირიფი ასე ტიროდა" იასამანისა. რასა ტიროდა ტირიფი:

„დამისამარეს ფოთლები,
მარად ებრძოდნენ შავ ზამთარს...
უკანასკ-ელი ფიქრები თან გაატანეს ნიავსა...
ჩამოწყდნენ დედას მშობელსა, ვეღარ გაუძლეს ზიანსა.

ამისდა მიუხედავად, ტირიფი სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და მხნედ გაიძახის:

„მაგრამ ცოცხალთა მაინც გვწამს, კვლავ გაზაფხული დადგება,
თქვენი ანდერძი, ფოთლებო, კვლავ ხორც შეისხამს, ადგება.
ყინული ისევ გალხვება და თოვლი ისევ დადნება.

სასოწარკვეთილებას აროდეს არ უნდა მივეცეთ! ეს აზრია იასამანის ლექსში. ამ გრძნობის და რწმენის აღზრდა ბავშვში აღმზრდელის უპირველეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს, თუ სურს მისი აღზრდილნი მხნედ შეებრძოლოს ბედის წადმაუკუღმა ტრიალს და არსებობისათვის ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს.

მეორე ნოდერში იწყება ბ. კარიჭაშვილის წერილი „საქართველო მე-17 საუკუნეში". თემა მეტად საინტერესოა, და მკითხველი რომ წერილის სათაურს წაიკითხავს, უეჭველია, გაიფიქრებს, რომ წერილში მთელი საუკუნის დახასია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებასა ნახავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბ. კარიჭაშვილი ყოველივე ამას ძრიელ ნაკლებ ყურადღებას აქცევს და ვრცლად მოუთხრობს მკითხველს, თუ როგორ ... ან დიდებულმა რომელ წელიწადს მოსტაცა მეორე მეფეს, ან დიდებულს ცოლი, როდის და რანაირად და ვის შემწეობით დაიბრუნა ქმარმა ცოლი და სხვ. ბევრი ამნაირი. ჩვენის აზრით დროა, მივატოვოთ ესეთი ისტორიის წერა.

ბიბულიარულად მოთხრობა და გაცნობა ბავშვებისათვის იმისა, თუ როგორ წარმოიშობა დედამიწაზედ ცხოვრება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამ მხრივ, ცოტად თუ ბევრად, აკმაყოფილებს მკითხველს ს. ქურდიანის ბატონიკური წერილები და მრავლად დასურათებული მეცნიერული ცნობები სამყაროს და დედამიწის გაჩენის შესახებ. უკანასკნელი, მესამე ნომერი „ნაკადულისა" იწყება თ. რაზიკაშვილის ლექსით: „სანამ მგელს სძინავს, ბატკანო". ლექსი, როგორც მოსალოდნელია, შინაარსიანია. მხოლოდ პირველი ტაეპის შინაარსი გვაკვირვებს. ავტორი ამბობს:

„სანამ მგელს სძინავს, ბატკანო,
„საძილედ არა გცალიან!
„შენც, მწყემსო, ცხვრისა ფარაზედ
„ფხიზლად გეჭიროს თვალია!"

ჩვენის აზრით, როგორც ბატკანს, ისე მეცხვარეს, მხოლოდ მაშინ შეუძლია დაიძინოს, როცა მგელსა სძინავს. შეიძლება ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ მგელი იმდენად ვერაგია, როცა სძინავს, **მაშინაც კი** არ ჰმართებს ბატკანსა და მწყემსს ძილი, მაგრამ ეს ლექსში არსადა ჩანს. თ. რაზიკაშვილის ლექსს მოჰყვება ე. გაბაშვილის მოთხრობა: „მფარველ-ანგელოზი". ქალაქში მცხოვრებს ყველაფრით კმაყოფილს, მსუქანს, მაძღარს, მაგრამ ნერვებ აშლილს პატარა ნუსას ექიმმა ურჩია ზაფხული სადმე მივარდნილ მიყრუებულ სოფელში გაეტარებინა ნერვების მოსარჩენ—დასასვენებლად. ამიტომ დედას იგი მიჰყავს სოფ. ასკილიანში, ბავშვი მეტად ცნობის მოყვარეა, ყოველისფერს უკვირდება, ყოველისფერს სინჯავს, ნახულობს, ცოტა ხანში მთელი სოფელი შემოიარა, ყველა ოჯახები მოიარა. ბავშვის ნორჩ გონებას აოცებს ის აუტანელი ზღაბრული სიღარიბე, რომელიც ირგვლივ სუფევს. კონტრასტი მათ და სოფლელთა ცხოვრებაში მეტად შესამჩნევია პატარა ნუსასთვისაც კი. ბავშვი ამის შემდეგ ხდება შუამავლად სოფლელთა ღარიბ ოჯახთა და მდიდარ დედის შუა. ბავშვის თხოვნით და ხვეწნით დედა შემწეობას აძლევს ბევრ ღარიბს. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახს კი, სადაც ბებერი ქმარი ბრმაა, ცოლი დიდიხნის ავადმყოფი ლოგინად ჩავარდნილა და წყლის მიმწოდებელიც კი არავინა ჰყავთ, პირდაპირ შიმშილით სიკვდილისაგან იხსნიან დედა-შვილი. ესეთი გულკეთილობისათვის სოფლელნი პატარ ნუსას ,,მფარველ ანგელოზს'' უწოდებენ. თემა, როგორცა ხედავთ, არ ახალია, ძველია, დაწერილიც. ცოტა არ იყოს, შაბლონურადაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ და ამგვარ მოთხრობებს საყმაწვილო ჟურნალში საკმაო მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდგან, როგორც ,,განათლების'' მეორე ნომერში შევნიშნეთ, ბავშვი უნდა იცნობდეს კლეკგიობის ყოფა ცხოვრებას, მის დარდსა და ვარამს, უნდა იცოდეს, რომ ,,ბულკები'' პირდაპირ საკანდიტერიებში არა კეთდება და მასალას სწორედ ის ღარიბ-ღატაკი, მშიერ მწყურვალი გლეხობა იძლევა.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, ჩვენდა უნებურად გაგვიგრძელდა, ამიტომ მეორე და მესამე ნომრებში მოთავსებულ ისეთ ნაწარმოებთ, როგორიც არის, მაგალ., ბ. ი. მაჭავარიანის მიერ საუკეთესო ენით ნათარგმნი ,,ჭაბუკი მეფის სიზმარს'' ვეღარ შევეხებით და ჩვენს შენიშვნას ქ. ცქვიტის საუცხოვო ,,პირველი ენძელათი'' დავამთავრებთ. ,,პირველი ენძელა'' პატარა მოთხრობაა, ისე პატარა, ვით თვით ახლად ამოსული პირველი ენძელა, იმასავით ნაზი, სურნელოვანი, მოიმედე, გულის ჭირის გადამყრელი. ,,პირველ ენძელაში'' ქ. ცქვიტმა სავსებით დაგვანახა თავისი ნიჭი, მაგრამ საკმაო ძრიელი ნიჭი, და, როგორც მისმა პირველმა ენძელამ იმედი დაჰბადა ჩვენში, რომ ქ. ცქვიტი თავის ნიჭს ისეთისავე სიყვარულით, და გრძნობით, მოეკიდება, როგორც ის მოეკიდა გაზაფხულის წინამორბედ ,,პირველ ენძელას''. მაგრამ დავუბრუნდეთ თვით ,,პირველ ენძელას''. სასტიკ ყინვასთან ერთად სიმშილისაგან დასუსტებული, ძვალ-ტყავად ქცეული სოფლელნი გარეთ გამოსულან და მზის სითბოზედ იშუშებიან. პატარა ნატაც ჭალიდგან მოდის ორივე ხელით ჩინჩხვარ დაბღუჯული.

— ოხ ღმერთო! ჩემო, რა კარგია, რა თბილა!... შენ გენაცვალე, მზეო! ეგრე გვინათე, ნუღარ დაგვემალები, შენი სახელის ჭირიმე! დახე რა შეუძლია, რა თბილა! მზის სითბოებით მოხიბლულ ნატას უნდა იქვე, მზის გულზედ დაგორება და დაძინება, მაგრამ უცებ მოაგონდება, რომ შამა წასულა ეგებ ორი მუჭა ფქვილი სადმე ეშოვნა, თანაც ნატას მუცელს სიმშილით ყუყუნი გააქვს. მარტო იმის მოფიქრებაც კი რომ მამამ, შეიძლება, ვერსად იშოვნოს ფქვილი, შიშის ჟრუანტელსა ჰგვრის ნატას; რამდენიმე ხანი ნატა უძრავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას, ჩინჩხვარს გულში ისე მაგრად იკრავს, თითქოს შვილასა და ხსნას დამშეული მისგან ელოდეს.

ამ დროს სიომ დაჰბერა და ნატა გამოარკვია.

— უჰ, შენი ჭირიმე მშობელო, რა სიოა, რა თბილა, ნამდვილ გაზაფხულს არა ჰგავს! ნატას ყურადღებას ნაცნობი კვრინჩხის ბუჩქი მიიქცევს. ამ დროს ნატა უნებლიედ შენიშნავს კვრინჩხის ძირში... ენძელას. ჩინჩხვარს დაჰყრის და ენძელისაკენ გაექანება.

— უი, ჩემო მშვენიერო, კიდეც ამომმვრალხარ; გაზაფხული მოდის, განა? მიუალერსა ხრიოკ ალაგზედ გულ გადაშლილ ობოლ ენძელას და მის წინ მუხლ მოხრილმა **ნაზად ტუჩი შეახო.** ენძელას ძირი გემრიელი აქვს; ნატას ხომ ძალიანა ჰშია. მადლობა ღმერთსა, ბატარა ბავშვი ცოტათი მაინც მოიკლავს შიმშილს, მით უმეტეს, რომ ვინ იცის, იქნებ მამამ ვერც კი იშოვნოს ფქვილი. საბრალო, ნორჩი ენძელა! ჯერ ვერც კი დამტკბარა მზის სინათლით, მისი მაცოცხლებელი თბილი სხივებით და წუთისოფელს ასალმებენ. განა იმისი ბრალია, რომ ნატას ჰშიან. ამის შემდეგ სასწაული ხდება. მაგრამ ყური დავუგდოთ ისევ ნატას, ის ჩვენზედ უკედ ლაპარაკობს:

— უი და, და, და. **რა** ლამაზი ხარ! ბარემ ძირიც გემრიელი გაქვს... **მაგრამ განა ხელს გახლებ!** შენ შემდეგ ხომ, ჩემო იმედო, მალე იაც გამოანათებს, მას მოჰყვება ძაღლ-ნიოკრა-ფამფარა, შემდეგ ღობეებში ჭინჭარი ამოიშლება, რბილ ალაგზედ ბალბა და ნაცარ-ქათამა გადიფურჩქნება. **ნამდვილი გაზაფხული იქნება და მაშინ ჩვენც არა გვიშავს რა**... ღმერთო ძლიერო! მაშ მალე იქნება ის დრო!... მზეო, შენ გენაცვალე, ეგრე ანათე, რომ ყველა ესე დაათბო და აყვავო, რომ ჩვენი მხსნელი გაზაფხული მოვიდეს და მერე კი არა გვიშავსრა! მიჰმართა ჩასასვლელად გადახრილ მზეს, ენძელას კიდევ აკოცა და უთხრა. — მშვიდობით, გენაცვალე! რა კარგია, რომ დაგინახე; ახლა კი ვიცი, რომ გაზაფხული მოდის და თან ლხენასა და შვებას მოეზიდება, მშვიდობით!... მე კიდევ გნახავ, ყოველ დღე ამოვირბენ და დაგათვალიერებ. მშვიდობით! ჩვენ არ ვემშვიდობებით ქ. ცქვიტს. გვრწამს, რომ იგი ცნობილ მონასავით არ ჩაფლავს მიწაში თავის უტყუარ ნიჭს და შესაფერად განავითარებს მას, რისთვისაც საჭიროა: **კითხვა, შრომა** და **განვითარება.**

ვასო ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. Марръ. Основыя таблицы къ грамматикѣ древне-грузинскаго языка съ предварительнымъ сообщеніемъ о родствѣ грузинскаго языка съ семитическими. С.-Петербургъ. 1908. (ნ. მარრი. ძირეული ცხრილები ძველ ქართულის ენის გრამატიკისათვის წინასწარის უწყებითურთ ქართულის ენის სემიტურს ენებთან ნათესავობის შესახებ. ს.-პეტერბურგი. 1908).

დიდი ხანია ვიცით, რომ ბატონი მარი ამზადებს ქართულს გრამატიკას და არკვევს ქართულის ენის ნათესავობას სემიტურს ენებთან. ეს ამბავი ფრიად სასაიმოვნო იყო ყველასთვის, ვისაც აინტერესებს ქართული და ყველა მოუნატრული იყო, რომ მალე გამოქვეყნებულიყო ბატივცემულის მეცნიერის შრომა. დღეს ცოტაოდენად დაკმაყოფილებულია ჩვენი ნატვრა ზემოდ აღნიშნულის წიგნის გამოცემით, რომელიც შეიცავს მხოლოდ საგრამატიკო ცხრილებს და წინასწარს უწყებას ქართულის ენის სემიტიურს ენებთან ნათესავობის შესახებ.

როგორც ცხრილებითგან ჩანს, ბ-ნს მარს სრულებ თავისებურად აქვს გარკვეული ქართული გრამატიკა, უმთავრესად იბყრობს ყურადღებას ზმნების გარკვევა. ქართულს ზმნებში ბ-ნი მარი ჰბოვებს ოთხს მოდგმას და ორნაირს **აგებულობას: სუბიექტივურს** და **ობიექტივურს**. ორისავე აგებულობის ზმნებს აქვთ ორნაირი **ფორმა: აბსოლუტი** და **დამოკიდებული**. ორისავე აგებულობის ზმნები იქნებიან ორის **ჯვარისანი: მოქმედებითი** და **ვნებითნი**. ყოველის აგებულობის და გვარის ზმნა ეკუთვნის რომელსამე **კლასს**, რომელთა რიცხვია ხუთია, და რომელსამე **მიმოხრას**. მიმოხრანი არიან: **პირველი ძირითადი** (ე). **პირველი პარალელი** (ე) **მეორე** (ა) და **მესამე** (ი). ზმნების დრონი იყოფიან სამს **ჯგუფად**. პირველისანი არიან: 1, **აწმყო,** 2 **წარსული შეუსრულებელი პირველი** და 3, **წარსული შეუსრულებული მეორე (ნატვრითი)**. მეორე ჯგუფისანი არიან; 1, **აორისტი** და 2, **თანკიდებითი**. მესამე ჯგუფისანი არიან 1, **წარსული შესრულებული (მდებიური და მწიგნობრული)** 2, **წინად შესრულებული** და, 3, **წარსული თანკიდებით,** დამოკიდებულს ფორმებს აქვთ სამი **მიმართი**: 1, **გამოურკვეველი**, 2, **ნათესაობითი** და 3, **მიცემითი.**

ბ-ნის მარის აზრით, ქართულის ენის ნათესავობა **სემიტურს** ენებთან არის შორეული და არა პირდაპირი. ქართული ენა ეკუთნის **იაფეტურს** ენების **ტოს**. ხოლო იაფეტური ენები და სემიტური ენები **ნოეტურს** ენების **ხეს** (ანუ **ოჯახს**) შეადგენენ. იაფეტურს ენებზე მოლაპარაკე ხალხთ ძველის-ძველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოვრიათ წინა აზიის ჩრდილოეთს მხარეზე, სემიტების ძეზობლად. იაფეტელთაგან დღეს ცოცხალნი არიან მხოლოდ **ქართველები**, დანარჩენი ხალხები კი გამქრალან არიელთა შემოსევის შემდეგ. იაფეტური შტო შეიცავს ცოცხალს ენებს: **ქართულს იმერულს** (შეგრულს და ჭანურს) და **სვანურს**, და მკვდარს ენებს, რომელნიც შენახულან უძველესს წარწერებში (მაგალ **ვანურსა ელამურსა** და სხვებში). ამას გარდა იაფეტურის ენის კვალი მოჩანს ახლანდელს სომხურს ენაში, რომელშიაც მრავლად მოიპოვება, როგორც იაფეტური სიტყვის-ძირები, ისე გრამატიკული ფორმები.

ბ-ნს მარს შეუკრებია ქართულს ენაში ათასამდე სიტყვის-ძირი, რომელნიც ენათესავებიან სემიტურს სიტყვის-ძირებს, და გამოურკვევია ფონეტიკური კანონები ხმათა ცვლილებისა იაფეტურს ენებში სემიტურს ენებთან შედარებით. სიტყვის-ძირთა მსგავსების გარდა ქართულის ენის ნათესავობა სემიტურს ენებთან მტკიცდება გრამატიკულის მსგავსებითაც. ასეთი მსგავსება ბ-ნს მარს დაწვრილებით ექრება დასაბუთებული თავის გრამატიკაში, რომელიც, სამწუხაროდ, არ დაუბეჭდია აქამდის.

უმეჭველია ბ-ნის მარის ახალს შრომას დიდის ინტერესით შეიგებებიან ევროპაში და იქაური მეცნიერები უფრო მეტის ხალისით შეუდგებიან ქართულის ენის შესწავლას, როდესაც დაინახავენ, რომ იგი ყოფილა მონათესავე სემიტურის ენებისა და ერთად-ერთი ცოცხალი წარმომადგენელი გამქრალის ენათა შტოსი.

დ. კარიჭაშვილი.

„ჯეჯილი" 1908 წელი № 1.

ეს ჟურნალი, როგორც მკითხველებს მოეხსენება, ორის განყოფილებისაგან შესდგება. პატარეების განყოფილებაში ორიგინალურ ნაწარმოებთაგან მოთავსებულია ერთი ლექსი თ. რაზიკაშვილისა „მურა და ეფრე", ერთი ამბავი „პატარა ლირსა" ფ—სი და ერთიც პატარა წერილი „დაღუბული ქალაქები" ალ. ფაღავასი. დანარჩენი პატარ-პატარა მოთხრობები და ამბები: „თაგვის გამჭრიახობა", „მოწითალო ბაღლი", „ჩემს სიტყვას ვერ გაგტეხ" და „ამბები ზოოლოგიურ ბაღში მცხოვრებლებისა" ყველა ნათარგმნია, ზოგი რუსულიდან და ზოგიც ფრანგულის ენიდან. თ. რაზიკაშვილს საზოგადოთ საყმაწვილო ლიტერატურაში ერთი თვალსაჩინო ადგილთაგანი უჭირავს. მას, როგორც ლექსების,—ისე მოთხრობების წერაც ძრიელ ეხერხება და თითქმის ყველა მისი ნაწერები ხელოვნებით შემკულია და თან შინაარსიანიც. სამწუხაროთ, ლექსი: „მურა და ეფრე" ვერც შინაარსით და ვერც ხელოვნურის ლექსთა წყობით ვერ ჩაითვლება ისეთ ნაწარმოებად, რომელიც კი პატარა მკითხველის სულსა და გულს ხვდებოდეს.

პატარა ეფრე მურას აჯავრებს, ჯოხს სცემს. დედა უშლის „ეფრეს არიგებს, მურას ჯოხს ნუ სცემო, მაგრამ ეფრე თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სას არ იშლის. გაჯავრებული მურა წამოხტება კბილების კაწკაწით და ეფრეს ,,ქვა ასროლინა კუდითა''.

ეს სულ უბრალო შინაარსი რომ ხელოვნურად მაინც კარგად გაელექსა ავტორს, კიდევ არა უშავდა, მაგრამ რადაც ლექსიც კი თ. რაზიკაშვილისებური არ არის. მაგალითად,

,,მურიამა სთქვა: მოთმენას
თავისი სამძღვარი უძეო (?)
მეყო რაც ჯოხები მჩხვლიტე
ან მეხლაუჭე კუდზეო.''

ეს ,,უძეო'' რას ნიშნავს ან რატომ არის ასე მოუხეშავად ჩართული ლექსში ძნელი გამოსაცნობია.

,,პატარა ლირსა'' ფ—სა ორგინალი ამბავია. ალექსანდრე ჩაუთაძის ოჯახობა საზაფხულოთ თავის ოჯახში სოფლათ ბრუნდება თავისი სამი შვილით. სოფლის ბავშვები თავს იყრიან სალამოობით ჩაუთაძის ეზოში და ამ უკანასკნელის ბავშვებთან ერთოობიან. ბავშვები შეიკრიბენ მარიამობის წინა ღამეს, გამართეს ჩვეულებრივად ბაასი და სჯა, და შემდეგ გადაწყვიტეს: მეორე დღეს ერთად ეკკლესიაში წასულიყვნენ. მართლაც, მეორე დილას, როცა ბავშვები შეიკრიბნენ ეკლესიაში წასასვლელად, ჩაუთაძის პატარა ლირსამ შენიშნა, რომ პატარა სოფლის გოგოს ჩატიას დაფლეთილი ჩუსტები ეცვა. პატარა ლირსას მგრძნობიარე გულზედ ისე იმოქმედა ჩატიას დაფლეთილმა ჩუსტებმა, რომ იგი დაუყოონებლივ გაჰქანდა სახლში, მოსძებნა დედის ახალი ფეხთსაცმელები და ჩატიასშესთავაზა. დედაც თანახმა გაუხდა პატარა ლირსას. ჩატია, ახალს ფეხთსაცმელებში, სხვა ბავშვებთან ერთათ, მხიარულათ გაემართა ეკკლესიისაკენ. აი მთელი შინაარსი ამ პატარა ამბვისა. თუმცა ამბავი ორგინალურია, თუმცა ავტორი მეტათ სცდილობს, რომ ხელოვნურათ მოგვითხრობს ეს ამბავი, მაგრამ ამ ამბავს მაინც ნაკლებათ ატყვია ხელოვნური ნიჭის კვალი. ავტორი, ჩვენის აზრით, ნაკლებათ იცნობს ბავშვებს პსიხოლოგიას და სწორეთ კიდევაც ამიტომ აიხსნება მის მოთხრობილს პატარა ამბავში, რომ თვითონ ავტორი მსჯელობს პატარა ბავშვების პირით. მთელი შინაარსი ბავშვების სჯა ბაასისა მარიამობის წინა ღამეს გეოგრაფიულსა და ასტრონომიულს საკითხების შესახებ პირდაპირი ავტორის გონების ნაყოფია და არა თვით პატარა ბავშვებისა.

სხვა რომ არ იყოსრა, რეზიკოს ლექსიკონში: ,,ეგ თქმულობა სულ ტყუილია გიორგი!'' რადაც გაუგებარია და არა ბავშურია. გიორგი მთვარის შესახებ მსჯელობს და მსჯელობს რადაც განყენებულად, თითქო ფილოსოფიურად და რეზიკო, ყველა ამ ფილოსოფიის მოსმენის შემდეგ, გიორგის უპასუხებს: ,,ეს თქმულობა სულ ტყუილია!'' განა რეზიკოს განვითარებას, მის ლექსიკონს შეეფერება: ,,ეს თქმულობა სულ ტყუილია!'' ეს დასკვნა და ესეთი ლექსიკონი ავტორის გონების ნაყოფია და მისივე ლექსიკონია. მთელი ამბავის პირველი ნახევარი სრულიად ტენდენციური ამბავია, ავტორის გონების ნაყოფი და ბავშვების პსიხოლოგიასთან ძრიელ მცირედ არის დაკავშირებული.

რაიცა შეეხება ამბავის მეორე ნაწილს, საცა პატარა ლორსა ფუსფუსებს ჩატიას დაფლეთილი წადების გამოსაცვლელად, ეს კი ბუნებრივია და მართლაც შეესაბამება ბავშვის სწორსა და ნამდვილს ფსიხოლოგიას.

ამნაირად ავტორი ძრიელ კარგად შეასრულებდა ამ ამბის დასურათებას, რომ პირველი ნაწილი შეემოკლებია და ნაკლები ადგილი დაეთმო თავის საკუთარის მსჯელობისათვის.

რაიცა შეეხება დანარჩენს პატარ პატარა ძოთხრობებს, ყველანი შინაარსიანია, მხოლოთ საყმაწვილო ენით არ არის დაწერილი და თანაც მრავალი კორექტურული შეცდომა არის. ესეთი შეცდომები თითქმის ყველა გვერდზედ მრავლად მოიძებნება.

ყურნალის ძოზრდილების განყოფილებაც მასალის ძსრით ხუსტათ უნდა ჩაითვალოს, რადგან თითქმის არც ერთს წერილს არ აქვს დამთავრებული ხასიათი თუ ძსედველობაში არ მივიღებთ „ძინადირის ნაამბობს“ ან. წერეთლისას და ქ-ნ ეკ. გაბაშვილის პატარა ლეგენდას „ელის-ქალი“. ეს პატარა ლეგენდა მართლაც ხელოვნურად არის დაწერილი და ღრმა შათაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზედ.

ბ-ნ ივ. გომართელის: „საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება“ მხოლოთ ამ ნომერში იწყება და როგორ დაგვიხატავს ავტორი ამ წესწყობილებას, ამას მომავალი ნომრები დაგვანახებს, როცა ავტორი მთლათ დაამთავრებს თავის წერილს. ვიტყვით აქ მხოლოდ, რომ ავტორს ძრიელ კარგი საგანი აუღია და ჩვენ მოზარდთაოებისათვის ამ საგნის გარკვევა მეტათ სასარგებლო და საგულისხმიერო იქნებაელ. წერეთლის „უგულო ბავშვი“ გაგრძელება წარსულ წელში მოთავსებულ თავებისა და ამიტომ «ჯეჯილის» ახალის ხელთ-ძოწერ მკითხველთათვის უმნიშვნელო მასალათ უნდა ჩაითვალოს. ერნესტ ლავისის ისტორია ფრანგულიდან ნათარგმნი ალ. სარაჯიშვილის მიერ მეტათ დიდ სარგებლობას მოუტანდა „ჯეჯილის“ მოზრდილ მკითხველებს, რომ რედაქცია ასე ჩაის კოვზით არ აწვდიდეს მკითხველებს. ამ განყოფილებაში მოთავსებული არის მხოლოთ ორათ ორი გვერდი მასალისა შეერთებული მტატების დაარსების შესახებ.

ყურნალს ბოლოში ჩართული აქვს ბუნების ლექსიკონი ბრემიდან, შედგენილი ილია აღსაზიშვილის მიერ და სჩანს რედაქციას განზრახვა აქვს ნაწილ-ნაწილად მიაწოდოს მკითხველებს ცნობები „ამ ლექსიკონიდამ“. ჩვენ გვგონია, რომ რედაქცია უფრო კარგად მოიქცევოდა, მთელი ეს ლექსიკონი ერთ ნიგნათ გამოეცა და წლის ბოლოს მიეწოდებინა თავის მკითხველებისათვის. ამ შემთხვევაში მასალის მთლიანობა დაცულ იქნებოდა და მკითხველს უფრო სერიოზულად გადაიკითხავდა ბთელს მასალას, ვიდრე ეხლა, როცა მთელი მასალა დასაქსული იქნება მთელი წლის ყურნალის ნომრებში.

საზოგადოთ ყურნალს ნაკლებად ეტყობა წარმატება ტეხნიკურის მხრითაც და სასურველია, რომ რედაქციამ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ამ მხარესაც.

ა—რე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი გურიიდან

განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ წყურვილი სწავლა განათლებისადმი ხალხში ერთი ორათ გაზარდა.

ხალხი თან და თან რწმუნდება, რომ ერთად ერთი სახსარი, ხსნა ეხლანდელი აუტანელ პირობებიდგან—ეს არის შეგნება, განვითარება, სწავლა, ხალხი მიხვდა, რომ „სწავლა არის ძალა, დიდი ძალა.“

ამით აიხსნება ისა, რომ მიუხედავად კრიზისებისა, ათას ნაირ გაჭირებისა, რომელნიც მძიმე უღლათ აწვება კისერზე და უკიდერეს მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს ჩვენს ხალხს, მოსწავლეთა რიცხვი ერთი ორათ იზრდება სკოლებში, მშიერი ხალხი უკანასკნელს ლუკმას იკლებს, რომ თავის შვილებს ანაბანა მაინც ასწავლონ. ეს იმდენათ თვალსაჩინოა ყველასათვის, რომ იმისი მტკიცება სტატისტიკური ცნობით ზედმეტია.

რამდენადაც სასიხარულოა ხალხის ასეთი გამოფხიზლება და მისი მისწრაფება სწავლისადმი, იმდენად სამწუხაროა პირველ დაწყებითი სწავლის დაყენების საქმე ჩვენს სკოლებში.

ყველა დარწმუნებულია, რომ სასწავლებელი უნდა იყოს „ტაძარი სწავლა განათლებისა,“ ის უნდა მიდიოდეს ხელი-ხელ ჩაკიდებული ცხოვრებასთან, უნდა აძლევდეს პასუხს ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებს—ერთი სიტყვით, სკოლა უნდა ასწავლიდეს მოსწავლეს ცხოვრებას, მის კანონებს და მას, რაც საჭიროა ამ ცხოვრებაში, ის უნდა ზრდიდეს ცოდნით აღჭურვილს ნამდვილ მოქალაქეს.

მაგრამ სამწუხაროდ სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს ეხლანდელი სკოლები საერთოთ რუსეთის იმპერიაში და განსაკუთრებით ჩვენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა გრძნობს, რომ სკოლა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას და იმ იმედებს, რომელსაც მასზედ ამყარებს საზოგადოება, ის ვერ აძლევს მოსწავლეთ იმ ცოდნას, იმ იარაღს, რომელითაც უნდა გაიკაფონ მათ მომავალში ცხოვრების ეკლიანი გზა; სკოლაში ტრიალებს არა განმანათლებელ-განმავითარებელი, არამედ დამჩლუნგებელი გონების მომშხამველი ატმოსფერა.

ცხოვრება თავ-ბრუს დამხვევის სისწრაფით მიეჭანება წინ, ყოველი ძველი ადგილს უთმობს ახალს, ამ საერთო კანონზე, ამ ევოლიუციონურ მოძრაობაზედ ყურსაც არ იბერტყს სკოლა, პირიქით ის უკან უკან იხევს.

ვინ უნდა იგრძნოს პირველად ეს სამწუხარო მოვლენა სკოლაში თუ არა მასწავლებელმა, ჩვენ ვგრძნობთ ეხლანდელი სკოლის სიდუხჭირეს, მის უკულმართობა მავნებლობას, ვგრძნობთ რომ სკოლა ჩამორჩა ცხოვრებას, დაჰკარგა მან თავისი ელფერი და სულსა ღაფავს ბიუროკრატიულ ბრჭყალებში; საჭიროდ, აუცილებლივ საჭიროდ მიგვაჩნია ეს ანორმალური მოვლენა პირველ დაწყებით სკოლებში მოისპოს, და საქმე მოეწყოს იმ ნაირად, როგორც ამას მოითხოვს ცხოვრება და სკოლის პირდაპირი დანიშნულება. ეს დიდი, გრანდიოზული შრომაა, რომლისთვის საჭიროა ბევრი მუშაობა, დიდი პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება. პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, თუ მივიღებთ ყურადღებაში ერთის მხრივ უმრავლესობის გონებრივ ავლა დიდებას, მეორეს მხრივ არსებულ პოლიტიკურ პირობებს, მოკლებულნი არიან ყოველს საშვალებას, რომ მეტად საყურადღებო და ფრიად მნიშვნელოვან საქმე რაციონალურად მოაწყონ.

ამ მდგომარეობიდან გამოსავლელად მასწავლებელთა ერთი ჯგუფი მიჰმართავს ჟურნალ **„განათლების“ რედაქციას** და საერთოთ ჩვენის **ქვეყნის პედაგოგიურ ძალებს** შეძლებისა და გვარი დახმარება აღმოუჩინოთ ამ მეტად საყურაღებო და სიმპატიურ საქმეში. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხის გულ შემატკივარნი მხურვალე მონაწილებას მიიღებენ, რათა შეერთებულის ძალით შემუშავებულ იქმნას **საერთო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოსწავლო პროგრამმა სოფლის სასწავლებლისათვის, დამყარებული საღს პედაგოგიურს საფუძველზედ.

იმედი გვაქვს ხმა ჩვენი არ დარჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.“ *)

გურიის მასწავლებელთა ერთი ჯგუფი.

ქუთაისი. 4 აპრილს მოხდა ქუთაისში სახალხო მასწავლებელთა კრება; კრებას თავჯდომარეობდა პირველი საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი სტ. გაგუა, დაესწრნენ ორ კლასიანი სოფლის სკოლის მასწავლებლები, ქვიტირის, საყულიის, ოფშქვითის; ქუთაისის დასაწყისი სკოლების მასწავლებლები გადამწყვეტი ხმით და რამდენიმე მასწავლებელი საქალაქო სკოლებისა სათათბირო ხმით. კრების გახსნის წინ სახალხო სკოლების ინსპექტორმა სუდავოკმა გააცნო კრებას მოკლე ისტორია საბოქაულო კრებების გამართვისა და წინადადება მისცა კრებას მოესმინათ მზრუნველის ცირკულიარული წინადადება 1907 წლის 13 სექტემბიდან № 16,278 სამინისტრო ორ კლასიანი სკოლებისათვის პროგრამების შედგენის შესახებ, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი. ამის შემდეგ სუდაკოვმა უსურვა კრებას წარმატებით მუშაობა და თავი დაანება კრებას. სუდაკოვის კრებიდან წასვლის შემდეგ თავჯდომარემ წინადადება მისცა კრებას როგორ სურს მას შეუდგეს მუშაობას. მცირე კამათის შემდეგ კრებამ შეუძლოთ

---

*) „განათლების“ რედაქციას თავის მოვალეობად მიაჩნია ანგარიში გაუწიოს სწავლების საქმის წესიერად, პედაგოგიურად მოწყობას ჩვენში. ეს ერთი მთავარ მიზანთაგანია ჩვენი ჟურნალისა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერ არ აქვს სასურველი გასავალი თვით მასწავლებელთა შორისაც. თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო და ჟურნალის გამოცემა უსახსრობის გამო არ შეჩერდა, „განათლების“ ფურცლები ყოველთვის მზად იქნება დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს და საზოგადოებას ჩვენში სწავლა აღზრდის და საზოგადოთ ხალხის განათლების სასურველ ნიადაგზე დამყარებისა და წარმართვის საქმეში.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახა დღევანდელის პირობებში და იმ წესით, რასაც მას უსახავდნენ წინ დაეწყოთ მუშაობა, რადგანაც ამ სერიოზულ და საჭირო საგნისათვის, როგოცრ პროგრამების შედგენაა ორ კლასიან სკოლებისათვის, საჭიროა საფუძვლიანად შესწავლა ორ კლასიანი სკოლების საქმისა რუსეთში და უცხოეთში და აგრეთვე შესწავლა და გაცნობა სხვა და სხვა განმანათლებელ დაწესებულებათა პროეტებისა და სამოსწავლო მთავრობისა სკოლების რეორგანიზაციის საქმეში, რის შესრულებაც კრებას ამ ცოტა ხანში არ შეუძლიან, რადგანაც ამისათვის მას არ აქვს არც საჭირო მასალა, არც სახელმძღვანელოები რუსული ენისა, არც წარმოადგენენ ისეთს ძალას, რომელსაც ითხოვს ეს რთული და სერიოზული საგანი; მოსული მასწავლებლებიც მოკლებულნი არიან საშუალებას თავისი ხარჯით იცხოვრონ ქუთაისში და მიიღონ მონაწილეობა კრებებში. ამის გამო კრებამ დაადგინა; აღძრან შუამდგომლობა სამოსწავლო მთავრობის წინაშე გადაიდოს ეს სამუშაო უფრო შესაფერ დროისთვის, როგორიცა მაგ. ზაფხულის კანიკულები; მაშინაც დაინიშნოს არა საბოქაულო, არამედ საგუბერნიო ან სარაიონო, საინპეკციო კრებები მაინც, კრებებს უნდა დაესწრნენ, მასწავლებლებს გარდა, სწავლის საქმის მცოდნე და დახელოვნებული პირებიც; მიაწოდონ კრებას საჭირო მასალები; ნება მისცეს კრებას შეეხოს საზოგადოთ სკოლის ტიპს და დედა-ენის სწავლების საკითხს; კრებაში მონაწილეებს მუშაობის დროს მიეცეს დახმარება ფულით. ამისთანა შინაარსის ოქმი შეადგინა ქუთაისში მოწვეულ მასწავლებელთა კრებამ და შესწყვიტა მუშაობა; კრებაში მონაწილეთა უმრავლესობას სასურველად მიაჩნდათ საზოგადოთ აღიარებული კავშირის დაცვა სასწავლესელთა შორის და ამის გამო სკოლის საქმეების რეორგანიზაცია უნდა მომხდარიყო ან ძირიდან ერთ კლასიან სკოლებიდან და მაღლიდან უმაღლეს სასწავლებლიდან და არა ორ კლასიან სკოლებიდან, როგორც განუძრახავს მთავრობას.

ჯიხაიში. (ქუთაისის მარა) ასეთივე კრება მასწავლებლებისა მოხდა ჯიხაიშშიაც. ვიდრე პროგრამების შედგენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეს შეუდგებოდა კრებამ გამოსთქვა შემდეგი აზრი: შემოღებული უნდა იქმნას ნორმალური პირობები, რომელშიაც უნდა მოხდეს კრება გუბერნიის და ან მაზრის მასწავლებელთა, რომელთაც წინდაწინვე უნდა ეცნობოს გადასაწყვეტი საკითხები და განსახილველი საგნები; ამისთანა კრებები უნდა მოეწყოს ზაფხულში და გაგრძელდეს ორი კვირა, კრებას მოიწვევენ სამასწავლებლო მთავრობის ხარჯით და კრებაზე მონაწილეობას მიიღებენ ყველა სახალხო მასწავლებლები, სახალხო განათლების აასპარეზზე მომქმედნი პირნი და სოფლის საზოგადოების წარმომადგენელნი. კრების დაწყებამდის კრებაში მონაწილე პირთ-უნდა ლექციების კითხვით გააცნონ სწავლა განათლების საქმის მდგომარეობა მოწინავე ქვეყნებში. სკოლის სხვა და სხვა საფეხურთა ორგანიული კავშირის დასაცველად სასურველი იყო მთავრობის სკოლის პროგრამის შემუშავების საქმე დაეწყო ან მაღალ სასწავლებლიდან და ან დასაწყისს ერთ კლასიან სკოლებიდან და არა შუა ადგილიდან—ორ-კლასიან სკოლებიდან, რადგანაც კრება ჩაყენებულია ზემო მოყვანილს არა ნორმალურს პირობებში, მას არ შეუძლიან პასუხი აგოს იმ ნამუშევარში, რაც შედეგაც მოჰყვება ამ კრებას, თუმცა-ღა პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას კრება ღებულობს ამ ჟამადაც. კრებას საჭიროდ მიაჩნია საზოგადოების მხრით მონაწილეობის მიღება სკოლის მმართვა-გამგეობაში; ერთ-კლასიანი სკოლა, კრების აზრით, ოთხ წლიანი უნდა იყოს, ორი მასწავლებლით, ორ ორი განყოფილება თითოს; ორ-კლასიანი სკოლის კურსი კი რვა წლიანი უნდა იყოს, ოთხი მასწავლებლით, თითოზე ორ-ორი განყოფილება და ამასთან სასურველია რომ თითო მასწალებელს მოდიოდეს არა უმეტეს 60 მოწაფისა. ყველა საგნები უნდა ისწავლებოდეს დედა-ენაზე, რუსული ენა კი უნდა ისწავლებოდეს, როგორც სავალდებულო სასწავლო საგანი.

ამის შემდეგ კრება შეუდგა პროგრამის შედგენას თანახმად ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის მოწერილობასა 19 მარტიდან 1908 წ. № 1272. ამასთანავე კრებამ აღნიშნა შემდეგი სასწავლო საგნები: 1 საღმრთო სჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. 2 რუსული ენა, 3 არითმეტიკა. 4 დედა-ენა. 5 გეოგრაფია. 6 ისტორია. 7 გეომეტრია. 8 ბუნების მეტყველება. 9 ჰიგიენა. 10 ხატვა. 11 კანონთ შესწავლა. 12 გალობა-სიმღერა. 13 გიმნასტიკა. 14 სასოფლო მეურნეობა სკოლაში, საცა მოსახერხებელი იქნება და ქალთა სკოლაში ჭრა-კერვა; აღნიშნა აგრეთვე რაოდენობა კვირეულ გაკვეთილების ყველა საგნებში.

მასწავლებელთა კრებები ქუთაისის გუბერნიაში

(წერილი ქუთაისიდან)

მდგომარე წლის 3 აპრილიდან ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა საპოლიციო უბნებში გაიმართა ორ კლასიანი სკოლების მასწავლებელთა კრებები. ამ კრებებს ოლქის მზრუნველის წინადადების თანახმად უნდა შეემუშავებინა მოხსენებული ტიპის სკოლებისთვის პროგრამები და ამასთან ვრცლად უნდა აღენუსხა მასალები ყველა სასკოლო კურსის საგნებიდან ხუთი წლის განმავლობაში; დაესახლებინათ აგრეთვე სახელმძღვანელო წიგნებიც უფრო ცნობილის ავტორებისა...

კრებებში მონაწილეობას სრულიად არ ღებულობდნენ ერთ კლასიანი სკოლის მასწავლებელნი; ასეთი რთული და სერიოზული საქმის შესასრულებლად, როგორიც არის ორ კლასიანი სკოლებისათვის პროგრამების შემუშავება, მოწვეულნი იყვნენ არა რჩეულნი, უფრო გამოცდილნი, — მასწავლებელთა მიერ ნდობით აღჭურვილნი პირნი, არამედ განურჩევლად, ყველა ორ კლასიანი სკოლების მასწავლებელნი იმ უბნისა, სადაც წინადვე დანიშნული იყო კრებები, რომელთა თავმჯდომარე ადრევე ჰყავდა მთავრობას დანიშნული. ამას გარდა ყველა დამსწრენი განსაზღვრულ პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი მზრუნველის ცირკულიარული წინადადებით (კრებებს არ ჰქონდა უფლება შეხებოდა სკოლის ტიპის შეცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას, სამშობლო ენის გაფართოების საკითხს სკოლებში და სხ.) — აქედან დაინტერესებული მკითხველი ნათლად გაითვალის წინებს, თუ რა მიზანი ჰქონდათ დასახული, როცა ასეთს შეზღუდულ კრებებს იწვევდნენ და ვისი სახელით მოიწადინეს გამოექვეყნებინათ და შემდეგ სკოლებისათვის თავზე მოეხვიათ ცხოვრებასთან შეუფარდებელი პროგრამები!... მაგრამ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობით გამოღვიძებული სახალხო სკოლების მასწავლებელნი, მიუხედავათ დღევანდელ სასტიკ პირობებისა, ფხიზლად შეხვდნენ მათ წინაშე მოულოდნელად წამოყენებულ საკითხს; მასწავლებლებმა არ იკისრეს სამარცხვინო როლი, განსაზღვრულ პირობებში მიეღოთ მონაწილეობა მუშაობაში და წინდა წინვე დანიშნულ თავჯდომარეთა კარნახით შეედგინათ და თავისი საქციელი პრესისა და საზოგადოების სალაპარაკო თემათ გაეხადათ... მათ თითქმის ყველა კრებებზე პროტესტი განაცხადეს. პროტესტი ორ გვარი ხასიათისა: ზოგან მოითხოვეს კრებების ზაფხულამდე გადადება და ამასთან წერილობით დაასაბუთეს იმ სისტემის უვარგისობა, რომელიც მთავრობამ ამჯობინა თავიანთი სურვილების გასატარებლად ასეთი შეზღუდული და კარ ჩაკეტილი კრებების საშუალებით. — ზოგან უკვე შეუდგნენ პროგრამის შემუშავებას, მაგრამ არა მზრუნველის ცირკულიარის მოთხოვნილებათა ფარგლებში, არამედ სრულიად მასთან დამოუკიდებლად: აღნიშნეს სკოლის ტიპის შეცვლისა საჭიროება, სასწავლო საგნების რიცხვის გაფართოვება და **ყველა საგნების ქართულს ენაზე სწავლების აუცილებლობა...** პირველი ხასიათის პროტესტი გამოსთქვეს მთელი შორაპნის და ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა კრებებმა და ქუთაისის საუბნო კრებამ; მეორე ხასიათის პროტესტი გამოითქვა დიდი ჯიხაიშის, მარტვილის, სამტრედიის და რაჭის კრებაზე... მაგრამ როგორც მოგეხსენებათ „თითო ოროლა მახინჯი ოჯახშიაც გამოერევაო“ და სამეგრელოში სენაკისა და აბაშის კრებებზე მასწავლებლები შეუდგნენ პროგრამის შემუშავებას უცვლელად ისე, როგორც ითხოვდნენ მათგან. როგორი შედეგი მოჰყვება მათს მუშაობას ჯერ-ჯერობით არ ვიცით... თუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცა ღა როგორი ხასიათის პროგრამაც არ უნდა შეიმუშაოს ერთმა თუ ორმა უბანმა, მთელ გუბერნიაში იმას საზოგადო საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, დარჩება მხოლოდ თითით საჩვენებელ სამარცხვინო აქტად ჩვენი სკოლის ისტორიაში...

საზოგადოთ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მასწავლებელთა უმრავლესობამ პირ-ნათლათ აღასრულა მოვალეობა სკოლის და ხალხის წინაშე, მოქალაქობრივი სითამამე გამოიჩინა და დღევანდელ მომენტში, როცა მოწინავე რუსეთის საზოგადოება სკოლის ძირითად რეორგანიზაციას თხოულობს და თვით სახელმწიფო სათათბიროც კი ადასტურებს სკოლის ზოგიერთ მხარეების რეფორმის საჭიროებას, მაგალითად საგნების სამშობლო ენაზე სწავლების და სხ., გვერდი აუარა ძველ პოზიციას, არ შეეპუა დირექციის მოთხოვნილებებს და თავისი პროტესტით წვლილი შეიტანა ჩვენის მრავალ გვარ ტანჯულ სკოლის განახლების საქმეში...

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობამ კანონიერად სცნო მასწავლებელთა მოთხოვნილება კრების გადალების შესახებ და ზაფხულის კანიკულებზე მოიწვია უფრო ფართო ხასიათის საგუბერნიო, ან რაიონული საინსპექციო კრებები. მაშინ რა პოზიცია უნდა დაიკავონ მასწავლებლებმა? აი საკითხი, რომელიც გათვალისწინებასა და დაკვირვებით გადაჭრას მოითხოვს. უპირველის ყოვლისა, მასწავლებელნი ამ თავიდამვე უნდა შეეცადნენ საჭირო მასალების დამზადებას, გაეცნონ სხვა და სხვა გეგმებს სკოლის რეორგანიზაციისას, როგორც სუსეთში, ისე ზოგიერთ სახელმწიფოებში საზღვარ გარეთ და წინდა წინვე მომზადებულნი გამოცხადდენ კრებებზე მონაწილეობის მისაღებად პროგრამების შემუშავებაში; ამ საქმეში დიდი დახმარება უნდა გაუწიოს მასწავლებლებს ადგილობრივმა პრესამ; საშუალო სკოლის მცოდნე და გამოცდილმა ქართველმა მასწავლებლებმა თავისი პრაკტიკული რჩევით; ძლიერ კარგი იქნება, თუ ეხლავე გამოცდილი ქალაქის მასწავლებლები შეიმუშავებენ სანიმუშო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამის გეგმას და დაურიგებენ სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელოთ კრებების დროს.

ამ როლის ასრულება, მე მგონია, უნდა იკისროს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და მასთან საჭირო ფულიც გამოიღოს პროექტების დასაბეჭდათ და უფასოთ დასარიგებლათ. სასარგებლო და ძლიერ საჭირო იქნება საქმისთვის, რომ მოხერხდებოდეს მაისის განმავლობაში რამდენიმე ლექციის, ან რეფერატების წაკითხვა სპეციალურად სკოლების ტიპებისა და მათი რეორგანიზაციის შესახებ. ასეთი ლექციები უნდა გაიმართოს ქუთაისში, ხონში, სენაკში, ყვირილაში, სამტრედიაში, ონში, ზუგდიდში, ოზურგეთში. მხოლოდ ამ გვარათ მომზადებული მასწავლებლები საქმით, ასე თუ ისე, დაინტერესებული, შესძლებენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქმეში, და არ ასრულებდნენ კრებებზე ჩვეულებრივს პასიურს როლს.

ვ. ობჩელი.

ბუკინინ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ მასწავლებელთა შორის.

დღევანდელი პირობები. — სახალხო მასწავლებელთა აზრი დედაენით სწავლების შესახებ. — მათივე აზრი რუსული ენის სწავლებისა და რუსული ენის სახელმძღვანელოების შესახებ. თბილისის დასაწყის საქალაქო სკოლების პროგრამის გამო.

დღევანდელ ჩვენი სახალხო სკოლის ერთს მთავარს საკითხს ,სხვათა შორის, სახელმწიფო ენის სწავლება შეადგენს. სკოლის რეორგანიზაცია, მის სასურველ ნიადაგზე დაყენება და საქმის გაძღოლა დიდს მოფიქრებას, საგნის სერიოზულად განხილვას, აწონ-დაწონვას, ასჯერ გაზომვას და ერთხელ გადაჭრას მოითხოვს, რომ მომავალშიაც სკოლა ისეთი უნაყოფო და ხალხისთვის მავნე დაწესეულება არ იყოს, როგორც ეს ნათლად დაგვანახვა წარსულმა უკუღმართმა და გათახსირებულმა დრომ.

განა უარესი სიდუხჭირე, გონებრივი სიბნელე და ათასგვარი ბოროტება შესაძლებელია, რაც თავს გადაგვხდა წარსულში? ხალხი ფულს იხდიდა, ტყავს იძრობდა, ცდილობდა შვილი მაიც აეცდინა იმ სატანჯველს, რასაც თვითონ მუდამ დღე განიცდიდა და ის ნაოფლ-ნაღვაწი და ტანჯვით მოპოვებული ფულიც ხმარდებოდა არა ნამდვილ და ჭეშმარიტ განათლების საქმეს, რომლითაც ხალხი წელში გამაგრებულ იყო, ზნეობრივად და ქონებრივადაც ამაღლებულიყო, არამედ — მის გადაგვარების და მოსპობის საგანს. საქმით ისე გამოდიოდა, რომ ხალხს თავისს ყელ-გამოსაჭრელ დანას თვითონვე ალესვინებდნენ. და თუ დღევანდელ პირობებშიაც ამგვარ მოვლენას სადმე ადგილი აქვს, იგი საყოველთაოდ უნდა დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმოს, მოისპოს და მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან თამამად დავადგეთ განახლების გზას.

სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენებურ სახალხო მასწავლებლებს, უმეტესობას მაინც, როგორც დასავლეთ საქართველოს აპრილ'ში მომხდარმა მასწავლებელთა კრებებმა დაგვანახვა, შეგნებული აქვთ ის ჭეშმარიტება, რომ **სახალხო სკოლებში, ერთ კლასიანი იქნება თუ ორკლასიანი, ყველა საგნების სწავლება დედაენით უნდა წარმოებდესო.** ეს გაბედული, თამამი და საღი აზრი ჩვენებური სახალხო სკოლების მასწავლებლებისა მით უფრო მოსაწონია, რომ მათ კარგად შეუგნიათ, რომ სკოლა ბუნებრივი შემნახველია ენისა. როცა მეცნიერების, ხელოვნების შესწავლა დედაენით მოსპობილია, მაშინ ეს გარემოება ხელს უწყობს არა მარტო ენის დაცემას, გახრწნილობას, არამედ ხალხის გადაშენების საქმესაც, რასაც ცხადად ამტკიცებენ ყველა განათლებული ერის წარჩინებული მეცნიერები, რადგანაც ერის ისტორია ყოველთვის მჭიდროდ დაკავშირებულია ენის ისტორიასთან.

უეჭველია ასეთი დადგენილება სახალხო სკოლების მასწავლებლებისა ჭკუაში არ მოუვა არც ერთ დახავსებული წარსულის მოტრფიალეს, რომლის ისტორიული დუხჭირი დღეიზია სჩანთქან სხვა ერები და დააყენონ ისინი გადაგვარების გზას, მაგრამ უნდა ვინუგეშოთ იმით, რომ ამგვარ შეხედულობას სარჩული უკვე გაუცვდა და იგი ვერავითარ გასამართლებელ საბუთს მეცნიერებაში ვერ ჰპოულობს. ცხოვრებაშიაც, სადაც კი ხალხს შეგნებული აქვს თვით არსებობის აზრი, ცხადად სრულდება ერთი მეცნიერის სიტყვები: **„ადამიანი ხელისა და ფეხის შეკვრას უფრო ადვილად ჰნებდება, ვიდრე ენის შეკვრას“.** —

რამდენადაც საღი შეხედულება წარმოსთქვეს ჩვენებურმა სოფლის მასწავლებლებმა დედაენით აუცილებლად სწავლების საჭიროების შესახებ, იმდენად ნაადრევად და მოუფიქრებლად მიგვაჩნია ზოგიერთების აზრი უცხო ენის სწავლების შესახებ. ამ საკითხში, როგორც სჩანს სხვა და სხვა ცნობებიდან, რომელიც რედაქციას მოსდის, მასწავლებლები ზოგი ადგას იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას, რა გზითაც დღემდის უვლიათ—უცხო ენის სწავლებას პირველ წლიდანვე არჩევენ დაიწყონ ე ი. შეჩვევულან ძველს ჭირს, რომელსაც მაგრად გაუდგამს ფესვები ძვალ რბილში; უმრავლესობა კი იმ აზრისა, რომ რუსული ენის სწავლება სახალხო სკოლებში მეორე წლიდან დაიწყონ. უმცირესობის აზრის სიდუხჭირე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს და მთლად გონებით ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ ამჩნევდეს იმ მავნებლობას, რომელიც მოსდევს უცხო ენის უდროვოდ სწავლებას, მაგრამ ჩვენ ვერ ვეთანხმებით ვერც უმრავლესობის აზრს ამ საკითხში. ცხადია, რომ უცხო ენის შესწავლას კეთილი ნაყოფი მოსდევს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწაფე საკმარისად განვითარებული და მომზადებულია დედაენაზე, გრძნობს უცხო ენის სწავლების საჭიროებას და ხალისიც აქვს ამისთვის. ერთი წელიწადი სოფლის სკოლაში ისეთს მცირე ხანს წარმოადგენს, რომ ბავშვი, რაც უნდა ნიჭიერი იყოს, მაინც იმდენად განვითარებული არ იქნება, რომ ძალა დაუტანებლად, ხალისით მიჰყოს ხელი უცხო ენის შესწავლას, რომელიც ერთ უძნელეს საგანთაგანია და მისი უდროვოდ სწავლება მოწაფეს, განვითარების მაგიერ, უარესად უხშავს გონებას და უჩლუნგებს მეხსიერებას.

სრული პედაგოგიურის მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ პოლონელები, როცა რუსული ენის სწავლებას ადგილს აძლევდნენ მეოთხე წლის შემდეგ და დღესაც ეს აზრი უცვლელად ტრიალებს მათ შორის. ჩვენთვის გამოუსადეგარია ამ საკითხში ლატიშელ მასწავლებელთა მოსაზრებაც, რომელიც გვამცნევს, რომ მათ რუსული ენის სწავლების შემოღება მეორე წლიდან აქვსთ განსაზღვრული. გამოუსადეგარია მისთვის, რომ ლატიშელები, ადგილობრივი პირობათა მიხედვით, იძულებულნი არიან სკოლაში ორი უცხო ენა ასწავლონ — რუსული და გერმანული; ამ უკინასკნელის სწავლებას იწყებენ მეოთხე წლიდან. უეჭველია ეს გარემოება რომ არ აბრკოლებდეს საქმეს—ლატიშელი მასწავლებლებიც იმ დასკვნამდის მივიდოდნენ, რომ რუსული ენა უფრო გვიან ესწავლებინათ და არა მეორე წლიდან. ან რაღა შორს მივდივართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხმოც წლებში, როცა არც პედაგოგიურად მომზადებული მასწავლებლები გვყანდა და არც იმდენი სკოლები, რაც დღეს არის შედარებით ცოტად თუ ბევრად მაიც, საგუბერნიო კრებაზე სახალხო სკოლის მასწავლებელმა ისეთი სულის სიმტკიცე და გონების სისაღე გამოიჩინეს, რომ ერთ ხმად დაადგინეს სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლების შემოღება მხოლოდ მესამე წლიდან. რასაკვირველია მათ აზრს განხორციელება ვერ ეღირსა, უსამართლო ძალამ თავისი გაიტანა, მაგრამ იმ მასწავლებლებს ჩვენ ერის განათლების ისტორიაში სახელი მაინც შერჩათ იმისი, რომ უსამართლო ბოროტების წინაშე მონურად ქედს არ იხრიდნენ და ამით ზნეობრივად კმაყოფილება მაინც შეინარჩუნეს.

მაშინ, სხვათა შორის, სამოსწავლო მთავრობის მხრით ერთი საწინააღმდეგო მოსაზრებათაგანი ის იყო, რომ სამწლიანს ერთ-კლასიან სკოლებში ერთის მასწავლებლით მესამე წელიწადს მოწაფეები იმდენს რუსულს ვერ შეისწავლიდნენ, რომ შემდეგ ნასწავლი მალე არ დავიწყებოდათ. მაგრამ დღეს, როგორც ვიცით, ამ მოსაზრებას ადგილი არ აქვს, იმიტომ რომ ერთ-კლასიანი სკოლა ჩვენში ყოველგან ოთხი წლის კურსით უნდა მოეწყოს, თუ მეტით არა (ამის წინააღმდეგი ვგონებ იშვიათად იქნება ვინმე) ორი მასწავლებლით მაინც, რომელთაც ორ-ორი განყოფილება ექნება წინანდელ სამის მაგიერ. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გარემოებას და მოწაფეების ცოტად თუ ბევრად უკეთ განვითარებას ორი წლის განმავლობაში, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მესამე წლიდან რუსული ენის სწავლების დაწყებას სახალხო სკოლებში უფრო მეტი და უკეთესი ნაყოფი მოჰყვება, ვიდრე ამაზე ადრე დაწყებას. დარწმუნებული ვართ, რომ ორი წლის განმავლობაში, თუ მასწავლებელები არ უღალატებენ, გვერდს არ აუქცევენ საუკეთესო სახელმძღვანელოებს, დაადგეიბან ნამდვილს და საღ პედაგოგიურს აზრს და მიმართულებას, რუსულიდანაც იმდენს შეასწავლიან მოწაფეებს, რომ ეს ცოდნა მეტ ბარგად არ დარჩება ცხოვრებაში და არც მიეცემა დავიწყებას ისე, როგორც დღემდის იყო—თავს ულაყებდნენ საწყალ ბავშვებს მარტო რუსუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით და ვერც ამას სწავლობდნენ საცოდავები და ვერც სხვა რასმე და ნასწავლსაც მალე ივიწყებდნენ. აი უტყუარი სურათი გუშინდელი და დღევანდელი ჩვენი სკოლისა. რუსული ენის მესამე წლიდან სწავლების დაწყებით იქნება ჩვენ მაინც განვახორციელოთ ის აზრი, რომელიც ოცდა-ათი წლის წინად უტრიალებდათ თავში ჩვენებურ სახალხო სკოლის მასწავლებლებს და თუ ეს წინსვლა არ იქნება ყოველ შემთხვევაში უკან ჩამორჩენასაც მოასწავებს.

ზემოთ მოვიხსენე, რუსული ენის ნაყოფიერად სწავლება შესაძლებელია ერთის მხრით მაშინ, თუ მასწავლებლები ამ ენის შესასწავლად აირჩევენ და შემოიღებენ პედაგოგიურად შემუშავებულს საუკეთესო სახელმძღვანელოს მეთქი. ჩვენმა დაკვირვებამ, ზოგ მასწავლებელთა აზრის მოსმენამ, ზოგი კრებების დადგენილებამ ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენში ბევრს მასწავლებელს არ შესწევს უნარი გამოიცნოს არსებულს სახელმძღვანელოებში რომელი უფრო შესაფერისი, უკეთესი და სასარგებლოა ჩვენი ბავშვებისათვის რუსული ენის შესასწავლად. შინაურ ხუკეს შენდობა არ აქვსო, უთქვამს ჩვენს ხალხს და მართალიც არის. ჩვენი პედაგოგის რუსული ენის სახელმძღვანელოები რუსეთისავე პედაგიურს პრესას არა ერთხელ მოუხსენებია ქებით, ამ ბოლო დროს იმავე მეთოდით და გეგმით, რომლითაც შედგენილია ჩვენი პედაგოგის ბ-ნი გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოები, არა ერთს არა რუსთა სკოლების პედაგოგებს უხელმძღვანელიათ რუსული ენის სახელმძღვანელოს შედგენაში, მაგრამ ჩვენში სულ სხვაა.. ჩვენი კაცის კარგიც ცუდია და სხვისი ცუდიც კარგია ჩვენთვის. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ დ. აბაშის, სენაკის და სამტრედიის კრებებზე 3 და 4 აპრილს მასწავლებლები, როცა დაადგინეს რუსული ენის სახელმძღვანელო წიგნად შემოიღონ გრიგორიევის წიგნები და პროგრამის შედგენასაც ამის მიხედვით შეუდგნენ. მაგრამ რას ეუბნებიან ეს მასწავლებლები მოზარდ თაობას და საზოგადოებას — ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცაღა წარსულმაც ბევრი სამსალა გვასვა და ისე მოგვშხამა, რომ ცუდს კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისაგან ვერ ვარჩევთ. ძალა უნებურად მივეჩვიეთ უვარგისი სახელმძღვანელოების ხმარებას და დღესაც გვგონია, რომ ეს არის საუკეთესო.

როდესაც სახელმძღვანელოების შესახებ გვქონია საუბარი ზოგ მასწავლებლებთან ის აზრი გამოგვიტანია, რომ ზოგიერთებს, უვიცობის გარდა, უფროსის სიამოვნებაც, მონური მორჩილებაც ეტყობათ: ასრულებს იმას რაც ბატონს ესიამოვნება, თუ გინდ ეს იყოს ქვეყნის წაბილწვის საქმეც. უვიცობა გამოიხატება იმაში, რომ ხშირად სახელმძღვანელოში აძაგებენ იმას, რაც მისს ნამდვილ ღირსებას შეადგენს, მაგრამ დამახინჯებული ტვინი ამას ვერ არჩევს. რაც შეეხება მეორე ნაკლს ეს ხომ ყველაზე უარესია: განა მონას, ყურმოჭრილ ყმას შეუძლიან აღზარდოს თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქე, თუ არა თავისებრივი ყმა, მონა და მორჩილი?! და აი სწორეთ ამ ჯურის მასწავლებლები ვერავითარ საღ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევენ ვერც სკოლას და ვერც მოზარდ თაობას.

ქალაქის დასაწყისს სკოლებში უკვე კარგა ხანია მასწავლებლები შეუდგნენ ახალი პროგრამების შედგენას. ტფილისის დასაწყისი საქალაქო სკოლების მასწავლებლებსაც შეუდგენიათ რაღაც პროგრამა, რომელიც ჯერ ჯერობით დიდის საიდუმლოებით არის მოცული, თუმცაღა ხაზოგადო საქმეში არავითარი საიდუმლოება არ უნდა იფარებოდეს; პირიქით ტფილისის სკოლების პროგრამის შემდგენელი მასწავლებლები უკეთ მოიქცეოდნენ, რომ ვიდრე მათ მიერ შედგენილს პროგრამას წარუდგენდნენ დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს, თავიანთი პროგრამის გეგმა ადგილობრივს გაზეთებში მაინც დაებეჭდათ და შემდეგ, თუ მოისურვებდნენ იმ ცვლილების შეტანას, რასაც პრესსა და საზოგადოება შეიძლება დაუსახავდა, იმის მიხედვით შეასწორებდნენ და შემდეგ წარადგენდნენ დასამტკიცებლად, მაგრამ ასე არ მოიქცნენ.

ჩვენი ჟურნალის „განათლების“ რედაქციას სურდა გამოეთქვა თავისი აზრი ამ პროგრამების შესახებ, მაგრამ იგი სრულიად ხელ მიუწდომელი გახდა მისთვის. ქალაქის გამგეობაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც წარდგენილია ხსენებული პროგრამა იმათგან, ვისაც ეს საქმე აბარია, ასეთი პასუხი მივიღეთ: „მასწავლებლებმა გვთხოვეს არავის გარეშე პირს არ აჩვენოთ წარმოდგენილი პროგრამები, რადგანაც ზოგიერთი ადგილები პროგრამისა ჯერ კიდევ შევსებას და შესწორებას ითხოვსო.“

ამნაირად დავრწმუნდით, რომ ჩვენი ქალაქის სკოლის მასწავლებლებს ისეთი პროგრამა წარუდგენიათ ქალაქის გამგეობაში, რომელიც ჯერ ჯეროობით დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს და თუ ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლები შესდგომიან საღ მოფიქრების, აწონ-დაწონვის და საქმის ყოველ მხრივ გარჩევის და გათვალისწინების გზას, რაც აუცილებლად საჭიროა ამ საქმეში და არა მოუფიქრებელი აჩქარება, რაც საქმეს უეჭველად ავნებს.

ლას—ბან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა.

სამრევლო სკოლები. — სახალხო უნივერსიტეტები. — ქართველ სტუდენტთა კავშირი. — სოფლად მუშაობა. — მასწავლებელთა კრებები. — ლექციები მასწავლებელთათვის. — ქართული ენა სასულიერო სემინარიაში.

ჩვენ წინ დევს საეკლესიო სკოლების მეთვალ-ყურის ცნობილ ოდოევის ანგარიში 1906—7 სასწავლო წლისა. მეტის მეტად საყურადღებოა ამ ანგარიშის დაწვრილებით განხილვა, მაგრამ რადგან იქ ბევრი რამ გამოურკვეველია, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ამ ანგარიშს საქმესთან უფრო ახლო მდგომნი გაარჩევენ, ჩვენ კი შევეხებით ზოგიერთ პრინციპიალურ მხარეს. ამ ანგარიშში მოქცეულია მხოლოდ ქართლ-კახეთის და საზოგადოთ აღმოსავლეთ კავკასიაში არსებული სკოლები. სულ საანგარიშო წელს 293 სკოლა ყოფილა. აქედან ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას ეკუთვნოდა 51 სკოლა. ყველა სკოლებში არა ქართული სკოლა ყოფილა 176, ქართული 103, არეული 14. არა ქართულ სკოლათა შორის რუსების 79, ბერძნების-75, ოსების-15, სხვა ეროვნებათა-10.

ყოველ მოწინავე ხალხში ახლა საკმარისათ გამორკვეულია, რომ სკოლას საერო ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამიტომ იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველია თავისთავად სამრევლო სკოლების არსებობა აქ არაფერს ვიტყვით. ცხადია, ჩვენი ძალ-ღონე მიმართულია იქითკენ, რომ სარწმუნოება კერძო ადამიანის სინდისის საქმეთ გავხადოთ და ყოველივე, ძალ-დატანებითი ელემენტი, რომელიც მას ბატონობის იარაღად ხდის, ჩამოვაშოროთ. მაგრამ ისიც ცხადია ჩვენთვის, რომ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადო პოლიტიკური საკითხია და შეცდომა იქნებოდა ჩვენი მხრით, რომ სანამ ჩვენი იდეალი არ განხორციელდება, დღეს არსებულ სკოლებს ყურადღება არ მივაქციოთ და დღევანდელ პირობებშიც მათი შესაფერ ფარგალში ჩაყენება არ ვეცადოთ.

ყოველივე აწინდელ სკოლაში პირველი საკითხი, რომელიც ქართველ კაცს დაებადება, არის: რა მიზანს ემსახურება ის სკოლა? ჩემი არსებობის მოსპობა სურს თუ არაო? ამ მხრივ სამრევლო სკოლები უფრო უნუგეშო მდგომარეობას წარმოადგენენ, ვიდრე სამინისტრო. ამით კი არ გვინდა ვთქვათ, თითქო სამინისტრო სკოლებში საქმე კარგად იყოს დაყენებული. აქაც უნუგეშო მდგომარეობაა, მაგრამ აქ სამრევლო სკოლებში ანაფორიანმა მოხელეებმა კაკარდოსან მოხელეებს გაუსწრეს ეროვნულ შეგიწროების საქმეში. აქ გარუსების პოლიტიკა მეტის ძლიერებით, მეტის ძალდატანებით და ტლანქათ მოქმედებს. საკმარისია მოვიყვანოთ თვით ანგარიშიდან ერთი ადგილი. „ეპარქიაში ერთი ორკლასიანი სკოლაა — ბოდბის სკოლა ...**თუ მივიღებთ მხედველობაში მოწაფეთა მეტის მეტ სხვა და სხვაობას გვარტომობისა და ენის** მხრივ ამ სკოლაში, უნდა ვაღვიაროთ, რომ **განათლების მხრივ** ის ბევრს იძლევა, ხოლო პრაქტიკულ პედაგოგების მომზადების მხრივ — ცოტას, ისე რომ საქმეში ბოდბის სკოლის მოწაფეები მდარე ღირსების მასწავლებლები გამოდგენ.“

განზრახ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ამ ადგილს. ყოველივე საზოგადოებაში დღეს ბევრი სარწმუნოებრივი მიმდინარეობა ტრიალებს, ბევრი ადამიანი სარწმუნოებასაც უარყოფს. მაგრამ ამავე დროს ყოველი შეგნებული ადამიანი თავის მოძმის რწმენას პატივს სცემს, ცდილობს არ შელახოს ის, ცდილობს არ შეურაცხყოს ის, რაც წმინდათ და თაყვანსაცემლათ მიაჩნია მის მეზობელს. ჩვენში კი რას ვხედავთ? იქ, სადაც დასაფლავებულია წმ. ნინო, რომელსაც მორწმუნე ქართველი წმინდანად და თავის განმანათლებლათ სთვლის, დღეს გამართეს სათარეშო ასპარეზი და ამ წმ. ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოს საფლავზე, მის გულზე მოუყარეს თავი მთელ გადაგვარების და ყოველ ქართულის მოსპობის საშვალებებს, ალბად იმ აზრით, რომ მონას უფრო მწვავეთ აუწვან გული, როგორც ძველად ჭრილობაში მარილს ჩააყრიდენ. ეს თარეში, ეს სწორეთ ბოდბეში თავის მოყრა სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა იმ მიზნით, რომ ყოველივე ერის შვილს თავისი ენა დაავიწყდეს და უსათუოთ გადაგვარდეს, ერთი უსასტიკესი დაცინვათაგანია ჩვენი და სირცხვილი იმ ქართველს, რომელიც ამ სასწავლებელში შვილებს მიაბარებს. იმავე სამშობლო ენის სავსებით გამოსაძევებლათ გამოგონილია ეგრედ წოდებული **შერეული** სკოლები, რომელთა რიცხვი 14 უდრის. ე. ი. ვთქვათ, სკოლაში შემოდის 40 ქართველი, მათ გვერდში ამოუყენებენ ხუთიოდე არა ქართველს და საქმეც გაიჩარხება — ქართული ენა სრულიად გაიძევება. მაგრამ განა იქ კი ხარობს ეს ენა, საცა მარტო ქართველობაა? ჯერ ერთი საზოგადო სწავლება ამ დაბალ სკოლაშიაც რუსულათ სწარმოებს. ამასთან ცხადია, ქართული ენაც მივიწყებულია იმდენად, რომ ყურადღებასაც არავინ აქცევს. ამ მდგომარეობას მშვენივრად ახასიათებს ტფილისის მაზრის მეთვალყურე. ის ამბობს: სკოლებში გამეფებულა **ამოსაღებური** ე. ი. ანბანების ჩათვლითი მეთოდი, კითხვა ცუდი, განმარტებითი კითხვა არ არსებობს, ალბათ, — დაცინვით შენიშნავს მეთვალყურე, მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ქართულ ენაზე ქართველ მოწაფეებისთვის ყველა სიტყვები და ფრაზები ცნობილი არისო". დიაღ, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ სკოლებშიაც გამეფებულია ძალმომრეობის სისტემა და ყველა სხვა ასეთი სკოლების ბუნებრივ ნაკლთან ერთად, აქ დევნილია ქართული ენა და საზოგადოთ ყველაფერი, რასაც ჩვენი კულტურული სახე აქვს.

მაგრამ აქ მეორე ფაქტია ფრიად საყურადღებო. ყველა თქვენგანს მოეხსენება, რომ დროთა განმავლობაში საქართველოს საუკეთესო ნაწილი, სადაც ჰყვავოდა ჩვენი ძველი კულტურა, იძულებული იყო სარწმუნოება გამოეცვალა, მაჰმადიანობა მიეღო. ერთი უმთავრესი გამანადგურებელი შედეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვისა იყო მაჰმადიან ქართველების საქართველოდან გადახვეწა. მთელი მესხეთი თითქმის დაიცალა. იმის დასახასიათებლად თუ როგორ რუსის მთავრობა ერეკებოდა მაჰმადიან ქართველებს და მათ ადგილს ასახლებდა სხვებს, საკმარისია ბ. ივანენკოს წიგნიდან, (მოქალაქობრივი გამგეობა იმიერკავკასიისა“ (ეს წიგნი მთავარ-მართებლის ბრძანებითაა გამოცემული), ერთი ადგილი მოვიყვანოთ. ახალციხის აღებიდანვე (მოხდა 16 აგვისტოს 1828 წელს) დაიწო მასიური გადასახლება. ქვეყნიდან გარბოდენ მაჰმადიანი ქართველები და სხვა მაჰმადიანებიც და მთელ თავის ავლა-დიდებას და მამულს ნაოხრათ სტოვებდენ. შემოდიოდენ იმათ ადგილს ოსმალეთის სომხები, რომელთაც რუსის მთავრობა განსაკუთრებული ზომებით იზიდავდა. თვითოეულს აძლევდა 25 მანეთს შემწეობას და 6 წლით ყოველივე გადასახადისაგან ანთავისუფლებდა. ამასთანავე უსასყიდლოთ ურიგებდა მიწებს, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებათ გამოაცხადეს მაჰმადიანების შემდეგ. ამნაირად ადგილობრივ მცხოვრებს ერეკებოდნენ, ხოლო სხვებს იზიდავდნენ. არზრუმის და ყარსის საფაშოებიდან დაიძრა 90000-ზე მეტი სომხობა. 1832 წ. გადასახლება ცოტათი შეჩერდა და შესაძლო გახდა ხალხის აღწერა. აღმოჩდა, რომ მცხოვრებთა შედგენილობა სრულიად შეიცვალა. ახლა უმეტესობას შეადგენდენ სომხები და მხოლოდ მათ მოსდევდენ მაჰმადიანი ქართველები.—ეს პროცესი დღესაც არ შეჩერებულა. თანდათან ქართველობა თავის მიწა-წყალს ჰკარგავს. ამ ნაირად მაჰმადიანი ქართველობიდან მეოთხედიც არ დარჩენილა თავის სამშობლოში. ცხადია, ჩვენისთანა სუსტი ერისათვის ასეთი მოვლენა მეტად შემაძრწუნებელი და დამაფიქრებელია. მით უმეტეს მეტი სიფრთხილით და წინდახედულობით უნდა მოვეპყრათ იმათ, ვინც დარჩენილან. განსაკუთრებული ყურადღება სარწმუნოებრივ მხარეს უნდა მიექცეს. მდაბიო ხალხშიც სარწმუნოება ეროვნებისაგან დღესაც ვერ გაურჩევიათ. რომელიმე მჟავანაძე გინდ ზოიძე, როცა ის ქრისტიანია, — ქართველია, ხოლო თუ მაჰმადიანია—„თათარია“. მდაბიო ხალხში სარწმუნოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანატიზმი დღესაც ძლიერია, ეროვნული ერთობის გრძნობა ვერ გამოუმჟღავნებია. და ბევრს აქ შიში აჩერებს. მას ქართველობა ქრისტიანობის სინონიმი ჰგონია. როცა საქმე ასეთ მდგომარეობაშია, ყოველი ქართველის უღრმესი მოვალეობაა სიტყვით და საქმით დაარწმუნოს მაჰმადიანი ქართველი, რომ მის სარწმუნოებას ყველა პატივისცემით ეპყრობა და არც არავის განზრახვა აქვს ამ სარწმუნოების წინააღმდეგ გაილაშქროს. რას ვხედავთ ჩვენ სამრევლო სკოლებში? რა ასულდგმულებს მათ? ანგარიშში ვკითხულობთ: „ახალციხის და ახალ ქალაქის მაზრებში ქრ. აღმადგენელი საზოგადოების 4 სკოლა არსებობს. ამ სკოლების არსებობის თავი აზრია საღმრთო სჯულის კარგათ სწავლება **გამაჰმადიანებულ ქართველთა** შორის.“ ანგარიშის მეორე ადგილს, რომლის სათაურია „საეკლესიო სკოლების სამისიონერო მნიშვნელობა“ ვკითხულობთ: „თუ გვკითხავენ: სად და რა პირობებში არის, რომ მართმადიდებელთან ერთად ლოკულობდენ სეკტანტები, მაჰმადიანები, ებრაელები და სხვები — ვუპასუხებთ: ამიერ კავკისიის სამრევლო სკოლებშიო“. ცოტა შემდეგ: „მაჰმადიანს მისიის ეშინია, ხოლო არ ეშინია სკოლის და ამავე დროს ეჭვიც არ ებადება, რომ მაჰმადიანობას სწორედ ამ მხრით მოელის უმეტესი დანაკლისი. ამ ანგარიშის შემდგენელმა ცხადათ დაანახვა მასწავლებლებს საღმრთო სჯულის და რუსული ენის გაკვეთილებზე, თუ როგორ შეუმჩნევლად შეიძლება მაჰმადიანის ქრისტიანულ შემეცნებათა წრეში **ჩათრევა**.“ ამ ნაირად ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ჩვენი ქრისტიანები ჩათრევის გზას დასდგომიან. არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენათ შეფერის ქრისტიანობის მქადაგებელთ მოტყუება და თვალთმაქცობა. ჰეტემ მართალი სთქვა, რომ რაც დღეს სიკეთეა დროთა ბრუნვაში ბოროტებათ იქცევაო. აქ მხოლოდ მივაქცევთ მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღებას, რომ საჭიროა დღეიდანვე მოისპოს ყოველგვარი მისიონერობა მაჰმადიანთა შორის. საჭიროა შევიგნოთ, რომ ყოველი მისიონერი ჩვენი გაერთიანების მტერია, კულტურულ ერთობის შეგნების მოწინააღმდეგე და ამიტომ დავგმოთ იგი. განსაკუთრებით ვაბრთხილებთ ქართველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელოებას. ნუ გახდება იმ ბრმა იარაღათ იმ საქმისა, რომელიც არც ერთი მხრით გასამართლებელი არ არის. ნუ შეუწყობს ხელს ისეთს საქმეს, რომელიც ჩვენ თვითშეგნებას, ურთიერთ დაახლოვებას და საერთო ეროვნულ ინტერესების გამომჟღავნებას ძირს უთხრის.

* *
*

დღევანდელ კულტურულ მუშაობაში ერთი პირველ ადგილთაგანი სახალხო უნივერსიტეტს ეკუთვნის. და თუ იმას დღეს შესაფერი ადგილი არ უჭირავს ჩვენ ცხოვრებაში, რამდენათ კულტურულათ გავძლიერდებით, იმდენად სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობა და ფასი ამაღლდება. ჩვენი სუსტი ძალების მიხედვით აქა-იქ ჩვენ ქალაქებში უკვე დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი და საქმეც შედარებით კარგათ მიდის, რადგან ხალხი მას სიყვარულით შეხვდა. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ დიად საქმეს უკვე დაბრკოლება ელობება გზაზე. როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს, ბათომში პოლიციას ქართულ ენაზე ლექციების კითხვა აუკრძალავს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს მოვლენა შემთხვევითია და უნივერსიტეტის მოთავენი არ დაზოგვენ ღონისძიებას, რომ ეს დაფერხება დასძლიონ და თავიანთი კულტურული მუშაობა მხნედ განაგრძონ.

* *
*

ყოველივე ხალხისთვის საშიში მდგომარეობა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მისი ძალები დაქსაქსულია. არც ხალხის მცირე რიცხვიანობა, არც მისი შედარებითი კულტურული სისუსტე არ წარმოადგენს ისეთ საშიშრობას, რომლის დაძლევა არ შეიძლებოდეს, თუ მუშაობა საერთო გეგმით, გარკვეული გზით და სისტემატიურათ სწარმოებს. მცირედი ძალაც, სისტემატიურათ და ხანგრძლივათ მომქმედი, თავისას გაიტანს. ჩვენი აწინდელი უძლურება იმარხება სწორედ ამ დაქსაქსვაში. დაკვირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, კერძო ბაასით, მწერლობით რწმუნდებით, რომ ჩვენში ბევრია მუშებში, გლეხებში, ვაჭრებში,—ყოველ დარგის ადამიანებში ისეთი პირნი, რომელნიც ხედავენ ჩვენს მდგომარეობას, გული შესტკივათ საზოგადო საქმისათვის, მზად არიან ემსახურონ თავის სამშობლოს კულტურულ აღორძინებას, მაგრამ ცალ-ცალკე უძლურნი, ხოლო საზოგადო შეკავშირებას მოკლებულნი, ვერაფერს აწყობენ და უიმედობას ეძლევიან. მაგრამ, რადგან დღითი დღე შეგნება მატულობს, ეს განკერძოებაც აუტანელი ხდება და საზოგადოების სხვა-დასხვა წრეში შეკავშირების, ძალების მოკრების სურვილი იბადება. ასეთ საიმედო სურვილს, ასეთ მისწრაფებას დღეს ვამჩნევთ ჩვენ მოსწავლე ახალთაობაშიც. სახელმწიფოებრივი აღზრდა ჩვენში გადაიქცა უმთავრეს წამლეკავ, გამანადგურებელ საშუალებათ. ახალთაობის აღზრდა ისეთ ჭახრაკში ჩავარდა, რომ ქვეყნის მომავალნი თავის სამშობლოს მოსწყდნენ, მისი ინტერესებით ვერ სულდგმულობენ, მის ჭირ-ვარამს ვერ ითვალისწინებენ, რომ შემდეგ ცხოვრებაში საშუალება მიეცეთ თავისი ძალ-ღონით თავისივე სამშობლოს აღორძნებას და აყვავებას ემსახურონ. უნუგეშოა ჩვენი მდგომარეობა დღევანდელ დღეს. არც ერთ სფერაში ჩვენ არ მოგვეპოვება საკმარისად მომზადებულნი და თავის ქვეყნისთვის შესაფერი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილნი მოღვაწენი. და ყველაფერი ეს შედეგია იმ დუხჭირი წვრთნისა, რომელსაც ჩვენი ახალთაობა სახელმწიფო სკოლაში განიცდის. რა საკვირველია, ყველა ამ შედეგების გაქარწყლება, დაძლევა, რომელნიც აღზრდის ასეთ სისტემისაგან მომდინარეობს, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. ამისათვის ერთადერთი საშვალებაა თვით ამ სისტემის დარღვევა და მოზარდ თაობის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომელიც ჩვენ ცხოვრებას, ჩვენ კულტურას და ჩვენ ინტერესებს შეეფერება. მაგრამ აქედან სრულიად არ მომდინარეობს ის დასკვნა, რომ სანამ ეს პირობები ძირიანად არ შეიცვლებიან, გულზე ხელი დავიკრიფოთ და მშვიდად ვუცქიროთ ჩვენი მომავლის განადგურებას. პირიქით დღევანდელ პირობებშიაც შეუჩერებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივ უნდა ვიბრძოლოთ, რომ შევასუსტოთ განმანადგურებელ ძალების გავლენა და მომავალს ნიადაგი მოვუმზადოთ.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენი მოსწავლე ახალთაობა ორ გვარად მოწყვეტილია თავის სამშობლოს: ჯერ სწავლების ორგანიზაციით და მერე უცხო ქვეყანაში იძულებით გადახვეწით. ამ ნაირად ამ თაობისათვის სამშობლო ქვეყნის ცხოვრება დაჩრდილული, დამალული, შეუგნებელი და გაუცნობი რჩება. აქედან ის შედარებითი გულგრილობა ჩვენი საზოგადო საქმეებისადმი, რომელსაც ცხოვრებაში გამოსულს ახალგაზრდებს ვამჩნევთ. ცხადია, ასეთ ფრიად სამწუხარო მოვლენას ყოველი ღონისძიებით უნდა შევებრძოლოთ. და პირველნი, ვინც ამ ბრძოლაში მოვალე არიან ჩაერიონ, თვით ახალგაზრდობაა. თვითონ მან უნდა შეეცადოს აწინდელ პირობებთან ბრძოლას, შეეცადოს გაითვალისწინოს თავის სამშობლოს მდგომარეობა და პირობების მიხედვით მოქმედების გეგმაც შეიმუშავოს. კაცს მაშინ ესაჭიროება გულშემატკივარი, დამხმარე, მეგობარი, როცა უჭირს, თვარა, როცა ულხინს, როცა ის ძლიერია, მაშინ მტერიც კი მეგობრობს მას.

და აი სწორეთ მოვესწარით ისეთს წუთს, როცა სტუდენტობამ სერიოზულად დააყენა საკითხი საერთო შეკავშირების შესახებ. ჯერ-ჯერობით ჩვენ ვიცით მხოლოდ ორი ქალაქის ქართველ სტუდენტების აზრი: ტომსკისა და ოდესის. ორივ ქალაქის სტუდენტი ქართველობა მომავალ „სრულიად ქართველ სტუდენტთა პროფესიონალურ კავშირს“ ორ მიზანს უსახავს: ერთია კერძო—სტუდენტების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება—ურთიერთი დახმარება, საზოგადოების დახმარების გაძლიერება და ან არსებულ დახმარების უფრო წესიერი და სამართლიანი განაწილება; მეორე—საზოგადო მიზანი—სამშობლოსთვის მუშაობა, საზოგადოებრივი მუშაობა. პირველ მიზანს ჩვენ აქ არ შევეხებით, რადგან ის ყველასთვის აშკარაა. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, თუ როგორ უცქერის სტუდენტობა ჩვენ დღევანდელ მდგომარეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას და რის გაკეთებას გვპირდება. აი რას გვეუბნება თავის მოწოდებაში ტომსკის სტუდენტობა, რომელმაც კავშირის დაარსების საჭიროება პირველად აღძრა:

„ჩვენ, ტომსკის ქართველმა სტუდენტებმა, მივიღეთ რა მხედველობაში დღევანდელი მომენტი—მომენტი საზოგადოებრივ შინაარსის იდეალებისათვის მხნე, გააფთრებულ მუშაობისა; გავითვალისწინეთ რა დღევანდელი ჩვენი და მთელ ქართველ სტუდენტების მდგომარეობა, თუ სადამდე მიგვიყვანა დღევანდლამდე უკულმართმა სწავლა-აღზრდის წარმოებამ, აუცილებელ საჭიროებად ვცანით ჩვენის ძალთა განვითარების ნორმალურ კალაპოტში ჩასაგდებად და ბუნებრივ კავშირის გასაღვივებლად ჩვენსა და სამშობლო ქვეყნის შორის, შეუდგეთ (სანამ დრო არის) ეროვნულ კულტურულ მუშაობას, შევისწავლოთ ყოველ მხრივ ჩვენი ქვეყნის წარსული და აწმყო, ჩვენი ერის ჭირ-ვარამი ჩვენის საკუთარ ჭირ-ვარამად დავისახოთ და საკუთარი ფარხმალი აღვმართოთ ყოველ მისკენ მიღებულ მახვილის საწინააღმდეგოდ. მეორედ, გავითვალისწინეთ რა ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა ეკონომიურის მხრით, თუ როგორი უსამართლობა ხდება დღეს მთელ ქართველ საზოგადოების და ჩვენ შორის სტიპენდიების და დახმარების განაწილების დროს, თუ როგორ უუღარიბესნი, ბეჯითნი და ნიჭიერნი ჩვენგანი შიმშილ-სიცივეს განიცდიან მაღალ სასწავლებელში სწავლის მიღების დროს, ხოლო უფრო შეძლებულნი და ფუქსავატნი კი სარგებლობენ საზოგადოების დახმარებით. ამაების მოსაწესრიგებლად გიწოდებთ ყველა ქართველ სტუდენტებს დღეიდანვე შევერთდეთ, შევკავშირდეთ, ხელი-ხელს მივცეთ ქვემო მოყვანილ „სრულიად ქართველ სტუდენტთა პროფესიონალურ კავშირის“ წესდების პროექტის განსახილველად და მის მიერ დასახულ მიზნების ცხოვრებაში განსახორციელებლად“.

ამ მოწოდებიდან ჩანს, რომ სტუდენტობამ გაითვალისწინა ჩვენი მდგომარეობა და სურს შეუდგეს ეროვნულ კულტურულ მუშაობას. მიზანი სწორეთ რომ მოსაწონია, მხოლოდ, სამწუხაროთ, როგორც ტომსკის, ისე ოდესის სტუდენტობას

ეს ეროვნული კულტურული მუშაობის წრე მეტად ვიწროთ შემოუხაზავს. აი როგორ განმარტვენ ტომსკის სტუდენტები თავის მიზანს:

II. **მიზანი კავშირისა.** კავშირის მიზანს შეადგენს, პირველად, ყოველგვარი კულტურული მუშაობა სამშობლო ქვეყნის შესასწავლად, მეორედ, ღარიბ ქართველ სტუდენტთა მატერიალური დახმარება.

1) **კულტურული მუშაობა:** ა) ეროვნულ კულტურული მუშაობა კავშირისა გამოიხატება სამშობლოს წარსულის და აწმყოს ყოველ მხრივ გაცნობა შესწავლაში (მაგ. შესწავლა ჩვენის ისტორიისა, ენისა, ლიტერატურისა, ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობისა, სტატისტიკურ ცნობების შეკრება ჩვენის მხარის შესახებ და სხ.); ბ) ამ მიზნის მისაღწევად კავშირი იძენს სამეცნიერო შინაარსის წიგნებს, სახელმძღვანელოებს და იკავებს მჭიდრო კავშირს, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნის კულტურულ დაწესებულებებთან (მაგ. სამეცნიერო აკადემიებსა, ისტორიულ არქივებსა, მუზეუმებთან და სხ.).

ოდესის სტუდენტობა არ კმაყოფილდება მარტო შესწავლით. მას სურს პირდაპირი მოქმედებაც, მაგრამ აქაც ამ მოქმედებას ფრთა ეკვეცება:..

„კრებამ, მიიღო რა მხედველობაში ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა და ის დიდი წყურვილი ჩვენის მასსისა განათლებისადმი, რომლის დასაკმაყოფილებლადაც არ არსებობენ ჩვენში საკმაო ძალები, და აგრეთვე ის, რომ თვით მოკავშირეთა გასავითარებლად არ კმარა მხოლოდ თეორეტიულად თავისი ერის წარსულის და აწმყოს შესწავლა, არამედ საჭიროა თეორიის და პრაქტიკის ერთად მსვლელობა, რადგან ამგვარ საქმის დაყენება უფრო მეტს საშუალებას მოგვცემს ხალხის ყოფა-ცხოვრების გაცნობისას, საჭიროდ სცნო პროექტის დედა აზრის გაფართოვება, სახელდობრ, კრების აზრით, კავშირის მიზანი უნდა იყოს არა მარტო თვით-განვითარება და ურთი-ერთის დახმარება ეკონომიურად, არამედ აგრეთვე ამხანაგების მოწოდება საზაფხულოდ ლექციების საკითხავად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ყველამ კარგად იცის. რომელ სფერაში გვაქვს რამე? სად ვართ ძლიერნი? და განა ასეთ მდგომარეობაში მარტო ლექციების კითხვაა საკმარისი? კულტურული მუშაობა ფართო, უსაზღვრო ასპარეზია: ლექციების წაკითხვა, წიგნების დაწერა, თუ გადმოთარგმნა, სამკითხველოების გამართვა, წერა-კითხვის გავრცელება, სამეურნეო ცოდნის გავრცელება. ჩვენი უმთავრესი სისუსტე—სიღარიბეა, რომელიც პოლიტიკურ პირობებთან ერთად შედეგია უმეცრების და უპატრონობის. მატერიალურ კულტურაზე ზრუნვა უპირველესი საკითხია ჩვენთვის. დღეს მთელი ქართველობა მხოლოდ მონაა უფრო კულტურულ ხალხთა. იმას არ აქვს გარკვეული, თუ რა გზას უნდა ადგეს ეკონომიურ ცხოვრებაში. და აი აქ საჭიროა უპირველესი დახმარება. ჩვენი კულტურის შესწავლა, გაკვლევა იმ გზისა, რომელსაც უნდა დაადგეს ამა თუ იმ კუთხის წარმოება, მწარმოებელთა შეკავშირება, როგორც წარმოების გასაუმჯობესებლათ, ისე ნაწარმოების გასასაღებლად. ამასთან დაუმატეთ ხალხის ულონობა სხვა და სხვა სენთან ბრძოლაში. ერთი სიტყვით — კულტურული მუშაობა მეტად დიდი, დაუშრეტელი საქმეა. და სტუდენტობაც თავის შედგენილებით მეტად მრავალფეროვანია. ერთს ისტორიული კვლევის უნარი აქვს; მეორეს ბუნების შესწავლა ეხერხება, მესამეს ეკონომიური ცხოვრების გათვალისწინება აინტერესებს, მეოთხეს პირდაპირ პრაქტიკული მუშაობა სწყურია. შეკავშირებას სწორედ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა შრომის მოწადინეთ ერთობის სახელით მუჯლუგუნი წაჰკრას, ყველა წაახალისოს და ისეთ პირობებში ჩააყენოს, რომ ყოველივე შრომის მსურველს თავისი ნიჭის და მისწრაფების მიხედვით შეეძლოს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო კულტურულ სალაროში. იმედია, ეს ასეც მოხდება, მომავალ სტუდენტთა კავშირის მიზანი გაფართოვდება. ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია სიხარულით მივეგებოთ ქართველ სტუდენტთა მისწრაფებას და ვუსურვოთ ახლო მომავალში მათ მიზანი სავსებით განეხორციელებიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

მოგვიახლოვდა ზაფხული, როცა მასწავლებლობა და მოსწავლე-ახალგაზრდობა უმეტესად სოფლად გადის და საზოგადოთ თავისუფლდება თავის პირდაპირ მოვალეობისაგან. ჩვენზე გაცილებით უფრო დაწინაურებულ ქვეყნებშიაც, სადაც სახელმწიფო და კომუნები ერთმანეთს ეჯიბრებიან სახალხო განათლების გავრცელებაში, იქაც კი კერძო ინიციატივას, კერძო მუშაობას ყოველივე სახელმწიფოებრივ დაწესებულების გარეშე დიდი ასპარეზი აქვს. ცხადია, ჩვენში, სადაც არავითარი ადგილობრივი თვითმართველობა არ არსებობს, სახელმწიფოებრივი დაწესებულებანიც მცირედია და ყველა უკულმართათ მოქმედებენ, კერძო ინიციატივას, კერძო მუშაობას მეტი არსებობის საფუძველი აქვს, მას მეტი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც მეტ ყურადღებას უნდა იპყრობდეს ჩვენი მხრით. ყოველი სასარგებლო ძალა აქ უნდა გამოვიყენოთ. სოფლად და საზოგადოთ მდაბიო ხალხში წერა-კითხვის გავრცელება, კითხვების გამართვა, წიგნების გავრცელება ეს ისეთი საქმეა, რომელიც ყოველივე ცოტაოდნად განათლებულ ადამიანს შეუძლია და მასთან მეტად დიდ მნიშვნელოვანია. წარმოიდგინეთ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ ხუთი ათასი მასწავლებელი და მოსწავლე გავა სოფლად ზაფხულში. თითო კაცმა დღეში თითო საათი რომ შესწიროს ამ მწიგნობრობის გავრცელების საქმეს ამა თუ იმ სახით, მაშინაც დიდ შედეგს მივიღებთ. და ეს ისეთი შედეგი იქნება, რომელიც შემდეგშიაც ნაყოფს მოიტანს. საზოგადოთ წერა-კითხვის და მწიგნობრობის საქმე ჩვენში ყოველგან სუსტია. ბევრ ადგილას ვაჟებიდან თუ რაოდენიმე ნაწილი სწავლობს, ქალები სულ სკოლის გარეშე რჩებიან. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის ადგილები, სადაც სკოლა ან სრულიად არ არსებობს, ან მეტად მცირე რიცხვი არსებობს. ასეთი ადგილებია ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, სამეგრელო და განსაკუთრებით მაჰმადიანთა კუთხე. ამიტომაც ჩვენ მოვიწოდებთ ყველა იმათ, ვისაც კი ძალა და სურვილი შესწევს ამ საქვეყნო საქმეს ცოტაოდენი დრო მოახმაროს, აუცილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლივ შეუდგენ მუშაობას. ამასთან იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოებაც ყურადღებით მოეპყრობა ამ საქმეს და ჯეროვან დახმარებასაც აღმოუჩენს. იმის იმედიც გვაქვს, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რამდენათაც კი შეძლება გაწვდება, დაეხმარება მსურველთ წიგნების მიწოდებით.

* *
*

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სხვათა შორის პირველ ადგილზე წამოაყენა განათლების საქმე. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ სკოლა შეიქნა ძლიერ იარაღათ ადამიანთა გაბატონებულ კლასების სურვილისა დი მიზნისამებრ აღზრდის, გაწვრთვნის იარაღად. ხოლო რადგან ბატონობა სარგებლობს ყოველივე საშუალებით, რომელიც მას ხელს უწყობს, ამიტომაც სკოლაზე გავლენა აქვს და მის ხასიათს არკვევს, როგორც კლასობრივი, ისე ეროვნული და სარწმუნოებრივი ბატონობა. განთავისუფლებისაკენ მიმსწრაფ ხალხის ერთი პირველ მიზანთაგანი იყო გამოეხსნა თავისი ახალ-თაობა ამ ბატონობის კლანჭებიდან და მისი აღზრდა ნორმალურ პირობებში ჩაეყენებია. ამიტომაც პირველი დღიდანვე განმათავისუფლებელი მოძრაობა შეეხო სკოლის დუხჭირ პირობებს და მოინდომა მისი შეცვლა, დემოკრატიზაცია. ამ საქმეში განსაკუთრებული უნარი და თავის მოვალეობის შეგნება გამოიჩინა იმერეთის მასწავლებლობამ, რომელმაც კიდეც შეიმუშავა შესაფერი პროგრამა და შეეცადა მისი ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ დრონი იცვალნენ, რეაქციის სუსხმა დაჰბერა. ამ დროს ბევრი მიიმალა, ბევრი ძველ გზას დაუბრუნდა, ბევრმა ხალხის იმედები არ გაამართლა. როგორც ჩვენ საქმე გვიჩვენებს, იმერეთის მასწავლებლობის დიდი უმრავლესობას დღესაც არ უღალატია თავის მოვალეობისათვის და, მიუხედავათ აუტანელ პირობებისა, ცდილობს ერთხელ არჩეულ ღირსეულს გზას არ გადაუხვიოს.

გაზეთებმა უკვე მოგვაწოდეს ცნობები, რომ აპრილის პირველ რიცხვებში, იმერეთში, სხვა და სხვა საბოქაულოებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმართა მასწავლებელთა კრებები ორკლასიან სკოლებისთვის პროგრამის შესამუშავებლად. კრებები ისეთ პირობებში მოეწყო, რომ, ცხადია, ნორმალური მუშაობა შეუძლებელი იყო. ჯერ ერთი — მასწავლებელთა კრებული დაქსაქსეს და საგუბერნიო, ან მაინც სამაზრო კრებების მაგიერ, გამართეს საბოქაულოს კრებები. ალბათ კარგათ ახსოვთ ანდაზა: „გაჰყავი და იბატონეო“. მეორე—კრებებს წინდაწინვე განუსაზღვრეს პროგრამა და უჩვენეს, თუ რა საკითხებს არ უნდა შეხებოდა; ამასთან თავმჯდომარეც წინდაწინვე დაუნიშნეს. აშკარაა, ამ პირობებში მუშაობა შეუძლებელი იყო. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მასწავლებელთა უმრავლესობა მაინც პირნათლად გამოვიდა ასეთ განსაცდელისაგან და მახეში არ გაება. მხოლოდ უმთავრესი სამუშაო მაინც წინაა. და აი სწორედ აქ ვხედავთ, თუ რამდენათ საჭიროა შეერთებული მუშაობა, საერთოთ ძალის მოკრება და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ მთელი ქართველი მასწავლებლობა, რაც კი პროგრესიულ ელემენტს შეიცავს, შეკავშირდება, ერთს გარკვეულს გეგმას შეიმუშავებს და ეცდება ხალხთან ერთად ეს გეგმა დაიცვას, ერთხელ ამართული საპატიო დროშა არ დაადგოს, ამისათვის კი აუცილებლივ საჭიროა ყველა ქართველ მასწავლებელთა შეერთება. დროა წვრილმან კინკლაობას თავი დავანებოთ და მეტი შეგნება გამოვიჩინოთ.

* *
*

არა ნაკლებ საჭიროა მასწავლებელთა საზოგადოება მასწავლებლების თვითგანვითარებისათვის. მხოლოდ იმ ადამიანს აქვს უფლება იმასწავლებლოს, რომელიც თვითონ მუდამ სწავლობს. ერთი შეჩერება გონებრივ ცხოვრებაში, თვით განვითარების საქმის ღალატი მასწავლებელს უკვე აძაბუნებს და ართმევს იმ განსაკუთრებულ მიმზიდველობით ელფერს, რომელიც გონებით მომუშავე ადამიანის თანმყოლი თვისებაა. ხოლო ამ თვისების დაკარგვა მასწავლებელს უბრალო მოხელედ ხდის, რაც სწავლა-აღზრდის საქმეში მეტად მომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვდინებელი მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. გონებრივ ცხოვრებას ერთი აუცილებელი თვისება აქვს. ის შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებაში. თუ ადამიანი მჭიდრო საზოგადოებაში ცხოვრობს, რამდენათაც ძლიერია აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ჭიდილი, იმდენათ გონებრივ ცხოვრების, გონებრივ არსებობის ინტერესი დიდია და იმდენათ ადამიანი უფრო აალმასებს თავის გონებას და მუდამ განვითარების გზაზე მიდის, ჩვენში არა ერთს მაგალითს შენიშნავთ, რომ ადამიანი ახალგაზდობაში მეტად ფხიზელ გონებას იჩენს, ცოდნის წყურვილიც ძლიერი აქვს, მხოლოდ როცა, ცხოვრებაში გამოდის, თნდათან დუნდება და ბოლოს ძველი ნარჩომით თუ ცხოვრობს, თვარა სხვა არაფერი მოიპოვება მის გონებრივ სალაროში. და ასეთ მოვლენას მხოლოდ იმიტომ აქვს ადგილი, რომ ჩვენ ცუდ პირობებში ვართ, ფრთა ვერ გაგვიშლია. რომ ჩვენი ცხოვრება რიგიანათ მოვაწყოთ. განსაკუთრებით ეს ითქმის დაბალი სკოლის მასწავლებლებზე. აიღეთ რომელიც გნებავთ განათლებული ქვეყანა. აქ უსათუოდ არსებობს მასწავლეაელთა კავშირი, აქ იმართება მასწავლებელთა კრებები, მოწყობილია საერთო სამკითხველოები — და ამასთან აწყობენ განსაკუთრებულ ლექციებს, რომ მასწავლებელთ გაუადვილდეთ გონებრივი წინსვლა და ახალი ცოდნა შეიძინონ. ჩვენ ამ მხრივაც მეტად შეევიწროებული ვართ. თავისუფალი სუნთქვა აღარ გვეღირსა. მაგრამ ამ პირობებშიაც უნდა შეეცადოთ და საზაფხულოთ მოვაწყოთ ლექციები, რომ მსურველ მასწავლებელთ საშუალება მიეცეთ შესაფერი მასალა მოიპოვონ. დაიმედებული ვართ, რომ ის მასწავლებელნი, რომელთაც პირნათლად სურთ თავის მიზანს ემსახურონ, დიდი ხალისით მოეკიდებიან ამ საქმეს.

* *
*

ამას წინეთ გაზეთებმა ერთი საყურადღებო ფაქტი აღნიშნეს. საქართველოს სამღვდელოებამ გადასწყვიტა — სასულიერო სემინარიებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ქართულ ენაზე მოეწყო. ასეთი მცირედი სურვილი და მასთან იმდენათ სამართლიანი ყოველ მხრივ, იმდენათ ცხადი იყო, რომ არავის ეჭვი არ დაებადებოდა, რომ მას სინოდი არ შეიწყნარებდა. მაგრამ ჩვენ ცხოვრებაში რა არ ხდება? სამღვდელოებას უარი უთხრეს. დასაბუთებაც საყურადღებოა. რადგან პირდაპირი უარი, ნამდვილი მიზეზის გამომჟღავნება მეტად სასირცხო და აღმაშფოთებელი იქნებოდა, ამიტომ განაცხადეს: შესაფერი სახელმძღვანელოები არ გაქვთო. რასაკვირველია, ეს ყველამ იცის, რომ საბუთი არაა. ჯერ ერთი, რომ ჩვენში თუ ლიტერატურის რომელიმე დარგი მდიდარია, სწორეთ სასულიერო, რომელიც ბევრს გამოჩენილ თხზულებებს შეიცავს. მეორე სახელმძვანელოც, რომ არ იყოს მიეცით შეძლება ცხოვრებაში გამოიყენონ და დღესვე გამოჩნდება შესაფერი ნაწარმოებნი. მაგრამ ასეა: გამარჯვებული ყოველთვის მართალია... ყოველ შემთხვევაში სამღვდელოება ვალდებულია ამ საქმეს თავი არ მიანებოს, თავისი დადგენილება განაახლოს და მასთან შინაურულადაც შესაფერი ზომები მიიღოს, რომ ისეთივე უარი შეუძლებელი გახდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ცხოვრებიდან.

ამურის რკინის გზის პროექტი სათათბიროში. კამათი საერთო განათლების შესახებ. — სათათბიროს მოქმედების ხასიათი და ოქტომბრისტებს შორის უთანხმოება. თანამედროვე მდგომარეობა.

პირველ აპრილს მესამე ივნისის საარჩევნო კანონით შეკრებილ სათათბიროს უმრავლესობამ გადასწყვიტა ამურის რკინის გზის გაყვანა. ძნელია აღნიშვნა იმისი თუ რით ხელმძღვანელობდა სათათბიროს უმრავლესობა, როცა ასე საჩქაროთ სწყვეტდა ამ საკითხს, დღევანდელ რუსეთის ცხოვრების პირობებში, როცა ეკონომიური ცხოვრება შეფერხებულია, როცა ხალხს თითქმის არაფერი არ გააჩნია, როცა საჭიროა ძალების მოკრება და აღორძინება, მმართველობამ და ოქტიაბრისტების უმრავლესობამ დააკისრა დამშეულს ხალხს 300 მილ. მან. გაღება ამურის რკინის გზის გაყვანისათვის სტრატეგიულის მიზნით. მაგრამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამურის რკინის გზის გაყვანით, მეორე ციმბირის გზის ლიანდაგის გაკეთებით, საქმე არ თავდება, მსხვერპლი რუსეთის ხალხებისა არ ბოლოვდება; სტრატეგიულ მიზნისთვის საკმარისი არ არისო, როგორც გადმოგვცა ოფიციალურმა „როსსიამ“ ამურის გზის გაკეთება და ციმბირის გზის მეორე ლიანდაგის გაყვანა, რადგანაც ბაიკალის რკინის გზა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამ გზის მეორე ლიანდაგის გაყვანა მოუხერხებელი და შეუძლებელიცაა, ამისათვის მმართველობის ორგანო აცხადებს, რომ საჭიროა ბაიკალის ტბის იმრგვლივ ჩრდილოეთით გზის გაყვანა, ე. ი. კიდევ 300 მილ. მან. ხარჯი. ოპოზიციამ არა ერთი საბუთი წარუდგინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათათბიროს იმის შესახებ, რომ ამურის რკინის გზის პროექტის მიღება პრინციპიალურ მოსაზრების გარდა, ტეხნიკურ შეუმუშაობლობის გამო, მოუხერხებელია. ამ შემთხვევაში უადგილო არ იქნება ოპოზიციის წარმომადგენელის სიტყვებზე შევჩერდეთ. მმართველობამ, როგორც სამართლიანად გამოარკვია დეპ. შინგარიოვმა, თავის უფლებით და ნებით გადასწყვიტა ეს საკითხი, არ მოისურვა ხალხის წარმომადგენლების აზრის გაგება. ხმა ხალხისა ვითომდა მისთვის საჭირო არ იყო; პირველ სათათბიროს სიცოცხლის დროს მოხდა ჟურნალური დადგენილება მინისტრთა საბჭოსი (ეს დადგენილება უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა) იმის შესახებ, რომ გამოკვლევა მოეხდინათ და ეს გადაწყვეტილება არც უცნობებიათ სათათბიროსათვის. მეორე სათათბიროში წინადადება ამურის რკინის გზის გაყვანის შესახებ შეტანილ იყო ათის დღის წინად მის დათხოვამდის, და თვით გზის გაყვანა დაწყებული იყო მესამე სათათბიროს მოწვევამდის ძირითად კანონების 87 სტატიის წესით.

ამგვარად საქმის წარმოება, სთქვა შინგარიოვმა, შესაძლებელი იქნებოდა კიდევ იმ შემთხვევაში, რომ აქ საქმე ყოფილიყო უცილო საკითხის შესახებ, მაგრამ, რაც შეეხება ამურის რკინის გზას — შინგარიოვის აზრით — რა მხრითაც უნდა გავშინჯოთ ეს საკითხი მისი გაყვანა ზედმეტად სათუოა. არც საახალშენო, არც სამხედრო მიზანი დამტკიცებული არ არის. „მე რომ მკითხოთ — სთქვა დეპუტატმა შინგარიოვმა — თუ როგორ ვფიქრობ შორეულ აღმოსავლეთის შენარჩუნებას რუსეთისათვის, ვალდებული ვიქნები სავსებით, გარკვევით მოგახსენოთ: უნდა ვიაროთ არა იმ გზით, როგორც უკვე განუზრახავს სახელმწიფო სათათბიროს და მიმოსვლის კომისიებს. მე მრწამს, რომ მხოლოდ ის განაპირა ქვეყანაა მჭიდროდ შეკავშირებული სახელმწიფოსთან, მხოლოდ ის განაპირა ქვეყანაა ძლიერი, რომელსაც აქვს ძლიერი, დიადი ცენტრი, ცენტრი კულტურული, შეიარაღებული კაპიტალით, ცოდნით და ხალხის ენერგიით... თუ კი ჩვენ გვერდს აუვლით ხალხის ინტერესებს, თუ კი მცირე ხარჯსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაკლებთ მის განათლებას, თუ მის დამოუკიდებლობას და თვით მოქმედების და თავისუფალ თავის გამორკვევას არა გავავითარებთ, ჩვენ არასიდეს არ ვიქნებით ძლიერი. ჩხუბისათვის საჭიროა კულტურა, ენერგია და თავისუფლება. სანამ ეს პირობები არ შეგვიქმნია, მანამ მე არ შემიძლია ვილაპარაკო შორეულ აღმოსავლეთის განაპირა ქვეყნის დაცვის შესახებ. ვშიშობ, რომ ჩვენ კიდევ მოგველის მუგდენი და ცუსიმა“. ამის შემდეგ შინგირიოვმა გაარკვია ამურის რკინის გზის გაყვანა ფინანსიურის მხრით; აღნიშნა, რომ 300 მილიონი მანეთი დასჯდება ამურის გზა, მეორე ციმბირის ლიანდაგის გაყვანა 150 მილ., ჯარისა და ფლოტისათვის მიწვდენა საჭირო ნუზლისა 300—400 აღაჯის მანძილზე, „სახელმწიფოს ვალი — სთქვა შინგაროვმა — დღეს 8½ მილიარდს უდრის; 60 მან. ხვდება რუსეთის თვითეულს მცხოვრებს. რასაკვირველია მდიდარ და მეოჯახე ქვეყნისათვის ეს არ იქნებოდა საშიში; თანამედროვე რუსეთისათვის ზედმეტად დიდი და შეუძლებელია. მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა დეპ. როდიჩევმა. სხვათა შორის როდიჩევმა წარმოსთქვა: „თქვენ სდგეხართ ისტორიულ ხმის მიცემის წინაშე. ამ მომენტში თქვენ ქვეყანას ამ თუ იმ ლიანდაგზე აყენებთ: ორ გზას შუა ხართ! და ჩემთვის საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ საით წავა ცოცხალი ძალა ხალხისა, რისთვის დაიხარჯება იგი? უნაყოფოდ ბნოს დასახლებისათვის, თუ შინაგან ძლიერების შესაქმნელად? როდესაც რუსეთი თვითონ გაგზავნის ამურზე კოლონიზატორებს, შეიარაღებული ცოდნით და თვით მოქმედ ძალით, მაშინ რკინის გზა გაყვანილი იქნება ჩვენი კოლონიების მიერ და ამ კოლონიებისათვის. მე მითხრეს აქ: „გვაჩვენე მეორე საშუალება ამურის დასაცავად. მე მიგითითებთ. რუსეთი უნდა შეიქმნეს თავისუფალი, მდიდარი, ამაყი და მაშინ გექნებათ ძალა... სახელმწიფოს თავისუფალ ძალების გაღვიძების შედეგი იქნება კულტურული დაპყრობა ამურისა“... გლეხების დეპუტატებიც წინააღმდეგი იყვნენ ამურის რკინის გზის გაყვანისა; გულ-მხურვალედ უმტკიცებდენ ოქტომბრისტებს, რომ ის თანხა, რაც ამ გზას მოუნდება, გლეხ-კაცო-

ეროვნული

ბის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის მოხმარებულიყო. მაგრამ არა გაეწყო რა, ვინაიდგან სათათბიროს უმრავლესობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ეს საკითხი მმართველობის წინადადების თანახმად და არავითარს მოსაზრებას საჭირო ყურადგებით არ ეპყრობოდნენ. ყოფილმა პრემიერმა ვიტტემ სახელმწიფო საბჭოში რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობას ექვის თვალით შეხედა და მისი არა ნორმალური მდგომარეობა აღნიშნა. ფინანსიურ მხარეს საპატიო ალაგი უნდა დაეჭირა ამურის რკინის გზის გაყვანის შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს. ვიტტემ სთქვა: საჭიროა ფრთხილად მოვეპყრათ ჩვენს ფინანსებს; საჭიროა ჩვენი შერყეული კრედიტის გამაგრება, ამისათვის კი საჭიროა საშუალების მიხედვით ცხოვრება...

აქედან კი ერთი რამ გამომდინარეობს: შეუძლებელი იყო და არის ამურის რკინის ზგის პროექტის მიღება.

* *
*

14 მარტს რუსეთის პარლამენტში დაიწყო სჯა და ბაასი 6.900 ათ. მან. გაღების კანონ-პროექტის შესახებ ხალხის განათლებისათვის. ზემო აღნიშნული თანხა მმართველობამ მოითხოვა ვითომდა საერთო სწავლის მოწყობისათვის; კანონ-პროექტი მიაჩნდათ, როგორც პირველი ნაბიჯი ამ ზედმეტად რთული და დიადი საქმის მოწყობის გზისაკენ; ნამდვილად კი აქ საერთო განათლება არაფერს შუაში იყო. სწავლა-განათლების სამინისტრო თხოულობდა რამოდენიმე მილიონს, რათა შესძლებოდა დაკმაყოფილება საერო და ხვა საზოგადოებრივი დაწესებულებათა შუამდგომლობისა, ვინაიდგან სასკოლო საქმის მოწყობა დახმარებას თხოულობს მმართველობისაგან; მაგრამ ამ საკითხმა გამოიწვია პრინციპიალური ბაასი პარლამენტში; სათათბიროში თავმოყრილმა პარტიებმა გამოსთქვეს თავიანთი აზრი სახალხო სწავლა-განათლების საჭიროების და მის მნიშვნელობის შესახებ და მით გამოარკვიეს ერთი ფრიად საინტერესო საკითხი. ეჭვს გარეშეა საერთო განათლების მნიშვნელობა თანამედროვე ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისთვის. პირველ დაწყებითი განათლება, როგორც სამართლიანად სთქვა ეტტინგენმა, „ფერმენტია ცივილიზაციისა“. „ხალხი, რომელსაც საუკეთესო სკოლები აქვს, — ამბობს ჟიულ სიმონი, — უსათუოთ შეიქმნება დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოწინავე ხალხად ქვეყნიერებაზე“. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ხალხის განათლება ერთად ერთი გზაა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ერთი ძლიერი ფაქტორია ხალხის სიმდიდრის განვითარებისათვის.—

საუბედურეოთ რუსეთის ბიუროკრატია ხალხის სწავლა-განათლებაზე არ ზრუნავდა. ადმინისტრაციის და პოლიციის შენახვა ბევრად უფრო მეტი უჯდებოდა და უჯდება საერთოთ სახელმწიფოს და კერძოთ ქალაქებს, ვიდრე ხალხის განათლების და საექიმო და საბეითლო დახმარების მოწყობა. შემდეგი ცხრილი ნათლად დაგვანახვებს ამას. 1907—8 წ. განმავლობაში ქალაქების დაახლოებითი ხარჯი 1 მცხოვრებზე კაპ. მოდის:

	სასწავლებლებზე	პოლიციაზე.
მოსკოვი	73,0	116,0
ირკუტსკი	90,0	115,0
კიევი	59,1	93,0
პეტერბურგი	80,3	90,5
ვილნო	9,5	71,0
ორიოლი	8,6	44,7
ლუქაისკი	4,3	31,8
ხარკოვი	30,3	50,8

(სტ. ბ.ბ. ნიკიტინისა ცნობ. მოსკოვის ქალაქის თვით მმართველობისა №№ 11—13 1903 წ).

ერთი სიტყვით რუსეთის ბიუროკრატიამ ხალხის განათლების მაგიერ პირველ რიგზე ხალხის უმეცრების გაბატონება წამოაყენა. აი ამიტომაც 14 მარტის სჯა-ბაასს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვების შინაარსს — ყველას აქ, რასაკვირველია, მკითხველთ ვერ გადავცემთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღნიშნა დეპუტატმა კოვალევსკიმ (ოქტომ.) მმართველობა უკვე პირველ დეკლარაციაში, პირველ სათათბიროსადმი მიმართულში, დაჰპირდა ხალხის წარმომადგენლებს მოსაზრების წარდგენას საერთო განათლების შესახებ. მეორე სათათბიროსათვის სამინისტრომ კანონ-პროექტი შეიმუშავა და ამ კანონ-პროექტის შესახებ სამინისტრო შესაძლოდ სცნობდა სერთო განათლების მიღწევას 10 წლის განმავლობაში. საუბედუროთ პროექტი, რომელიც მეორე სათათბიროში შეიტანა სამინისტრომ, შეცვლილი შეიქმნა და ხარჯის ჯამისა (103 მილ. მ.) და 10 წლის ვადის შესახებ სრულიად არაფერი იყო ნათქვამი. მესამე სათათბიროში სამი სხვა და სხვა კანონ. პროექტი იქმნა შეტანილი: ორს მადგანს საკრედიტო ხასიათი აქვს, მესამე შეიცავს ძირითად დებულებას რუსეთში საერთო განათლების შემოღების შესახებ; მაგრამ უკანასკნელ პროექტს, რომელიც არ არის დამყარებული არავითარ კრედიტზე, არავითარ ხარჯაღრიცხვაზე, პლატონიური ხასიათი აქვს.

„რასაკვირველია—სთქვა კოვალევსკიმ. ხალხის განათლების საქმე დამოკიდებულია გამგეობის ორგონოების მოწყობაზე და საერთო ფინანსიურ ორგანიზაციაზე, მაგრამ საქმე არ იცდის და ყოველ-გვარი შეჩერება განათლების განვითარებასა იქნებოდა ნაბიჯი უკან. საქმე იმაშია, რომ მარტო მცხოვრებთა მომატების გამო ყოველ წლიურად საჭიროა გაიხსნას 3000 სკოლა. ამისათვის სახალხო განათლების კომისია წინ აყენებს ორ კანონ-პროექტს, რომლებიც შეეხება 6.900 ათ. მან. გაღებას და უდგენს დასამტკიცებლად სახელმწიფო სათათბიროს. ამ თანხის გაღება პირველი ნაბიჯია საერთო განათლების შემოღების გზისკენ.

საუბედუროთ, დაუმატა კოვალევსკიმ, მმართველობამ გამოიჩინა ზოგიერთი სულ მოკლეობა... მესამე სათათბიროში წაკითხულ დეკლარაციაში მმართველობა მხოლოდ გაკვრით იხსენიებს ხალხის განათლებას; ფინანსთა მინისტრი აღიარებს რა 1908 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში $5^1/_2$ მ. მან. შეტანას, არაფერს არ ამბობს ახალ ხარჯების აუცილებლობის შესახებ, მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იმედი ქვეყნისა ეხლა მიპყრობილია ხალხის წარმომადგენლობისკენ. „სახელმწიფო სათათბირო ერთბაშად უნდა დაადგეს გამორკვეულს და შეურყეველს გზას, რომ რამე ფერად მიაღწიოს საერთო განათლებას... სახელმწიფო სათათბირომ უნდა განაცხადოს, რომ იგი ხალხის განათლების საქმეში არ დაკმაყოფილდება მარტო განყენებულ ფორმულებით, არამედ ჩათვლის თავის მოვალეობათ ამ ფორმულებს თან ახლდეს თანაბარი მოქმედებაც, ხალხის განათლება უნდა გადაიქცეს ნამდვილ სახელმწიფო მოთხოვნილებად, როგორც შენახვა ჯარისა, სასამართლოსი, რკინის გზებისა და სხვ.

სოც.-დემოკრატ. ფრაქციის წარმომადგენელმა ბელოუსოვმა დაახლოებით შემდეგი სთქვა: ს.-დ. ფრაქცია მომხრეა კანონ-პროექტის... მმართველობა ყოველთვის ხელს უშლიდა, აფერხებდა სწავლა განათლების საქმეს; მმართველობას ავანტურისათვის ყოველთვის ჰქონდა საშუალება, და ხალხის განათლებისათვის კი არა; ამით აიხსნება, რომ რუსეთში 207 ვერსტის მანძილზე ერთი სკოლაა... დღესაც პირობები არ შეცვლილა. საჭიროა იმგვარი ზომები იყოს მიღებული, რომ მართლა განხორციელებულ იყოს საერთო უფასო სწავლის შემოღება. გარდა ამისა საჭიროა შემოღება სწავლისა სამშობლო ენაზე ყოველგვარ ტიპის სკოლებში, აღვიარება რელიგიის სწავლებისა კერძო საქმედ, ყოველგვარ პრიველეგიების მოსპობა განათლების მიღების საქმეში და სხვა.

დასასრულ ბელოუსოვმა სთქვა: სკოლამ უნდა აჩვენოს ცხოვრება იმგვარად, როგორიც ის არის. ბრძოლა კანონია ცხოვრებისა. კლასობრივი ბრძოლა — კლასობრივი ცხოვრების კანონია... საერთო კაცობრიული ხასიათი პროლეტარულ იდეალისა გამოისახება სკოლაში კლასსობრივ ბრძოლის შეგნების გამორკვევით და ამით არა ერთურთის სიძულვილის თესლი იქნება წმინდა, არამედ თესლი საერთო კაცობრიული სოლიდარობისა... მემარჯვენეებიც მომხრე იყვნენ საერთო განათლებისა, მაგრამ მათ სიტყვებში თვით სკოლა და მისი ხასიათი გამორკვეულ ელფერს ღებულობს. „ხალხს სურს იცოდეს, თუ რა სკოლა ექნება... ცოდნა სკოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებულობს მატერიალიზმის ფორმას... სკოლა უნდა ზრდიდეს ბავშვს... ამისათვის ძლიერ საჭიროა მასწავლებელთა ამორჩევა, რათა ისინი იყვნენ პატრონი ზნეობრივ და სხვ. ღირსებათა(?!)".

ჩვენ აღვნიშნავთ აქ პოლონელ კოლოს წარმომადგენელის სიტყვას, ვინაიდგან რჟონდის განმარტებამ გამოიწვია ოქტომბრისტების წარმომადგენლის ფონ-ანრეპის საინტერესო, (როგორც დამახასიათებელი სათათბიროს უმრავლესობის ფიზონომიისა) სიტყვა.

...ფულის გაღება — სთქვა ჟრჟონდმა — ეს არის აქტი, რომელიც მოგვაგონებს შარშანდელ ფულის გაღებას ამ თუ იმ წესით სახალხო განათლების საჭიროებისათვის. რაც შეეხება საერთო განათლების საკითხს, ეს საკითხი, თუმცა ახალი არ არის, მაგრამ ზედ-მეტად რთულია. თუ სწავლა-განათლების სამინისტროს და სწავლა-განათლების კომისიას სურს ამ საკითხს დაუახლოვდნენ მისი განხორციელების რწმენით, სურვილით, რომ რაც შეიძლება მალე გადასწყვიტონ ეს საქმე, გულ-ახდილად უნდა უთხრან თავიანთ თავს, რომ ეს საკითხი... შეერთებულია ღრმა ცვლილებასთან.

დროა ვიკმაროთ სკოლების გარეგანი პირობების ცვლილება; საჭიროა სერიოზულად დავფიქრდეთ სკოლების შინაგან წეს-წყობილების გადაკეთებაზე, მათ შინაარსზე. დროა ვიფიქროთ სულის რეფორმაზე ხალხის სწავლა-განათლების საქმეში სახელმწიფოს მთელ სივრცეზე... ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალი გამოარკვევს სკოლის დამოკიდულებას სხვა და სხვა მოთხოვნილებასთან რუსეთის სახელმწიფოს მრავალ ხალხებისას... ჯერ-ჯერობით კი, მოხსენების სიტყვით, კრედიტი ემსახურება ხალხის არსებულ სწავლა-განათლების სისტემის განვითარებას და გაძლიერებას. ბატონებო, მძიმე, ხანგრძლივი გამოცდილება პოლონელ ხალხისა გვარწმუნებს რომ სკოლების თანამედროვე ორგანიზაციის გამო, ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პირობებში, პოლონეთში გაღებული გარკვეული თანხა არ მოხმარდება განათლების ნამდვილ საჭიროებას, ეს თანხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალშიაც ხელს შეუწყობს იმ მიზანს, რომლის მისაღწევად მმართველობამ ჩვენში სკოლა მხოლოდ პოლიტიკურ პროპაგანდის იარაღად გახადა. ამ მიზნის წყალობით ოფლით შეძენილი კაპეიკი ჩვენი, პოლონელი მუშისა ანუ პოლენელი გლეხისა, თუ ხანდისხან მის სამშობლო სოფელს უბრუნდება, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მისი სიმშვიდე დაარღვიოს, სული ბავშვისა გარყვნას.

მეორე მხრით—განაგრძო რჟონდმა—ჩვენ კარგათ გვესმის ის ცუდი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ხალხის განათლების საქმე მთელს სახელმწიფოში. ჩვენ გვესმის დიდი მნიშვნელობა ამ ცუდ სკოლისა რუსთა მცხოვრებთათვის იმპერიაში. ამისთვის კანონ-პროექტის წინააღმდეგი ჩვენ არ ვიქნებით. პოლონელი კოლო მხოლოდ ამ საკითხის ხმის მიცემაზე უარს აცხადებს“.

ყველასათვის ცხადია, რომ პოლონეთის დეპუტატის სიტყვაში ნაამდვილი სიმართლე იყო აღნიშნული. უარყოფა ამ სიმართლისა შეუძლებელია. ის, რაც განაცხადა პოლონეთის წარმომადგენელმა, ეხება არა მარტო პოლონეთის, არამედ უმეტეს ნაწილს ერებისას, რომელიც რუსეთის იმპერიაში სცხოვრობენ. რჟონდის რუსის ხალხის გასაკიცხავად არა უთქვამს რა. მიუხედავად ამისა ოქტომბრისტების ბანაკიდამ გაისმა ხმა გულმოსულობისა, საყვედურისა. ფონ-ანერპმა სხვათა შორის სთქვა — „მე ვგრძნობ ღრმა სიამოვნებას რომ იმგვარ პირობებში ვართ, რომ პოლონელ გუბერნიების წარმომადგენლებს არა აქვთ ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. რა მოხდებოდა — წამოიძახა ფონ-ანრეპმა — ეს რომ ასე არ ყოფილიყო? საერთო ხალხის განათლებაზე რუსეთისათვის უარს მივიღებდით ეხლა, იმისათვის რომ პოლონელთა იდეაა—რუსეთი დაიღუპოს უმეცრობის მორევში“...

თავდა-პირველად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ რჟონდის სიტყვა სრულიადაც არ აძლევდა ფონ-ანრეპს საბუთს ამგვარი სიტყვებით მიემართა პოლონელებისათვის. აქ ის არის გასაკვირველი, რომ ოქტომბრისტების წარმომადგენელი აღტაცებით ღებულობს სამი ივისის კანონის შემოღებას, ე. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის წარმომადგენლობის დამცირებას. ამასაც რომ გვერდი აუხვიოთ, არც დაფასება პოლონელთა კოლოს მნიშვნელობისა მეორე სათათბიროში არის მართალი, რადგანაც კოლო მომენტებში თამაშობდა თვალსაჩინო როლს მეორე სათათბიროში, როცა მთელი პარლამენტი ორ თანასწორ ნაწილად იყოფებოდა.

ყოველ შემთხვევაში რჟონდის სიტყვაში არა ყოფილა არაფერი იმგვარი, რასაც შეეძლო გამოეწვია ფონანრეპის მხრით ამგვარი ბრალდებლობის წამოყენება. მით უფრო რომ, თვით ფონანრეპმა სთქვა; „მე მესმის, რომ შეურაცხყოფილი, შელახული, დამცირებული გრძნობა თხოულობს თავის პროტესტებისათვის გამოსახვას“. პოლონელ კოლოს გადაწყვეტილებაში მეტი არა ყოფილა რა. დღეს უფრო ნათლად სჩანს, რომ რუსეთის პარლამენტის ცენტრში სხვა და სხვა მიმდინარეობა არსებობს. ოქტომბრისტები დღესაც არ შეადგენენ კომპაქტიურ მასსას. ერთი მხრით არის ვიწრო, ნაციონალისტური მისწრაფება და მიმდინარეობა; ეს სავსებით გამოიხატა ფონანრეპის სიტყვაში; მეორე მხრით ვხედავთ ვიწრო სურვილს, მორიდებულს, ძრიელ მორიდებულს ნაბიჯს ოქტომბრისტების მხრით, მიმართულს ვითომდა სათათბიროს უფლებათა დაცვის გზისაკენ, მაგალითად პროტესტს აცხადებენ ოქტომბრისტები იმის შესახებ, რომ მმართველობამ ახალი სერიები და ახალი უზრუნველ ყოფილი რკინი გზის ობლიგაციები გამოუშვა სათათბიროს ნებადაურთველად; გარდა ამისა სათათბიროს 25 აპრილის კრებაზე, როცა რკინის გზის მდგომარეობისა და შემოსავლის შესახებ იყო ბაასი და სპეციალისტურ კომისიის დაარსების გამო კამათი ასტყდა (კომისიამ უნდა შეისწავლოს და გაეცნოს რკინის გზების მდგომარეობას) ფინანსთა მინისტრმა სთქვა—„მადლობა ღმერთს, ჩვენ პარლამენტი არა გვაქვსო“. ოპოზიციამ იმ დღესვე ჯეროვანი პასუხი გასცა, ხოლო ოქტომბრისტებმა ცოტა უფრო გვიან: უვაროვის პირით აი რა განაცხადეს: „მთავრობის წარმომადგენელმა კოკოვცევმა სთქვა: „მადლობა ღმერთს, ჩვენ პარლამენტი არა გვაქვს“. ეს რომ ვისმე სხვას ეთქვა და არა ისვთ დიდად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჭიერ ორატორს, დაწვრილებით მცოდნეს, რომელსაც ძრიელ ემარჯვება რუსული ენა, შესაძლებელი იყო კიდევ ფიქრი, რომ ეს უბრალო სიტყვის წამოროშვაო, მაგრამ ვინაიდგან ეს ფრაზა კოკოვცევმა სთქვა, რომელსაც მართლაც მოხვეჭილი აქვს სახელი ნიჭიერ ორატორისა, ამისათვის საუბედუროთ, ამ სიტყვებს უნდა მეტი მნიშვნელობა მივაწეროთ, ვიდრე შესაძლებელია თვით ორატორი აწერდა მათ. ამ მომენტში ეს სიტყვები ზედმეტად დიდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რომ სავსებით არ ეწინააღმდეგებოდეს იმ სიტყვას, რომელიც ნოემბერში—(დიდი ხანი არ არის მას აქეთ), სთქვა აქ მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სტოლიპინმა, რომელმაც ნამდვილად და აშკარად გამოსთქვა აზრი წარმომადგელობით წეს-წყობილების შესახებ რუსეთში. სასურველი იქნებოდა, რომ კოკოვცევს აეხსნა, არის შესაძლო თუ არა წარმომადგენლობითი წეს-წყობილება უპარლამენტოთ. მაგრამ მგონია კოკოვცევი არ არის წარმომადგენელი მმართველობისა, როცა ამ სიტყვებს ამბობს, ვინაიდგან, მმართველობამ თავის დეკლარაციაში განაცხადა პირდაპირ საწინააღმდეგო იმისა, რაც კოკოვცევმა სთქვა. კოკოვცევმა ილაპარაკა ეს არა როგორც ფინანსთა მინისტრმა, ვინაიდგან სად ილაპარაკა მაშ თუ არა პარლამენტ'ში? შესაძლებელია ფიქრობს ის, რომ ჩვენ — დეპუტატებს წარმოვადგენთ მის სამინისტროში? მაშ სად ილაპარაკა? თუ კი ის მართლადაც მმართველობის აზრს წარმოადგენს, მაშინ პირველი ის არ უნდა მოსულიყო აქ, რიგორც არ მოსულა დღეს. თუ კი მან ილაპარაკა, როგორც მხოლოდ კოკოვცევმა, ეს მე მამშვიდებს, რადგანაც „ნამდვილი საიდუმლო სოვეტნაკები“ ბევრი გვყავდა ჩვენ და ბევრი გვეყოლება კიდევ და ყველა მათი სიტყვებისათვის მმართველობა პასუხს არ აგებს. ამისათვის არ არის საჭირო სერიოზულად პასუხი გავსცეთ ამ სიტყვებს. ეს იყო მხოლოდ უბრალო სიტყვები, შესაძლებელია უნებლიეთ ნახმარი და მეტი არაფერი“ ..

სათათბიროს თავმჯდომარემ დასძინა ამ სიტყვებს: „როგორც თავმჯდომარეს მე არა მქონდა არავითარი საშუალება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემეჩერებინა ფინანსთა მინისტრი, როდესაც მან იხმარა მოუხერხებელი წინადადება. მე არ მქონდა არც საშუალება და არ არც უფლება, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაქვს საშუალება და უფლებაც ამ სიტყვების განხილვა შემდეგში მოვსპო...

ასეთი ფრთხილი ნაბიჯით, დრო გამოშვებით, ჰბედავენ ოქტომბრისტები წარმომადგენლობით წეს-წყობილების დაცვას. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ოქტომბრისტები ვითომდა მოწადინებული არიან გაახორციელონ 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებული თავისუფლებანი". მათ წრეებში შეუმუშავებიათ კანონ-პროექტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ გაზეთები, ეს კანონ-პროექტი სრულიადაც არ ამყარებს სიტყვის თავისუფლებას და არც ამ პრინციპის ზომიერ მოთხოვნილებას. ამგვარივე ბედი სწვევია პიროვნების თავისუფლების შესახებ კანონ-პროექტის შემუშავებასაც. ადმინისტრაციას რჩება დიდი უფლება...

რაც შეეხება ერთს ძირითად საკითხს რუსეთის თანამედროვე ცხოვრებისას, სახელდობრ აგრარულ საკითხს, ეს საკითხი ხელახლავ მთელი თავისი სიმკაცრით წამოყენებულ იქმნება, თუმცა მმართველობა და სათათბიროს უმრავლესობა ყოველ ღონის ძიებით ცდილობენ ვნების მოშორებას... ერთი სიტყვით ყველა თითქმის სერიოზული საკითხები უცდიან მომავალში გადაწყვეტას, მაგრამ სათათბიროს მათ გადაწყვეტის გზისაკენ ჯერ-ჯერობით არა გაუკეთებიარა.

ხუთი თვე მეტია, რაც რუსეთის პარლამენტი მოქმედობს; ხუთი თვე მეტია, რაც ტავრიდის სასახლეში ხმა მაღლად გაიძახიან „კანონების" დამყარების შესახებ, და „კანონები" არ დამყარდა.

პირიქით სფერა უსამართლოებისა, სფერა თავგასულობისა პრინციპიალურად ფართოვდება და მმართველობას, როგორც მის მომხრე მესამე სათათბიროს უმრავლესობას, დაავიწყდათ კიდეც სახელმწიფოს განახლებისათვის საჭირო რეფორმების შესახებ ფიქრი. ხუთი თვის განმავლობაში ჩვენ ვერ ვნახულობთ სათათბიროს მოქმედებაში რაიმე პროგრესიული-რეფორმატულს მოღვაწეობას; მმართველობა ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიადაც არ ფიქრობს ახალ-წეს-წყობილების დამყარებისათვის. პირველ რიგზე დღესაც წამოყენებულია ბრძოლა „ძველის იარაღით“, ბრძოლა მხოლოდ რეპრესიების გაძლიერებით განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ეხლაც, როგორც ყოველთვის, გაიძახიან—ჯერეთ დამშვიდება და ვითომ შემდეგ რეფორმა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მმართველობამ თავის უმთავრეს მიზნად დაისახა მხოლოდ რეპრესიები მშვიდობიანობის დასამყარებლად, ვითომდა ერთად ერთი ხსნა ქვეყნისა რეპრესიების გაძლიერებაში მდგომარეობდეს და არა რეფორმების შემოღებაში.

ჩვენ არა გვაქვს ხელში სტატისტიკური ცნობები თუ რა ციფრებით გამოისახა ამ უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში რეპრესიების გაძლიერება. სამაგიეოოთ ჩვენ გვაქვს 1907 წლის შესახებ ცოტად თუ ბევრად სწორი ცნობები. გაზეთმა „ტოვარიშჩმა“ გამოაქვეყნა რაოდენობა დასჯილთა 1907 წლის განმავლობაში. სულ სხვა და სხვა სამჯავრო დაწესებულებათა დადგენილებით დასჯილთა რიცხვი 11,066 კაცია. ამ რიცხვიდამ სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი ჰქონდა 1,692 კაცს, სამუდამო კატორღა—477 კ., გადასახლება 413 კ. ციხეში, საპყრობილეში და სხვ. დაპატიმრება 6.112 კ. ორთაშუა რიცხვით 1,1 წლით, დისციპლიანურ ბატალიონში ყოფნა 427 კ. დაახლოებით 2, 2 წლით. იგივე გაზეთი ზედმეტად საინტერესო ცნობებს აქვეყნებს დასჯილთა საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ: 4,704 გლეხი ყოფილა, 2.130 — სამხედრო კაცი, 1.603 ქალაქის მუშა, 446 — მოსწავლე, 211 — დეპუტატი პირველ და მეორე სათათბიროსი, 176 — რედაქტორი პერიოდულ გამოცემებისა. ეჰვს გარეშეა ეს ცნობები სრული არ არიან და სინამდვილეს დაახლოვებითაც არ გვისურათებენ; აღნიშნული ცნობები, მაგალითად, არ შეიცავენ ადმინისტრატიულ გზით დასჯილთა რაოდენობას; ცხადია ეს ადმინისტრატიულ დასჯილთა რიცხვი დიდია, რადგანაც თანამედროვე, როგორც ყოველივე დროის, ადმინიეტრაციამ, რომელმაც არ იცის ხაზღვარი უსამართლობისა და თავგასულობისა, „რეპრესიების

პოლიტიკაში“ ბევრად გადააჭარბა თანამედროვე სასამართლოებს.

1908 წლის გასული ხუთი თვის შესახებ სამწუხაროდ არა გვაქვს ცნობები, მაგრამ შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დასჯილთა რიცხვი მატულობს და ადმისტრაციის უფლების გაძლიერება, მხოლოდ პოლიციის და პოლიციელთა თარეშობას აბატონებს სახელმწიფოში. დღე არ გადის, რუსეთის პოლიციის შესახებ თავზარდამცემი ფაქტები არ გადმოგვცენ გაზეთებმა იმის შესახებ, თუ როგორ თვით მმართველობის აგენტები ჰქმნიან დანაშაულობას, უსამართლოებას, ძალ-მომრეობას და ამასთან ერთად არ გადის დღე, რომ გაზეთებში არ ამოვიკითხოთ, რომ აქ ორი დახვრიტეს, იქ სამი ჩამოახჩვეს, აქ ექვსი დაატუსაღეს, იქ ხუთი გადაასახლეს და ასე თითქმის მთელს რუსეთის სივრცეზე დღესაც იგივეა, რაც გუშინ იყო და მესამე ივნისის კანონით შემდგარი პარლამენტი არამც თუ ხელს არ უშლის 17 ოქტომბრამდე არსებულ წეს-წყობილების რესტავრაციას, არამედ განამტკიცებს მმართველობის პოლიტიკას.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.